

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
რომანული ფილოლოგია  
მეგი მჭედლიშვილი

ფატიკური კომუნიკაციის ლინგვოკულტურული ასპექტები  
/ფრანგული, ესპანური და ქართული ენების მასალაზე/

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

დისერტაცია

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი: ციური ახვლედიანი



თბილისი 2011

## სარჩევი

შესავალი

4

თავი I. -ფატიკური კომუნიკაციის თეორიული საფუძვლები და დეფინიცია.

- 1.1. ფატიკური ფუნქციის ლინგვისტური სტატუსი და კომუნიკაციის თეორია .....8
  - 1.2. ფატიკური ფუნქციის ანალიზი მალინოვსკის, იაკობსონის და ბიულერის თეორიების თვალსაზრისით.....12
  - 1.3. ფატიკური კომუნიკაციის როლი ადამიანთა ურთიერთობაში ...26
  - 1.4. ფატიკური გამონათქვამის ადგილი დისკურსში .....64
- დასკვნები I თავის მიხედვით

თავი II - ფატიკური კომუნიკაციის პრაგმასემანტიკური ასპექტები.

- 2.1. ინტონაციის როლი კომუნიკაციაში .....75
  - 2.2. სოციალური იდენტურობა ფატიკური კომუნიკაციის დროს 77
  - 2.3. გენდერული იდენტურობა ფატიკური კომუნიკაციის დროს 78
  - 2.4. ფატიკური კომუნიკაციის ტიპოლოგია ..... 85
- დასკვნები II თავის მიხედვით

თავი III.- ფატიკური კომუნიკაციის ლინგვოსემიოტიკური ასპექტები

- 3.1. ფატიკური კომუნიკაციის ვერბალური ტიპები ფრანგულ და ქართულ ენებში .....93

3.2. ფატიკური კომუნიკაციის ვერბალური ტიპები ესპანურ და ქართულ ენებში .....	110
3.3. ფატიკური კომუნიკაციის არავერბალური ასპექტები ფრანგულ და ქართულ ლინგოკულტურულ არეალში ..	...119
3.4. ფატიკური კომუნიკაციის არავერბალური ასპექტები ესპანურ და ქართულ ლინგოკულტურულ არეალში ....	126

დასკვნები III თავის მიხედვით

თავი IV.-ფატიკურ გამონათქვამთა შედარებითი ანალიზი ფრანგულ, ესპანურ და ქართულ ენებში

4.1. ფატიკური კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური ტიპების მიმოხილვა ქართულ ენაში.....	129
4.2. თანამედროვე ტექნოლოგიებით განხორციელებული ფატიკური კომუნიკაციის ვერბალური ტიპების კლასიფიკაცია ფრანგულ, ესპანურ და ქართულ ენებში.....	131
4.3. ფატიკური კომუნიკაციის ვერბალური ტიპების შედარებითი ანალიზი ფრანგულ, ესპანურ და ქართულ ენებში.....	137
4.4. ფატიკური კომუნიკაციის არავერბალური ასპექტების შედარებითი ანალიზი ფრანგულ, ესპანურ და ქართულ ენებში.....	139

დასკვნები IV თავის მიხედვით

დასკვნა .....	143
ბიბლიოგრაფია.....	147
დანართი .....	153

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია “ფატიკური კომუნიკაციის ლინგვოკულტურული ასპექტები ფრანგულ, ესპანურ და ქართულ ენებში”, იმ მიზნით, რომ დადგინდეს თუ რა მსგავსება და განსხვავებაა ამ ორი მონათესავე რომანული ენის ენობრივ და კულტურულ დონეებზე.

სწორედ ფატიკური კომუნიკაციის, ფრანგული, ესპანური და ქართული ლინგვოკულტურული ასპექტების მსგავსება და განსხვავება განაპირობებს ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობას.

ყოველი საკვლევი თემა თავიდანვე ითხოვს განსაზღვრას. ჩვენი აზრით, სხვა თემათაგან განსხვავებით, ფატიკური კომუნიკაცია, როგორც კომუნიკაციის ტიპი, იმდენად არის დაკავშირებული კომუნიკაციის თანამედროვე თეორიასთან, რომ მისი განსაზღვრა ეტაპობრივ ხასიათს უნდა ატარებდეს:

ფატიკური კომუნიკაცია ემსახურება არა ფაქტობრივი ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას, არამედ თბილი, მეგობრული ატმოსფეროს შექმნას და უხერხული პაუზების თავიდან აცილებას, აგრეთვე მსმენელის საკომუნიკაცია აქტში ჩართვის სურვილსა და იმის გადამოწმებას, რამდენად ვარგისია ის არხი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება კომუნიკაცია.

განსაზღვრების მიხედვით ფატიკური კომუნიკაცია არ ემსახურება ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას; მაგრამ როგორ შეიძლება ის ჩაითვალოს კომუნიკაციის ერთ-ერთ სახეობად, თუ მეცნიერულ ლიტერატურაში კომუნიკაცია როგორც ფენომენი უშუალო კავშირშია ინფორმაციასთან.

კვლევის ამგვარად გაგებულმა მიზანმა განაპირობა **ნაშრომის მეცნიერული სიახლეც**. გამოვყავით ამ სიახლის შემდეგი ძირითადი ასპექტები:

- 1) ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში პირველად იქნა გააზრებული ფატიკური კომუნიკაციის როლი ფრანგ, ესპანურ და ქართულ ადამიანთა ურთიერთობაში და ფატიკური გამონათქვამის ადგილი დისკურსში.
- 2) განვსაზღვრეთ ინტონაციის როლი კომუნიკაციაში.
- 3) გავემიჯნეთ სოციალური და გენდერული იდენტურობა ფატიკური კომუნიკაციის დროს.
- 4) მოვახდინეთ ფრანგული, ესპანური და ქართული კომუნიკაციის ტიპოლოგია
- 5) ფრანგული, ესპანური და ქართული ვერბალური ფატიკური კომუნიკაციის ერთმანეთთან შედარება.

- 6) გავმიჯნეთ და შევადარეთ ფრანგული ესპანური და ქართული არავერბალური ფატიკური კომუნიკაცია.
- 7) წინამდებარე ნაშრომში პირველად მოხდა თანამედროვე ტექნოლოგიებით განხორციელებული ფატიკური კომუნიკაციის ვერბალური ტიპების კლასიფიკაცია ფრანგულ, ესპანურ და ქართულ ენებში.
- 8) ჩავატარეთ ფატიკურ გამონათქვამთა შედარებითი ანალიზი ფრანგულ, ესპანურ და ქართულ ენებში.

როდესაც შევეცადეთ მიგვენიშნებინა ფატიკური კომუნიკაციის როგორც კომუნიკაციის ტიპის კონტურები, იმ ფაქტზეც მივუთითეთ, რომ კომუნიკაციის ეს ტიპი არ ატარებს მხოლოდ ვერბალურ ხასიათს. თუ ჩვენ კომუნიკაციის ამ ასპექტს ფართო ინტერდისციპლინალურ კონტექსტში განვიხილავთ, მაშინ დავინახავთ, რომ ჩვენი თემა ვერ იქნება განხილული ვიწრო ლინგვისტური თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციის თანამედროვე თეორიაში, რომელიც პრინციპულად ინტერდისციპლინარულ ხასიათს ატარებს, განასხვავებენ კომუნიკაციური კომპეტენციის ორ ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ ასპექტს- საკუთრივ ენობრივ (ვერბალურ) და კულტურულ კომპეტენციას.

რასაკვირველია, კომუნიკაციის ფატიკური ტიპი არსებობს ნებისმიერ ლინგვოკულტურულ არეალში, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მისი კვლევა განსაკუთრებულ ხასიათს იძენს თვით უცხოურ ლინგვოკულტურულ არეალშიც. აქედან ნათელია, რომ ფატიკური კომუნიკაციის ფუნქციური არსისა და ტიპოლოგიის ცოდნა იძენს უკვე არა მხოლოდ თეორიულ, არამედ მეთოდურ მნიშვნელობასაც.

ჩვენი მსჯელობის საფუძველზე დგინდება, რომ ფატიკური კომუნიკაცია წარმოადგენს დისკურსის არსებით და განუყოფელ ნაწილს. ფატიკური კომუნიკაციის მეთოდური ასპექტი და ამ კვლევის შედეგთა გამოყენება უცხოურ ენათა შესწავლის პროცესში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ისეთი ქვეყნისათვის, როგორცაა საქართველო და რომელიც იწყებს და აფართოვებს უშუალო ენობრივ- კულტურულ კონტაქტებს გარე სამყაროსთან, მაგრამ როგორ გამოიყურება ამგვარ კონტაქტთა ის ფუძემდებელი ფაზა, რომელსაც „ფატიკური“ ეწოდება? ამგვარ კითხვაზე პასუხი შეუძლებელია შესაბამისი თეორიული კვლევის გარეშე. ჩვენს ნაშრომში დასმული საკითხი აქტუალური უნდა იყოს ხსენებული თვალსაზრისითაც, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ჩვენთვის ჯერ კიდევ საკმაოდ უცხო, მაგრამ უდავოდ დიდი მნიშვნელობის მქონე ფრანგულ და ესპანურ ლინგვოკულტურულ არეალს.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ მსჯელობაში მთელი სიცხადით ჩანს კვლევის ის მეთოდოლოგია, რომელსაც ჩვენ ვეყრდნობით. შეიძლება გამოიყოს ამ მეთოდოლოგიის შემდეგი ასპექტები.

ა) ლინგვოკულტურულ ინტერაქციაზე ორიენტირებული მეთოდოლოგია;

ბ) ზოგადკომუნიკაციურ ფენომენტა გააზრება ფრანგულ, ესპანურ და ქართულ ენებში;

გ) მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება არა მხოლოდ დისკურსის ანალიზს, არამედ ცდილობს ამ ანალიზის შემდგომ გადრმავებას ფატიკური კომუნიკაციის მეშვეობით. ნაშრომის ზემოაღნიშნულმა მიზანდასახულობამ განაპირობა მასში წარმოდგენილი ენობრივი მასალის ზოგადი ხასიათიც.

ჩვენთვის ამოსავალი იყო ფატიკური კომუნიკაციის ის განსაზღვრება, რომელიც სათავეს იღებს ბ. მალინოვსკის, რ. იაკობსონის და კ. ბიულერის ნაშრომებში და რომელიც დიდი ხანია დამკვიდრებულია ლინგვისტური კვლევის პრაქტიკაში..

ზემოხსენებულმა მსჯელობამ საკმარისად წარმოაჩინა სადისერტაციო ნაშრომის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკური ღირებულებაც.

**თეორიული ღირებულება** განისაზღვრება თანამედროვე ლინგვოკულტურულ აზროვნებასთან იმ კავშირით, რომლის ასპექტები საკმარისი სიცხადით იქნა წარმოდგენილი.

**პრაქტიკული ღირებულება** კი განისაზღვრება იმით, რომ:

ა) ჩვენი კვლევა ხელს შეუწყობს ფრანგული, ესპანური და ქართული ენებისა და კულტურის უფრო ღრმა შესწავლას ჩვენს ქვეყანაში; ბ) ჩვენს მიერ მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორივე ენის კურსების სწავლების პროცესში.

ნაშრომის ზემოფორმულირებულმა მიზანმა განაპირობა მასში წარმოდგენილი ენობრივი მასალის ზოგადი ხასიათიც. მასალა აღებულია ფრანგული, ესპანური და ქართული ენების თანამედროვე სახელმძღვანელოებიდან და იმ სასწავლო მეთოდოლოგიური ლიტერატურიდან, რომელიც ეფუძნება ძირითადად ამ ენების პრაქტიკული სწავლების მეთოდური პრობლემის განხილვას. ასევე ვეყრდნობით სახელმძღვანელოებს, რომლებიც განკუთვნილია უცხოელებისათვის, და იმ სახელმძღვანელოებსაც, რომლებიც გამოიყენება თვით ფრანგულ და ესპანურ საშუალო და უმაღლეს სკოლებში.

ხსენებული წყაროების გარდა, ჩვენ ფართოდ გამოვიყენეთ ინტერნეტით მოპოვებული მასალა, რაშიც იგულისხმება ინტერნეტში გამოქვეყნებული ლინგვისტური და მეთოდოლოგიური ხასიათის სტატიები, რომლებშიც

გაანალიზებულია თანამედროვე ყოველდღიური ფრანგული, ესპანური და ქართული დისკურსი, ხსენებული დისკურსის ის ასპექტები, რომლებიც ატარებენ ყოფით ხასიათს, რაც ასევე უკავშირდება ფიჭურ სატელეფონო კავშირს.

წარმოდგენილი ნაშრომი შედგება შესავლისა და ოთხი თავისაგან, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან, რომელიც 108 ერთეულითაა წარმოდგენილი. ნაშრომის ბოლოს მოცემულია დანართი სქემების სახით.

პირველი თავში განხილულია ფატიკური კომუნიკაციის თეორიული საფუძვლების და აღნიშნული ცნების დეფინიციის კვლევა, შემდეგ ორ თავში კი განხილულია ფატიკური კომუნიკაციის პრაგმატული და ლინგვოსემიოტიკური ასპექტები. მეოთხე თავში კი მოცემულია ფატიკურ გამონათქვამთა შედარებითი ანალიზი ფრანგულ და ესპანურ ენებში (ფრანგული და ესპანური ენების ვერბალური და არავერბალური ტიპების მიმოხილვა და მათი კლასიფიკაცია.)

# თავი I. ფატიკური კომუნიკაციის თეორიული საფუძვლები და დეფინიცია

## 1.1. ფატიკური ფუნქციის ლინგვისტური სტატუსი და დეფინიცია

შესავალში უკვე დაისვა პრობლემა, რომლის გადაჭრამ უნდა შექმნას მთელი ჩვენი შემდგომი კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი: როგორ უნდა იქნეს გადალახული ფატიკური კომუნიკაციის როგორც კონცეპტის შინაგანი ანტინომიურობა და როგორ უნდა გავიაზროთ ანტინომიურობის ამგვარი გადალახვის შედეგები ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ხსენებული ფენომენის სრული და თანამიმდევრული გააზრება კომუნიკაციის თანამედროვე კონცეფციის ფარგლებში? ამ პრობლემის გადაჭრას ჩვენ შევეცდებით შემდეგი ეტაპების გავლის გზით.

ა) მნიშვნელოვანია, თუ როგორ გაიგებოდა მე-20 საუკუნის ლინგვისტიკაში ენის ფუნქციური არსი, ანუ რომელი ძირითადი ფუნქციები მიეწერებოდა მას. აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციის როგორც ლინგვოკულტურული ფენომენის განსილვამდე აუცილებელია სწორედ ენის იმ ფუნქციური ხედვის გათვალისწინება, რომლის ფარგლებშიც შეტანილ იქნა ფატიკური კომუნიკაციის ცნება. ეს ცნება შემოტანილ იქნა უფრო ადრე, ვიდრე ლინგვისტურ აზროვნებაში დომინირებას დაიწყებდა კომუნიკაციური ლინგვისტიკის პარადიგმა. ( ცერცვაძე, 2007:15)

ბ) აუცილებელია გავიხსენოთ ფატიკური კომუნიკაციის ის კონცეფცია, რომელიც ეკუთვნოდა რომან იაკობსონს. მართალია, ეს კონცეფცია ჩამოყალიბდა თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარების უფრო ადრეულ ეტაპზე, მაგრამ სწორედ რ. იაკობსონმა მისცა დასაბამი ჩვენთვის საინტერესო მოვლენის მეცნიერული გააზრების ცდას.

გ) განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ როგორ გაიგება დღეს კომუნიკაცია როგორც ფენომენი. ფატიკური კომუნიკაციის როგორც კონცეპტის შინაგანი ანტინომიურობის გადალახვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა მოხერხდება მისი ინტეგრაცია კომუნიკაციის თანამედროვე კონცეფციაში. აქვე აღსანიშნავია იმის გახსენება, თუ როგორ გაიგება მე-20 საუკუნის ლინგვისტიკაში ენის ფუნქციების ცნება და რა სახის ფუნქციები მიეწერება მას. ენის როლი იმდენად მნიშვნელოვანია ცხოვრებაში, რომ ენათმეცნიერებს ჯერაც ბოლომდე ვერ განუსაზღვრავთ, თუ რამდენ ფუნქციას ასრულებს იგი. ზოგადად ცნობილია ენის ორი ფუნქცია: ექსპრესიული და საკომუნიკაციო. ყოველი მეცნიერი აღიარებს ენის როგორც საკომუნიკაციო საშუალების უდიდეს მნიშვნელობას მის სხვა ფუნქციებს შორის. ინგლისელი მეცნიერი ჯონ ლაიონზი გამოჰყოფს ენის სამ ძირითად ფუნქციას: დესკრიფციულს, სოციალურსა და ექსპრესიულს. ჯეფრი ლიჩის მიხედვით კი გამოიყოფა შემდეგი ფუნქციები: ინფორმაციის გადაცემის, აზრის



გამოხატვის, დირექტიული, ესთეტიური (პოეტური) და ფატიკური, ხოლო რუსულ ლინგვისტურ ენციკლოპედიაში მითითებულია ენის შემდეგი ფუნქციები: საკომუნიკაციო, კოგნიტური (შემეცნებითი ანუ ექსპრესიული), ემოციური და მეტაენობრივი. მათ შორის ენის საკომუნიკაციო ფუნქციას მიეკუთვნება ფატიკური, კონატიური (ათვისების) ვოლუნტატიური (ზემოქმედების) და ეროვნული კულტურის, ისტორიის და თვითშეგნების გადაცემის ფუნქციები. (ნ. ცერცვაძე, 2007:16).

თუმცა ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ის ლინგვისტური ნააზრევი, რომელმაც არა მარტო განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ენის ფუნქციების გაგებაში, არამედ მოუნახა კიდევ ადგილი ფატიკური კომუნიკაციის ენობრივ ფუნქციათა ფართო სპექტრში.

რ. იაკობსონი აღნიშნავდა, რომ საკომუნიკაციო აქტის მთავარი დანიშნულებაა არა მხოლოდ მისი ფიზიკური და ტექნოლოგიური ბაზისი, არამედ ის სოციალური და ფსიქოლოგიური ურთიერთობანი, რაც სუბიექტებს შორის მყარდება და შენარჩუნებულია საკომუნიკაციო პროცესების დასრულებამდე. ინფორმაციული თეორიის მიხედვით კი, არხი არის ფიზიკური საყრდენი, რომელიც განამტკიცებს მთქმელისა და მსმენელის ურთიერთკავშირს. რ. იაკობსონის აზრით, მთქმელისა და მსმენელის საკომუნიკაციო ურთიერთობაში ჩართვას და სოციალურ ურთიერთობას უზრუნველყოფს არხი. აქედან გამომდინარე არხისადმი დამოკიდებულებაც იცვლება და სხვა მნიშვნელობას იძენს: ისიც შესაძლებელია, რომ ორმა პიროვნებამ ისაუბროს ისე, რომ ერთმანეთისათვის მნიშვნელოვანი არაფერი ჰქონდეთ სათქმელი, მაგრამ საუბარი წამოიწიონ მხოლოდ იმ საბაბით, რომ ცოცხალი საკომუნიკაციო ურთიერთობა შეინარჩუნონ. სწორედ ასეთი სახის კომუნიკაციას უწოდა რ. იაკობსონმა „ფატიკური“, რაც თეორიული თვალსაზრისით გვაშორებს იმ აზრს, რომ საკომუნიკაციო აქტში ყველაფერი ინფორმაციული შინაარსის შეტყობინებაზეა დაფუძნებული<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ კომუნიკაცია არსებობდა კაცობრიობიდან მოყოლებული. ადამიანები არიან ბუნების მიერ შექმნილი სოციალური არსებები, რომლებსაც სჭირდებათ სხვებთან დაკავშირება და მათი შეცნობა. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში არისტოტელემ შექმნა კომუნიკაციის მოდელი, რომლის მიზანია ზეგავლენა მოახდინოს ხალხზე, დააკავშიროს შეტყობინებები, რომლებიც ცდილობენ ადრესანტში გამოიწვიონ საპასუხო რეაქცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია კომუნიკაციის ორი სახეობა: ინტრაპერსონალური და ინტერპერსონალური. ინტრაპერსონალური კომუნიკაციის მეშვეობით ხდება ჩვენი ფიქრების გადაცემა, ხოლო ინტერპერსონალური კომუნიკაციის მეშვეობით ჩვენ ვუკავშირდებით გარშემო მყოფებს, რაც თავისთავად იყოფა ზეპირ და წერილობით კომუნიკაციად. კომუნიკაციის დასამყარებლად არ არის საკმარისი მხოლოდ წერა ან ლაპარაკი,

<sup>1</sup> <http://www.librarything.com/work/626630>

ასევე უნდა განვიხილოთ ხალხის და საზოგადოების კულტურული ასპექტები, ინდივიდების პერსონალური მახასიათებლები. ადამიანი ადამიანს უკავშირდება თავისი ქცევით, სხეულის მოძრაობებით, სახის გამომეტყველებით, რასაც მიყვავართ დასკვნამდე, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კომუნიკაციის მრავალი ფორმა, ყველაზე მნიშვნელოვანია ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია.

ფატიკური ფუნქციის ცნება ამავედროულად ეყრდნობა თავაზიანობის პრინციპების თეორიას და იგი ასევე მოიაზრება დიალოგური ენობრივი კომუნიკაციის პროცესში, როგორც სოციალური კავშირის დამყარება, გაგრძელება ან შეწყვეტა. ის განეკუთვნება სასაუბრო სტილს, რაც ეფუძნება ინტერაქციის სტრატეგიას და პროცედურას, რომლის მეშვეობითაც მონაწილეები ერთმანეთს აუწყებენ, რომ სასაუბრო არხი ღიაა და მათ შეუძლიათ ერთმანეთს გაუგონ და ხელახლა დაამყარონ ფატიკური კავშირი. ფატიკური მიმართება ასევე მოიაზრება, როგორც დისკურსული საუბრის სტილი. მას ხშირად ფსიქო-სოციალურ ფენომენსაც უწოდებენ, რომლის მეშვეობითაც მყარდება ენობრივი კავშირი ინდივიდებს შორის. იგი ენობრივი მოდერაწეობის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა, რომელსაც არ გააჩნია არც მიზანი, არც შეტყობინება და რომელიც მხოლოდ ენობრივი კონტაქტის დამყარებას უწყობს ხელს. (კუპალდი, 2000: 35-42).

რაც შეეხება ფატიკური საუბრის ცნებას, იგი ლინგვისტიკაში გამოჩნდა XX საუკუნის 80-იან წლებში ისეთი თეორიის შემუშავებისას, რომელიც ემყარება ზრდილობის პრინციპებს ენის პრაგმატული მიდგომის თვალსაზრისით. ის შთაგონებულია ბ. მალინოვსკის ფატიკური კავშირის კონცეფციით და გადმოსცემს აზრს, რომლის მიხედვითაც ადამიანური კომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის მიზანია შექმნას სოციალური კავშირები და გადასცეს ინფორმაცია. ფატიკური საუბარი, რომელსაც ზოგადად ეწოდება „საუბარი ამინდზე“ ორიენტაციას იღებს ენის ინტერაქციულ ფუნქციებზე და შეუძლია გარკვეული როლის თამაში ამგვარი სასაუბრო ტიპის შიგნით ( მალინოვსკი, 1979:16).

ფატიკური საუბრის მიზანია შეინარჩუნოს კონტაქტი ადრესანტსა და ადრესატს შორის, რათა გადაამოწმოს, თუ გადაეცემა შეტყობინება; მაგალითად: "allô," დაამყარო კონტაქტი და *patientez, s'il vous plaît*, კონტაქტის შესანარჩუნებლად.

მალინოვსკის აზრით, ფატიკური საუბრის და “საუბარი ამინდზე” ზუსტი განსაზღვრა არ არის მთლად ბოლომდე შესაძლებელი ორი მიზეზით:

1) საუბარი ხშირად აღნიშნავს უფრო სპეციფიური ინტერაქციის ტიპს, ვიდრე ფატიკური საუბარი. “საუბარი ამინდზე”<sup>2</sup> უკავშირდება ისეთი კომუნიკაციის

<sup>2</sup> ეს არის საუბრის ისეთი ფორმა, როდესაც არ ეხებიან რაიმე კონკრეტულ თემას.

ფორმას, რომელიც განსაკუთრებული სიმსუბუქით აღინიშნება და ადგილს უთმობს ისეთ პერიფრაზებს, როგორცაა საუბრები წვიმაზე და მშვენიერ ამინდზე.

2) ფატიკური საუბრის და ამინდზე საუბრის ცნებები იყო გამოყენებული სხვადასხვა თეორიულ და მეთოდოლოგიურ კონტექსტებში, პიროვნებებს შორის ინტერაქციაში, რომლებიც იწყებენ „გაშინაურებას“. ამგვარად, დისკურსი განხილულია, როგორც სხვადასხვა ნაამბობის ერთობლიობა, რომელიც წარმოებულია წესების და წინასწარ განსაზღვრული ნორმების მიხედვით და რაც არის სხვადასხვა კომუნიკაციური მიზნების მეთოდოლოგიური და ინტერაქციული შესრულება.

ფატიკური საუბარი შეიძლება ასევე მიჩნეული იყოს, როგორც სასაუბრო სტილი, რაც ემყარება ინტერაქციის სტრატეგიასა და პროცედურას, რომლის მეშვეობითაც მონაწილეები ერთმანეთს აუწყებენ, რომ მზად არიან სასაუბროდ და რომ მათ შეუძლიათ ერთმანეთს გაუგონ; ანუ მონაწილეები გრძნობენ, რომ ისინი მიეკუთვნებიან ერთსა და იმავე ენობრივ საზოგადოებას და მათ შეუძლიათ დაამყარონ კავშირი.

ფატიკური კომუნიკაცია არ წარმოადგენს მიზანდასახულ საუბარს. იგი საშუალებას აძლევს მონაწილეებს რაიმე თემა გამოიყენონ საუბრისას, რომლის მეშვეობითაც ისინი ხელახლა დაამყარებენ კავშირს გაღრმავებული ინტერაქციით, რაც ემყარება გაცვლა-გამოცვლის არგუმენტულ, დესკრიფციულ და ინფორმაციულ ხერხებს.

არის ისეთი შეტყობინება, რომლის მიზანია ძირითადად დაამყაროს, გააგრძელოს ან შეწყვიტოს კომუნიკაცია და გადაამოწმოს მუშაობს თუ არა არხი. მაშ, ეს არის ენობრივი პრაქტიკის ერთობლიობა, რომელიც შეადგენს ენობრივი კომუნიკაციის ნაწილს. ასევე საჭიროა, რომ ამ კატეგორიაში ჩავრთოთ დისკუსიები, ენის ყველა თვისება, რომელიც გამოყენებულია სიტყვიერი კონტაქტის შესანარჩუნებლად და სიჩუმის თავიდან ასაცილებლად. სიჩუმე მისაღებია მხოლოდ ახლობლებს შორის ურთიერთობებში, სამუშაოს და ოფიციალურ პირთა ურთიერთობებში.

ფატიკური საუბრის ცნება ასოცირდება ვინმესთან კავშირის, ურთიერთობის დამყარებასთან და აზრების გაცვლა-გამოცვლასთან. ის ასევე გამოყენებულია აზრთა გადაცემის მნიშვნელობითაც, კონტაქტის გაძლიერების აზრითაც. ბ. მალინოვსკის მიხედვით ფატიკური ფუნქცია შესაძლებელია ადგილს უთმობდეს რიტუალიზირებული ფორმულების გაცვლა-გამოცვლას დიალოგებში, რომლის ერთადერთი მიზანია საუბრის გაგრძელება. მაგალითად: „allô”, “vous m’entendez?”-რათა მიიპყროს ადრესატის ყურადღება და დარწმუნდეს, რომ ის მას უსმენს და დააზუსტოს, რომ ფატიკური ფუნქცია გადასცემს ინფორმაციის მატარებელ შეტყობინებას.

დიალოგური სიტუაციის ერთი სახეობა წარმოდგენილია სოციალურ სიტუაციაში, რაც შესახედავად ბანალურია, მაგრამ სინამდვილეში საერთოა. მალინოვსკიმ მას ფატიკური კომუნიკაცია უწოდა; იგი მას ახასიათებს როგორც ფსიქოსოციალურ მოვლენას, რომელსაც ლინგვისტური ფუნქციები გააჩნია. ეს არის პროცესი, ანუ დისკურსი დიალოგის ფორმით, რომელიც ინდივიდებს შორის ამყარებს კავშირს. პიროვნული ურთიერთობა დამყარებულია, წამოწყებულია თხრობის კონვენციური ფორმით, რომელიც არ შეიცავს არც მიზანს და არც შეტყობინებას და რომელიც არის “სიტყვების თხრობა”, რასაც ყოველი მთხრობელი იმეორებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სატელეფონო საუბრის მაგალითი. როდესაც რეკავენ და სურთ ლაპარაკი. მოსაუბრე ყურმილს იღებს და ამბობს: „allô, oui, j'écoute”. ამ შემთხვევაში კავშირი დამყარებულია თვით ინფორმაციის გადაცემამდე და ხმის შეცნობამდე. სწორედ ამაში მდგომარეობს მთელი ამ ისტორიის პარადოქსი, რომელიც რ. იაკობსონმა ისესხა და ტერმინი “ ფატიკური“ უწოდა, რათა ამით ეჩვენებინა მისი ლინგვისტური ფუნქცია (ტრავერსე, 1979:16).

## 1.2. ფატიკური ფუნქციის ანალიზი მალინოვსკის, იაკობსონის და ბიულერის თეორიების თვალსაზრისით

ცნობილია, რომ კომუნიკაციის სფეროში ენა იკავებს ცენტრალურ ადგილს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ენა უკავშირდება საზოგადოების სოციალურ და კულტურულ მოღვაწეობას. ამ თვალსაზრისით, კ. ბიულერმა ენას მიანიჭა შემდეგი სამი ფუნქცია:

- 1) გამომხატველობითი ფუნქცია
- 2) კონატიური ფუნქცია
- 3) წარმომადგენლობითი ფუნქცია.<sup>3</sup>

რ. იაკობსონმა ამ მოდელს დაუმატა ფატიკური ფუნქცია, რაც გულისხმობს ლინგვისტური კონტაქტის შენარჩუნებას; ეს არის მეტალინგვისტური ფუნქცია, რომელიც ავითარებს საუბარს და იმავდროულად პოეტური ფუნქციაცაა, რომელიც დამოკიდებულია შეტყობინების სტრუქტურაზე. ფატიკური კომუნიკაციის საფუძველზე მყარდება კონტაქტი ინფორმაციის გადამცემსა და მიმღებს შორის.

<sup>3</sup> <http://www.highbeam.com/doc/1G1.219589398.html>

მოვლენაა იგი ნებას გვრთავს დავამყაროთ, გავაძლიეროთ ან შევწყვიტოთ კონტაქტი და ანგარიში გავუწიოთ აზრის გაცვლა-გამოცვლას, რომელიც ძალიან ცოტა ინფორმაციას გადმოგვცემს საუბრის დონეზე, მაგრამ სადაც შეტყობინების მნიშვნელობა ურთიერთობის შენარჩუნების სურვილს უკავშირდება.

რ. იაკობსონის მიხედვით კომუნიკაციას აქვს ექვსი ფუნქცია:

- 1) კონატიური ფუნქცია
- 2) ექსპრესიული ფუნქცია
- 3) ფატიკური ფუნქცია
- 4) მეტალინგვისტური ფუნქცია
- 5) პოეტური ფუნქცია
- 6) ემოციური ფუნქცია<sup>4</sup>.

იაკობსონი ეთანხმება აზრს, რომელიც განიხილავს „ვერბალურ კომუნიკაციას“, როგორც ერთმიმართულებიან პროცესს, რომელიც ამყარებს კომუნიკაციას ჰორიზონტალურად, ხოლო ბიულერის მოდელი ეფუძნება სინქრონულ და სინთეზურ კონცეპტუალიზაციას, „ენობრივი ნიშნის“ სამ ძირითად ფუნქციას, რომელიც მოთავსებულია მოდელის ცენტრში.

იაკობსონის სქემა- ჰორიზონტალური ღერძი ( - - ) - “ზოგადი ფორმულაა, რომელიც მთელი ლინგვისტური პროცესის შემადგენელი ფაქტორების მიმართ გამოიყენება (იაკობსონი, 1963: 213).

Contexte - კონტექსტი

Destinateur-message- destinataire - ადრესანტი-შეტყობინება-ადრესატი

Contact კონტაქტი

Code კოდი

ბიულერის მიერ შემუშავებულ თეორიაში გვხვდება ისეთი ცნებები, როგორიცაა ხერხი, საშუალება. ეს ცნება, რომელიც პლატონისაგან ისესხა(ბერდ. organon) მთავარი საკითხის საყრდენია, რომლითაც ის ანალიზის დროს ხელმძღვანელობდა.

იაკობსონის სქემისაგან განსხვავებით, ბიულერის მოდელში მოცემულია ენობრივი ფუნქციების ერთდროულობა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული ნიშანთან, რომელიც კონკრეტული აკუსტიკური და რის გამოც, სოსიურის ნიშნის

<sup>4</sup> [http://www.fr.wikipedia.org/wiki/sch%c3%ma\\_de\\_Jakobson](http://www.fr.wikipedia.org/wiki/sch%c3%ma_de_Jakobson)

თეორიის თანახმად, მას კავშირი აქვს (ციუგერი, 1998:35) აღმნიშვნელთან. ეს კონკრეტული ნიშანი ერთდროულად აერთიანებს რეფერენციულ, მიმართვისა და ექსპრესიულ ფუნქციებს ისე, რომ განსაზღვრავს თითოეული მათგანის ოდენობას მოცემულ კომუნიკაციურ სიტუაციასთან მიმართებაში. ეს ოდენობითი ანალიზი შეიძლება განისაზღვროს ნიშნის ლექსიკურ, მორფოსინტაქსურ, პრაგმასინტაქსურ მახასიათებლებთან მიმართებაში ისე, რომ სულ გვახსოვდეს ის მთლიანობა, რასაც „თხრობის ჩარჩოს“ ვუწოდებთ (კერბრატ-ორეიონი, 1980: 30-31).

მაგალითისათვის განვიხილოთ სიტყვა “tiens”, რომელიც კონკრეტულ ინტერაქციულ სიტუაციაში შეიძლება გახდეს სამეტყველო აქტი, რომელიც უბიძგებს ადრესატს ხელში აიღოს საგანი, რომელსაც მას მოსაუბრე აწვდის და ცვალებადი ოდენობით განახორციელოს რეფერენციული ფუნქცია(მოცემული საგნის მითითებით) და მიმართვის ფუნქცია(მიმართოს ადრესატს, რომ ეს საგანი აიღოს, მაშინ როცა განსხვავებულ სიტუაციაში, გამოთქმა შეიძლება გამოიყენებოდეს ადრესატის გაოცების გამოსახატავად, რომელიც აქამდე მისთვის უცნობი ფაქტი იყო (ანუ აქ საუბარია ექსპრესიულ ფუნქციაზე); ის საკუთარ თავს „მოუწოდებს“, ანგარიში გაუწიოს- „tenir compte” ამ ახალს ფაქტს (მიმართვის ფუნქციის განსაკუთრებული შემთხვევა: ადრესანტი ასევე საკუთარი შეტყობინების ადრესატია). შეიძლება აგრეთვე ნარჩენი რეფერენციული ფუნქცია გამოვლინდეს გამონათქვამის ბუნებაში კონტექსტის მიღმა, რომელიც გვახსენებს კონკრეტული სიტუაციის ზოგიერთ ასპექტს, რომელსაც მოსაუბრე ითვალისწინებს, თუნდაც გამონათქვამი მას ექსპლიციტურად არ ასახელებდეს, მხოლოდ მასზე მიუთითებდეს. ასეთია მაგალითად დეიქტიკური გამონათქვამი.

ეს შენიშვნები და დაკვირვებები ენობრივი ფუნქციების ოდენობის შესახებ, გვაფიქრებინებს, რომ იაკობსონს ისინი არ გაუთვალისწინებია. ის თავად ამტკიცებს, რომ მათ შორის არსებობს იერარქიული განსხვავება და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ძნელია მოძებნო ისეთი შეტყობინება, რომელსაც მხოლოდ ერთი ფუნქცია ექნებოდა (იაკობსონი, 1963: 214).

თუმცა, ეს მტკიცება მაშინვე პირობითი ხდება იმ ფაქტის გამო, რომ ის რეფერენციულ ფუნქციას მთავარ ფუნქციად მიიჩნევს მრავალი შეტყობინებისათვის და დანარჩენ ფუნქციებს კი მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ეკისრებათ.

„შეტყობინების ვერბალური სტრუქტურა პირველ რიგში დამოკიდებულია მთავარ ფუნქციაზე, თუნდაც ის ეხებოდეს რეფერენტს; განლაგება, კონტექსტი, მოკლედ „დენოტაციური, კოგნიტიური, რეფერენციული“ ფუნქციები მრავალი შეტყობინების განხორციელებისათვის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. ასეთი ტიპის შეტყობინებებში სხვა ფუნქციების მეორეხარისხოვანი მონაწილეობა უნდა გაითვალისწინოს დაკვირვებულმა ლინგვისტმა“( იაკობსონი,1963:214).

ბიულერთან და იაკობსონთან დაფიქსირებული ტერმინოლოგიური და კონცეპტუალური განსხვავება ენის ფუნქციებთან დაკავშირებით იმაზე მიუთითებს, თუ რამდენად რთულია ფატიკური ფუნქციის ცნების ზუსტი კონტურების განსაზღვრა.

ფატიკური ფუნქცია შეიძლება დაკავშირებული იყოს კომუნიკაციასთან, როგორც ადამიანური ურთიერთობის მთლიან კონცეფციასთან, ან პირდაპირ უკავშირდებოდეს ენობრივ ნიშანს, რაც მისი სპეციფიკური ფუნქციაა. სირთულე, რომელიც უკავშირდება კომუნიკაციის ცნებას, ფატიკურ ფუნქციასაც ეხება.

რ. იაკობსონმა გამოყო ენობრივი კომუნიკაციის ექვსი ფაქტორი: კონტექსტი, მესიჯი, მთქმელი/ადრესატი ანუ მსმენელი, კონტაქტი, კოდური ნიშანი. კომუნიკაციის დასახელებული მომენტები შეიძლება გაიშიფროს შემდეგნაირად:

კონტექსტი= რეფერენტი, ანუ ის, რაზეც ვსაუბრობთ

მთქმელი( ადრესანტი)= ის, ვინც საუბრობს, აგზავნის შეტყობინებას

ადრესატი ანუ მსმენელი= ის, ვინც მას უსმენს, ვინც იღებს შეტყობინებას

მესიჯი=შეტყობინება, ინფორმაცია

კონტაქტი= არხი, რომელიც კომუნიკაციის საშუალებას იძლევა

კოდური ნიშანი=ენა

რაც შეეხება ენის ფუნქციებს:

ემოციური ფუნქცია ორიენტირებულია და კონცენტრირებულია სუბიექტის ქცევასა და მის დამოკიდებულებაზე ტექსტის მიმართ;

რეფერენციული ფუნქცია ორიენტირებულია კონტექსტზე;

კონატიური ფუნქცია ორიენტირებულია ( ადრესატზე, მსმენელზე);

ფატიკური ფუნქცია კონცენტრირებულია კონტაქტზე;

მეტალინგვისტური ფუნქცია კონცენტრირებულია ენაზე;

პოეტური ფუნქცია ორიენტირებულია მესიჯზე;

სწორედ რომან იაკობსონმა ჩამოაყალიბა ვერბალური კომუნიკაციის ფუნქციების თეორია. მან ლინგვისტიკაში ადრე არსებული ტრადიციული მეთოდების საფუძველზე შექმნა თეორია, რომელშიც საკომუნიკაციო პროცესის თითოეულ ელემენტს მიაკუთვნა ის კონკრეტული საკომუნიკაციო ფუნქცია, რომელიც თავს

ინენს მესიჯის ფორმასა და შინაარსში. საკომუნიკაციო ელემენტებისა და ფუნქციების ურთიერთმიმართება იაკობსონმა გადმოგვცა შემდეგ სქემაში:

მთქმელი (ადრესანტი) -ემოციური ფუნქცია

კონტექსტი -რეფერენციული ფუნქცია

შეტყობინება -პოეტური ფუნქცია

კონტაქტი -ფატიკური ფუნქცია

კოდი -მეტალინგვისტური ფუნქცია

მსმენელი (ადრესატი) -კონატიური ფუნქცია

აღსანიშნავია, რომ სწორედ იაკობსონი ითვლება ფატიკური კომუნიკაციის როგორც ცნების, ჭეშმარიტ ავტორად, რადგან მან დაინახა ამ ფენომენის ადგილი ენობრივი სისტემის ისეთ ასპექტებს შორის, როგორიცაა ენობრივი ფუნქციები, ენობრივი საკომუნიკაციო ელემენტები და ენობრივი კომუნიკაციის ფაქტორები. ამგვარად, რ. იაკობსონი გვევლინება კომუნიკაციის თანამედროვე თეორიის არა მხოლოდ წინამორბედად, არამედ მის ერთ-ერთ ფუძემდებლად. მან პირველმა მოახდინა ფატიკური კომუნიკაციის ინტეგრირება ენის ფუნქციური გაგების კონტექსტში<sup>5</sup>.

აღსანიშნავია, რომ იაკობსონის სქემა მეტყველების ფუნქციათა აღწერის მოდელს წარმოადგენს და იგი განსხვავდება კარლ ბიულერისაგან, რომელიც მეტყველების მხოლოდ სამ ფუნქციას გამოჰყოფს. ესენია: ემოციური, კონატიური და რეფერენციული.

რომან იაკობსონის მიხედვით „ მეტყველების შესწავლა უნდა მოხდეს ყველა თავისი ფუნქციის მიხედვით“. ეს იმას ნიშნავს, რომ ენათმეცნიერი უნდა ეცადოს გაიგოს, რისთვის არის საჭირო მეტყველება.“მეტყველების ფუნქციათა შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად საჭიროა ენობრივი პროცესის, ვერბალური კომუნიკაციის შემადგენელი ფაქტორების ზოგადი ჩამონათვალი.“

- შეტყობინება
- ადრესანტი უგზავნის შეტყობინებას ადრესატს
- ადრესანტმა უნდა მიიღოს შეტყობინება

---

<sup>5</sup> რ. იაკობსონი: “Schéma de Jakobson”,1963



- იმისათვის, რომ იყოს მოქმედი, შეტყობინება საჭიროებს ადრესატისათვის გასაგებ კონტექსტს (ეს არის ის, რასაც ზოგჯერ „რეფერენტის“ სახელითაც მოიხსენიებენ), რომელიც იქნება ვერბალური ან ვერბალიზებული“.

-“შეტყობინება საჭიროებს ადრესანტისა და ადრესატისათვის საერთო ან ნაწილობრივ საერთო კოდს“.

-შეტყობინება საჭიროებს ადრესანტისა და ადრესატს შორის კონტაქტს, ფიზიკურ არხს და ფსიქოლოგიურ კავშირს. აღნიშნული კონტაქტი მათ კომუნიკაციის დამყარებისა და შენარჩუნების საშუალებას აძლევს<sup>6</sup>“.

რაც შეეხება მეტყველების ფუნქციებს, ისინი ასე გამოიყურება:

- ექსპრესიული ( მოსაუბრის გრძნობების გადმოცემა)
- კონატიური ( მიმღებთან დაკავშირებული ფუნქცია)
- ფატიკური ( კომუნიკაციის დამყარება და შენარჩუნება)
- რეფერენციული (შეტყობინება მიემართება გარე სამყაროს)
- მეტალინგვისტური (შეტყობინების საგანს თავად კოდი წარმოადგენს)
- პოეტური ( შეტყობინების მთავარი ობიექტი ტექსტის ფორმაა)

იაკობსონი აღნიშნავს, რომ ხსენებული ფუნქციები „ ერთმანეთს კი არ გამოირიცხავს, არამედ ხშირად თანაარსებობენ“. ამგვარად, მეტყველება ერთდროულად რამდენიმე ფუნქციას შეიძლება ასრულებდეს<sup>7</sup>.

ემოციური ფუნქცია - რ. იაკობსონის აზრით, მეტყველების ექსპრესიული ფუნქცია მოსაუბრისკენაა მიმართული. მას იყენებს ადრესანტი, რათა ადრესატს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი თავისა, თუ აზრის შესახებ. იაკობსონის აზრით, ამ ფუნქციის „მიზანია პირდაპირ გამოსატოს სუბიექტის დამოკიდებულება საუბრის საგნის მიმართ; შექმნას გარკვეული ემოციის, ნამდვილისა თუ გათამაშებულის შთაბეჭდილება; ინფორმაციულ კონტექსტში ექსპრესიული ფუნქცია შესაძლოა განხორციელდეს სუბიექტის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამომხატველი მეტა- ინფორმაციისა თუ მეტა-მონაცემების საშუალებებით. ემოციური ფუნქცია გვხვდება შორისდებულებში: „აჰ“, „ოჰ“, “ah” “oh” “bah” და ა.შ.

კონატიური ფუნქცია- იაკობსონი თვლის, რომ ეს არის ადრესატისკენ მიმართული ფუნქცია. იგი გამოიყენება ადრესანტის მიერ, რათა ადრესატმა

<sup>6</sup> [http://fr.goldenmap.com/Sch%c3%a9ma\\_de\\_Jakobson](http://fr.goldenmap.com/Sch%c3%a9ma_de_Jakobson)

<sup>7</sup> [http://fr.goldenmap.com/Sch%c3%a9ma\\_de\\_Jakobson](http://fr.goldenmap.com/Sch%c3%a9ma_de_Jakobson)

საკუთარ თავზე მოახდინოს მოქმედება. ამ ფუნქციას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს რეკლამაში. კონატიური ფუნქცია გრამატიკულად ყველაზე ხშირად წოდებითი და ბრძანებითი ფორმებით გამოიხატება. კონატიური ფუნქცია მიმართულია ადრესატისაკენ და გამოხატულია ზმნებში, როგორცაა: ბრძანება, თხოვნა, მტკიცება (demander, ordonner, affirmer). ამ ფუნქციით გამოხატულია ბრძანებები, რომლებითაც ცდილობთ გააკეთებინო ვინმეს რამე, ზეგავლენა მოახდინო სხვაზე და იმოქმედო მიმღების ქცევაზე. იგი ძირითადად ვლინდება ბრძანებით წინადადებებში, თუმცა არა მარტო ასეთი ტიპის წინადადებებში. იგი ასევე ვლინდება ლოცვებში და რჩევებშიც. ამის მაგალითებია:

“ Formez des équipes de travail !“

“ Entrez!”

“ Ne vous inquiétez pas trop!”

ფატიკური ფუნქცია- იაკობსონს მიაჩნდა, რომ ფატიკური ფუნქცია გამოიყენება მიმღებთან ფიზიკური და ფსიქოლოგიური კონტაქტის დასამყარებლად, შესანარჩუნებლად ან შესაწყვეტად. იგი ასევე შეტყობინების ფიზიკური გადაცემის შემოწმების საშუალებას იძლევა. ფატიკური ფუნქციის მიზანია ეფექტური გახადოს კომუნიკაცია საჭირო ინფორმაციის გადაცემამდე. მისი ტიპური მაგალითია სატელეფონო კომუნიკაციის დროს გამოყენებული სიტყვა „ალო“. ასევე მისი მიზანია შეამოწმოს არის თუ არა კონტაქტი დამყარებული. ფატიკური ფუნქცია ენის ყველაზე ნაკლებად ცნობილი ფუნქციაა, რომლის მიზანია რამის თქმა მხოლოდ კონტაქტის შესანარჩუნებლად. როდესაც ვამბობთ „ გამარჯობა“ ტელეფონზე ან ვსაუბრობთ ამინდზე, ჩვენ ვიყენებთ ფატიკურ კომუნიკაციას. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია კომუნიკაციის შენარჩუნება. ენის ეს ფუნქცია საშუალებას აძლევს თანამოსაუბრეებს უზრუნველყონ და შეინარჩუნონ კონტაქტი. მაგ: Bonjour, tu m’entends?, allô, n’est-ce pas<sup>8</sup>?

მეტალინგვისტური ფუნქცია- იაკობსონის აზრით, მეტალინგვისტური ფუნქცია კოდს უკავშირდება. ინფორმაციის გაცვლამდე შესაძლოა საჭირო იყოს შეტყობინებაში გამოყენებული კოდირების შესახებ საუბარი. ამგვარად, პარტნიორები ამოწმებენ ერთი და იმავე კოდს. მას ხშირად “თარგმნის ფუნქციასაც“ უწოდებენ. მეტალინგვისტური ფუნქცია უზრუნველყოფს კოდის მნიშვნელოვან ერთობას. იგი კონცენტრირებულია კოდზე და იგი არის საუბარი საუბარზე. შეტყობინება ორიენტირებულია ენაზე. ენა თავის თავზე თვითონ საუბრობს. მეტალინგვისტური ფუნქციის მომხმარებლები თავად ლინგვისტები არიან. იგი გამოიხატება შემდეგი გამონათქვამებით: „Je veux dire...“ “c’est-à-dire”.

<sup>8</sup> <http://dictionnaire.sensagent.com/sch%C3%A9ma+de+jakobson/fr-fr/>

მეტალინგვისტური ფუნქცია აღწერს ენას. “ Vaut mieux dire: “ Je me suis coupé” que “Je m’ ai coupé.”

Quand il a parlé de Marie Dupont, c’ est bien entendu de Marie Dupont qu’ il voulait parler et non de Marie Dupont”.(რეტორე, 1989:36)

რეფერენციული ფუნქცია- იაკობსონი ამბობდა, რომ მეტყველების რეფერენციული ფუნქცია კონცენტრირებულია გარე სამყაროზე- კონტექსტზე ან რეფერენტზე. კომუნიკაციის რეფერენტი შეიძლება იყოს, მაგალითად მაგიდა, რომელიც მდებარეობს მოსაუბრეთა გარემოში (იგივე „ კონტექსტში“) ან კონკრეტული კულტურა, ქვეყანა და ა.შ<sup>9</sup>.

ეს ყველაზე ხშირად გამოყენებული ფუნქციაა, რადგან საუბრებისა და ტექსტების უმეტესობა გარკვეულ ინფორმაციას შეიცავს. ენის ამ აშკარა ფუნქციას ჩვენ ვიყენებთ, რათა მივუთითოთ საგნებზე და ფაქტებზე. იგი მიმართულია კონტექსტისაკენ და არსებობს ისეთი ტიპის შეტყობინებებში, როგორიცაა: „დედამიწა მრგვალია“. აქ შეტყობინება თავმოყრილია რეფერენტში. იგი აღწერს მსოფლიოს, სადაც საქმე ხშირად ეხება ენის პირველად ფუნქციას.

პოეტური ფუნქცია- მისი მიზანია გამოკვეთოს ყოველივე ის, რაც შეადგენს ნიშნებისა და კოდების მატერიალურობას. იგი საშუალებას იძლევა, რომ შეტყობინება ესთეტიკური გახდეს. პოეტურ ფუნქციას უკავშირდება სიტყვათა წყობის ხერხები. ზეპირი შეტყობინების პოეტურ ფუნქციას უკავშირდება ასევე ენის დონე, ტონი, ბგერა. იაკობსონის აზრით აღნიშნული ფუნქცია მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პოეზიისათვის, არამედ ყოველდღიური მეტყველებისთვისაც. პოეტური ფუნქცია აქცენტს აკეთებს შეტყობინებაზე და ყურადღებას ამახვილებს შეტყობინების სტრუქტურაზე, რომელიც შეიძლება იყოს: ექსპერიმენტული, ინტერპერსონალური და ტექსტუალური.

“ Ne me bois pas qu’ avec les yeux et je m’ engagerai avec les miens”.

“J’ ai un amour qui ne veut pas mourir”

პოეტური ფუნქცია ესთეტიკურ ფორმებშია თავმოყრილი, სადაც ენა საკუთარ კოდზე თამაშობს.

“ Je suis belle et mortelle, comme un rêve et mon sein où chacun s’ est meurtri tour à tour pour inspirer au poète un amour éternel et muet.”

პოეტურ ფუნქციას იმდენი ასპექტი აქვს, რომ ყველგან გვხვდება, რასაკვირველია პოეზიაშიც. ლინგვისტური მესიჯის არსი ასევე ესთეტიკური ბუნებისაა, სადაც

<sup>9</sup> [http://www.freebase.com/view/en/roman\\_jakobson/-/influence/influence\\_node/influenced\\_by](http://www.freebase.com/view/en/roman_jakobson/-/influence/influence_node/influenced_by)

მოსაუბრე უპირატესობას ანიჭებს მესიჯის ფორმას, რათა მისგან შექმნას ხელგონების ნიმუში.

მე-20 საუკუნის 40-იან წლებში თეორეტიკოსებმა შეიმუშავეს ენის სისტემების ზოგადი თეორია. სისტემა განსაზღვრულია, როგორც „ ურთიერთმოქმედებაში მყოფ ელემენტთა ერთობლიობა“.

ამ თეორიის ჩარჩოში კ.შანონმა შეიმუშავა “კომუნიკაციური თეორია“. რ.იაკობსონმაც კი გამოიყენა კ. შანონის კომუნიკაციის სქემა. ამ სქემაში მოცემულია კომუნიკაციაში მონაწილე ექვსი ფაქტორი ექვსი განსხვავებული ლინგვისტური ფუნქციით: კონტექსტი, გამგზავნი, შეტყობინება, მიმღები, კონტაქტი, კოდი.

რ. იაკობსონის ენის ფუნქციების მოდელი განასხვავებს ექვს ელემენტს ანუ ფაქტორს, რაც აუცილებელია კომუნიკაციისათვის:

- 1) კონტექსტი ( რეფერენციული)
- 2) გადამცემი (ემოციური)
- 3) მიმღები (კონატიური)
- 4) შეტყობინება ( პოეტური)
- 5) კონტაქტი ( ფატიკური)
- 6) კოდი ( მეტალინგვისტური)<sup>10</sup>

Référent- რეფერენტი ( მსოფლიო, მსოფლიოს წარმოდგენა).

Émetteur-ის ვინც ლაპარაკობს.

Destinataire- ou récepteur-ადრესატი, ის ვინც იღებს შეტყობინებას.

Message- შეტყობინება, ის რაც ნათქვამია გამგზავნის მიერ მიმღებისათვის.

Code- ეს არის საშუალება, ხერხი, რომელიც მესიჯის, შეტყობინების გასაგზავნად გამოყენებული.

წარმოდგენილი სქემები ნათლად გვიჩვენებს, რომ ენის ფუნქციები უსასრულოა.

რაც შეეხება ფატიკურ ფუნქციას, ამ ცნებით გამოხატული აზრი ხშირად უახლოვდება კონტაქტურ ფუნქციას, რომელიც მუდამდებია უფრო სოციალურ ვიდრე ლინგვისტურ მეცნიერებებში. ისეთი ტერმინების ასოციაცია, როგორცაა

<sup>10</sup> <http://dictionary.sensagent.com/roman+jakobson/fr-fr/>

ფუნქცია და კონტაქტი, იწვევს იმ საკითხის გაცნობიერებას, რომელიც კონტაქტს ამყარებს ვინმესთან. ეს არის ამ ცნების ასოცირება გამონათქვამთან, რომელსაც ვიყენებთ, რათა კონტაქტში შევიდეთ ვინმესთან. ჩვენ ვამყარებთ, ვიძენთ ან ვწყვეტთ კონტაქტს ვინმესთან, რადგან ამას მივიჩნევთ აუცილებლად ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე. გამონათქვამებით „ თქმა, გაკეთებას ნიშნავს“ ვცდილობთ ზეგავლენა მოვახდინოთ პარტნიორზე და საჭირო პასუხები მოვიდოთ. სწორედ ფატიკური/კონტაქტური ფუნქცია მჭიდროდაა დაკავშირებული მსგავსს საკითხებთან.

ადსანიშნავია ინტერაქციული ფრაზა „ Tu es très belle ce soir!“, სადაც დაისმის ბოლოში ძახილის ნიშანი. სასურველია“ Tu sais“ გამოსატული იყოს კითხვითი ნიშნით, რაც ადასტურებს აღმავეალ ინტონაციას და იმ ფაქტს, რომ ზოგნი აანალიზებენ გამონათქვამის ამ ტიპს, როგორც მაცალკეებელ კითხვას. ამგვარად, გარკვეული სხვაობაა „tu sais“-სთან, რომელიც გამოიხატება კითხვითი და ძახილის ნიშნით. ამის ფატიკური ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ შეტყობინების ავტორი რწმუნდება არა იმაში, რომ მან „კარგად იცის“, არამედ იმაში რომ ის არის “ძალიან თავაზიანი“. ამგვარად, გამოთქმა „tu sais“ ფუნქციონირებს, როგორც ოპერატორი, რომელიც პარტნიორს იწვევს. ეს მაგალითი გვაჩვენებს „ სოციალური სტრუქტურის შენარჩუნებას საუბრით და საუბარში“. სწორედ ეს გამოთქმები ხასიათდება ფატიკურობით კომუნიკაციის დროს.

როდესაც რომან იაკობსონი გადადის ფატიკური ფუნქციის ცნებაზე ლინგვისტური ფუნქციების სქემის ჩარჩოში, მისი მიზანია “გააფართოვოს სამკუთხედი მოდელი“, რომელიც ბიულერის მიერაა შემოთავაზებული. იგი “ემოციურ, გამომხატველობით და რეფერენციულ“ ფუნქციებს უმატებს ფატიკურ, მეტალინგვისტურ და პოეტურ ფუნქციებს<sup>11</sup>.

ფატიკური ფუნქციის განსაზღვრება, რომელსაც რ. იაკობსონი წარმოადგენს შთაგონებულია ანთროპოლოგ ბ. მალინოვსკის „ ფატიკური კავშირის“ ცნებით, რომელსაც ეს უკანასკნელი თავის ნაშრომებში იყენებს. მისი აზრით, ადამიანის მიერ წარმართული სიტყვიერი ინტერაქციები ქმნის აფექტურ და სოციალურ კავშირებს, რომლებიც შეადგენენ ადამიანური ქცევის ბირთვულ ასპექტებს “ყოველი გამონათქვამი არის მოქმედება, რომლის მთავარი მიზანია დააკავშიროს მსმენელი მოსაუბრესთან სოციალური კავშირით.“ მისი აზრით, „ენას აქვს ძირითადად პრაგმატული ხასიათი, ანუ ეს არის ქცევის მანერა, ადამიანური ქცევის ძირითადი ელემენტი“ ( მალინოვსკი, 1923:35).

მთავარია შევიცნოთ ფატიკური ფუნქციის ცნების ეპისტემოლოგიური წარმომავლობა, რომლის მიზანია გაარკვიოს საზოგადოებაში მყოფი ადამიანების ბუნება. იაკობსონის სქემა ავითარებს კომუნიკაციის პროცედურულ ასპექტს.

<sup>11</sup> <http://knol.google.com/k/georges-babaskine/les-six-fonctions-du-langage/y9gnjw8w4wk7/355>

გამგზავნი გადასცემს ინფორმაციას მიმღებს, კომუნიკაციის ორი მონაწილისათვის არსებულ საერთო კოდს. კოდირებული შეტყობინება გადმოცემულია განსაკუთრებულ კონტექსტში სპეციფიური არხით, რომელიც ამყარებს კონტაქტს გამგზავნსა და მიმღებს შორის. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს სქემა გაკრიტიკებული იყო მრავალი ლინგვისტის მიერ და მათ შემოქმედით მრავალი წინადადება, რომლებიც შეეხებოდა, როგორც სქემაში ჩართულ კატეგორიებს, ისე თეორიებისა და პრინციპების ერთობლიობას. იაკობსონის მიერ შემოთავაზებული ფატიკური ფუნქცია, ლინგვისტური ცნებაა, რომელიც წარმოდგენილია გარკვეული მაგალითებითა და მნიშვნელობა ენიჭება მის დიდ კატეგორიულ და ფორმალურ სხვაობას. მაგალითები შეიცავს მინიმალურ ენობრივ გამონათქვამებს, ისევე როგორც პრაგმატულ მარკერებს, სიტყვიერ სინტაგმებს, რასაც მიყვავართ საუბრის რთულ გამონათქვამამდე, რომელსაც რ. იაკობსონი ახასიათებს როგორც რიტუალიზირებული ფორმულების გაცვლა-გამოცვლას, რომელიც შეიძლება მთლიანი დიალოგიც იყოს (კერბრატ-ორეკიონი, 1980:30-32).

„არსებობს შეტყობინებები, რომლებიც ძირითადად იმისათვის გამოიყენება, რომ დაამყაროს, გაახანგრღივოს ან შეწყვიტოს კომუნიკაცია, შეამოწმოს ფუნქციონირებს თუ არა ქსელი, მსმენელის ყურადღება მიიპყროს ანდა დარწმუნდეს, რომ კომუნიკაცია გრძელდება“ (მალინოვსკი, 1923:35)

მაშასადამე, უშუალოდ მოცემული ახსნა-განმარტება, რომელიც ადგენს იგივე მოვლენის სოციოლოგიური ხედვის უპირატესობას, გამომდინარეობს ალბათ მალინოვსკის ექსპლიციტური რეფერენციისაგან.

კონტაქტის, ფატიკური ფუნქციის საზგასმა, მალინოვსკის ტერმინოლოგიით, შეიძლება საბაბი გახდეს რიტუალიზირებულ აზრთა უხვი გაცვლისათვის, მთელი დიალოგისათვის, რომლის ერთადერთი მიზანია საუბრის გაგრძელება<sup>12</sup>.

თუ არ დაეუსვამთ საკუთარ თავს შეკითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება იყოს მიზეზი, რომელიც „საუბრისადმი“ ამ მისწრაფებას უდევს საფუძვლად, ეს მიზეზები ისედაც მიუთითებს პირდაპირ კავშირზე, რომელიც არსებობს აზრთა ურთიერთგაცვლის სპეციფიკურ ხერხსა, ანუ საუბრის დაწყებასა ერთი მხრივ, და მეორე მხრივ - ფატიკურ კომუნიკაციას შორის. ამასთან ერთად, ფორმულირების „რიტუალიზებულ აზრთა უხვი გაცვლის“ უარყოფითმა კონოტაციამ, რომელიც ანტიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსებისაგან მომდინარეობს და რომლითაც უამრავი ლინგვისტი თეორეტიკოსი ხელმძღვანელობდა, შეიძლება დაგვარწმუნოს იმაში, რომ ადამიანის მეტყველება შემეცნებისათვის, მისი პრივილეგირებული იარაღია.

<sup>12</sup> მალინოვსკი, იქვე

იაკობსონი არ ცდილობს სათანადოდ არ შეაფასოს ფატიკური ფუნქციის მნიშვნელობა, რომელიც დაკავშირებულია 6-დან ერთი ვერბალური კომუნიკაციის განუყოფელ ფაქტორთან, კერძოდ, კონტაქტის ფაქტორთან. ეს მნიშვნელობა შეფარდებითი ხდება, როდესაც საქმე ეხება მისი მნიშვნელობის განსაზღვრას იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რაში მდგომარეობს ადამიანის მეტყველების სპეციფიკურობა.

“ის ძალისხმევა, რომ დაამყაროს და შეინარჩუნოს კომუნიკაცია, ტიპურია მოლაპარაკე ჩიტებისათვის, ასევე, მეტყველების ფატიკური ფუნქციის ერთადერთი რამ არის, რომელიც საერთო აქვთ ჩიტებს ადამიანებთან. სწორედ ამ პირველ ვერბალურ ფუნქციას იძენენ ბავშვები აღრეულ ასაკში. მათში კომუნიკაციისკენ სწრაფვა წინ უსწრებს ინფორმაციის მატარებელი შეტყობინების გადაცემასა და მიღებას (მალინოვსკი, 1923:35).

იკვეთება მეტყველების ფაქტორების აქსიოლოგია იმ შკალის მიხედვით, რომელიც უპირატესობას ანიჭებს მნიშვნელობიდან „ინფორმაციის მატარებელი შეტყობინების“ გადაცემას და არა მხოლოდ კომუნიკაციას. მეტყველების პოეტური ფუნქცია, რომელიც იაკობსონის სტატიის მთავარი თემაა, ალბათ, ჩაფიქრებული როგორც სტილის შესახებ მოხსენება ინტერდისციპლინარულ კონფერენციაზე. შკალის უფრო მაღალ საფეხურზე აღმოჩნდა, რადგანაც ის გამოყოფს ნიშნების საგრძნობ თვისებებს, რითაც აღრმავებს ნიშანთა და საგანთა ძირეულ დიქტომიას და არ აძლევს საშუალებას, რომ გასცდეს იმ მიმართების ფარგლებს, რომელიც „სიტყვებსა“ და ‘ფრაზებს“ შორის არსებობს.

ამ დაკვირვებებს შემდეგ დასკვნამდე მივყავართ:

- ა) იაკობსონის მიერ ფატიკური კომუნიკაციის განსაზღვრა რთულია, ორაზროვანიც კი იმ თვალსაზრისით, რომ ერთი მხრივ, ის გვაბრუნებს ლინგვისტისკენ, რომელიც იკვლევს ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მეტყველების ფორმებთან და პროცესებთან ვერბალური კომუნიკაციის სქემის ფარგლებში, და მეორე მხრივ, ის იყენებს უფრო მეტყველების სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ შეხედულებებს, როდესაც საქმე ეხება ფატიკური კომუნიკაციის ფუნქციონირების დახასიათებას; და ბოლოს, შეტყობინება ითხოვს ფიზიკურ არსსა და ფსიქოლოგიურ კონტაქტს აღრესანტსა და აღრესატს შორის(მალინოვსკი,1935:35).

ამგვარად, პერსპექტივის გაფართოვება მეტყველების ფსიქოლოგიური კონცეფციით აპირისპირებს იაკობსონს და სხვა თეორეტიკოსებთან, იგი კომუნიკაციას ინფორმაციის გადაცემის თვალსაზრისით სათანადოდ არ აფასებს იმდენად, რომ ის საკითხები, რომლებიც კომუნიკაციასა და ფატიკური ფუნქციის პრინციპებთანაა დაკავშირებული, ხშირად უგულვებელყოფილია ლინგვისტური ანალიზის ფარგლებში. თუ

გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სავარაუდოდ, კომუნიკაცია იმპლიციტურად სათანადოდ არის შეფასებული, იგი მაინც ითხოვს დახვეწას, იაკობსონის მიერ მოწოდებული მაგალითების ფორმალური ჰეტეროგენულობის გათვალისწინებით, რომლებიც თვალნათლივ გვიხსნის ფატიკურ ფუნქციას უმცირესი ენობრივი ერთეულიდან დაწყებული აზრთა გაცვლის რთულ ერთეულებამდე და დისკურსამდე დამთავრებული. ხოლო ფატიკური ფუნქციის ანალიზისაკენ მიმართული ფამილარული და ფუნქციური საუბრების ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგია, საჭიროებს იაკობსონის დეფინიციასთან მის მორგებას; მოცემულ დეფინიციასთან მიმართებაში უნდა მოხდეს მისი დარეგულირება:

- 1. საკომუნიკაციო კონტაქტის დამყარება;
- 2. საკომუნიკაციო კონტაქტის დასრულება;
- 3. მოსაუბრის მიერ გამოყენებული ხერხი;
- 4. მსმენელის მიერ გამოყენებული ხერხი (ბერტრანი, 1980: 34-35)

ფატიკური გამონათქვამი, როგორც მე წარმომიდგენია, მესამე ჯგუფს ეხება, კერძოდ, მოსაუბრის მიერ გამოყენებულ ხერხს. ამ ჯგუფის შიგნით, ბერტრანი განასხვავებს 4 ქვეჯგუფს, რომელთაგანაც მესამე ქვეჯგუფი შეიცავს ფუნქციას, რომელიც ძირითად ფუნქციად მიმაჩნია, კერძოდ, იმ ფუნქციას, რომელიც „აიძულებს მეორეს დაიწყოს საუბარი“<sup>13</sup>

ფაქტობრივად ის საუკეთესო საშუალებაა, რომელიც მოსაუბრეს გააჩნია, რათა დარწმუნდეს, რომ მისმა მსმენელმა შეტყობინება გაიგო, იმაში მდგომარეობს, რომ აიძულოს იგი გაგების ფორმაში არ გამოიყენოს ექსპლიციტური ნიშანი, რათა მოსაუბრემ მიუსადაგოს თავისი დისკურსი მსმენელის მოლოდინს. სწორედ თანამოსაუბრის მართვის პერსპექტივაში შესაძლებელია წარმომიდგინოთ კომუნიკაციის კარგად მიმდინარე პროცესი. კერძოდ, საქმე ეხება იმ გამოთქმების გამოვლენას, რომლის გამოყენება ემსახურება კომუნიკაციაში ჩართული პირის მართვას.

იმ პრინციპებსა და წინასწარშექმნილ აზრს შორის, რომელიც დეფინიციისა და ანალიზის როგორც თეორიულ, ისე მეთოდოლოგიურ საწყისს წარმოადგენს, შეიძლება განვასხვავოთ შემდეგი:

ა) დისკურსის დიალოგური პრინციპი: დისკურსში ვგულისხმობ დაწერილი ტექსტის ზეპირ შესატყვისს, რომელიც ჩაფიქრებულია, როგორც ის პროდუქტი, რომელიც

<sup>13</sup> ბერტრანი, იქვე



ატარებს თხრობის პროცესის ნიშნებს და გააჩნია კოჰერენცია, რომელიც მას რეტროსპექტულად ენიჭება ანალიტიკოსის შეხედულებით. ეს კონცეფცია ლინგვისტიკის პროცედურული და ინტერაქციული მიდგომის შემადგენელი ნაწილია, რომელიც კონცენტრირებულია კომუნიკაციური აქტების წარმოქმნასა და ინტერპრეტაციაზე, რომელსაც მოსაუბრე ახორციელებს და გააჩნია ლინგვისტური კომპეტენცია და განისაზღვრება როგორც „ლინგვისტური ყველა შესაძლებლობის ჯამი“, სრული ნაკრები იმისა, რისი წარმოქმნაც და ინტერპრეტაციაც შეუძლია მას (კერბრატ-ორეკიონი, 1980: 16-17; რულე და სხვ., 1985), რომელიც დისკურსებს, ვერბალურ ინტერაქციასა და დიალოგურ პრინციპს შორის არსებულ კავშირს გამოხატავს, მიმართავს რა ბახტინის დიალოგიზმის ცნებას.

“დისკურსის როგორც ვერბალური ურთიერთქმედების” განსაზღვრა, ნიშნავს იმის დაშვებას, რომ დისკურსი არის სოციალურად ორგანიზებული ორი ინდივიდის ურთიერთობის შედეგი (ბახტინი, 1977: 123); ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი დისკურსი ძირითადად დიალოგურია, ან შეიძლება გადაიქცეს დიალოგად.

ბახტინი წერდა, რომ დიალოგისკენ სწრაფვა, ბუნებრივად ნებისმიერი დისკურსისთვისაა დამახასიათებელი. ის არის ნებისმიერი ცოცხალი მეტყველების ბუნებრივი დანიშნულება. მისთვის დისკურსის ეს ინტერაქციული და დიალოგური ბუნება ყველა დონეზე ვლინდება (ბულე და სხვ., 1985:10).

იერარქიული მოდელის მიხედვით, რომელიც ჟენევის სკოლის მიერაა შემუშავებული, რომელსაც რულე და მისი კოლეგები წარმოადგენენ და რომელიც ეფუძნება ერთმანეთზე მიყოლებული მოდელის პრინციპს, შეიძლება გამოვყოთ დისკურსის სამი კომპონენტი, კერძოდ, მეტყველებაში ჩართვა, მეტყველების აქტი მონოლოგის დონეზე და აზრთა გაცვლა დიალოგის დონეზე.

მაშინ როცა მეტყველებაში ჩართვა შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მრავალი აქტისაგან, რომლებიც ერთმანეთს შორის ინარჩუნებენ იერარქიულ ურთიერთობას (რულე, 1985:27-29), აზრთა გაცვლა შეადგენს საუბრის ანალიზისათვის ძირეულ ერთეულს (კერბრატ-ორეკიონი, 2001:61). თუ დავუმატებთ თხრობისა და საუბრის უმაღლესს ერთეულს, კერბრატ-ორეკიონი ამ ერთეულების „კარგად მორგებულ“ ბუნებას წარმოგვიდგენს შემდეგნაირად:

“მეტყველების აქტები ერთმანეთს ენაცვლება, რომ მოხდეს მეტყველებაში ჩართვა, რომელთა კომბინირებით ხდება აზრთა გაცვლა, რომლებიც თავის მხრივ წარმოქმნიან სეგმენტებს, ხოლო ბოლო ინსტანციაში წარმოიქმნება საუბარი” (კერბრატ-ორეკიონი, 2001:61). ფატიკური კავშირისა და ფატიკური ფუნქციის ცნებების ისტორია დეტალურადაა შესწავლილი ლინგვისტურ წიაღში. მაშინ როცა სოციოლინგვისტები და ეთნომეთოდოლოგები ცდილობენ ჩაანაცვლონ მალინოვსკის ფატიკური კავშირი იაკობსონის ფატიკურ ფუნქციას, სემიოტიკოსები, ისევე როგორც სხვა მიმდინარეობების წარმომადგენლები ამ ფუნქციის

ფორმალური კრიტერიუმების ნაკლებობას აღნიშნავენ. რაც შეეხება დიუბუას, ის ასე განსაზღვრავს კომუნიკაციის ცნებას: „ ფატიკურ კომუნიკაციას ან უბრალოდ კომუნიკაციას უწოდებენ თხრობის ფუნქციას, რომლის მიზანია არა მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემა, არამედ გრძნობის გამოხატვა, ასევე კონტაქტის შენარჩუნება მოსაუბრესა და მსმენელს შორის, რომლებსაც სურთ გამოამჟღავნონ კომუნიკაციაში ჩართვის სურვილი. მაგ: „ Il fait beau” შეიძლება ჩაითვალოს საუბრის დასაწყისად. ეს განსაზღვრება წარმოადგენს ასიმილაციას, რასაც რ. იაკობსონი უწოდებს „ ფატიკურ ფუნქციას“, იმასთან რასაც ბ. მალინოვსკი უწოდებს „ფატიკურ კავშირს“. ანთროპოლოგიური მოსაზრება კი ცნებას უფრო ზოგად მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ფატიკური ფუნქციაა, რომელიც მიმართულია სიტყვიერი ინტერაქციისაკენ

ფრანგი მეცნიერების უმრავლესობა პრივილეგიას ანიჭებს ფატიკური ფუნქციის პროცედურულ გაგებას. ისინი ყურადღებას ამახვილებენ „კომუნიკაციაზე“, რომელიც აახლოვებს მალინოვსკის ფატიკურ კავშირს და კომუნიკაციის კონცეფციებს, რომელიც წონასწორობას ამყარებს, ერთი მხრივ, ფატიკურ კავშირთან და მეორე მხრივ ფატიკურ კომუნიკაციასთან.

ამგვარად, ფატიკური ფუნქციის სოციოლოგიური და ფსიქოაფექტური განზომილებები მოთავსებულია კომუნიკაციის თეორიის ზოგად ჩარჩოში. „კომუნიკაციური აქტის“ ცნება უკავშირდება ოსკაარის (Oskaar) მიერ განვითარებულ კონცეფციას, რომელიც მიუთითებს ინტერაქციული ჩარჩოს ერთიანობას, რომელშიც ენის აქტები ვითარდება, ისევე როგორც ურთიერთმიმართებები, რომლებიც მიმართულია კონკრეტული სიტუაციისაკენ და იწარმოება ვერბალური თუ არავერბალური საშუალებების დახმარებით. ეს ინტერაქციული ჩარჩო შეიცავს მონაწილეებს, თემებს, ვერბალურ, კინესიკურ და არავერბალურ ელემენტებს, ისევე როგორც ინტერაქციის აფექტურ საშუალებებს, რომლებიც შეადგენენ ამ ჩარჩოს ანალიზურ და შემადგენელ ფაქტორებს. ხშირად ჩნდება კითხვა: „ რატომ ვიყენებთ ენას?“. ჩვენ მივმართავთ ენას, რათა „დავაკავშიროთ აზრები“. მალინოვსკის „ფატიკური კავშირი“ წინა პლანზე აყენებს „ენის სოციალურ ფუნქციას“. ეს ინტერპრეტაცია სოციოლოგიური და ანთროპოლოგიური წყობისაა. „ამ სახის წინადადებები ჩვეულებრივ ავტომატურადაა ნაწარმოები, თუმცა სტერეოტიპულ სტრუქტურაში ისინი აშკარაა და ზოგჯერ სულაც არა აქვთ შინაარსი“. მაგ: გამარჯობა, bonjour, hola.

### 1.3. ფატიკური კომუნიკაციის როლი ადამიანთა ურთიერთობაში

ფატიკური კომუნიკაცია გამოიყენება ისეთი ატმოსფეროს შესაქმნელად, რომელშიც სოციალური კონტაქტის შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ამგვარი კომუნიკაცია ბ. მალინოვსკიმ დაჰყო სამ ნაწილად: „მისალმება“, „დამშვიდობება“ და „საუბარი ამინდზე“. (მალინოვსკი, 1923:25)

ფატიკური კომუნიკაციის გარეშე ადამიანები ვერ დაამყარებენ ურთიერთობას; მასში მკაფიოდ ჩანს კულტურული ტრადიციები, რომლებიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ ენაზე. ნებისმიერ ცივილიზებულ ენაში არის მისალმებათა მრავალი ფორმა, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანთა შორის სოციალური ურთიერთობის დამყარებასა და შენარჩუნებაში. მისალმების ფორმები განსხვავებულია სხვადასხვა ენასა და კულტურაში; ასევე ქართველების, ფრანგებისა და ესპანელების მისალმების ფორმებიც განსხვავებულია.

დილით მისალმებისას ქართველები, ფრანგები და ესპანელები იყენებენ სიტყვებს: „დილა მშვიდობისა“, “Bonjour”. არსებობს მისასალმებელი სიტყვა , რომელიც დღის ნებისმიერ პერიოდში შეიძლება იყოს გამოყენებული; ასეთია ესპანელებისათვის “hola”, ფრანგებისათვის „bonjour“, ხოლო ქართველებისათვის “გამარჯობა“.

როდესაც ადამიანები ხვდებიან პირველად, ისინი ერთმანეთს ესალმებიან სიტყვით „ გამარჯობა“, ასევე შეიძლება უთხრა თანამოსაუბრეს შეხვედრისას „სასიამოვნოა თქვენი ნახვა“, ფრანგ. „ Je suis heureux de vous voir”, ესპან. „ me alegro de verlo”. ასევე მოკითხვის ფორმა „ როგორ ხარ?“ ფრანგ. „comment ça va?”, რაც არ გულისხმობს მოსაუბრის დაინტერესებას თანამოსაუბრის ჯანმრთელობით; იგი გულისხმობს კეთილგანწყობას და კეთილი სურვილის გამოხატვას, რაზეც პასუხობენ: „ კარგად, გმადლობთ,“ ფრანგ. “ merci, bien,” ესპან. “ gracias, bien”.

როდესაც ადამიანები ჭამის დროს ხვდებიან ერთმანეთს, შეიძლება იკითხონ: “უკვე ისაუზმე?” „ თუ არ გისაუზმია, სწორედ ახლა ვაპირებ საუზმობას,“ რაც ფრანგულსა და ესპანურ ენებში შემდეგნაირად გამოიხატება:

ფრანგ. “ as-tu déjà déjeuné?” უკვე ისაუზმე?

“ si tu n’as pas déjeuné, j’allais déjeuner”. „ თუ არ გისაუზმია, სწორედ ახლა ვაპირებ საუზმობას.

ესპან. „¿ tomaste el desayuno?”-ისაუზმე?

“ si tu no tomaste el desayuno, voy a tomar el desayuno.”-, თუ არ გისაუზმია, საუზმობას ვაპირებ.“

ფატიკური კომუნიკაციისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ექსტრალინგვისტურ ფაქტორებსაც, მაგალითად, ინტონაციას.

დამშვიდობებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანთა ყოველდღიურ ურთიერთობაში. როგორც მისაღმებებია აუცილებელი ადამიანების შესვენებისას, ასევე მნიშვნელოვანია დამშვიდობება, როდესაც ადამიანები შორდებიან ერთმანეთს.

„ნახვამდის“ ყველაზე გავრცელებული სიტყვაა და ფართოდაა გამოყენებული დღის ნებისმიერ დროს, ხოლო „ღამე მშვიდობისა“ არის დამშვიდობება, როდესაც ადამიანები ღამით ემშვიდობებიან ერთმანეთს, რაც ფრანგულსა და ესპანურ ენებში შემდეგნაირად გამოიხატება: ფრანგ. „ au revoir“- ნახვამდის, bonne nuit-ღამე მშვიდობისა, ან ძილი ნებისა.

ესპან. „ adios“- ნახვამდის, buenas noches- ღამე მშვიდობისა. არაოფიციალური დამშვიდობების ფორმებია: „წარმატებას გისურვებ“, „მოგვიანებით გნახავ“, რაც ფრანგულსა და ესპანურ ენებში შემდეგნაირად გამოიხატება: „ bonne chance“- წარმატებას გისურვებ. ასევე დამშვიდობების გამოხატულების სხვა ფორმებიც; როდესაც მასპინძელი ხედავს, რომ სტუმარი მიდის, იგი ეუბნება: „ გთხოვ დარჩი“ ან აფრთხილებს „ნელა იარე“, „ფრთხილად იარე“. აღსანიშნავია, რომ ქართულ, ფრანგულ და ესპანურ ენებში არაოფიციალური დამშვიდობების ფორმები მრავლადაა და ფრანგულ და ესპანურ ენებში, ისინი შემდეგნაირად გამოიხატება.

“ Marche lentement“- ნელა იარე!

“ Marche prudemment“- ფრთხილად იარე!

„ Reste, je te prie“-დარჩი, გთხოვ!

„ამინდზე საუბრისას“ ენობრივი მოვლენა უფრო მეტად სოციალური კავშირის უზრუნველყოფაა, ვიდრე ინფორმაციის გადაცემა.

ვერბალური ფატიკური კომუნიკაცია დაკავშირებულია ქესტებთან: (ხელის ჩამორთმევა, ან ხელის აწევა), მიმიკასთან ( სახის გამომეტყველება), ხმის ტემბრი ან ინტონაცია.“საუბარი თემატიკის გარეშე“ ჩვეულებისამებრ შედგება მოკლე, საგარაუდო თემებისგან, როგორცაა: „ რამდენი წლის ხარ?“, „ რამდენია ყოველთვიურად შენი ხელფასი?“ ამგვარი შეკითხვებით ფრანგები, ესპანელები და ქართველები გამოხატავენ კეთილ ნებას ერთმანეთისადმი და ცდილობენ სიახლოვის გამოხატვას, ეს შეკითხვები ფრანგულსა და ესპანურში შემდეგნაირად გამოიხატება:

ფრანგ. „ Que fais-tu pendant ces jours?“- რას აკეთებ ამ დღეებში?

“ Quel âge avez-vous?-რამდენი წლის ხარ?

“ Combien est ton salaire mensuel?”- რამდენია შენი თვიური ხელფასი?

ესპან. “ ¿Que haces durante estos dias?- რას აკეთებ ამ დღეებში?

“ ¿Cuantos años tienes?”-რამდენი წლის ხარ?

„ ¿Cada mes, cuanto es tu salario?- ყოველ თვე რამდენია შენი ხელფასი?

ფატიკური კომუნიკაცია მრავალი თემის მომცველია:

ა) ამინდი:

კარგი ამინდია, არა?

ფრანგ. Le temps est beau, n'est-ce pas?- კარგი ამინდია, არა?

ესპან. „ ¿El tiempo es bueno, es verdad?

ბ) საყიდლები:

ხშირად დადიხარ საყიდლებზე?

ფრანგ. Tu vas souvent aux achats?

ესპან. ¿Tu vas à veces para comprar?

გ) არდადეგები:

სად გირჩევნია წასვლა არდადეგებზე?

ფრანგ: où préfères-tu aller aux vacances, à la mer ou à la montagne?

სად გირჩევნია წასვლა არდადეგებზე, ზღვაზე თუ მთაში?

ესპან. ¿Adonde prefieres-tu ir, al mar o la montaña?- სად გირჩევნია წასვლა არდადეგებზე, ზღვაზე თუ მთაში?<sup>14</sup>

დ) მეუღლის თვისებები, შემოსავალი, ქორწინებები, მეზობლები და ა.შ, რითაც თვალსაჩინო ხდება, რომ ფატიკური კომუნიკაციის თემები ამოუწურავია.

ფატიკური გამონათქვამის ცნების დეფინიცია და მისი გამოყენება მთელ რიგ გამონათქვამებში, რომლებიც გასაანალიზებელ ტექსტებში იქნა გამოყოფილი, არ არის ადვილი, რადგანაც ის გულისხმობს გარკვეულ ვარაუდსა და ჰიპოთეზას, რომელიც აისახება ანალიზისთვის გამოყენებულ მეთოდებში. ერთ-ერთი მთავარი ვარაუდი იმაში მდგომარეობს, რომ ფატიკური ფუნქციის დეფინიცია განიხილება

<sup>14</sup>[http://www.123teachme.com/learn\\_spanish/brief\\_conversations](http://www.123teachme.com/learn_spanish/brief_conversations)

ისეთი სახით, როგორც იაკობსონმა შემოგვთავაზა, რომელიც ვერბალურ საწყისს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მეცნიერი მას ფორმალური ლინგვისტური კრიტერიუმების არქონის გამო იწუნებს (მუნენი, 1972:45). ამასთან ერთად, სწორედ ამ ფორმალური ლინგვისტური კრიტერიუმის არქონა ალბათ საფუძვლად უდევს მნიშვნელობათა მრავალფეროვნებას, რომელსაც ფატიკურ სიტყვებს ანიჭებენ ხვადასხვა შრომებში. ამგვარად, ფატიკური გამონათქვამი ხშირად გათანაბრებულია საუბრის დაწყებისა და დასრულების ფორმულებთან რიტუალიზირებული (ჩვევადქცეული) ინტერაქციის ფარგლებში.

ამგვარად, პირველი მაგალითი, რომლის დახმარებითაც იაკობსონი გასაგებად ხსნის ფატიკურ ფუნქციას, აქცენტს აკეთებს ზეპირი კომუნიკაციის პერცეფციული დარეგულირების პროცესზე (allo, vous m'entendez? (..) და ყურმილიდან გესმით hm hm! (მუნენი, 1972:217)”, რითაც ხაზს უსვამს შეტყობინების გადაცემის აკუსტიკურ მნიშვნელობას. სწორედ ეს უნარი უკავშირდება არხის თვისებებს, რამაც პირიქით სხვა მეკლევარები იქამდე მიიყვანა, რომ დაუპირისპირეს გაგების ფატიკური მნიშვნელობა წინადადების მნიშვნელობას (კერაინ და რაბანუსი 2001:43-44) ისე რომ კვლევის გასაანალიზებელი სფერო ფატიკურ გამონათქვამებთან მიმართებაში შეიძლება კომუნიკაციის ტექნიკურ ასპექტამდე იქნეს დაყვანილი.

ვეძებთ რა ფატიკური ფუნქციის სოციოლოგიური და პროცედურული ასპექტებისათვის საერთო მნიშვნელს, ვიმახსოვრებთ იმ აზრს, რომლის მიხედვითაც ამ ფატიკური გამონათქვამების არსებობა იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყონ კარგი კომუნიკაცია ოპტიმალური ურთიერთგაგების მიღწევის მიზნით. აგრეთვე, როგორც ტექნიკური, ისე წინადადების შინაარსის პლანში საუბრის მონაწილეთა მხოლოდ ფსიქოაფექტური ურთიერთობის მინიშნება კომუნიკაციის კარგი წარმართვისათვის საკმარისი არ არის, რომ განვსაზღვროთ ფატიკური გამონათქვამების სპეციფიკურობა ისე, როგორც მე მესმის. ამგვარად, შორისდებულების ტრადიციული კლასის კრიტიკული ანალიზით, ბერტრანი უკუაგდებს მათ და ადგენს გამოხატვის საშუალებათა იმ ნუსხას, რომელსაც ის “კომუნიკაციის პროცესს“ უწოდებს.

დისკურსი შედის იმ მოდელის შემადგენლობაში, რომელიც კერბრატ-ორეკიონიმ შეიმუშავა იმ მიზნით, რომ შეესწორებინა იაკობსონის „ძალზე სტატიკური“ ბუნების მქონე სქემა, მას დაუმატა კომუნიკაციური აქტის თვითშემეცნებისა (საუბარში მონაწილე პირები შეიძლება ერთდროულად ადრესანტებიც იყვნენ და ადრესატები) და სიმეტრიულობის აქტის ცნებები მისი მსვლელობის პროცესში (ვერბალური შეტყობინება ზოგადად ითხოვს პასუხს”<sup>15</sup>. ამ კონტექსტში, ინტერაქციის ცნება იღებს ორმაგ მნიშვნელობას. ერთი მხრივ,

<sup>15</sup> მუნენი, იქვე

გულისხმობს შემადგენელი კომპონენტების გათვალისწინებას თხრობის ჩარჩოში. ეს ელემენტებია:

- დისკურსის მთავარი მონაწილე პირები(ინფორმაციის გადამცემი და მიმღები)
- საკომუნიკაციო სიტუაცია
- სივრცობრივ-ტემპორალური გარემოებანი;
- მეტყველების წარმოქმნის „ზოგადი პირობები“ (შეტყობინების მიღება: არხის ბუნება, სოციო-ისტორიული კონტექსტი, დისკურსის წარმართვის სავალდებულო წესები (კერბტრატ-ორეკიონი, 1980:30-31).

მეორე მხრივ, კომუნიკაციური აქტის თვიშემეცნება და სიმეტრიულობა, უკავშირდება მოსაუბრეთა ურთიერთკორექტირების მოვლენას.

სანამ შემოგთავაზებდეთ ფატიკური გამონათქვამის დროებით დეფინიციას, რომელიც ეყრდნობა ზემომოყვანილ წარმოდგენილ მიზეზებს, უპრიანია დაგუმატოთ ის შენიშვნა, რომელიც მეორე მაგალითს ეხება, რომელსაც იაკობსონი გვათავაზობს „მთლიან დიალოგთან“ დაკავშირებით (იაკობსონი, 1963:217) და რომელიც მისი აზრით „ფატიკურად“ მოიაზრება. მაგალითი აღებულია დოროთი პარკერის რომანიდან და ეხება „უსარგებლო“ საუბარს ორ მთავარ მოქმედ გმირს შორის, რომლებიც უაზროდ საუბრობენ, რომ რაღაც თქვან:

„ვფიქრობ, რომ გამოვიცანით!“- ამბობს ახალგაზრდა კაცი

„ახტი!“, -ამბობს ის

- “აი, თურმე რა” -ამბობს ის (იქვე).

პირველ რიგში, ამ სცენით გამოწვეული კომიკური შედეგი კი გარეგნულად „ფუჭი“ გამონათქვამებისა და ფორმულების გამოყენებასთან არ არის დაკავშირებული, არამედ ისეთ გამოყენებასთან, რომელსაც მთავარი მოქმედი პირები მიმართავენ სპეციფიკური საკომუნიკაციო სიტუაციის დროს. ის ფაქტი, რომ საუბარი „უაზროა“, იმაზე მიუთითებს, რომ არ არსებობს თუნდაც ფსიქოაფექტური და თემატური კავშირი მათ შორის და შეესაბამება ავტორის ცნობილ გემოვნებას სოციალური სატირის მიმართ; ეს მაგალითი მიუთითებს ფატიკური კომუნიკაციის უფრო გამონაკლის შემთხვევას, მისი მიზანი მიაღწიოს წარმატებულ კომუნიკაციას ნაწილობრივ მიუღწეველია არა იმის გამო, რომ პროცედურულ პლანში სიტყვის აღების რიგის მონაცვლეობის მართვა შესანიშნავად ხდება, არამედ თანასაუბრის პლანში ჭეშმარიტი შეთანხმება არ არის.

შემდეგ, ვცდილობთ რა ვიპოვოთ წმინდა ლინგვისტური ხერხები, რომელიც ხელს უშლის, რომ სიტყვების მოზღვავება არ შეწყდეს, ვადგენთ გამონათქვამის

„n'est-ce pas“ -ს მნიშვნელოვან როლს, რომელიც მოსაუბრის მეტყველების ბოლოშია და საშუალებას იძლევა კვლავ „ავამოქმედოთ მანქანა“, რომელსაც ვთხოვთ დაგვიდასტუროს ის, რაც ეს-ესაა ითქვა. შეტყობინების ადრესატი აყალიბებს პასუხს, წარმოთქვამს წინა წინადადების სიტყვების ნაწილს, რომელიც შეადგენს ბინარული კონსტრუქციის მეორე ნაწილს( „ვფიქრობ, რომ გამოვიცანით, თქვა-მან, ახტი, აი, თურმე რა), რომელიც ხდება სამკომპონენტო სტრუქტურა, რეპლიკის-„მაშ მიდი“-ს წყალობით. ამგვარად, გამონათქვამი „ n'est-ce pas “ მოქმედებს, როგორც „რიგობითობის სტრუქტურის მაჩვენებელი ერთეული“ (საკსი და სხვ, 1974:124), რომელიც საშუალებას აძლევს რიგობითობის არტიკულაციის დროს ჩამოაყალიბოს ორკომპონენტო, სამკომპონენტო კონსტრუქციები სპონტანური და ავთენტური ინტერაქციის ფარგლებში. ამ გამოთქმების „მთავარი მამოძრავებელი“ მდგომარეობა დიალოგურ დისკურსში ასახავს ფატიკური ფუნქციის პროცედურულ მნიშვნელობას. ამ დაკვირვებას მივყავართ ბოლო ჰიპოთეზამდე, რომელიც კავშირშია ფატიკური ფუნქციის დეფინიციასთან.

“მონაწილეები იყენებენ მნიშვნელობის მქონე უესტებს, რათა მონიშნონ კომუნიკაციის პერიოდი, რომელიც იწყება, რათა ერთმანეთს გადასცენ ინფორმაცია. როდესაც პირები ერთმანეთში თანხმდებიან, შეიძლება ითქვას, რომ ისინი საუბრობენ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ოფიციალურად ერთმანეთს საკუთარ აზრს უზიარებენ ზეპირი კომუნიკაციისათვის, ინარჩუნებენ სიტყვების მოზღვაებას”. (გოფმანი 1974:33).

კერბრატ-ორეიონი იყენებს ფატიკური გამონათქვამების ცნებებს და ფატიკებს, რაც არის განსხვავებული დესკრიფციული და ანალიტიკური კონტექსტების შემადგენელი ნაწილი და ეყრდნობა ძირითადად ფუნქციურ დეფინიციას. ამგვარად, გამოთქმა “hein” იწოდება “გადამცემად“ იმ დეფინიციის მიხედვით, რომელიც „ფატიკურ გამოთქმებს“ ეხება, როგორც იმ ხერხების ერთობლიობა, რომელსაც მოსაუბრე იყენებს, რათა დარწმუნდეს იმაში, რომ ადრესატი მას უსმენს. „ფატიკური გამონათქვამი“, სიტყვის აღების რიგის დასასრულის ნიშნებთან მიმართებაში“, თავისუფლად შეიძლება შევიდეს „ფატიკების“ სიაში, რომელიც მოცემულია „ფატიკური კომუნიკაციის“ ურთიერთობითი მნიშვნელობის გარეგნული ფორმის კონტექსტში (ტრავერსო,1999: 17).

ფატიკური კომუნიკაცია ვერბალურ-ვოკალური გამოხატვის საშუალებაა, რომელსაც იყენებენ ვერბალური ინტერაქციის მონაწილენი. ის ჩვეულებრივ განთავსებულია სიტყვის წარმოთქმის რიგობითობის საზღვარზე და მონაწილეობს დისკურსის თანაწარმოქმნის პლანში(პროცედურული თვისება), ისევე როგორც სოციო-ემოციური თანამშრომლობითი ურთიერთობის შემუშავების პლანში( ურთიერთობითი თვისება) იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს მონაწილეებს შორის „კარგი ურთიერთგაგება“. მოსაუბრე უზრუნველყოფს ამ „კარგ ურთიერთგაგებას“ , იყენებს რა მართვის ისეთ ხერხებს, რომელთა მიზანია წარმოქმნილი დისკურსის



გაგების უზრუნველყოფა „დისკურსის მთავარი მონაწილეების ურთიერთმონაცვლეობის“ ფარგლებში (კერბრატ-ორეკიონი, 1980:26). ფატიკური გამონათქვამი ჩართულია მრავალარხიან კომუნიკაციაში(პროსოდიკის, მიმიკისა და უესტების ჩართვა, ხელით შეხება) და ხელს უწყობს იმის კონტექსტუალიზებას, რაც ითქვა. როგორც სამეტყველო აქტის კომპონენტი, ის მიმართავს მსმენელს დადასტურების თხოვნით და ამიტომ შეიძლება ის გაგაანალიზოთ როგორც „თანამშრომლობითი გამონათქვამის“ საწყისი აქტი (კოზნიე, 1987:292).

- Puis, la paye, elle sera meilleure.
- Ah, pareille que maintenant= hein
- Ah, bon

ეს არის სატელეფონო საუბრის ნაწყვეტი ორ მეგობარს შორის, რომელთაგან ერთმა აუწყა, რომ ის „დაწინაურდა“. ფატიკური გამონათქვამი „hein“ ასოცირდება რეაქციასთან, რაც აზუსტებს მონათხრობ ვარაუდს (puis, la paye, elle sera meilleure), რაც ასოცირდება ხელფასის მომატებასთან. პასუხის ინტერპრეტაცია „ ah pareille que maintenant, hein“ მიუთითებს თანამოსაუბრის საუბარში ჩართვაზე. ეს ნაწყვეტი წარმოადგენს „განვითარებულ აქტს“ და ის ღირებულს ხდის წინა პასუხს. გარდა ამისა, აქცენტის ეფექტი ჩანს გაძლიერებული ბოლო აქცენტით „maintenant“ აღმავალ ინტონაციაში “hein“, ხოლო მოცემული პასუხი “ah, bon“ პროსოდიული აქცენტით მიუთითებს გარკვეულ გაოცებას, რაც ჩანს დიალოგში, ერთი მხრივ, მისი მოლოდინი (მისი მეგობრის ხელფასის მომატება) და მეორე მხრივ, რეალური სიტუაცია (მდგრადობა).

„hein“-ის ფუნქციონირების ანალიზი მიუთითებს, რომ ეს გამოთქმა, როგორც ფატიკური გამონათქვამების ერთობლიობა, თანადროულად მრავალ პლანზე ჩანს. ის აწესრიგებს გამონათქვამების მონაცვლეობას და ხელს უწყობს საუბრის თანაწყობას. მოცემულ მაგალითში, “hein“-ის ლექსიკო-სემანტიკური მახასიათებლები ასოცირდება პროსოდიული მახასიათებლების გარკვეულ რაოდენობასთან, როგორცაა: აქცენტი, აღმავალი ინტონაცია, რაც საუბარსა და თხრობაში ენის აქტს ფუნქციონირების საშუალებას აძლევს ( ბერტრანდი, 1980: 30-37).

ლექსიკური ფორმა, რომელიც დაყვანილია „hein“-მდე ვარაუდობს მისი სემანტიკური ღირებულებების მნიშვნელოვნად შემცირებას, მაგრამ მაძიებელთა გარკვეული რაოდენობა ამტკიცებს, რომ „ ეს არის სიტყვები, როგორც უესტები“, რომლებიც შეიძლება ცარიელიც მოგვეჩვენოს, თუმცა იყოს მნიშვნელობით სავსე“. იგი განისაზღვრება, როგორც ლექსიკური ბაზის ერთობლიობა, რაც ხასიათდება ფონოლოგიური ფორმით, რომელიც მრავალ მნიშვნელობასთან ასოცირდება.

ფატიკური გამინათქვამების სპეციფიური ფუნქციები არის მრავალრიცხოვანი და უკავშირდება სხვადასხვა კონტექსტებს, რომლებშიც ისინი ჩნდებიან. აგვარად „hein“ ზოგჯერ სიტუაციის გამოაშკარავებას ეხმარება.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება ორი შენიშვნა გაკეთდეს:

1) ვიოლინოს აწეობის იდეას გეთავაზობს კოსნიე ხმათა შეწყობის სისტემის სახელწოდებით, რომლის შიგნით ის ასხვავებს ფატიკურ ასპექტს, რომელიც „გამომდინარეობს მოსაუბრის საქმიანობიდან“ და მარეგულირებელ ასპექტს, რომელიც „გამომდინარეობს მსმენელის საქმიანობიდან“ (კოსნიე, 1982; 1987: 311-312)

2) ზემოაღნიშნული ორივე სპეციფიკური ფუნქცია, რომელიც გამომდინარეობს “hein”-ის ანალიზიდან, წარმოადგენს მხოლოდ უმნიშვნელო ფუნქციათა ნაწილს, რომელიც “hein”-ს შეიძლება ჰქონდეს. ისინი თვალნათლივ გვაჩვენებს, თუ რა ზომით შეიძლება ეს გამოთქმა მეტყველების „კონტექსტში ჩართვისთვის“ გამოდგეს.

“Hein” -ის ფუნქციონირების ანალიზი ამ კონკრეტულ მაგალითში გვიჩვენებს, რომ ეს გამოთქმა, როგორც ერთად აღებული ფატიკური გამონათქვამები, მონაწილეობს ერთდროულად მრავალ პლანში: როგორც ერთეული, იგი მონაწილეობს გამონათქვამის რიგობითობის დონეზე, ის არეგულირებს მონაცვლეობას თუ ვისი ჯერია საუბრის დასაწყებად და საშუალებას იძლევა დისკურსის თანაწარმოქმნა განხორციელდეს (მორელ და დანონ-ბოალოსთან, 1998:56), როგორც ვერბალურ-ვოკალური ერთეული, ის საშუალებას იძლევა, რომ მოხდეს მისი „კონტექსტში ჩართვა“ რაც უკვე ითქვა. ამ თვალსაზრისით, ის შეიცავს იმ მონაცემებს, რომლებიც ეხება მეტყველების აქტის ილოკუციას, რომელთანაც ის ასოცირდება. ზემომოყვანილ მაგალითში, “hein”-ის ლექსიკო-სემანტიკური მახასიათებლები უკავშირდება გარკვეული რაოდენობის პროსოდიულ მახასიათებლებს (მახვილი, აღმავალი ინტონაციის ფორმა), რაც საშუალებას იძლევა საუბრისას განხორციელდეს სწორი მეტყველების აქტი, როგორც თანამშროლობითი გამონათქვამი.

იმ ანალიზის მონახაზი, რომელიც ეს-ესა შემოგთავაზეთ ფატიკური გამონათქვამის ცნების სპეციფიკურ დეფინიციაში, საშუალებას იძლევა გამოვყოთ იმ თვისებათა გარკვეული რიცხვი იმ სიტყვათა ჯგუფთან მიმართებაში, რომელთა როგორც კატეგორიის განხილვა შეიძლება მოხდეს, იმ გრამატიკის შიგნით, რომელიც ენის ინტერაქციულ და დიალოგურ პერსპექტივას ეყრდნობა. შემდეგი ნუსხა სქემატურად წარმოგვიდგენს ფატიკური გამონათქვამებისათვის დამახასიათებელ რამდენიმე თვისებას, რომლებიც ერთდროულად მოქმედებენ იმ პლანში, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ დისკურსის თანაწარმოქმნა და ფსიქოაფექტური თანამშრომლობით კავშირების შემუშავება:

-სინტაგმატური პლანი: სიტყვის აღების თვალსაზრისით, პერიფერიულ ნაწილში განთავსება ან უფრო ზუსტად, რიგობითობის სტრუქტურის ერთეულის განსაზღვრა(დემარკაციული როლი);

-პრაგმატული პლანი: ფუნქციონირებს, როგორც აზრთა გაცვლის მარეგულირებელი საშუალება, რომელიც მონაწილეობს საუბრის რიგობითობის მონაცვლეობისას;

-აღმნიშვნელის პლანი: უცვლელობა/ მორფოსემანტიკური უძრაობა; სტილიზებული ინტონაციური ტეხილი(ზოგადად აღმაგალი); ფონოლოგიური ატრაქციისაკენ სწრაფვა;

-აღსანიშნის პლანი: მოუწოდებს მსმენელს დაეთანხმოს იმას, რაც ითქვა, რათა უზრუნველყოს წინადადების აკუსტიკური გაგება;

-სოციოლოგიური პლანი: შეთანხმებული შეხედულება იმ მიზნით, რომ კარგი ურთიერთგაგება/ფატიკური კომუნიკაცია იქნეს უზრუნველყოფილი.

-სემიოტიკური პლანი: დეიქტიკური ღირებულება (კონტექსტისადმი ემოციური დამოკიდებულება).

ეს კონსტატაცია შეიძლება იმისათვის გამოვიყენოთ, რომ მხარი დავუჭიროთ დოსტის მიერ წამოყენებულ ჰიპოტეზას, რომლის მიხედვითაც ინტერაქციის მარკერები, რომლებიც დისკურსის ნაწილაკების მსგავს კატეგორიას განეკუთვნებიან, მონაწილეობენ „უმნიშვნელო სამეტყველო აქტების“ რეალიზაციაში (დოსტი, 2004:7).

“ ინტერაქციის მარკერები ახორციელებენ სადა, უმნიშვნელო სამეტყველო აქტებს. ისინი განსხვავდებიან ამ თვალსაზრისით ილოკუციური მარკერებისაგან, რომლებიც მონაწილეობენ და ახორციელებენ მთლიანად სამეტყველო აქტებს<sup>16</sup>.

ამგვარად, შეიძლება შევეცადოთ აღვწეროთ ფატიკური გამონათქვამი როგორც ინფორმაციის მიღების შემადგენელი გამონათქვამი, რომლის შიგნითაც ფატიკური გამონათვამი ასრულებს განსხვავებულ დემარკაციულ და ინტერაქციულ ფუნქციებს, კერძოდ, ახდენს ყურადღების მიპყრობას მიმღების ინფორმაციის ილოკუციურ ასპექტზე. ქვემოთმოცემული მაგალითი სატელეფონო საუბრის ნაწყვეტს წარმოადგენს. მომავალი ბაკალავრის „მოხუცი დეიდა“(ამ კვალიფიკაციას ის თავად ანიჭებს საკუთარ თავს) გაოცებულია იმით, რომ მისი დისწულის მშობლებმა მას ნება დართეს სულ მარტო წასულიყო დასასვენებლად.

-Ils te laissent partir tout seul?<sup>17</sup>

<sup>16</sup> დოსტი,2004:7

- Oui, on trouve un appartement au bord de la mer.
- Eh bien, dis donc, je ne reconnais plus et mon beau-frère, hein
- ah, non (rire).

თხრობაში გამონათქვამი „et bien, dis donc“ გამოხატავს გაოცებას თანამოსაუბრისადმი, რაც ასოცირდება უხილავ საყვედურთან, რომელიც მშობლებს უკავშირდება. გამოთქმა “hein” კი აჩვენებს მის პოზიციას, ხოლო ძმიშვილის რეპლიკა “ah, oui,“ რომელიც წარმოთქმულია აღმავალი ინტონაციით, წარმოაჩენს, რომ იგი იზიარებს დეიდის თვალსაზრისს, ხოლო დეიდა, რომელიც არ ეთანხმება მის მარტო გამგზავრებას, ცდილობს თავისი უარყოფითი ემოცია გაანელოს სიცილით.

სწორედ ალბათ ამ მნიშვნელობითაა, რომ ბრიუსელი და ტრავერსო იყენებენ ცნებას „უმნიშვნელო სიტყვები, რომ მიაღწიონ თანასტრუქტურის შექმნას(მაგალითად, ფატიკურის) თავიანთ კვლევაში, რომელიც ეხება სიტყვას “ben“: ესაა დისკურის „უმნიშვნელო სიტყვის“ აღწერის წვლილი, რომელსაც პოლიფრაზიის სპეციალისტები იკვლევენ (ბრიუსელი, ტრავერსო, 2001:39).

C. Je te fais de grosses bises.

J. Je te fais de grosses bises à toi aussi= hein-chez toi.

C. De toute façon, on se retéléphonerà=hein

J. J’espère que bon pour Pâques se passera=hein

C. Oui

“hein“-სიხშირე ასოცირდება აჩქარებულ მონაცვლეობასთან, რაც საუბარს წარმოაჩენს როგორც ერთობლივად წარმოქმნილ საუბარს. ჰარმონიის გაძლიერება გამოხატულია იმ ფაქტით, რომ ნაწყვეტის პირველი ნაწილი (alors, écoute, hein) გაწეილი ჩანს შემდეგ სიტუაციაში (Je te fais de grosses bises à toi=hein).

თანათხრობის ტერმინით აღინიშნება ენობრივი მოვლენა, რაც ჩანს სქემატურ განსაზღვრებაში, რომელიც შედგება სიტყვათა ორი მწკრივისაგან, რომელთაგან “მეორე რიგი პირველის სინტაქსურ გაგრძელებას წარმოადგენს“.

ამ ნაწყვეტში, დეიდა ცდილობს დაარწმუნოს დისშვილი, რომ ის დაუდევრად ეპყრობა სკოლის საატესტატო გამოცდებისათვის მზადებას.

<sup>17</sup> აქაც და შემდგომშიც მაგალითებისათვის გამოყენებულია: <http://petale.univ-lorraine.fr/advanced-search.html?submenuKey=simple&menuKey=these>

C. Et puis, t'as les révisions=hein (rire)

J. Ouais, aussi ouais

C. C'est, c'est en bon point non, ça va?

J. Hein?

C. T'as commencé un peu? à réviser?

J. Un peu là on fait des, on fait des bac (quoi?)

მაშასადამე „hein“ განიხილება, როგორც ფატიკური გამონათქვამის ომოფემა, რაც მქლავნდება სხვა კატეგორიებიდან, რომელიც უკავშირდება იაკობსონის სქემის მეტალინგვისტურ ფუნქციას. არის ისეთი მაგალითებიც, თუმცა იშვიათად, სადაც „hein“-ის მეშვეობით საუბარი ებმის თემატურ პლანს.

C. Et comment il va Antoine, sa famille?

J. ça va très bien, tes petits grandissent, hein

C. A, bon, dis donc

J. Ouais, euh.

გამოთქმა მოულოდნელად ჩნდება, მოულოდნელ მომენტში ინტერაქციის პარტნიორისათვის, რომელმაც უკვე წამოიწყო პასუხი მოცემულ კითხვაზე და წარმოაჩინა განმსაზღვრელი „tes petits grandissent“.

ფატიკური გამონათქვამი იშვიათად ჩნდება წინადადების დასაწყისში, უფრო ხშირად კი ბოლოს. მაგალითებით ჩანს, რომ ეს პოზიცია შესაძლებელია ფრანგულსა და ესპანურში.

J. Allô

C. euh, c'est Jean...hein? C'est toi alors

J. ouais? (ah ouais)

პრაგმატული თვალსაზრისით, ფატიკური გამონათქვამების სინტაქსური დამოკიდებულება უკავშირდება „petits actes<sup>18</sup>“. მათი სპეციფიკური ფუნქციები ითხოვს ქმედებების გარკვეულ გადაადგილებას და თხრობას ემსახურება.. ფატიკური გამონათქვამები მოკლეა, რომლებიც ინტერაქციაში ჩანს და მიჩნეულია გამოძახილის გამოსატყულებად.

<sup>18</sup> მცირე მოცულობის სამეტყველო აქტები

„ეს ერთეულები არაა ჩართული წინადადებაში, თავად წარმოადგენენ წინადადებებს. ყველაზე ხშირად სერლის ტიპოლოგიაში ისინი ახორციელებენ ექსპრესიულ და მიზანმიმართულ ილოკუციურ აქტებს (დოსტი 2004:31).

აღმავალი ინტონაცია: tu sais, en tout cas, აღნიშნავს სხვისკენ მოძრაობას.

ხმამაღალი და ერთფეროვანი ინტონაცია: attends, oh la la, მიუთითებენ ცენტრისკენ სწრაფვას მოულოდნელ სიტუაციაში.

დაღმავალი ინტონაცია: Et sinon, par conséquent, écoute, écoutez.

მაგალითები „ tu vois”, “tu sais” გვიჩვენებენ, რომ არსებობს მთელი რიგი ფატიკური გამონათქვამების სერია, რომელიც შექმნილია ვერბალური ჯგუფის მიერ და რომელიც წარმოჩენილია პრაგმატული გამოხატულებების სპეციფიური ინტერაქციული ფუნქციებით.

ჯიბონი და სასანი ( Gibbon, Sassan) მიიჩნევენ „ ფატიკურ ფუნქციას“, როგორც ფუნქციას, რომლის მიზანია კომუნიკაციური კავშირის დამყარება და შეწყვეტა. „ფატიკური ფუნქცია“ აჩენს ახალ სიტყვას საუბარში, იგი ქმნის ახალ კონტექსტს, რომლის მეშვეობითაც ჩნდება სხვა კონტექსტი. ეს ჩანს თუნდაც სატელეფონო საუბარში „hein“-ით, რომელიც გამოყენებულია სპეციფიკურ სიტუაციაში და რომელიც უკავშირდება სატელეფონო საუბარს ( cf. 4 du doc<sup>19</sup>).

“ Allô”

Hein

Euh, c'est Jean, hein? C'est toi alors (rire)

Oui?/Ah ? ouais.

სატელეფონო საუბარში, საუბრის საწყისად გამოყენებულია „allô ” და ჩანს „hein“, რომელიც უკავშირდება „allo ”-ს, ხოლო შემდგომი გამონათქვამი “oui?“, “hein” გამოხატავს საწყის გამონათქვამს. როგორც პროცედურული გამონათქვამი hein მონაწილეობს აზრთა ურთიერთგაცვლის ინტერაქციული კონტექსტის შექმნაში.

“რას ნიშნავს პროცედურული გამონათქვამი? გამონათქვამი პროცედურულია თუკი ის მითითებებს გვაძლევს იმ კონტექსტის აგების ხერხზე, რომელშიც უნდა იქნეს გამონათქვამი გადმოცემული(მოშერი, 1993:28) აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციაში მუდავნდება:

<sup>19</sup> შდრ. მაგალითად, ფრანგულ მონაცემთა ბაზა ინტერაქციაში.

- გაგება და აღქმა, რაც ინფორმაციის გადაცემასთანაა დაკავშირებული.
- კომუნიკაციის სპეციფიკური პროცედურა უსტების გამოყენებით.
- საუბრის მაკროსტრუქტურული და თემატური ორგანიზების დონე.
- არავერბალური ქმედებები, რაც სიტუაციური კონტექსტის შიგნით ხორციელდება.
- ინფორმაციის გადაცემის დონე.
- ინტერპერსონალური ურთიერთობის დონე.

ლინგვისტურ კომუნიკაციაში გამოიყოფა ინტერაქციის ორი ტიპი:

1) თანამოსაუბრებს შორის წარმართული სატელეფონო საუბრები მეგობრული თუ ფამილიარული კავშირების დასამყარებლად.

2) მეგობრებსა და ოჯახის წევრებს შორის სუფრასთან წარმართული საუბრები (conversation à table).

ინტერაქციის ეს ორი ტიპი წარმოადგენს სატელეფონო საუბრებს ან პირისპირ საუბრებს მრავალ თანამონაწილესთან ერთად. ინტერაქციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვარაუდები, რომელთა მიხედვით საუბრის თემა ზეგავლენას ახდენს ენაზე. ამგვარად, ინტერაქციის სპონტანური ხასიათი უზრუნველყოფს აზრთა გაცვლა-გამოცვლის ჭეშმარიტ სახეს.

ფრანგული ინტერაქციისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ფორმა “hein”, რაც მომდინარეობს კლასიკური ლათინურიდან და იგი ინტერაქციას სძენს ფსიქოაფექტურ ეფექტს, გამოხატავს რა განსხვავებულ გრძნობებს: „უკმაყოფილება, აღშფოთება, შიში, თანაგრძნობა, ბედნიერი გაოცება და ა.შ.“ რაც შეესება ვერბალურ ფორმებს „tu vois” და “tu sais” წარმოადგენენ განსაკუთრებულ გამონათქვამებს, რაც შექმნილია ვერბალური ჯგუფისაგან. ინტერაქციის მარკერები კი, როგორცაა „oui”, “ non”, “d’accord” პირდაპირ ინტერაქციას უკავშირდება, რაც გამოყენებულია საუბრის მონაწილეებს შორის თანხმობის მისაღწევად. შეიძლება ითქვას, რომ შეთანხმების ძიების პლანი არის აშკარა შემდეგ გამონათქვამებში: (“hein”, “tu vois”, “tu sais”).

ეს ფორმულები უკავშირდება შეთანხმების, თხოვნის კონცეფციებს. მაგ: “hein”-ის გამოყენება წარმოადგენს თავმდაბლურ მოწოდებას, რაც ითხოვს თანხმობას მსმენელისგან, იმაზე რასაც მოსაუბრე ამტკიცებს, რათა გააძლიეროს მისი რწმენა და ჩართოს ინტერაქციაში. ეს გამონათქვამები აძლიერებენ თხრობას: „tu vois” და “vous voyez”, გამოიყენებიან, რათა მიიპყრონ მსმენელის ყურადღება ან მიიღონ

თანხმობა იმისგან, ვისაც მიმართავენ. Hein გამოიყენება შეკითხვის გასაძლიერებლად და მისი სინონიმია n'est-ce-pas? ან ფორმა pas vrai?

Tu sais, vous savez? C'est un garçon très gentil!

Tu sais, il ne faut pas lui en vouloir!

Tu sais, vous savez გამოიყენება მიმართვისას, თანამოსაუბრის ყურადღების მისაქცევად. ასევე გაძლიერების და ხაზგასმის კონცეფციები ჩანს „oui“-ში ან “non“-ში.

- Dis donc, ça ne va pas, non? ( ხაზგასმა)

- Alors, c'est fini, oui? აძლიერებს მტკიცებას. ამ შემთხვევაში ასევე შეიძლება გამოვიყენოთ “non”.

მორელთან და დანონ-ბუალოსთან გამოთქმების გამომყოფი მნიშვნელობა „tu vois“ და “non” განხილულია, როგორც ლექსიკური ნიშნები, რომლებიც კონკრეტულ ინტერაქციაში თანხმობა-უთანხმოებას აღნიშნავენ. რაც შეეხება ვერ შეთანხმებას, იგი აღინიშნება ლექსიკური ნიშნების არჩევით და მათი პოზიციით - „tu vois“ ბოლოს და დაბალ ინტონაციაში. რაც შეეხება გამოთქმას “ d'accord” , იგი წარმოადგენს ფატიკურობის ცალკე შემთხვევას. გამოთქმა “ d'accord” შეიძლება ასევე აღნიშნავდეს მთხრობელის მოუთმენლობას.

რაც შეეხება hein-ის შემთხვევას, იგი გამოყენებულია მხოლოდ ფამილიარულ საუბარში. ზოგჯერ ის ახლავს შეკითხვას ან ფრაზას, რომელიც გაკვირვებას გამოხატავს. ის ასევე გამოიყენება როგორც თანამოსაუბრისადმი მოწოდება გაიმეოროს, თუ რამე ვერ გაიგო.

“ Voulez-vous, hein?”

Hein, que dites-vous donc là?

Hein-ის ფამილიარული ბუნება მიუთითებს იმაზე, რაც ფამილიარულია ინტერაქტანტებისათვის, ის რაც ცნობილია და წინასწარ ნავარაუდევია დისკურსის წარმოქმნის შიგნით, ამგვარად, ფამილიარულობის ცნება არ უკავშირდება მხოლოდ ფამილიარულ წესს, რომელიც ეწინააღმდეგება ენის რეგისტრს. ამგვარად, ის რომ “hein“-ს „ბუნდოვანი“ ბუნება აქვს, არ ნიშნავს, რომ მას მნიშვნელობა არ გააჩნია.

ფრანგულ ენაში განსაკუთრებით აღსანიშნავია სატელეფონო გამონათქვამები, რომელთა უმრავლესობა ფრაზის ბოლოშია. ამ გამონათქვამების 7% ვლინდება hein-ით. ის სხვადასხვა პოზიციაში გვხვდება: გამონათქვამის დასაწყისში და



გამონათქვამის ბოლოს. კომუნიკაციური ფუნქციებიდან, რომლებიც ფატიკურ ფუნქციას გამოხატავენ ტელეფონით ან უშუალო ფამილიარული საუბრის დროს, შეიძლება გამოიყოს შემდეგი ფორმები:

- მოპატიუება მოსაუბრის მოსაზრების გასაცნობად.
- მოპატიუება გავიზიაროთ პიროვნების ელემენტი.
- დასტურის და შეთანხმების თხოვნა.

თითოეული ეს ფუნქცია ფრანგულ ფატიკურ გამონათქვამებში იჩენს თავს, რაც ძირითადად ვლინდება აზრთა გაცვლა-გამოცვლაში. შეიძლება დადგინდეს, რომ გამოყენებული სხვადასხვა გამონათქვამი ხშირად ერთად ასრულებს არა მარტო მრავალ ფუნქციას, არამედ ისინი ცვალებადი თვისებითაც ვლინდებიან. ეს ცვალებადობა, ერთი მხრივ, უკავშირდება სემანტიკას; ისინი ასევე უკავშირდებიან მოსმენისკენ მოწოდების ფუნქციას. ზოგადი წესით, მოსაუბრე ცდილობს დაარწმუნოს მსმენელი იმაში, რასაც მთხრობელმა შეიძლება უწოდოს არგუმენტაცია.

ფრანგული გამონათქვამების მთავარი ფუნქციაა მოწოდება მოსმენისაკენ; მაგალითების უმრავლესობა მარკერების დადგენით ვლინდება და გულისხმობს მსმენელისგან მოსაუბრის მიერ ყურადღების მოთხოვნას ( დოსტი, 2004:48).

ნიმუშისათვის მოვიყვანოთ სამ ნაწყვეტს:

## I

A- Ouais, elle est sur Lyon ( elle est allée voir sa famille)

B- Ah, d'accord ( eh bien, elle a bien raison=hein

A-ouais

B-Non, mais écoute=hein=euh je te passerai un bon dimanche, mais ils rentrent ce soir quand même.

A- Ouais.

## II

C-II est toujours là-bas à l'ordinateur

J- Toujours

C-Ah, il bouge pas lui=hein

J- Ah, non, non, non, hh

C-Alors écoute=hein, ben=euh

J- grosses bises=hein

B- Je te fais de gros bisous à toi aussi=hein

### III

C- C'est la tante qui te téléphone=hein

J- a=ouais je t'ai reconnue

D- ( ta vieille tante) ( rire)

ამ სამ მაგალითში, ფატიკური გამონათქვამები უკავშირდება იმას, რასაც დანონ-ბუალო და მორელი უწოდებენ ყურადღების მიპყრობას და რომელიც მოიაზრება, როგორც საუბრის დისკურსი. ის ასოცირდება ინიციატივის ფუნქციასთან დისკურსული სტრუქტურის აქტიურობის ჩარჩოში. „hein“-ის მონაწილეობა მოცემულ დისკურსში შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც „ მომეცი გარანტია, რომ შენ გაიგე, რაც ვთქვი და დამარწმუნე, რომ შენც იგივე აზრს იზიარებ“ ანუ „hein“ არის მსმენელის მოწოდება შეთავაზებულ პოზიციის დასაკავებლად. ამ ნაწყვეტში „hein“ ასოცირდება სიტყვასთან „écoute“, რომლის მბრძანებლური ფორმა აღნიშნავს მოსმენისაკენ მოწოდების ენობრივ აქტს, ის ასევე ემსახურება იმას, რომ გააძლიეროს, შეამციროს ან შეცვალოს საუბარი. „hein“-ის სპეციფიკური ფუნქცია წარმოადგენს ფრაზის მიმართვას სხვა ფრაზისაკენ. ასეთ ინტერაქციებში ჩანს ზრდილობის ფორმულები, პარტნიორის პატივისცემა; ზოგ სიტუაციაში არაოფიციალურობა. ნაწყვეტში მოსმენისაკენ მოწოდება იღებს სხვა მნიშვნელობას, სადაც „hein“ ემსახურება მიმართოს თანამოსაუბრის ყურადღება იმ ფაქტზე, რომ “ c'est la tante qui te téléphone”. აღსანიშნავია, რომ “hein” მხოლოდ ფამილიარულ დისკურსში გამოიყენება. ფამილიარული დისკურსის ცნება საკმაოდ პრობლემატურია, რომელსაც შეიძლება შევხვდეთ „hein“-ის მრავალ ინტერაქციაში. მეორე მხრივ, hein ემსახურება ფონეტიკური ძახილის ნიშანს საუბრისას, „ c'est la tante qui te téléphone”. ამგვარად, მოწოდება მოსმენისაკენ (l'appel à l'écoute) აქ იღებს ინფორმაციული ელემენტის-მოწოდების ფორმას, რაც აუცილებლადაა მიჩნეული კომუნიკაციის კარგი წარმართვისათვის.

რაც შეეხება მეტაკომუნიკაციური ფუნქციის ცნებას, იგი ემყარება ორ კომუნიკაციურ სხვაობას: „ შეიძლება განვსაზღვროთ კომუნიკაციის ორი დონე, კომუნიკაციის დონე, როდესაც მოსაუბრე ცდილობს ზეგავლენის მოხდენას

მსმენელზე და მეტაკომუნიკაციური დონე, რომელიც განიხილება, როგორც მოსმენისაკენ მოწოდება.

ფუნქციების დაჯგუფება, რომლებიც მოსმენისაკენ მოწოდებასთან ასოცირდება. (დანონ-ბუალო და მორელი (1998) პროცედურული განზომილებაა:

1) ჩამოვაცალიბოთ დისკურსი, რაც ააშკარავებს სპეციფიურ პროცედურებს, რაც უკავშირდება ფორმულირებას მსმენელის ჩარჩოში.

2) ხაზი გავუსვათ საუბრის ასპექტს.

3) აღნიშნოთ, რომ გვსურს საუბრის გაგრძელება.

4) რეაგირებისაკენ მოწოდება.

ურთიერთობითი განზომილება:

1) ჩამოვაცალიბოთ ფსიქოაფექტური კავშირები.

2) მოვახდინოთ ინტერაქციის გადაცემა დისკურსის ახალი ფრაზისკენ.

ასეთი სტილის გამონათქვამებში ასევე ჩანს გაზვიადების და გაძლიერების ელემენტები: non, oui.

გაზვიადება შეკითხვაში ან წამოძახილში.

Dis donc, ça ne va pas, non?

Alors, c'est fini, oui?

Oui აძლიერებს მტკიცებას, თუმცა მსგავს სიტუაციაში შესაძლებელია ასევე non-ის გამოყენება ( c'est fini, non?). ბუალოსთან და მორელთან გაზვიადებული კითხვითი გამონათქვამები "tu vois" და „non“ განხილულია, როგორც ლექსიკური ნიშნები, რომლებიც აღნიშნავენ უთანხმოებას მსჯელობისას, რაც ჩანს კონკრეტული ინტერაქციის ჩარჩოში. "უთანხმოება მსჯელობისას" აღინიშნება ლექსიკური ნიშნების არჩევით, „tu vois“-ს პოზიციით ბოლოში და დადმავალი ინტონაციით. (Mais je sais pas si c'est très excentrique en fait, tu vois"). ეს მაგალითი მიუთითებს, რომ მოსაუბრე ვარაუდობს, რომ სხვაც „ხედავს“ იგივეს რასაც თავად ხედავს. სამაგიეროდ, ბოლოში non და აღმავალ ინტონაციაში მიუთითებს უთანხმოების არსებობას. Non-ის შემთხვევაში მოსაუბრე ხვდება, რომ თავის ნათქვამზე ის თანხმობას ვერ იღებს, თუმცა მას არ შეუძლია ( არ სურს) პოზიციის შეცვლა და თანამოსაუბრისაგან ითხოვს ამ საკითხთან დაკავშირებით იგივე პოზიციის დანახვას (გოფმენი, 1973).

დამშვიდობება:

A- Bien ( mais alors) tu les embrasseras de ma part=hein

B-euh oui

A-et je te fais un gros bisou à toi, à Anne-Marie

B-hmm

A-et puis (tu) passeras un bon dimanche=hein? Et on se verra un des ces jours.

B-Oui, ouais ( qu'on aille) voir, d'accord ( allez) oui, oui

A-Au revoir

B-Au revoir

ეს ნაწყვეტი განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს, რადგან ინტერაქციის პარტნიორი არ მონაწილეობს ვირტუალურად, იგი წარმოდგენილია, როგორც მოპასუხე და იმის ნაცვლად, რომ დაუყოვნებელი პასუხი გასცეს, სინამდვილეში იგი წარმოდგენილია, როგორც საშუალება, რომელიც გარკვეულ დროში განსხვავებულ პასუხებს იძლევა. ამ საუბარში წარმოდგენილია ორი ფატიკური გამონათქვამი, რომელთაგან ერთი მოწოდებას, ხოლო მეორე დათანხმებისაკენ მოწოდებაა - ის, რომ მოგვიანებით დაურეკავს.

ფატიკური გამონათქვამები საუბრის მონაწილეებია, რომლებიც ამყარებენ პირდაპირ კავშირს ერთი მხრივ საუბრის შინაარსთან და მეორეს მხრივ, მოსაუბრის ვარაუდთან. ეს ვარაუდი არ შეესაბამება ინტერაქციის მონაწილეების მიერ ეფექტურად გაზიარებულ ცოდნას, არამედ უბრალოდ ცოდნის ელემენტია, რის გაზიარებაც სურს მოსაუბრეს. მოლაპარაკის ვარაუდები წინადადებებია, რომელთა ჭეშმარიტებაც საუბრის საფუძველია. პროპოზიცია ნავარაუდევია, როგორც მოსაუბრის ქცევა; ხოლო პრესუპოზიცია მონაწილეების საუბრის საფუძველია, საერთო ცოდნაა. შემდეგი სიტუაცია შეიცავს ინფორმაციულ ელემენტს, რაც ახალია მსმენლისათვის.

A- moi aussi, j'ai pris des kilos=hein

მოსაუბრე A საუბრობს წონის მომატებაზე და იგი მიხნეულია ჭეშმარიტ ინფორმაციად. ფატიკური გამონათქვამი "hein" უკავშირდება ვარაუდს, რაც ასაბუთებს მოსაუბრის ჩართვას თანასაუბარში გაიზიაროს მისი ამბავი. მოსაუბრე იქამდე მიდის, რომ მას თანამოსაუბრე თამხმობამდე მიჰყავს.

- Oui? Comment ça?

შეიძლება ითქვას, რომ B- თამაშობს თამაშს, რაც თავის მხრივ ეთანხმება A-ს ნათქვამს, როგორც ჭეშმარიტს. იგი აწარმოებს ასევე თხრობას და ეთანხმება ინტერაქციაში ჩართვას. ამგვარად, ინტერაქციული სინქრონიზაცია უფრო მნიშვნელოვანია პიროვნებისათვის, რომელიც ისეთ მდგომარეობაშია, რომ უნდა მოახდინოს რეაგირება. ამგვარად, ფატიკური გამონათქვამები მოუწოდებს მსმენელს დაადასტუროს და დააზუსტოს ის ვარაუდი, რომელიც მოსაუბრის სურვილით ჭეშმარიტი უნდა ყოფილიყო.

-Il est toujours le représentant (tu vois) ( non, parce que je) qui- mais c'est Anne-Marie qui m'avait dit qu'il pensait changer de travail, non?

A-Ou, je me trompe

B-c'est-à-dire que

ფატიკური გამონათქვამის „non“ გამოყენება იწვევს B-ს თქვას სიტყვა და განავითაროს ექსპლიციტური დისკურსი.

შემდეგი ნაწყვეტი წარმოადგენს გადაცემას ნარატიული ტიპის სიტყვათა რიგისაკენ. A წარმოადგენს მოსაუბრეს, მაშინ როცა B ჰყვება. გარკვეული შეკითხვები კი ავითარებს თემის ამა თუ იმ ასპექტს.

A- ah oui déjà

B-Ah, ouais dis donc=écoute ( tu avais dit) tu t'rappelles de Christelle ben moi ( parle=hein)

A-ah ouais ( rire)

B-oh: là là

A- le médecin a dit quelque chose?

B- non pas encore ( tu sais) je veux dire=euh

A- h.h ( ben) tu sors jamais?

B- ben ( j'avais dit) encore

A- ouais, ben c'est bien

B- ( J'avais dû le dire)

(quoi j'avais=euh)

A-non, non, non, fais-toi voir=euh un petit peu de temps quand tu seras plus grosse

B- ouais Remarque ouais

A- hein t'as pas besoin d'aide?

B-( )Ben en fait oui

ნაწყვეტი წარმოადგენს მსმენელის ჩართვას გაიზიაროს და დააზუსტოს მოსაუბრის ვარაუდი. იგი ამავედროულად წარმოადგენს თანამოსაუბრის წაქეზებას ინტერაქციაში შემოვიდეს და განავითაროს თემა ან თემის რომელიმე ასპექტი. თანამოსაუბრის წაქეზება - გაიზიაროს საუბარი, შესამჩნევია, როცა მოსაუბრე ცდილობს ხაზი გაუსვას ახალი ინფორმაციის შემოტანას აღწერით ან ახსნით თხრობის დროს. იგი იმავედროულად იყენებს ვერბალური კონსტრუქციის ფატიკურ გამონათქვამებს, როგორიცაა „ tu sais” და “tu vois”.

შემდეგ ნაწყვეტში ნაჩვენებია მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობს თხრობის ინფორმაციულ სტრუქტურასა და ფატიკური გამონათქვამების გამოყენებას შორის.

I

A-et vous, ça va?

B -ça va, ça va oui

A-et les grands, les grands ça va?

B-Oui, oui, je réfléchis qu'est ce qu'il m'a dit, m'a appelée juste avant.

A—bon

B- donc Jean-Louis=euh, il était parti chez un copain

A- ah ouais

B-Et Sylvie qu'est- ce qu'elle m'a dit déjà a oui, elle est restée, elle avait une répétition de danse cet après-midi

A- Ils font du sport, ça fait bien ( rire)

B-(voilà) euh, Roland, il a fait le tir à la carabine.

A-A bon?

B-Tir à la carabine oui

A-ben tant mieux oui ( LBFRi\_08, 1.24-64:))

## II

A- Ecoute, je suis encore chez Laure et j'arrive dans dix minutes, est-ce que tu as déjà préparé à manger?

B-oui la viande est en train de cuire au four=hein

A- okee, alors

B-Je fais de la salade et c'est bon=hein, pour midi=euh, c'est tout: c'est tout prêt.

პირველ რიგში, ვადგენთ, რომ დისკურსულ კონტექსტში, სადაც მოსაუბრე ცდილობს ხაზი გაუსვას ინფორმაციის ელემენტს, არც თუ ისე იშვიათია, რომ ის ხშირად იყენებს ფატიკურ გამონათქვამებს, კერძოდ, ერთი მხრივ, “ hein” et “ tu sais” et “ hein” et “ tu vois” მეორე მხრივ, კომბინაციის რიგი არ არის შემთხვევითი. ფატიკური გამონათქვამი “hein” უფრო ხშირად ჩნდება პირველ პოზიციაში სპეციფიკურ გამონათქვამამდე (ფერნანდესი, 2004:64) და ზოგადად უკავშირდება დაფიქსირების ეფექტით იმ გამონათქვამს, რომელსაც ის წინ უსწრებს (აქ “carabine”, “hein” და “permet” “hein”). ასეთი კავშირი ქმნის პროსოდიული ინტონაციის ეფექტს, რომელიც გამოყოფს ინფორმაციის მატარებელი რემის ერთეულს, რომლის გაზიარებაც მოსაუბრეს თავის მსმენელთან სურს. “hein” მოვლენის ერთმარცვლიანი სტრუქტურა საშუალებას იძლევა უფრო ადვილად მივიღოთ ეს ეფექტი, ვიდრე უფრო რთული სტრუქტურა, როგორცაა “ tu sais” ან “tu vois”. მეორე მხრივ, ფატიკური გამონათქვამების კომბინაციები თითქოსდა შეესაბამება სპეციფიკურ დისკურსულ კონტექსტს, რომლებიც მისი გამოყენების მოტივაციას ახდენენ. ამგვარად, მოსაუბრე აწვდის ინფორმაციას, რომ როლანი კარაბინით სროლას მისდევს, თან ხაზს უსვამს ამავე დროს S-სთვის ამ ინფორმაციის „სიახლეს“ ( “ hein” როგორც ხაზგასმის ხერხი) და იმ ფაქტს, რომ საქმე ეხება იმ ინფორმაციას, რომლის გაზიარებაც A-ს სურს B -თვის( “ tu sais” როგორც გამონათქვამი, რომელიც მიუთითებს პერცეფციული ზმნის“ savoir”-ის კოგნიტიურ კონოტაციაზე). ამგვარად, ცოდნის ცნება არ მიუთითებს ემპირიულ ცოდნაზე, რომელიც ალბათ ერთგვარად „უცხოა“ საუბრის მონაწილეების მიერ ერთმანეთისთვის გაზიარებული სიტუაციისათვის.

ასე რომ კონკრეტული ინტერაქციული მნიშვნელობა, რომელსაც ანიჭებს ფატიკური გამონათქვამები “ hein” et “ tu sais” გამონათქვამს “ il fait le tir (..) à la carabine” იმაში მდგომარეობს, რომ ინფორმაცია გადმოსცეს, როგორც მოსაუბრე A-ს ვარაუდი და მოუწოდოს მსმენელ S-ს, რომ ის გაიზიაროს.

მიღებული ინფორმაცია, არ გამოდგება იმისათვის, რომ სრულად გააუმჯობესოს მისი ცოდნა ემპირიული სამყაროს შესახებ. მას საშუალებას

აძლევს წარმართოს თავისი ვარაუდი მსმენელის ვარაუდისაკენ, ურთიერთგაგების გაუმჯობესების მიზნით.

ის ხერხი, რომლითაც ფატიკური გამონათქვამი ხელს უწყობს წინადადებაში ინფორმაციის წარდგენის ჩამოყალიბებას : “*eah(.) roland il fait le tir ( qui est=eah) (1.5) à la carabine=hein, tu sais?*” საშუალებას გვაძლევს განვასხვავოთ ინფორმაციის ორი დონე:

-1. ზოგადი ინფორმაცია( *Roland pratique le tir*).

-2. ზუსტი ინფორმაცია( *il s’agit du tir à la carabine*).

აქედან გამომდინარე შესაძლებელია ვთქვათ, რომ ფატიკური გამონათქვამები წარმოადგენს შემსრულებელ მექანიზმებს, რომლის გაგება მთლიანად ემთხვევა წინადადების რემას, თუნდაც რომ არ ჩაუვლრმავდეთ იმ მსჯელობას, რომელიც ეხება სტრუქტურას - „ შემსრულებელი მექანიზმი-მოქმედების რადიუსი“ როგორც ანალიტიკურ კატეგორიას, რომელიც პრაგმატული სინტაქსიდან გამომდინარეობს“ (OpeBarden, Fiehler 2001).

## I

A-ah oui, tu penses à des examens, ah ouais d’accord.

B-donc=eah il faut quand même réviser (et puis dans, au mois de juin là, ben)

A-ça y est, c’est ben

B-ça (rire) bon=hein, j’espère que je vais avoir des points d’avance ( mais bon)

A-oooh, ben, j’espère que oui quand même, tu te bouges un peu et puis tu verras=hein

B-oui.

ეს ნაწყვეტი აჩვენებს, რომ მოცემული მსჯელობები მიმართულია მოსაუბრისაკენ. hein-ის ფორმა ყველაზე ხშირადაა ამ კონტექსტში გამოყენებული. ნაწყვეტში, თხრობა “ elle a bien raison=hein” გამოხატავს სხვა პიროვნების ქცევის მოწონებას, თან გამოხატავს სხვა პიროვნების წაქეზებას გაიზიაროს ეს მოსაზრება. რაც შეეხება საუბარს „ça sera bon=hein” გამოხატავს მოსაუბრის პოზიტიურ დამოკიდებულებას B-ს მდგომარეობის მიმართ, რომელიც ასევე მზადაა საატესტატო გამოცდებისთვის. პოზიტიური დამოკიდებულება გამოხატულია მის იმედშიც „avoir des points d’avance”, რაც ადასტურებს განვითარების პოზიტიურ ხასიათს.

## II



A-vous, c'est en ville s'est passé bien avant

B-oui

A-je pense qu'en Allemagne tu as des dialectes qui sont locaux qui sont toute la région.

B-oui

A-tu habites à la ville ou à la campagne, alors que la ça fait " en riant".

B-....oui

A- ouais, c'est ça=hein

B- je crois que c'est qui fait que

A-?

B-hmm

A-oui

B-ouais

A-et qu'on a du mal de comprendre (rire)

B- (a mais=euh). Je crois que Lorraine est loin, le pire=hein

A-ouais

B-ouais

A- il y a le Vosgien aussi

B- le vosgien est pas mal aussi.

ამ დიალოგში, მსჯელობა სუბიექტურია „je crois que“, სადაც ასევე შეინიშნება მოწოდებითი ფუნქცია „hein“ მოუწოდებს მსმენელს.

### III

A-ah:oui=euh là, justement on arrive quoi il y a une demi heure quoi ( je sais pas)

B-ah bon? Là, bon je vous ai alors=hein (rire)

A-ouais

B-je vous ai pris juste=hein?

A-pourquoi? Oui=oui=oui

#### IV

A-ce soir, si je vais à un concert sur Voiron.

B-ah –ah avec ta copine?

A-non non

B-(rire)

A-avec des copains, hh

B-t'es sûr que c'est pas une copine?

A-ah non, j'en ai plusieurs

B-he eh bien donc c'est vrai que toi=hein, le don Juan=hein=(rire)

A- (rire) J'en ai de la chance=hein

B-ah oui oui h,h,h

აზრის გაზიარებისას B საუბრობს A -ის მიერ გადმოცემულ ინფორმაციაზე, რომლის მიხედვით ის და მისი ცოლი ეს-ესაა დაბრუნდნენ გასეირნებიდან. ამ ნაწყვეტში ფატიკური გამონათქვამი იზიდავს მსმენელის ყურადღებას არა მხოლოდ მთხრობელის ინფორმაციული ღირებულებით, არამედ სიცილით ( pris au point alors=hein (rire), რითაც ჩანს მთხრობელი ამყარებს კავშირს პარტნიორთან. მთხრობელი B უერთდება A-ს სიცილში, რაც ადასტურებს შენიშვნას, რომ ის „ჭეშმარიტი დონ უჟანია“ და შემოჰყავს შემდეგი თხრობა „J'en ai de la chance=hein“. ეს თხრობა კი დასტურდება შემდეგი რეპლიკით „a oui, oui a oui h h h“ ( სიცილი, რომლითაც მთავრდება პირველი თანამოსაუბრის ინტერაქციაში ჩართვა. ( “ pris au point alors=hein (rire) წარმოადგენს იმის ნიშანს, რომ მოსაუბრის სურვილია დაამყაროს ფატიკური კავშირი პარტნიორთან წაქეზების მეშვეობით. წარმოდგენილი აზრთა გაზიარება ემსგავსება ბ. მალინოვსკის ფატიკურ კავშირს. ფატიკური გამონათქვამების გამოყენება საშუალებას აძლევს მოსაუბრეს აქტიური მონაწილეობა მიიღოს საუბარში. აქვე ხაზგასმულია შესაძლებელი დისკურსული კონტექსტების სხვადასხვაობა, რომლითაც იწარმოება წაქეზებისა და მსჯელობის ფუნქციები. სპეციფიკური ინტერაქციული მნიშვნელობები და ფუნქციები სხვადასხვაგვარია, რომლებიც გარკვეული რაოდენობით ეყრდნობა გარკვეული რაოდენობის ნიშან-თვისებებს.

ფატიკური გამონათქვამის გამოყენება საშუალებას აძლევს მოსაუბრეს, რომელიც აქამდე მსმენელის როლში იყო, აქტიურად ჩაერთოს საუბარში და განუსაზღვროს თავის პარტნიორს ის როლი, რომლითაც მან რეაგირება უნდა მოახდინოს და დაეთანხმოს მის სიტყვებს. მაგალითად:

ა. პროცედურულ პლანში :

-კოლოკუციის მართვის უნარი, რომელიც საშუალებას იძლევა განაწილდეს მოსაუბრისა და მსმენელის როლები;

-თხრობის საქმის კურსში შეყვანის უნარი, (იქვე) განსახილველი თემატიკის მართვის ხერხით;

-მიმართვის ფუნქცია, რომელიც საშუალებას იძლევა პარტნიორის ყურადღება მიიპყროს იმ მიზნით, რომ მოიპოვოს „იმ როლის დადასტურება“, რომელსაც მოსაუბრე ჰქვია;

-წინადადების ინფორმაციულ ბირთვზე ფოკალიზების ფუნქცია;

-არგუმენტაციული და პარტნიორზე დადებითი ზემოქმედების მოხდენის ფუნქცია;

-დისკურსის სტრუქტურირების ფუნქცია.

ბ. ურთიერთობის პლანში:

-შექმნილი პროცედურების განმტკიცების უნარი აზრთა თანხვედრის ექსპლიციტური გამოხატვით;

-ექსპლიციტური მნიშვნელობის გაუმჯობესების უნარი პოტენციურად მუქარის შემცველი მეტყველების აქტის შერბილების მეშვეობით (უარყოფითი შეფასება, შეურაცხყოფელი შენიშვნა).

მოცემული მაგალითების შედარებით ნათლად ჩანს, რომ ფრანგულ ინტერაქციაში ხშირად ჩანს ფატიკური გამონათქვამები: “hein”, “tu vois”, “tu sais”. ასევე მნიშვნელოვანია რიტუალიზირებული აზრთა გაცვლა-გამოცვლები ჯანმრთელობის საკითხის ირგვლივ.

## I

A-Comment ça va?

B-Ben, ça va pas mal tu vois? Qu’ on est en train de bricoler.

A-Ah, vous êtes en travaux.

## II

A-Comment ça va?

B-Oui ça va et toi?

A-Ben ma foi moi ça va=hein

B-ça va

A-(tu suis) ton petit bonhomme de chemin?

B-ouais (rire).

## III

A-ça va?

B-oui, ça va et toi?

A-ouais bon on fait aller=hein

B-ouais

A-( tant) qu'il y a le beau temps.

აღსანიშნავია, რომ ფრანგული სატელეფონო საუბარი ჯანმრთელობაზე საკმაოდ ხშირია, თუმცა ფატიკური გამონათქვამები უფრო ხშირად მქლავნდება მოპატიუებებში შემდეგი გამონათქვამებით: “ hein”, “tu vois”, “tu sais”.

## IV

A-ça va?

B-ça va: tour doucement= j'ai été vachement malade, très malade.

A-ah bon?

B-j'ai eu une otite.

A-qu'est ce que t'as eu?

B-ah d'accord

A- “ voix plaintive, le mal d'oreilles tu sais?

B-ah ben là,ça fait très mal tu t'es fais soigner?

A-Ben, je suis allé chez le premier médecin qui m'a donné des médicaments.

V

A-à midi et demie il est venu me chercher à la gare.

B-ouais

A-hein=impeccable, c'était une semaine super, il faisait pas mauvais

B-Il pleuvait?

A-Il pleuvait pas, mais il a fait froid, tu vois=donc

B-Ah oui, il a fait froid, ouais un peu=euh

A-la semaine dernière il a fait froid (donc)

B-voix basse et morose, ouais nous aussi pas le beau temps=hein

A-hein, ce que j'ai et là il fait super beau là hier et aujourd'hui

B-magnifique

A- ah nous aussi tout beau, magnifique et là

B-ouais

A-Je bosse=je fais la salle de bain là

B-oh, génial

A-ouais, euh o là là et toi ça va alors euh (maman et tout).

ამ ნაწილში ყურადღება გადატანილია მოსაუბრის ფიზიკურ მდგომარეობაზე, მაშინ როცა მეორე ნაწილში საუბარია პარიზში მოგზაურობაზე. პირველ ინტერაქციაში ფატიკური გამონათქვამი „tu sais” არის თხრობის ნაწილი. ამგვარად, ვერბალური გამონათქვამის გამოყენება A-ს მიერ მოტივირებულია სურვილით ჩართოს B ინტერაქციაში და იგი იყენებს ცნებას „otite”, რაც ყურის ანთების სინონიმია. მოცემული დისკურსით ჩანს, რომ მთხრობელი A ცდილობს გაუზიაროს თავისი პრობლემა თავის მეგობარ B-ს. მისი საუბარი წარმოდგენილია მომხივანი ხმით, რაც აძლიერებს ემფაზის ეფექტს ინტენსიური ზმნიზედების დახმარებით “vachement” და “très,” რომელიც დაკავშირებულია პრედიკატულ ზედსართავთან “malade” და ხაზს უსვამს მოსაუბრის მიერ განცდილ ტკივილს. კონტექსტში საჭიროა დავაზუსტოთ კონტრასტის ცნება, რომელიც გადამწვევტ როლს ასრულებს

ექსპრესიული ფუნქციის განხორციელების თვალსაზრისით, რომელიც ინტერქაციულ პერსპექტივაში განიხილება. დიუბუას ლინგვისტურ ლექსიკონში შემდეგი განსაზღვრებაა მოცემული:

“ლინგვისტიკაში კონოტაცია აღნიშნავს მეორადი მნიშვნელობების ერთობლიობას, შექმნილს განსაკუთრებული ენობრივი მასალის გამოყენებით და რომელიც ემატება ენობრივი კოლექტივის შეთანხმების საგნის, კონცეპტუალურ თუ კოგნიტიურ მნიშვნელობას, ძირეულ თუ სტაბილურ მნიშვნელობას, რომელიც დენოტატს წარმოადგენს. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ სიტყვები არ წარმოადგენენ ენობრივ მასალას, რომელთაც კონოტაციის გამოწვევის უნარი აქვთ. უნდა ვიმოქმედოთ თავისებური გამოთქმის, წინადადების სტრუქტურისა თუ დისკურსის ფორმის მიხედვით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუცილებელი არ არის, რომ კონოტაციის ერთეულები დენოტაციის ერთეულებს ემთხვეოდეს.” (დიუბუა და სხვ. 1994:111)

ამ დეფინიციის მიღებით ვხვდებით, რომ მრავალგანზომილებიანი ანალიზის მეთოდოლოგია, განსაკუთრებით ისეთი სახით, როგორც ის წარმოდგენილი იყო მესამე ნაწილში, კონოტაციის ცნებასთან მჭიდრო კავშირშია, როგორც მნიშვნელობასთან, რომელიც კონკრეტულ ინტერაქციულ კონტექსტში მომდინარეობს ლინგვისტური და პარალინგვისტური მაჩვენებლის თავისებური სტრუქტურიდან. ამგვარად, ერთი მხრივ, დენოტაციასა და მეორე მხრივ, კონოტაციას შორის დაპირისპირება მრავალ პრობლემას ქმნის, კერძოდ, უნდა ვიცოდეთ, თუ არსებითად რა მოვლენა შეიძლება ჩაითვალოს ლინგვისტურ მოვლენად და რომელი არა.

სოსიურის ლინგვისტური ნიშნის თეორიის თვალსაზრისით, „კონოტაციის კვლევა ლინგვიტიკის მიღმა რჩება“ და ეკუთვნის სემიოტიკას, „ზოგად მეცნიერებას ნიშნების“ შესახებ (დიუბუა და სხვ. 1994:112). ამ თვალსაზრისით კერბრატ-ორეკიონიმ დაგვანახა ის ხერხი, თუ როგორ უნდა განვიხილოთ კონოტაცია, რომელიც ხშირად ემოციურ მნიშვნელობას უთანაბრდება და დამოკიდებულია იმ ხერხზე, რითაც ენაში სამი კომპონენტი ფასდება, რომლებიც შეიძლება აღწერილ იქნეს, როგორც აზროვნების პროცესი, სურვილის გამოხატვა და ემოცია.

“შეხედულებები განსხვავებულია, როდესაც საქმე ეხება ენაში ამ სამი კომპონენტის შედარებით მნიშვნელობას და შესაბამისად, ჩნდება კითხვა დაინტერესდეს თუ არა ლინგვისტიკა ემოციური კომპონენტით” (დიუბუა და სხვ. 1994:112).

ამგვარად, განვასხვავოთ „4 სფერო“, რომელთაგან ერთი წარმოდგენილია იაკობსონის მიერ, რომელიც ჩემი აზრით, უნდა იყოს ის, რომელიც ამ კონტექსტში ითხოვს დაცვას:

“მეტყველება უნდა შესაწვლილ იქნეს მისი ფუნქციების სახესხვაობის ყველა დონეზე. თუ განვიხილავთ მეტყველებას იმ ინფორმაციის თვალსაზრისით, რომელსაც ის გადმოსცემს, არ გვაქვს უფლება ინფორმაციის ცნება დავიყვანოთ მეტყველების კოგნიტიურ ასპექტამდე” (იაკობსონი, 1963: 215)

მეორე პრობლემა, რომელიც იმ დეფინიციასთან ჩნდება, რომელსაც დიუბუა და მისი კოლეგები გვათავაზობენ, ეხება იმ იდეას, რომ „მეორადი მნიშვნელობები“, რომლებსაც კონოტაცია გვაძლევს, წარმოადგენს უფრო ინდივიდუალურ მნიშვნელობებს, რომლებიც უპირისპირდება ზოგადად ყველასათვის ცნობილ მნიშვნელობებს. მაშასადამე, კომუნიკაცია როგორც „ემოციის მაჩვენებელი“ შეიძლება იყოს სოციალური და შეთანხმებითი, ან ინდივიდუალური და იდოსინკრაზული (კოსნიე 1994, კერბრატ-ორეკიონი 2000: 40-41).

“თუ წითლისა და საფრთხის ასოციაცია კონოტაციას აღნიშნავს (თუკი ის არ მონაწილეობს ტერმინის დენოტაციაში), მაინც შევამჩნევთ, რომ ეს მნიშვნელობა ცნობილია ყველა ფრანგი მოსაუბრისათვის. კონოტაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს მთლიანად ენობრივი კოლექტივის ან რომელიმე ინდივიდის გამოცდილებასთან (დიუბუა და სხვ. 1994:111).

ახლა მივუბრუნდები იმ განსხვავებას, რომელიც კერბრატ-ორეკიონიმ შემოგვთავაზა, რაც არსებობს გამოხატულ ემოციას (გრძნობის გამომხატველი ერთი ტერმინის მეშვეობით, როგორც ეს მაგალითშია “ je suis heureux” ანდა მეორეში “ça me dégoûte”) და კონოტაციით მიღებულ ემოციას შორის, რომელიც გამოხატულია სხვა საშუალებებით მაგალითებში. (“j’ai été vachement malade, très malade”).

რეპლიკა, რომელსაც B ამბობს „წუხილით“, რომელიც გამოხატულია A-ს მიერ (“*შეწუხებული ხმით*“ > *le mal d’oreilles tu sais?*”) გვიჩვენებს, რომ ფატიკური გამონათქვამი “ tu sais” გადმოცემულია უპირატესად ისე, რომ მოსაუბრეს სურს პირადი განცდის ელემენტი გაიზიაროს A-მ, როგორც ისეთი ელემენტი, რომლის შესახებ ყველამ იცის “ ah ben là, ça fait très mal, tu t’es fais soigner? “ ამგვარად, გამონათქვამში “ tu sais” შეიძლება შევნიშნოთ სემანტიკური მნიშვნელობა, რომელიც ნაკლებად მიგვანიშნებს კოგნიტიურ მნიშვნელობაზე, ვიდრე სხეულის ნაწილის ტკივილის ცოდნაზე, რომელიც ეფუძნება ადამიანების მიერ მათი არსებობის მანძილზე მიღებულ და დაგროვილ გამოცდილებას. მტკიცებულება “ là ça fait très mal” შეადგენს დისკურსიულ მარეგულირებელს, რომლითაც თანხმდებიან, რომ „ცოდნა“ ყურის ტკივილის შესახებ წარმოადგენს მტკივნეულ გამოცდილებას“.

ამ კონტექსტში ნათლად ჩანს კონოტაციის ცნებაც, რომელიც სიტყვა-გასაღების როლს თამაშობს ინტერაქციულ პერსპექტივაში. ლინგვისტიკაში კონოტაცია აღნიშნავს მეორადი აღმნიშვნელების ერთობლიობას, რაც გარკვეული

ლინგვისტური მასალითაა გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ თვით სიტყვები არ წარმოადგენენ ლინგვისტურ მასალას, რომლებსაც შეუძლიათ კონოტაციის გამოწვევა, ის შეიძლება განსაკუთრებულად წარმოითქვას ფრაზების აგებით ან დისკურსის ორგანიზებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კონოტაციის ერთეულები არ ემთხვევა დენოტაციის ერთეულებს.

რაც შეეხება შემდეგ ნაწყვეტს, მთხრობელი ორმაგ სტრატეგიას იყენებს. იგი მეგობარს უყვება, რომ მისი მოგზაურობა კარგი და საიტერესო იყო და თან ხაზს უსვამს იმას, რომ მაინც შეხვდა წინააღმდეგობები, რითაც ცდილობს არ გამოიწვიოს თანამოსაუბრეში შურის განცდა.

## I

A- et toi, raconte-moi, Paris

B-ouais bien chouette ouais

A-c'était bien?

B-ouais, ouais

A-t'es rentrée quand?

B-c'était le paradis et là, c'est la rentrée oui tu vois?

A-ah, ouais, pourquoi?

B-Je suis rentrée (seulement) samedi, après-midi

A-ah ouais d'accord.

შეიძლება ითქვას, რომ ემოციური გამოხატულების პლანში, მოსაუბრე ქალი ხან აქებს და ხან აძაგებს პარიზს, რომლითაც ერთდროულად წარმოქმნის როგორც ძლიერ დადებითი ემოციის ( “ bien chouette ouais”, “ c'était le paradis”) ასევე ძლიერ უარყოფითი ემოციების გამომხატველ წინადადებებს ( “ et là, c'est la rentrée oui: (<bas>tu vois,>) h, “et tout le monde faisait la gueule”). სავსებით შესაძლებელია, რომ ეს სტრატეგია წარმოადგენდეს გარეგანი მხარის მართვის სპეციფიკურ ფორმას, რომელიც ერთდროულად მიმართულია იმისაკენ, რომ დაიცვას მოსაუბრის პოზიტიური სახე, რომელიც შეიძლება გამოჩნდეს ძალზე „გახარებული“ და „ტრაბახა“, რომელიც პარიზში მოგზაურობაზე მხოლოდ ხოტბის შესხმით საუბრობს, ასევე მეგობარი ქალის დადებითი სახის შენარჩუნებას ცდილობს, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს აღფრთოვანებული „პროვინციელი“ ქალის როლში, ვისთვისაც მდიდრული ცხოვრება უცნობია.



დასტურის თხოვნის ცნება განსხვავდება საუბარში მონაწილეობის ცნებისაგან, რომელიც გამოყენებულ იქნა წინა მაგალითების ანალიზის დროს იმ მიზნით, რომ მასში უფრო მაღალი ხარისხითაა გადმოცემული მოსაუბრის ყოყმანის ხარისხი, როცა საქმე ეხება „თანხმობის“ დაშვებას. ამგვარად, საქმე ნაკლებად ეხება ცოდნის, თვალსაზრისის, განსჯის მტკიცებას, ვიდრე რაიმეს „შეთავაზებას“. როდესაც მოსაუბრე B ითხოვს დასტურს იმის დაშვებაზე, “ t’es fâché avec moi non?”, ის ამით სთავაზობს თავის მსმენელს, რომ ისინი შეთანხმდნენ ამ საკითხზე. ამ თვალსაზრისით, საჭიროა ავღნიშნოთ, რომ გაურკვეველობა, რომელსაც მოსაუბრე გამოხატავს მის წინადადებაზე დათანხმებასთან დაკავშირებით, ინტერაქციული ველიდან გამომდინარეობს, რომელიც მას საშუალებას აძლევს მისი პარტნიორი თავის ველში შეიყვანოს, რითაც სთავაზობს მანვე მართოს საუბარი. დადასტურების თხოვნა ხშირად შეესაბამება მოსაუბრის სტრატეგიას, რომელიც ფატიკური ფუნქციის მეშვეობით ცდილობს დარწმუნდეს მსმენელის კეთილგანწყობაში; ის ამით სთავაზობს თავის მსმენელს, რომ ისინი შეთანხმდნენ ამ საკითხზე.

წარმოგიდგინოთ რამოდენიმე მაგალითს, რომლებიც ეყრდნობა ფრანგულ გამოთქმებს “ c’est vrai”, “ c’est bon”, “hein”.

## I

A-écoute, j’ai un problème, je voudrais te demander une faveur, c’est-à-dire, je devrais faire une visite au médecin, tu pourras pas me remplacer au travail, ça te pose pas un problème.

B-non=non pas de pas problème.

A-pas de problème, c’est vrai?

B-pas de problème, je t’ai dit oui=oui

A-écoute, tu m’enlèveras un poids parce que je t’avais pas, j’osais pas te demander, pas d’problème alors

A-pas d’problème.

## II

A-Je fais de la salade et c’est bon=hein, pour midi=euh, c’est tout prêt.

B-c’est tout prêt..okee alors, j’arrive dans 10 minutes, un quart d’heure, c’est bon?

A-c’est bon, je t’attends alors

B-à tout à l'heure.

### III

A-mais oui, tu peux faire le ménage (et rien quoi)

B-ben, j' fais attention quoi

A-tu fais pas les gros trucs hein

B-phhh

A-Ben ouais, pas bon=euh qu'est-ce que tu veux que j'y fasse

(j'ai pas quoi faire quoi, c'est....)

B-a-là là

A-pénible (oui).

პირველ მაგალითში, მთხრობელი A დახმარებას სთხოვს თავის მეგობარს B-ს. A მას ჰპირდება, რომ დაეხმარება( écoute tu m'enlèveras un poids) და გამოსატავს პატივისცემას B-ს მიმართ. A-ს შემოაქვს გარკვეული მტკიცება, თუმცა ამ სიტუაციაში ფატიკური გამოსატულების - “c'est vrai”-ს გამოყენება კი არ წარმოადგენს მოცემული მტკიცებულების გადამოწმებას, არამედ მისი მიზანია ინტერაქციის პარტნიორის დამშვიდება.

ფატიკური გამონათქვამის “c'est bon”-ის ფუნქცია შემდეგ ნაწყვეტში ემსგავსება “c'est vrai” . მასშივე წარმოდგენილია მოლოდინის დროც“ dix minutes un quart d'heure“ და მასშივე ჩანს თანხმობაც.

### IV

A-oh, c'est bon, je t'attends alors

B-à tout à l'heure

A-à bientôt au revoir

B-au revoir.

ამგვარად, ამ ნაწყვეტში ფატიკური გამონათქვამით “c'est bon” ჩანს მოლაპარაკის თანხმობა.

რაც შეეხება მესამე ნაწყვეტს, მთხრობელი გამოსატავს წუხილს მისი მეგობრის B-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ამ კონტექსტში არ ჩანს მხოლოდ მტკიცება, არამედ მოწოდებაც. A-ს რეპლიკა ( “ ben ouais, amis bon=euh)

(qu'est-ce que tu veux que j'y fasse, j'ai pas quoi faire quoi) აჩვენებს, რომ იგი ხსნის B-ს ნათქვამს, როგორც მოწოდებას, რომელსაც იგი არ ეთანხმება. ემოციური გამოხატულება „phhh” აღნიშნავს მხოლოდ იმ წინააღმდეგობას, რასაც განიცდის; B დილემის წინაშეა და წინააღმდეგობა ვლინდება “hein”-ით. ამ კონტექსტში დგინდება, რომ მტკიცებულების მოთხოვნა, რაც ფორმულირებულია “hein”-ით, წარმოადგენს უფრო ძლიერ პოზიტიურ წინააღმდეგობას, ვიდრე ფატიკური გამონათქვამები “ c'est bon” და “c'est vrai”.

რაც შეეხება განსხვავებას დადასტურების თხოვნის ცნებასა და თანხმობაზე ზღვარის გაღებას არც თუ ისე ადვილია. ამგვარად, როდესაც მოსაუბრე B ეკითხება “ j'arrive dans dix minutes un quart d'heure (.) c'est bon?,” ის ითხოვს დედის A-ის თანხმობას, მაშინ როდესაც მან არ იცის მის წინადადებას მიიღებენ თუ არა. სწორედ ამ მნიშვნელობით შეიძლება განვიხილოთ წინადადება ამავედროულად როგორც დადასტურების თხოვნა.

## V

A-bon, ben d'accord j'te remercie

B-J't'en prie

A-Je t'embrasse, embrasse ta maman

B-okee à bientôt

A-d'accord. Au revoir

B-au revoir et gros bisous

A- au revoir-gros bisous

მოსაუბრე, რომელიც იყენებს ფატიკურ გამონათქვამს “ d'accord” იმავედროულად სთხოვს პარტნიორს მის ნაცვლად მიესალმოს სხვა პიროვნებას ( embrasse ta maman). ფატიკური გამონათქვამები წარმოდგენილია პარტნიორის რეაქციული გამონათქვამებით, სადაც მოსაუბრე იყენებს გამოთქმებს „d'accord”, “ au revoir”.

აღსანიშნავია, რომ ფატიკური გამონათქვამები ვლინდება იმ კატეგორიებში, რომლებიც უფრო სპეციალიზირებულია და ერთმნიშვნელოვანია მათი ინტერაქციული მნიშვნელობის მიმართ. ამ მსჯელობიდან გამომდინარე დაისმის კითხვა: გამოდგება თუ არა ეს ხერხი იმისათვის, რომ “უზრუნველყოს” თანამოსაუბრის მიერ აზრის გაგება. გამონათქვამები “ d'accord” და ა.შ ნებას არ რთავენ მოსაუბრეს ხაზი გაუსვას დისკურსის ამა თუ იმ ელემენტს. ფატიკური გამონათქვამის ჩარჩოში ასევე აღსანიშნავია აღწერის კატეგორიებიც, როგორცაა:

(ცოდნის რაღაც ელემენტის გაზიარების შეთავაზება, აზრის, მსჯელობის ან შენიშვნის, პირადი გამოცდილების ელემენტის გაზიარების შეთავაზება).

იმ თვალსაზრისით, რომ ამ კატეგორიებმა საშუალება მოგვცეს გაგვეგო განსხვავებული ფატიკური გამონათქვამის ფუნქციონირება, ინტერაქციული დისკურსის მრავალგანზომილებიანი ბუნების გათვალისწინებით, ისინი შეიძლება განვიხილოთ ადამიანურ კომუნიკაციასთან მიმართებაში როგორც უნივერსალური “ფუნქციები”. ფაქტობრივად, ცოდნის რაღაც ელემენტის გაზიარების შეთავაზება, აზრის შეთავაზება და სხვ. დესკრიფციულ კატეგორიებს წარმოადგენენ, რომლებითაც ხდება თანასაუბრის მართვის ფუნქციების დაზუსტება ინტერაქციული სინქრონიზაციის სისტემასთან მიმართებაში. ამგვარად, შეიძლება ვთქვათ, რომ მოსაუბრე მართავს მსმენელს და სთავაზობს გაიზიაროს რაღაც თვალსაზრისი და სხვა. მეორე მხრივ, ეს კატეგორიები გვაბრუნებს იმ ენობრივ ქმედებასთან, რომელთანაც ფატიკური გამონათქვამები ასოცირდება. ქვემოთმოცემული ნუსხა კვლავ ადასტურებს იმ ქმედებებს, რომლებიც სხვადასხვა კატეგორიებშია ჩართული.

კატეგორიები:

ცოდნის რაღაც ელემენტის გაზიარების შეთავაზება-აღწერა, თხრობა, ახსნა, ინფორმაციის მიღება, შეტყობინება.

აზრის, მსჯელობის ან შენიშვნის გაზიარების შეთავაზება, კომენტირება (რაიმე მსჯელობის დადასტურების თხოვნა).

პირადი გამოცდილების ელემენტის გაზიარების შეთავაზება-(თხრობა, ინფორმაციის მიღება მისი ჯანმრთელობის შესახებ, კომენტირება, ახსნა, აღწერა).

დადასტურების თხოვნა.

დათანხმებისაკენ მოწოდება(ეს მოწოდება, როგორც ქმედება, დაკავშირებულია საუბრის თუ ინტერაქციის დასრულების რიტუალთან).

იგივე ენობრივი ქმედების გაჩენა მრავალ შემთხვევაში გვიჩვენებს, რომ ზღვარი სხვადასხვა ტიპის ქმედებებს შორის ზოგადად ცვალებადია. ვინაიდან ერთი ენობრივი ქმედების აღწერა გულისხმობს აუცილებლად შესაბამისი კომუნიკაციური აქტების სირთულისა და გამოყენებული გამონათქვამების მრავალფუნქციური საშუალებების შემცირებას, ყოველთვის შესაძლებელი როდია ერთი და იგივე წინადადება სწორად გავიგოთ, თუკი არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, თუნდაც გავითვალისწინოთ ინტერაქციაში მონაწილე პარტნიორის რეაქციები და საუბარში სიტყვის აღებისთვის საჭირო სიტუაცია. მეორე მხრივ, ის ხერხი და ხარისხი, რომლითაც ცალკეული ფატიკური გამონათქვამი ზრდის სპეციფიკური ენობრივი ქმედების ილოკუციას, ცვალებადია ინტერაქციის

კონკრეტული კონტექსტების მიხედვით. ამგვარად, ფატიკური გამონათქვამი “non”, რომელსაც ზოგადად იყენებენ დადასტურების თხოვნის ფარგლებში, შეიძლება გაჩნდეს იმ კონტექსტებში, როდესაც მოსაუბრის გაურკვეველობა რასაც ამტკიცებს, უფრო რიტორიკული სტრატეგიიდან გამომდინარეობს, რომელიც იმისთვისაა განკუთვნილი, რომ დარწმუნდნენ მსჯელობის ფარგლებში პარტნიორის თანამშრომლობის სურვილში (კატეგორია-აზრის გაზიარების შეთავაზება), მაშინ როცა სხვა კონტექსტებში “non” უპირატესად აღნიშნავს მოსაუბრის გაურკვეველობას, აძლიერებს რა ფუნქციას დადასტუროს რამე ანდა გადმოცემული მტკიცებულება მოიწონოს (კატეგორია-დადასტურების თხოვნა).

ამგვარად, ფატიკური გამონათქვამები, რომლებიც გამოიყენება დადასტურების თხოვნისა თუ თანხმობის მოწოდების ფარგლებში, ზრდის ენობრივ ქმედებებს, აძლიერებს რა მოწოდების მნიშვნელობას, სახის გამომეტყველების შენარჩუნებით. როდესაც საქმე ეხება ადრესანტის საუბარს, რომელიც მიმართულია ინტერაქციული მიზნების მისაღწევად, ხდება მსმენელზე ზემოქმედება ისევე, როგორც ზოგადად ზემოქმედების გამოყენებს დროს, რამაც შეიძლება გაამართლოს თავისთავად ისეთი ენობრივი საშუალების გამოყენება, როგორიცაა „ფატიკური“ საშუალება (დავუანი, 1981:56) ერთი მხრივ, მაგ. მახვილის დასმა და მეორე მხრივ, ზემოქმედება; ეს თვისებები (მახასიათებლები) საკმარისია, რათა განვსაზღვროთ ფატიკური გამონათქვამის როგორც კომუნიკაციური ხერხის ფუნქციონირება.

შემდეგი განსაზღვრება წარმოადგენს დროებითი დეფინიციის შეკუმშულ ვერსიას, რომელიც ქვეთავში იყო მოცემული, სადაც აქცენტი კეთდება მახვილის დასმის და მსმენელზე ზემოქმედების ცნებებზე:

ფატიკური გამონათქვამი არის ვერბალურ-ვოკალური ხერხი, გამოყენებული დისკურსების ინტერაქციული სინქრონიზაციის ფარგლებში, რომელიც ინტერაქციულ მდგომარეობაში მსმენელთან პირისპირ ყოფნის დროს წარმოიქმნება (ანდა სმენით გადაეცემა). მისი პროსოდიული, სიტუაციური, ლექსიკური, მორფოსინტაქსური და პრაგმასემანტიკური თვისებები საშუალებას აძლევს მოსაუბრეს გააძლიეროს ან გაზარდოს თავისი დისკურსის ელემენტი და ზემოქმედება მოახდინოს თავის პარტნიორზე, რათა უზრუნველყოს ურთიერთგაგება წინადადების და ფსიქოაფექტურ პლანში.

შემდეგი სქემები წარმოადგენენ სპეციფიური ფატიკური გამონათქვამების სხვადასხვა შესაძლო ასოციაციებს ამა თუ იმ ენობრივ ქმედებაში და შემდეგ მათ გამოყენებას გარკვეული სპეციფიკური ფუნქციებით.

სხვადასხვა ფატიკური გამონათქვამების კომბინირების შესაძლებლობა:

აღწერა—hein, tu vois?, tu sais?

თხრობა—hein, tu vois, tu sais?

კომენტირება—hein, tu vois, tu sais?

ასსნა—hein, tu vois, tu sais?

ინფორმაციის მიღება—hein, tu vois, tu sais? okee? d'accord?

შეფასება/მსჯელობა—hein, tu vois, tu sais?non? okee? D'accord?

დადასტურების თხოვნა—hein

დათანხმების თხოვნა—hein, oui? Non? Okee? D'accord

დადგენილია, რომ ფატიკური გამონათქვამების სერიები, ფრანგულ ენაში, შეიცავს მეტყველების ქმედების ერთობლიობასა და სპეციფიკურ ფუნქციებს, რომლებიც ანალიზის დროს იხენს თავს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განსახილველი ქმედებები და ფუნქციები შეიძლება სისტემატურად ასოცირებულ იქნეს ფატიკურ გამონათქვამებთან, როგორც თანამოსაუბრის მართვის ხერხი.

ამგვარად ფატიკური გამონათქვამი “hein” წარმოადგენს ერთადერთ ფატიკურ გამონათქვამს, რომელიც შეიცავს კატეგორიების ერთობლიობას, რომლითაც ის თითქმის „უნივერსალური“ ხდება ფუნქციურ პლანში. ასევე ფატიკური გამონათქვამებიც “tu sais”, “tu vois” მოიცავს იგივე კატეგორიებს.

ეს ჰიპოთეზა იმდენად მომხიბვლელია, რომ ის ახლებურად ჰფენს ნათელს ფრანგულ ენაში ფატიკურ გამონათქვამ “hein”-ის გამოყენებას. ფაქტობრივად, ის თავიდანვე აღქმულია, როგორც ფატიკური გამოხატვის საშუალება, რომელიც აძლიერებს დისკურსს. ესენია მისი გამომოყფი(ფონური) თვისებები, რომლებიც, როგორც ხელახალი ფორმულირების თხოვნის, ანდა ვინმესთან საუბრის დაწყების საშუალების სპეციფიკურ გამოყენებას შესაძლებელს ხდის.

თუ შევეცდებით პერსპექტივაში განვიხილოთ მოცემული დისერტაციის ფარგლებში განხილული მსჯელობა და ანალიზი, მნიშვნელოვანი იქნება, მივუბრუნდეთ იმ გადაწყვეტილებას, რომლითაც ფატიკურ ფუნქციას მივანიჭეთ გამოხატვის ფუნქცია, როგორც ცნებისა, რომელიც მეტყველების დინამიკურ თეორიაზე მიგვანიშნებს. ფაქტობრივად, ფატიკური ფუნქციის იაკობსონისმიერ მოცემული დეფინიცია გულისხმობს მეტყველების არა როგორც სტატიკური წარმონაქმნის ანალიზს, არამედ, როგორც წარმონაქმნს, რომელიც დაკავშირებულია არხის მართვის სპეციფიკურ კომუნიკაციურ პროცესთან და ადამიანურ ურთიერთობებთან. მეორე მხრივ, ვინაიდან ფატიკური საუბარი გულისხმობს უშუალო აზრთა გაცვლა-გამოცვლას სულ ცოტა ორ მოსაუბრეს

შორის, საუბრის ანალიზი, ისეთი სახით, როგორც ის სპონტანურად წარიმართება რეალურ დროში, ერთბაშად სავალდებულო ხდება.

არც თუ ისე იშვიათია, როდესაც მოსაუბრე მსმენელს ახალ თემას სთავაზობს ან ცვლის წინასწარ განვითარებულ თემას; მსმენელი, თავის მხრივ, იყენებს ფატიკურ გამონათქვამს, რითაც განუსაზღვრავს თავის პარტნიორს თანამოსაუბრის როლს. ამგვარად, ფატიკური გამონათქვამის ინტერაქციული მნიშვნელობა შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ინტერაქციული დისკურსის დასასრული. აქედან გამომდინარე, აზრის გაგება წარმოადგენს ფატიკური კომუნიკაციისათვის დამახასიათებელ კატეგორიას, რომელიც ახდენს მოსაუბრეთა მიერ გამოყენებული მეთოდების დემონსტრირებას, ფატიკური კომუნიკაციის დამყარების მიზნით.

ეს ისეთი საშუალებაა, რომელიც სტილიზებულია ინტონაციური ფორმით და მიუთითებს იმაზე, რომ სხვასთან საუბრისათვის გახსნილია: ფატიკური გამონათქვამი ინარჩუნებს სასაუბრო არხს ღია მდგომარეობაში და ამგვარად, უზრუნველყოფს აზრთა გაცვლის აუცილებელ მონაცვლეობას, რათა განხორციელდეს დისკურსის რეგულირება და ხელახალი რეგულირების პროცესი.

აქედან გამომდინარე, საქმე ეხება ერთ ელემენტს, რომელიც ახდენს კომუნიკაციის ამოქმედებას და რომელიც ჩანს მეტყველების დიალოგურ ლოგიკაში. ამგვარად, ფატიკური გამონათქვამის გრამატიკული სტატუსი ალბათ იქნება სინქრონიზაციის მამოძრავებელი მექანიზმი გრამატიკის შიგნით, რომელიც მეტყველებას კომუნიკაციური თეორიის ფარგლებში ათავსებს და რომელიც ინტერაქციის მრავალმოდალურ ანალიზს ეფუძნება.

ამგვარად, ნაბიჯი “გრამატიკა - ინტერაქციის სამსახურში” (მონდადა,2000:25) გადაგზულ იქნა მანამდე, სანამ დაისმებოდა საკითხი ფატიკური კომუნიკაციის გრამატიკული სტატუსის შესახებ. მაშასადამე, ეს კატეგორია შეიცავს ლინგვისტურ ერთეულებს, რომლებიც ტრადიციულად მინიჭებული ჰქონდა შორისდებულების კლასს და რომელთაც ძალზე რთული ბუნება გააჩნიათ მრავალი ლინგვისტის აზრით. მეტყველების ველის თეორია, რომელიც ელიჰმა განავრცო, იწვევს ამ კლასის გაქრობას იმით, რითაც ის მეტყველების ოპერატიულ ველში ჩაერთვის; ეს ის კატეგორიაა, რომელიც ეფუძნება მეტყველების რესურსების პრაგმატულ და ფუნქციურ ანალიზს, რომლებიც ენობრივ “ საშუალებებადაა” მიჩნეული. თუ ჩავთვლით, რომ ფატიკური გამონათქვამები წარმოადგენს სტრატეგიის განვითარებად ფორმებსა და სასაუბრო მართვის სისტემის ჩარჩოში განხორციელებულ პროცესებს, შესაძლებელია, რომ ისინი განვიხილოთ როგორც ლინგვისტური გამოხატვის ფორმები, რომლებიც მუდმივი ევოლუციის პროცესს ექვემდებარება (კოსნიე, 1987:312). თუ მივუბრუნდებით დისკურსიული მარკერების გრამატიკალიზაციასა და პრაგმატიზაციას, რომელიც დოსტის მიერაა წარმოდგენილი, შეიძლება ვივარაუდოთ, არსებობს ზუსტ ფორმასთან მიმართებაში,

გრამატიზირების მრავალი დონე(პრაგმატიზება სინქრონიში). ამგვარად, შესაძლებელია, რომ შორისდებული “hein”-ის ისეთი სახით გამოყენება, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, წარმოადგენდეს გამონათქვამ “hein”-ის არგუმენტაციული ფუნქციის მნიშვნელობით გამოყენებამდე პრაგმატიზირების წინა სტადიას.

მაშინ როდესაც შორისდებული “hein” შეიძლება მივაწეროთ მეტყველების ეფექტურ ველს, არგუმენტაციული “hein” რჩება ამ კატეგორიის გარეშე მისი ფუნქციონირების არაპირდაპირი ბუნების გამო.

ის ფაქტი, რომ შეგვიძლია პრივილეგია მივანიჭოთ მეტყველების დინამიურ ხედვას და იგი ჩავრთოთ თანასაუბრის მართვის მოდელში, საშუალებას გვაძლევს უკეთესად აღვიქვათ ფატიკური გამონათქვამის როლი სიტყვის ჩართვის თვალსაზრისით თანამშრომლობის ფარგლებში(მონდადა, 2001:10).

ფატიკური გამონათქვამის გამოყენებით, სავარაუდო გარდამავალ საფეხურზე, მოსაუბრე მსმენელს სთავაზობს წამოიწყოს საუბარი, რომლითაც დაეთანხმება მის დისკურსს იმავე დროს, რა დროსაც ცდილობს მიაღწიოს იმის დადასტურებას, რომ თავად წარმოადგენს მთავარ მოსაუბრეს (შეტეკორნი, 1977:205).

ამგვარად, თანამშრომლობის ცნება არ ეხება მხოლოდ რაიმე თემის შემუშავებას, იგი გვახსენებს, რომ ფატიკური გამონათქვამები ის ხერხებია, რომელთა მეშვეობითაც მოსაუბრე სთავაზობს თავის პარტნიორს თანამშრომლობას, რათა მონაწილეობა მიიღოს საუბრის თანამართვაში. მაშასადამე, მანამდე ჩატარებული ანალიზით განხილული მრავალი მაგალითი მიგვანიშნებს იმაზე, რომ დადებითი სავალდებულო წესის მიუხედავად, რომელსაც ფატიკური გამონათქვამი ახორციელებს, თანამოსაუბრემ შეიძლება აირჩიოს ის სტრატეგია, რომლითაც მისი მართვა შეუძლებელი იქნება.

#### 1.4. ფატიკური გამონათქვამის ადგილი დისკურსში.

ფატიკური გამონათქვამის ცნება ხშირად განიხილება, როგორც პრაგმატული ერთეულების ერთ-ერთი კატეგორია; ფატიკური გამონათქვამი სამეტყველო მარკერს წარმოადგენს, ანუ დისკურსულ მარკერთა ერთ-ერთი წარმომადგენელია.

სამეტყველო მარკერი, ჩვენს შემთხვევაში ფატიკური გამონათქვამი, შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვადასხვანაირად, დისკურსში მონაწილეთა მიზნების მიხედვით.



ფატიკური გამონათქვამის ფუნქციონირება და ადგილი დისკურსში დამოკიდებულია ინტერაქციაში მონაწილე პირებზე.

„საუბარში თავს იჩენს მოქმედ პირთა ინტერაქცია. საუბრით შეიძლება გავიგოთ არა მხოლოდ არაოფიციალური სიტყვა-გაცვლების მოცემული ტიპი, არამედ კომუნიკაციური გაცვლის მთლიანი ტიპი, რომელიც შედგება მთელი რიგი წინადადებებისგან, რომლებიც ჩამოყალიბებულია დიალოგური პრინციპის მიხედვით. დიალოგური პრინციპი კი აჩენს მოსაზრებას, რომ საუბარში შემუშავებული დისკურსი არის კოპროლექციის შედეგი, სადაც ფატიკური გამონათქვამები წარმოადგენენ საკვანძო სიტყვებს თხრობის ჩამოყალიბებაში. ეს ის გამონათქვამებია, რომლებსაც ტრავერსო უწოდებს „ ფატიკურ აღმნიშვნელებს“. ფატიკური გამონათქვამის ცნება ხშირად განიხილება, როგორც პრაგმატული ერთეულების ერთ-ერთი კატეგორია.

ფატიკური საუბრის ცნება ჩნდება XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში. ენის პრაგმატული მიდგომის ჩარჩოში, ის შთაგონებულია ბ. მალინოვსკის ფატიკური კავშირის კონცეფციით და გამოხატავს აზრს, რომლის მიხედვითაც ადამიანური კომუნიკაციის ერთ-ერთი ფუნქციაა კავშირის დამყარება და ინფორმაციის გადაცემა.

ფატიკური საუბრის ცნება ასოცირდება იმასთან, რომ კონტაქტში იყო ვინმესთან, დაამყარო ურთიერთობა, გაცვალო აზრები. მას ამავე დროს იდეების გადასაცემად იყენებენ. მალინოვსკის ფატიკური ფუნქცია შეიძლება ადგილს უთმობდეს რიტუალიზირებული ფორმულების გაცვლას მთლიან დიალოგებში, რომლის ერთადერთი მიზანია საუბრის გაგრძელება. მაგალითად: Allô, vous m'entendez?- რათა მიიზიდოს თანამოსაუბრის ყურადღება და დააზუსტოს, რომ ფატიკური ფუნქცია აღნიშნავს “დაკავშირების ტენდენციას, რომელიც წინ უსწრებს, ინფორმაციის მატარებელი შეტყობინებების გადმოცემის უნარს.

ბ. მალინოვსკი მას მოიხსენიებს ფატიკური კავშირის ცნებით, რომელიც მას ახასიათებს, როგორც ლინგვისტური ფუნქციის მქონე ფსიქო-სოციალურ ფენომენს. ეს არის პროცესი ანუ დისკურსი დიალოგის ფორმით, რაც ამყარებს კავშირს ინდივიდებს შორის. პიროვნული ურთიერთობა შექმნილია, დამყარებულია თხრობის შეთანხმებითი ფორმით, რომელსაც არც მიზანი აქვს და არც შეტყობინებას შეიცავს. ეს არის გარკვეული სიტყვების თხრობა, რომელსაც ყველა მოსაუბრე იმეორებს.

ფატიკური ფუნქციის ცნება ასევე ეყრდნობა თავაზიანობის პრინციპების თეორიას და მოიაზრება, როგორც სოციალური კავშირის დამყარება, გაგრძელება ან შეწყვეტა დიალოგური ენობრივი კომუნიკაციის პროცესში. ეს ცნება ასევე აღიქმება, როგორც სასუბრო სტილი, რაც ეფუძნება ინტერაქციის სტრატეგიებს და პროცედურებს, რომლის მეშვეობითაც მონაწილეები ერთმანეთს აუწყებენ, რომ

სასაუბრო არხი ღიაა და მათ შეუძლიათ ერთმანეთს გაუგონ და ხელახლა დაამყარონ ფატიკური კავშირი.

ამგვარად, ინტერაქციულ მიდგომას, რომელიც დაკავშირებულია ფამილიარული საუბრის განსაკუთრებულ ცნებასთან ტრავერსო მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ ინტერაქციის დროს ინდივიდები ამყარებენ „ ფამილარულ ურთიერთობას“. რაც შეეხება დისკურსს, ის მიჩნეულია წინადადებათა მთლიანობად, რომელიც გარკვეული წესებისა და ნორმების მიხედვით იწარმოება. მას ასევე უწოდებენ პრაქსეოლოგიურ მიდგომას, რაც ეთნომეთოდოლოგიის პრინციპებს ემყარება. ქვემოთმოცემულ სატელეფონო საუბარი, რომელიც ორ მეგობარს შორის მიმდინარეობს, სწრაფად ვითარდება და გვიჩვენებს პიროვნული ჩართულობის მაღალ ხარისხს.

A-Oui, allô?

B.-Allô, Gégé?

A.-Allô, oui

B- oui, c'est moi Josephine

A.- Adieu , ma biche.

Salut, ça va?

Et toi?

Raconte ouais, ça va bien

Bien

Enfin ça va ouais si on veut quoi

Alors encore des pertes de sang?

Ouais=ouais, toujours un peu

Et qu'est-ce qu'il t'a dit le docteur?

Il m'a dit repos et tout quoi bon, euh

Ah, oui, couché

Ouais, couché, mais je n'y reste pas parce que “bon”

Oui, mais fais attention

Oui, un peu peur, mais “ enfin”.

A-Et toi, raconte-moi

B.-Ouais, bien chouette, ouais, ouais

A- C’était bien?

B-ouais, ouais

A- t’es rentré quand?

B- c’était le paradis et là c’est la rentrée oui

A- Ah, ouais, pourquoi?

B- ophh, je suis rentrée et tout le monde faisait la gueule

A- h

ამ ნაწიყვეტის თემატური და პრაგმატული სტრუქტურების პლანზე შეიძლება გაგარჩიოთ თანმიმდევრობა, რომელსაც თან ახლავს საუბარი, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან და რომელშიც ვლინდება ორივე მონაწილის თავდაჯერებულობა. ეს თავდაჯერებულობა კულმინაციას აღწევს სევდის გრძნობის გამოხატულებაში, რაც ვლინდება აზრთა ბუნდოვან გაცვლა-გამოცვლაში ჯანმრთელობის შესახებ.

J’ai un peu peur, mais...enfin

Alors, encore des pertes de sang?

საქმე ეხება პროცედურას, რაც საშუალებას გვაძლევს ხაზი გავუსვათ კონტაქტის მუდმივობას „encore“-ით და აღინიშნოს მისი ინტერესი და სიმპატია ინტერაქციის პარტნიორისადმი.

“ თავისთავად მიმდინარე პროცესი”, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება მისი თემატურობით. აქ შეიძლება თავმოყრილი იყოს საუბარში ყველა ტიპის აზრის გაცვლა-გამოცვლა, რაც გამოხატავს აზრებს, გემოვნებას, გრძნობებს. ის შეიძლება შეიცავდეს ინტიმურ და საიდუმლო ელემენტებსაც ისეთ ბანალური ტიპის საუბრისას, როგორცაა თუნდაც საუბარი ჯანმრთელობის შესახებ. მასში იგულისხმება შეკითხვები ჯანმრთელობაზე, მოგზაურობაზე, გრძნობებზე, ფილმებზე. ამ ტერმინების გამოყენებით ჩანს ინტერპერსონალური ურთიერთობებში

ფამილიარული ხასიათი. ამგვარად, მისაღმების ტერმინების ფამილიარულობა მიუთითებს საუბრის მონაწილეთა მეგობრულ ურთიერთობაზე.

საუბარი ამინდზე ერთი მხრივ უახლოვდება ფამილიარულ საუბარს, სადაც აღინიშნება ორი ასპექტი:

- 1) ინტერპერსონალური ურთიერთობა, რომელიც გარკვეულ როლს თამაშობს საუბრის დინამიკაში, მაშინ როცა ფამილიარული საუბარი ხშირად უფრო გრძელია, ვიდრე ეს საუბარი ამინდზე. ფამილიარულ ურთიერთობაში მეოფ ინდივიდებს შორის ინტერაქციის ხანგრძლივობა უფრო დიდია, ვიდრე ეფემერული ინტერაქციის დროს.
- 2) ჰორიზონტალური ურთიერთობა ინტერაქტანტებს შორის აღინიშნება უფრო დიდი მანძილით და ვერტიკალური ურთიერთობა არის დისიმეტრიული.

ეს სქემები ემყარება კომუნიკაციური სტილის კატეგორიებს, რომლებსაც ლავერი ასე წარმოადგენს:

ა) საშუალო კატეგორია მიმართულია თხრობისაკენ და გამოცდილებისაკენ, რასაც იზიარებს საზოგადოების ყველა წევრი. მაგ: (ამინდი)

ბ) ეგოცენტრული (საკუთარ თავზე მიმართული) კატეგორია, რომელიც მიმართულია მთხრობელისაკენ ( Je ne suis pas faite pour cela).

გ) ემფატიკური კატეგორია ( სხვაზე მიმართული). იგი ეხება წინადადებებს, რომლებიც მიუთითებენ ინტერესზე და ინტერაქციის პარტნიორის გამოცდილებაზე, როგორცაა: “ça doit être dur”, “ Tu viens souvent ici?”

ინტერაქცია ინდივიდებს შორის წარმოქმნის დისტანციურ ურთიერთობას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცნობილი ზრდილობის ფორმულებით მხოლოდ საუბარს ამინდზე აწარმოებენ. მნიშვნელოვანია, რომ ფამილიარული საუბრების ხასიათი ხშირად რიტუალურია.

უმეტესი ჩვენთაგანისათვის ჩვეულებრივი დღე სავსეა ფატიკური კომუნიკაციით და ჩვენ ამას ვერც კი ვამჩნევთ. სინამდვილეში, 24 საათის გატარება ფატიკური კომუნიკაციის რაიმე ფორმის გარეშე ალბათ შეუძლებელი იქნებოდა.

სოციოლოგები, რომლებიც სწავლობენ ადამიანური კომუნიკაციის ხელოვნებას, ვარაუდობენ, რომ ფატიკური კომუნიკაცია, რომლითაც იწყება ამინდზე საუბარი, ხსნის სოციალურ არხს და ფაქტობრივად წინ უსწრებს ჩვეულებრივი კომუნიკაციის პროცესს. ძალიან ცოტა ხალხი იწყებს და ამთავრებს საუბარს სწორი ფაქტებით. ფატიკური კომუნიკაცია, როგორცაა: ხელის ჩამორთმევა, გვეხმარება პირველი ნაბიჯის გადადგმაში.

დღეს ინტერნეტის გარემო ფატიკური კომუნიკაციის სრულყოფილი მაგალითია. საუბარში მონაწილეების შემოსვლა ხშირად რიტუალიზირებულია, რაც საშუალებას აძლევს მოსაუბრეებს ჩაერთონ სოციალურ საუბრებში ინფორმაციის გარეშე. ფატიკური კომუნიკაცია ყოველდღიურად ჩნდება სამუშაო ადგილას. რეციპიენტი იღებს ჩვეულ მისალმებებს, რომ დაიწყოს და დაასრულს სატელეფონო საუბარი. ჩვენი ყოველდღიური სამუშაოს დიდი ნაწილი შემოიფარგლება სოციალური კომუნიკაციის მომენტებით. ზოგ ადამიანს არ სიამოვნებს ჰქონდეს უაზრო, უშინაარსო და უსაფუძვლო საუბარი, ზოგი კი მოხიბულია ფატიკური კომუნიკაციის სოციალური რიტუალით, მაშინაც კი როცა ზოგჯერ ცდილობენ თავი აარიდონ მნიშვნელოვან ფაქტებზე დამყარებულ საუბარს.

აღსანიშნავია, რომ კომუნიკაცია განიხილება როგორც ქცევა. კომუნიკაცია ხორციელდება არა როგორც ინფორმაციის გადაცემა, რომლის მიზანი შეიძლება არ იყოს რეციპიენტის მიერ მისი გამოცნობა და ინტერპრეტირება, არამედ ამ შემთხვევაში, შეიძლება განსაკუთრებული როლს ითამაშოს მსმენელის აქტიურობამაც.

კომუნიკანტთა ურთიერთმონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა იმის მიღწევა, რასაც ავტორი უწოდებს “ინტერსუბიექტურობას”, ხოლო ეს სუბიექტურობა ესმის, როგორც ფსიქოლოგიურად და ფენომენოლოგიურად განცდილი მთლიანობა.

„კომუნიკაცია წარმოადგენს ორ ან ორზე მეტ პიროვნებათა ენობრივი ურთიერთქმედების ისეთ პროცესს, რომლის დროსაც ხდება ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა.“

რაც შეეხება ტერმინს „საუბარი“ იგი გამოყენებული იყო, რათა აღენიშნა მთლიანად სიტყვიერი ინტერაქციის ტიპი, რომელიც ვითარდება ერთმანეთთან პირისპირ ყოფნის დროს. ასევე შეგვიძლია განვასხვავოთ „საუბარი ამინდზე“ და „ფამილიარული საუბარი“, ასევე „სატელეფონო საუბარი“ და „ჩვეულებრივი საუბარი“.

არსებობს ენობრივი აქტიურობის სქემები, რომლებიც მიმართულია ინტერპრეტაციისა და კომუნიკაციური აქტებისაკენ. ქვემოთყვანილი მაგალითით ჩანს როგორია ფატიკური გამონათქვამის ფუნქციონირების სპეციფიკა. ”d'accord?”, რაც შეიძლება აღწერილ იქნას როგორც რეალურ დროში საუბრის ანალიზი. ამ შემთხვევაში საქმე ეხება საუბარს ამინდზე ახალგაზრდა ქალსა და მის შეყვარებულს შორის:

A.-Je vais te rappeler tout à l'heure

B.- Oui, d'accord

A.- tu sais, on va faire comme ça

B.- oui

A.- Donne le bonjour à Anna

B.- Oui, d'accord

A.-bon

B.- à tout à l'heure ma bichette

A- à tout à l'heure, ciao

B.- Salut.

სიტუაციას წინ უსწრებს კომფლიქტური ხასიათის აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ახალგაზრდა ქალმა ეს-ესაა შესთავაზა თავის მეგობარს, რომ ის მას გაჰყვება ქალაქში, რაზეც ის უარს ეუბნება ყოველგვარი მიზეზის გარეშე. აღსანიშნავია, რომ საუბარი ყოველთვის არ სრულდება რეაქციითა და საუბარში მონაწილეობით.

ფატიკური ფუნქცია კომუნიკაციურ არსზე იქით მიემართება, სადაც შეტყობინებაა, რომელიც თავს იჩენს შეკითხვებში, გამეორებებში ან ფრაზებში და მისი ფუნქციაა გახსნას, დაასრულოს ან გააგრძელოს საუბარი.. მაგ: ორი პიროვნება, რომელიც ტელეფონით საუბრობს, ერთი ეკითხება მეორეს:

“¿ me escuchas? ¿ Escuchaste lo que acabo de decir?

ფატიკური ფუნქცია იყოფა ორ ნაწილად, ესენია: სიტუაციური და თემატური;

სიტუაციური – ეხება სიტუაციას, რომლებშიც მოლაპარაკებები იმყოფებიან, და წარმოადგენს თემას, რომლის შესახებაც ისინი საუბრობენ.

სატელეფონო საუბარი- ¿Hola, me escuchas? ¿ Escuchaste lo que dije?

წვეულებაზე- ¿Que haces? ¿Te puedo hacer algunas preguntas?- claro.

სკოლაში- ¿me prestas un lapiz? ¿Si tienes verda?

ეკლესიაში- ¿quien se va a casar? ¿ Luis?

საცურაო აუზზე- ¿Te gusta nadar? ¿Si y tú?

დისკოთეკაზე- ¿Me gusta bailar mucho y a tú? ¿casi no.

სამზარეულოში- ¿Que cocinas mama? ¿Pollo y tu que haces?

სააბაზანოში- Ya me canso de trabajar, me dare un descanso

-Yo igual, déjla allí la maquina.

საწოლში- ¿Me estoy despertado con buen hombre y tú?

también

გამოცდაზე- No se vale copier los ninos

-si maestro.

მისაღებ ოთახში- ¿sientense en el sillón en lo que esperan a Carlos;

Si senora, gracias

ქუჩაში- Mira, allí va Luis

- Si hay que hablarle.

ტელეფონზე საუბრისას, როცა გინდა იცოდე, ხომ არ დაგიკიდეს ყურმილი, ეკითხები: ¿je, je, je, segues ahí? Me oyes? როდესაც ყვები რაღაცას, ეუბნები “sabes?” , როცა ადასტურებ რაღაცას “no?” ¿estas seguro?

ფატიკური საუბარი ანუ “საუბარი ამინდზე” განიხილება, როგორც არაოფიციალური საუბრის სახეობა, სადაც ყურადღება არ მახვილდება განსაკუთრებულ თემაზე ან ინფორმაციის გადაცემაზე.

ენის ფატიკური ფუნქცია ინარჩუნებს ღია არხს შინაარსის სიმცირის მიუხედავად. მისი ფუნქციაა დაამყაროს, გააგრძელოს ან შეწყვიტოს კომუნიკაცია. ეს არის როგორც ლინგვისტური, ისე სოციოლოგიური ფუნქციის სახეობა. ფატიკური ფუნქციის ტიპური მაგალითია საუბარი ამინდზე, მისაღებები, ადგილობრივ მოვლენებზე საუბარი. აღსანიშნავია, რომ ენის ფუნქციებიდან ფატიკური ფუნქცია ერთადერთია, რომელსაც ჩიტები ფლობენ.

„ზოგიერთი შეტყობინების ძირითადი მიზანია დაამყაროს, გააგრძელოს ან შეწყვიტოს კომუნიკაცია და შეამოწმოს მუშაობს თუ არა არხი:

-Allô, vous m’entendez?

ასევე მიიპყროს თანამოსაუბრის ყურადღება და დარწმუნდეს, რომ ის ჩართულია კომუნიკაციაში: “ dîtes, vous m’écoutez?” ან შექსპირისეული სტილით რომ ვთქვათ „ყური მიგდეთ“, „prêtez-moi l’oreille“- კონტაქტის ასეთი აქცენტირება-ფატიკური ფუნქცია, მალინოვსკის მიხედვით, ადგილს უთმობს რიტუალიზირებულ

ფორმულებს, თუნდაც მთლიან დიალოგებს, რომელთა ერთადერთი მიზანია საუბრის გაგრძელება.

მაგალითად:

- Eh bien-dit un jeune homme.
- Eh bien- dit une jeune femme.
- Eh bien nous y sommes- dit-il.
- Nous y voilà, n'est-ce-pas?-dit-elle.
- Je crois bien que nous y sommes- dit-il.
- Hop! Nous y voilà, eh bien-dit-elle.
- Eh bien-dit-il, eh bien.

ფატიკური ფუნქციის მეშვეობით შესაძლებელია კონტაქტის დამყარება ჩიტებთან. ეს არის ასევე პირველი ვერბალური საშუალება, რასაც ბავშვები იძენენ. მათთან კავშირის დამყარების ტენდენციას წინ უძღვის უნარი მიიღონ და გადმოსცენ ინფორმაციის მატარებელი შეტყობინებები.

### დასკვნა I თავის მიხედვით

მოცემულ თავში წარმოდგენილია რ. იაკობსონის თეორია ფატიკურ კომუნიკაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, კომუნიკაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალური და ფსიქოლოგიური ურთიერთობანი, რომელიც სუბიექტებს შორის საკომუნიკაციო პროცესების დასრულებამდე მყარდება.

ასევე აღინიშნა, რომ ფატიკური ფუნქციის ცნება ეყრდნობა თავაზიანობის პრინციპების თეორიას და იგი მოიაზრება, როგორც სოციალური კავშირის დამყარება, გაგრძელება ან შეწყვეტა დიალოგური ენობრივი კომუნიკაციის პროცესში; “ფატიკური საუბრის” ცნება კი ჩნდება XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ისეთი თეორიის შემუშავებით, რომელიც ემყარება ზრდილობის პრინციპებს ენის პრაგმატული მიდგომის თვალსაზრისით, ხოლო “ფატიკური საუბრის” ცნება ასოცირდება ვინმესთან კავშირის დამყარებასთან და აზრთა გაცვლა-გამოცვლასთან.

განსაკუთრებით საყურადღებოა ფატიკური ფუნქციის ანალიზი მალინოვსკის, იაკობსონის და ბიულერის თეორიების თვალსაზრისით. მოცემული ანალიზის მიხედვით კ. ბიულერმა ენას მიანიჭა შემდეგი სამი ფუნქცია: გამომხატველობითი,



კონატიური და წარმომადგენლობითი, ხოლო რ. იაკობსონმა ამ მოდელს დაუმატა ფატიკური, მეტალინგვისტური და პოეტური ფუნქციები. რ. იაკობსონის მიხედვით, ფატიკური ფუნქციის მიზანია ლინგვისტური კონტაქტის შენარჩუნება, ხოლო ფატიკური კომუნიკაციის საფუძველზე მყარდება კონტაქტი გადამცემსა და მიმღებს შორის. რ. იაკობსონი გამოჰყოფს კომუნიკაციის ექვს ფაქტორს: კონტექსტი, მესიჯი, მთქმელი/ადრესატი ანუ მსმენელი, კონტაქტი, კოდური ნიშანი. აქვე ხაზგასმულია, რომ სწორედ რ. იაკობსონს ეკუთვნის ცნება “ფატიკური კომუნიკაცია”, რადგან სწორედ მან დაინახა ამ ფენომენის ადგილი ენობრივი სისტემის ისეთ ასპექტებს შორის, როგორცაა ენობრივი ფუნქციები, ენობრივი საკომუნიკაციო ელემენტები და ენობრივი კომუნიკაციის ფაქტორები.

ფატიკური კომუნიკაცია მოიაზრება, როგორც ვერბალურ-ვოკალური საშუალება, რომელსაც ვერბალური ინტერაქციის მონაწილეები იყენებენ და რომელიც მონაწილეობს დისკურსის თანაწარმოქმნის პლანში, ისევე როგორც სემიო-ემოციური თანამშრომლობითი ურთიერთობის პლანში, რომლის მიზანია მონაწილეებს შორის „კარგი ურთიერთგაგების“ უზრუნველყოფა.

რაც შეეხება „hein“-ის ფუნქციონირების ანალიზს, იგი მიუთითებს, რომ ეს გამოთქმა, როგორც ფატიკური გამონათქვამების ერთობლიობა, ერთდროულად მრავალ პლანზე ჩანს. იგი აწესრიგებს გამონათქვამების მონაცვლეობას და ხელს უწყობს საუბრის თანწყობას. რაც შეეხება ფორმულებს, “hein,” tu vois” და “tu sais,” ისინი უკავშირდება შეთანხმებისა და თხოვნის კონცეფციებს. “Hein” ასევე გამოიყენება ფამილიარულ საუბარში, სადაც ის ახლავს შეკითხვას ან ფრაზას, რომელიც გაკვირვებას გამოხატავს. ამგვარად, ფატიკური გამონათქვამი “hein” წარმოადგენს ერთადერთ ფატიკურ გამონათქვამს, რომელიც შეიცავს კატეგორიების ერთობლიობას, რომლითაც ის თითქმის „უნივერსალური“ ხდება ფუნქციურ პლანში.

## თავი II. ფატიკური კომუნიკაციის პრაგმასემანტიკური ასპექტები

### 2.1. ინტონაციის როლი კომუნიკაციაში

ფატიკურ კომუნიკაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინტონაცია, რაც გულისხმობს წინადადებაში ტონისა და ხმის სიმაღლის გამოყენებას მნიშვნელობისა და ემოციის გადმოსაცემად. იგი ასევე განისაზღვრება, როგორც ფრაზის მელოდია, რომელიც ძირითადად ფრაზის შიგნით ხმის მოდულაციით შეიცნობა. ინტონაცია გადმოსცემს მოლაპარაკის ფიქრს, გამოხატავს მოლაპარაკის გონებრივ და ემოციურ მდგომარეობას, ავლენს სიტყვებსა და მნიშვნელობას შორის სხვაობას, ნათელს ჰყენს მსმენელისათვის დაფარულ ბუნდოვანებასა და ზრახვებს.

ინტონაციაზეა დამოკიდებული იმ განმასხვავებელი ფუნქციის არსი, რომლის საშუალებითაც, მაგალითად ერთმანეთისგან განვასხვავებთ თხრობით, კითხვით და ბრძანებით წინადადებებს. მაგალითად:

Tu manges avec lui demain.- შენ მასთან ერთად შეჭამ ხვალ.

Tu manges avec lui demain?- შენ მასთან ერთად შეჭამ ხვალ?

Mange avec lui demain!- ჭამე მასთან ერთად ხვალ!

ინტონაციას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ემოციურ გამონათქვამებში, რაც უშუალოდ მაცალკევებელ კითხვას უკავშირდება. მაცალკევებელი კითხვა კი უფრო ხშირად სალაპარაკო ენაში გამოიყენება. ამგვარი კითხვები შეიძლება იყოს ზრდილობის, ხაზგასმის ან ირონიის მიმანიშნებელი, რომლებიც თავდაჯერებულობას ან თავდაჯერებულობის ნაკლებობას გამოხატავს. ზოგ ენას მაცალკევებელი კითხვის ფიქსირებული ფორმა აქვს; მაგალითად: ფრანგული ენისათვის დამახასიათებელია გამოთქმა: n'est-ce-pas?

Elle ne sait pas ce qu'il fait, n'est-ce-pas?- მან არ იცის რას აკეთებს, არა?

Il est le meilleur en classe, n'est-ce-pas?- ის საუკეთესოა კლასში, არა?

Tu ne rétiens pas mon prénom, n'est-ce-pas?- შენ არ გახსოვს ჩემი სახელი, არა?

რაც შეეხება ხაზგასმას, იგი ფრანგულში შემდეგი ფიქსირებული ფორმით გამოიხატება „et toi?“

Je n'aime pas le fromage, et toi? - არ მიყვარს ყველი და შენ?

Je ne vais pas à l'école et toi?- არ დავდივარ სკოლაში და შენ?

ესპანურ ენაში, მაცალკევებელი კითხვა, რომელიც თან ახლავს უარყოფით წინადადებას მტკიცებითშია, მაშინ როცა მაცალკევებელი კითხვა, რომელიც ახლავს დადებით წინადადებას – უარყოფითშია. ყველაზე გავრცელებული ესპანური მაცალკევებელი კითხვებია : No? Verdad?

¿El presidente es loco, no?- პრეზიდენტი გიჟია, არა?

¿Este ordenador es nuevo, no?- ეს კომპიუტერი ახალია, არა?

¿No quieres comer, verdad?- ჭამა არ გინდა, არა?

როგორც სხვა ენები, ასევე ესპანური ენაც იყენებს აღმავალ ინტონაციას იმის მისათითებლად, რომ წინადადება კითხვითია. ამგვარად, წინადადება „ Mi madre esta en casa” (დედაჩემი სახლშია) განსხვავებულად ჟღერს და განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც შეკითხვას გადმოსცემს “¿mi madre esta en casa?” თუმცა სიტყვები და წყობა იგივეა. მაგალითად.

¿Habla Ud. Inglés?- ლაპარაკობთ ინგლისურად?

¿Se habla Ud Inglés aquí?- აქ ინგლისურად ლაპარაკობენ?

¡Discúlpeme por hablar tan mal en español!- მაპატიეთ, რომ ასე ცუდად ვლაპარაკობ ესპანურად!

¡Que tenga un buen día!- კარგ დღეს გისურვებ!

ფრანგულ ენაში ინტონაცია და აქცენტი ფრაზას ეკუთვნის და არა სიტყვას. ფრანგული ინტონაციისათვის დამახასიათებელია აღმავალი ტონი, რომლის მწვერვალი ფრაზის ბოლო თანხმოვანზეა. მაგალითად.

Oui, s'il vous plaît- დიახ, გეთაყვა!

Je vous en prie- გთხოვთ!

აღსანიშნავია, რომ ინტონაცია და ხმის ტონი ასევე კავშირშია ინფორმაციასთან. ტონის და ინტონაციის გამოყენებამ შეიძლება შეცვალოს ისეთი სიტყვების მნიშვნელობა როგორცაა:

Tu vas avec nous! - შენ ჩვენთან ერთად მოდიხარ (მიუთითებს ბრძანებას და გამოხატულია აღმავალი ტონით)

Tu vas avec nous? ( მიუთითებს შეკითხვას და გამოხატულია აღმავალი ინტონაციით.

## 2.2. სოციალური იდენტურობა ფატიკური კომუნიკაციის დროს;

სოციალური იდენტურობის თეორია განვითარდა მე-20 საუკუნეში და მისი შესწავლის საგანს წარმოადგენს ადამიანის ფსიქოლოგიური წარმოდგენა „ეგო“-ზე, როგორც სუბიექტურად აღქმულ რეალობასა და ინდივიდუალიზმზე, რომლის მეშვეობითაც პიროვნება საკუთარ თავს აიგივებს ამა თუ იმ ტიპოლოგიურ კატეგორიებთან (როგორცაა, სოციალური სტატუსი, სქესი, ასაკი, ჯგუფი, კულტურა და ა.შ). სოციალურ მეცნიერებებში გამოყოფენ სოციალურ იდენტურობას, რომელიც ყალიბდება ადამიანის ინდივიდუალური განვითარების კვალდაკვალ და რომელიც სოციალიზაციის, იდენტიფიკაციის, პიროვნული ინტეგრაციის შედეგია. ინდივიდის მიერ სოციალურ-კულტურული ნიმუშების, ღირებულებების ათვისება და გაზიარება, საკუთარი თავის ადგილის მიკუთვნება არ არის ერთგვაროვანი პროცესი და ხასიათდება გარკვეული ცვლილებებით; მეცნიერები ასევე გამოყოფენ იდენტურობის დაკარგვის, შელახვის შესაძლებლობასაც, რომელიც ძირითადად ინდივიდის ასაკობრივი, ფსიქოლოგიური კრიზისის ან სოციალურ-კულტურული გარემოს მკვეთრად შეცვლის შემთხვევაში რეალიზდება.

იდენტურობა სოციალური ურთიერთობის განზომილებაა, რაც ვლინდება საკუთარი თავის წარდგენისას. ისევე როგორც ჩვენი იდენტურობის ელემენტი, ისიც ქსოვილია, რომელიც ჩვენს სურვილებს და ჩვენს ღირებულებებს კვებავს. სოციალური იდენტურობა წერტილია, სადაც წარმოდგენილია სოციალური და ფსიქოლოგიური შემადგენელი ნაწილები ემოციური სტრუქტურის შიგნით, რაც შემეცნებელია პიროვნების მიერ. ფატიკური კომუნიკაციის ორ სხვადასხვა დონეს ასხვავებენ: ოფიციალურსა და არაოფიციალურს. ოფიციალური ფატიკური კომუნიკაცია მონოლოგიური ხასიათისაა და მას ხშირად ვხვდებით ოფიციალურ საზოგადოებრივ გამოსვლებში, პოლიტიკოსთა და სახელმწიფო მოღვაწეთა საჯარო მოხსენებებსა და საზეიმო გამოსვლებში, ხოლო არაოფიციალური – დიალოგიური ხასიათისაა და მას ნებისმიერი ინდივიდი იყენებს ყოველდღიურ ადამიანურ ურთიერთობებში. არაოფიციალური ფატიკური კომუნიკაცია ერთგვარ თამაშს წააგავს, სადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომუნიკაციაში მონაწილეთა ტაქტი, რომლის მიზანია სიტყვა არ შეაწყვეტინონ მოსაუბრეს და მასზე უხეში და გაუნათლებელი ადამიანის შთაბეჭდილება არ მოახდინონ. ამ შემთხვევაში საუბრის ინიციატივა ეკუთვნის იმას, ვინც პირველი იწყებს საუბარს ან მას, ვინც ასაკობრივი და პროფესიული უპირატესობით სარგებლობს, სადაც ხაზგასმულია ეტიკეტის დაცვა და რომელიც თანამოსაუბრეთა ფაქიზ და დახვეწილ დამოკიდებულებას მოითხოვს, თუმცა ყოველდღიურ საუბრებში ყოველივე ზემოხსენებულია დაცული. ასეთი საუბრები სიმეტრიულია და ყველა მონაწილეს თანაბარი უფლება აქვს, თუმცა მოსაუბრეებს დიდი სიფრთხილე და ტაქტი სჭირდებათ საუბრის სწორად წარმართვისთვის. ფატიკური კომუნიკაციის წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია სასაუბრო რეგისტრის დაცვა.

მოსაუბრეები უნდა ცდილობდნენ არ დაუშვან რამდენიმე რეგისტრის ერთმანეთში არევა. ენობრივი კომპეტენციის განმსაზღვრელი კი ისაა, რომ მოსაუბრე ახერხებს მარჯვედ მოარგოს სათქმელი იმ სიტუაციას, რომელშიც უწევს საუბარი. ზოგჯერ ასეთი უნარ-ჩვევა ავტომატურად უმუშავდება ინდივიდს და მას იყენებს სიტუაციის სახეობის შესაბამისად. იმის მიხედვით, თუ რა სახის დამოკიდებულებაა მთქმელსა და მსმენელს შორის- პარიტეტული თუ იერარქიული, როგორია საუბრის სტილი- შინაურული თუ ოფიციალური, ნაცნობობის დონე-ახლობლური თუ არაახლობლური, განათლებული პიროვნება ინსტინქტურად მოარგებს შექმნილ სიტუაციას სათქმელს და თითქოს მან წინასწარ იცის რა რეაქციას გამოიწვევს მსმენელში მის მიერ წარმოთქმული ფრაზა.

აღსანიშნავია, რომ საკომუნიკაციო საშუალებაში ნათლად ჩანს ამა თუ იმ ერის ყოფა. სასურველია ამ ენის შემსწავლელი პირები კარგად გაეცნონ მოცემულ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ყოფით ნორმებს, რათა თავიდან აიცილონ „ყოფითი შოკი“, ჩაწვდნენ უცხოური ენისა და ამ ენობრივი კოლექტივის ყოფით სამყაროს როგორც სემანტიკური, ისე პრაგმატული თვალსაზრისით. ნებისმიერმა ინდივიდმა უნდა გააცნობიეროს, რომ თითოეულ ერს აქვს მისთვის დამახასიათებელი ყოფითი ნორმები და უცხოურ გარემოში მოხვედრისას „ყოფითი შოკის“ თავიდან ასაცილებლად განსხვავებული ქცევა უცნაურად არ უნდა მივიჩნიოთ.

ყველასათვის ცნობილია, რომ კომუნიკაცია რთული პროცესია, რომლის სწორად განხორციელება ზოგჯერ ერთი და იმავე ენობრივი კოლექტივის წარმომადგენლებსაც კი უჭირთ. ამ შემთხვევაში აუცილებელია ვიცოდეთ რა შემთხვევაში როგორ წავმართოთ კომუნიკაცია. ჰელიდგი აღნიშნავს, რომ „ენის ცონდა ნიშნავს მისი გამოყენების ცოდნას“, ის რომ თითოეულ სიტუაციაში შესაბამისი ფრაზა წარმოთქვა, არის ენობრივი საშუალებების სწორად გამოყენების ძირითადი კრიტერიუმი. ყოველი კარგი მოსაუბრის მიზანია დააკმაყოფილოს მოთხოვნილებები, რომლებიც ამა თუ იმ ექსტრალინგვისტურ სიტუაციას ახასიათებს.

### 2.3. გენდერული იდენტურობა ფატიკური კომუნიკაციის დროს

სოციოლინგვისტიკა გვასწავლის, რომ ზოგიერთი სოციოკულტურული ჯგუფისათვის დამახასიათებელია ისეთი ენობრივი ვარიანტები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ამა თუ იმ ინდივიდის სოციალური მდგომარეობა (განათლების დონე, სამუშაო ადგილი, წარმომავლობა თუ საცხოვრებელი ადგილი) მისი ლაპარაკის მანერის მიხედვით. ამ ენობრივ

ვარიანტებს სოციალური ფუნქცია გააჩნიათ. ისინი გამოიყენება ინდივიდის სოციალური ვინაობის გამოსახატავად<sup>20</sup>.

სოციალური ვინაობა ყალიბდება იმ ნორმების ათვისებით, რომლებიც წარმართავს ადამიანის ქცევის არჩევანს. სოციალური ვინაობა გამოიხატება მრავალი სოციალური საქმიანობით (იმ ხელობით, რომელსაც ადამიანი მისდევს, გართობის ფორმით, ჩაცმის მანერით და სხვა). ვინაიდან ენა სოციალური პრაქტიკის სფეროს განეკუთვნება, ისიც ასევე მონაწილეობს ადამიანის ვინაობის ჩამოყალიბებაში.

პიროვნების ვინაობის დასადგენად, ერთ-ერთი პირველი ელემენტია მისი სქესი. თუმცა, ქალებად არ იბადებიან, ქალებად ყალიბდებიან, ამბობდნენ ფემინისტი ქალები 1970 წელს სიმონა დე ბოვუარის ჩაგონებით. იმისათვის, რომ გახდე ქალი ან მამაკაცი, საჭიროა, სხვა რამესთან ერთად ისწავლო ქცევის ნორმები, რომლებიც შენ სქესს შესაბამება ანუ აითვისო ისეთი მანერები, რომლებიც სოციო-კულტურული თვალსაზრისით განმსაზღვრელ მანერებს წარმოადგენს.

ჩაცმის მანერა ავლენს სოციალურ ვინაობას, რომლისთვისაც სქესი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. საკმარისია წარმოვიდგინოთ ის სირთულე, რომელსაც წააწყდნენ მოდის შემქმნელები, რათა დაენერგათ მამაკაცის ქვედა ბოლო ან წარმოვიდგინოთ თუ რა რეაქცია მოჰყვა იმ დროს, იმ ქალების ჩაცმულობას, რომლებიც შარვლის ტარების პიონერები გახდნენ. ფეხსაცმელების, სამკაულების სტილი, თმების სიგრძე, მაკიაჟი, ესენიც სქესის დადგენის კოდირებულ ნიშნებს წარმოადგენს. ზოგიერთი უესტი, დგომის ან ჯდომის მანერა, სიარულის მანერა ასევე განსხვავებულია მამაკაცებსა და ქალებს შორის.

სხვა სფეროს თუ გავითვალისწინებთ, ბავშვები ძალიან ადრეულ ასაკში ითვისებენ ალბათ ხმის ტემბრს და ინტონაციას, რომელიც მათ სქესს მიესადაგება, რისი ახსნაც სახმო აპარატის ფიზიოლოგიურ განსხვავებას არ შეუძლია. 3-5 წლამდე ასაკის ბიჭუნები ალბათ ითვისებენ ქცევის ისეთ ნიშან-თვისებებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს განვასხვავოთ ისინი ამავე ასაკის მქონე პატარა გოგონებისგან. პატარა ბიჭი, როდესაც ლაპარაკს სწავლობს, თავისი ქცევის მანერით სცილდება მისთვის ნაცნობ პირველ ნორმას, დედის, ქალის ნორმას, რომელსაც პატარა გოგონა ირგებს.

ზოგიერთ ენაში, რომლებსაც პრიმიტიული კულტურის ენებად მიიჩნევენ, ზოგიერთმა ანთროპოლოგმა გამოყო სქესის მიხედვით აღნუსხული განსაკუთრებული ფონოლოგიური ვარიანტები. როგორც ჩანს, ასეთი ტიპის ვარიანტები უფრო ხშირია ისეთ საზოგადოებაში, სადაც სქესის მიხედვით

<sup>20</sup> Sophy Bailly. “identité sexuelle et communication”. (სოფი ბაი/მთარგმნელი ქ. ჯაში, ნანსის უნივერსიტეტი 2, სტატია აღებულია ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო ჟურნალიდან “ენა, თარგმანი, ლიტერატურა”, 2005:205

როლების განაწილება უფრო ძლიერადაა გამოხატული. სამაგიეროდ, დასავლურ საზოგადოებაში, სადაც სქესთა თანასწორობისათვის მოძრაობა დიდი ხნის წინ დაიწყო და სადაც როლები ნაკლებად მკაცრადაა დიფერენცირებული, მცირე რაოდენობის ნაშრომი თუ მოიძებნება, რომლებშიც ფონოლოგიური ვარიანტები არსებობდეს და მკაცრად ყოფილიყოს გამიჯნული ქალების ან მამაკაცებისათვის. თუმცა მრავალი ფრანკოფონური წარმოშობის ლინგვისტური ნაშრომი გვიჩვენებს, რომ მამაკაცები და ქალები, რომლებიც ერთი და იმავე სოციალურ ფენას განეკუთვნებიან, ყოველთვის როდი იზიარებენ წარმოთქმის ერთსა და იმავე ნორმებს, რადგან ისინი არ ცდილობენ დაემსგავსონ ერთსა და იმავე (პრესტიჟული ჯგუფების) მოდელს.

ინტონაციის თვალსაზრისით, ფონოსტილისტიკაში ფრანგული კვლევები გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი პროსოდიული ნიშანი სქესის მიხედვითაა აღნუსხული. მაგალითად: ზოგიერთი ფონოსტილემა ალბათ უფრო დამახასიათებელია ქალებისათვის, ვიდრე მამაკაცებისთვის. მათ გამოყენებას ერიდებიან მამაკაცები, რადგან ამით შეიძლება საფრთხეში ჩაიგდონ მამაკაცური თვითმყოფადობა, თუმცა სხვა შრომები ამ ჰიპოტეზას უარყოფენ.

რაც შეეხება ლექსიკას, ერთსა და იმავე საზოგადოებაში მცხოვრებმა ქალებმა და მამაკაცებმა შეიძლება წარმოადგინონ ლექსიკური ცვლილებები, რომლებიც გამომდინარეობს იმ სოციალური წნეხისგან, რომლებსაც ისინი განიცდიან, როგორც განსხვავებული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები. ამგვარად, ზნეობრივმა და რელიგიურმა ტაბუმ და სქესმა შეიძლება ლექსიკური დიფერენციაცია წარმოშვას.

ბევრ საზოგადოებაში არსებობს სოციალური ტაბუ, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ლექსიკური ელემენტების გამოყენებაზე. ზოგჯერ იძულებული ვართ გამოვიყენოთ ეს აკრძალვები, თუმც კარგად ვიცით, რომ საქმე ეხება ტაბუდადებულ თემებს. განა იმიტომ არ ხდება ეს, რომ ისინი დავამკვიდროთ ენაში იმ თვისებების გამო, რომლებიც ვალდებულებისგან გვათავისუფლებს- გინება ზოგჯერ შვებას გვაძლევს! ამ აკრძალვის გამოყენების აუცილებლობა ზოგიერთ სტრატეგიას უდევს საფუძვლად, რომლის რეალიზებაც ხდება მოსაუბრის მიერ კომუნიკაციის პროცესში. პირველი სტრატეგია გახლავთ, თავი აარიდოთ იმ ტაბუს, რომელიც ქცევით ვლინდება. შევცვალოთ ტაბუდადებული სიტყვა, რომელიმე უესტით, ესაა არავერბალური სტრატეგია; ვერბალური სტრატეგიებიდან შეიძლება გავიხსენოთ უამრავი მეტაფორა, რომლებითაც სასქესო ორგანოების ნომინაცია ხდება ანდა შევცვალოთ სიტყვის წარმოთქმა, რომ გამოვხატოთ გამოუხატავი რამ.

ქალებისა თუ მამაკაცების მიერ ზოგიერთი სიტყვის განსაკუთრებული გამოყენების წესი ხშირად სოციალურ ტაბუს ავლენს, რომელიც სხვადასხვაგვარად ზეგავლენას ახდენს მეტყველებაზე, რომელიც დამახასიათებელია თითოეული

სქესისათვის. დასავლურ საზოგადოებაში, გინებას და უხეშ სიტყვებს უფრო ადვილად იტანენ კაცები, ვიდრე ქალები. ასეთ წრეებში მამაკაცები იყენებენ უფრო ხშირად ნიშანდებულ სიტყვებს. ქალებს შეუძლიათ გამოიყენონ არანიშანდებული სიტყვები და შემარბილებელი მეტაფორები, ან გარდაქმნან ტაბუდადებული სიტყვები აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში. აქედან გამომდინარეობს ორი განსხვავებული ლექსიკური ჯგუფის არსებობა, ან უფრო სწორად ლექსიკური ტერმინების მთელი რიგი, რომელიც მდებარეობს პოლუსიდან მამრობითისაკენ მიემართება, გაივლის იმ ზონას, რომელშიც არსებული სიტყვები საერთოა ორივე სქესის წარმომადგენლებისათვის. თუ ერთ-ერთი სქესის მიერ გამოყენებული სიტყვა სხვა სოციალური ფენის მამაკაცებისა თუ ქალებისათვის პრესტიჟული ნორმა ხდება, სიტყვის ასეთი გამოყენება შეიძლება გაფართოვდეს და გადაიქცეს სოციალურ ნორმად, რასაც ორივე სქესის წარმომადგენლები გამოიყენებენ, ანდა სქესის მიხედვით შეიძლება გარკვეული სტერეოტიპი შეიქმნას, რამაც შეიძლება პიროვნების ვინაობა ანდა სქესის მიხედვით გარკვეული სტერეოტიპი გააძლიეროს, ანდა გამოხატოს იდენტიფიკაციის სურვილი. გენდერული იდენტიფიკაციის დროს ასევე საყურადღებოა როლების განაწილება სქესის მიხედვით. საუბრის თემატიკით, რომელსაც უპირატესობას ანიჭებს ხან ერთი და ხან მეორე სქესი, შეიძლება აისახოს ის ადგილი და როლი, რომელიც მათ სოციალურად უკავიათ. ასე მაგალითად: მექანიკა, მანქანები, ფეხბურთი, ჩხირკედელაობა, ქალები, მეცნიერება და ტექნიკა, ეს ის თემებია, რომლებიც ასოცირდება მამაკაცებთან; ოჯახი, გრძნობები (მათ შორის სიყვარული), სამზარეულო და კაცები, ასოცირდება ქალთან. ასეთი სახით სასაუბრო თემატიკის გამოყოფა, გამომდინარეობს სპეციალიზირებული ლექსიკისაგან. შესაბამისად, მამაკაცები და ქალები შესაბამისად უფრო გათვითცნობიერებულნი არიან ამა თუ იმ სფეროში. აღსანიშნავია, რომ ქალთა და მამაკაცთა სასაუბრო თემებზე განსხვავებულია და ამის შემდეგი მაგალითებია:

მამაკაცების საუბარი:

“ Moi, je te dis que Strasbourg descendra pas. Si ça se trouve, ils vont même piquer le challenge Ackermann à Nantes.

-Déconne pas, ils vont jouer à Furiani et c'est pas là qu'ils prendront le bonus.

- Oh, tu sais. Le S.E.C.B. il est plus si bon qu'avant chez lui.

- De toute façon, ils auront pas à disputer les barrages! T'as vu le match d'hier? Ils ont pas quitté la surface de réparation pendant la première mi-temps.

- Tu charries. T'as pas vu la talonnade? Ils ont bien failli en encaisser un.

- Oui. Mais Dropsy était bien sorti.



- Officiel. Il a mérité sa place dans l'équipe B..."

ქალების საუბარი:

“ Chocolats. C'est du Suisse. C'est un steward qui me rapporte aussi du saumon fumé de temps en temps de Norvège.

- Non merci.

- T'aimes pas?

- J'aime ça, mais c'est mon foie qui aime pas.

- C'est pas plutôt les calories qui te font peur? Avoue.

- Tant qu'à faire, vaut mieux éviter, mais de toutes façons j'ai un régime diététique extraordinaire à base de protéines qui se neutralisent...Mieux que le macrobiotique. Le Matin tu commences par un yogurt sans sucre

- ....

- Moi, je m'en fous, il m'aime comme je suis...

- Au fait ça toujours avec lui?....

ზოგიერთი ნაშრომი გვთავაზობს, რომ დადებითად მახასიათებელი ის ტერმინები, რომლებსაც უპირატესობას ანიჭებენ მამაკაცები ან ქალები, ასახავს ფსიქოლოგიურ ღირებულებებს, რომელიც უფრო ძლიერდება თითოეულ სქესში იმ როლით, რომელიც მას უკავია: ქალური სინაზე, მამაკაცური ძალა და ა.შ.

რაც შეეხება ქალების მიერ გამოყენებულ სინტაქსს, ის უფრო ხშირად შეესაბამება დადგენილ ნორმას ვიდრე მამაკაცების მიერ გამოყენებული სინტაქსი. აქ ჩანს ჰიპერკორექციის ტენდენცია, რომელიც იმისთვის გამოიყენება, რომ მოხდეს ქალის სტატუსის სოციალური კომპენსირება; მაგრამ სულაც არ ხდება ჭეშმარიტი სინტაქსური დიფერენციაციის მაგალითების გამოყოფა, რომელიც დაკავშირებულია მოსაუბრის სქესთან. სამაგიეროდ, აღნიშნავენ ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის გამოყენებაში უპირატესობას, რომლებიც ზოგიერთ ლექსიკურ ტერმინთან კომბინაციით ანიჭებს ქალის საუბარს არაპირადაპირ ხასიათს, რომელიც ალბათ უფრო ხშირია, ვიდრე მამაკაცებში. მაგალითად, ზოგიერთი კვლევის მიხედვით, შუამდგომლობის გამოსახატავად ბრძანებითი ფორმის ნაცვლად ქალები მიმართავენ მოდალური ტიპის პერიფრაზირებას. ამ სექსოლექტური ვარიანტების სხვადასხვა ტიპის გამოხატულების კვლევა გვიჩვენებს, რომ არსებობს ერთგვარი დამთხვევა ზრდილობიანობის ფორმასთან

დაკავშირებით; თავაზიანობის გამო ქალებს ურჩევნიათ გამოიყენონ მოდალური ტიპის გამოთქმები. ესენია: ეფემიზმები, ლიტოტა, ჰიპერბოლა. მათ მოსწონთ ყოყმანით საუბრის მანერა, ანდა ექსპრესიული ინტონაციის გამოყენება, როდესაც მაგალითად, წარმოადგენენ თხოვნას ანდა ბოდიშს. ქალების ასეთი დიდი თავაზიანობა შეიძლება, მკვლევარების აზრით, განპირობებული იყოს ორი განსხვავებული ინტერპრეტაციის ხერხით, ერთი მათგანის მიხედვით ხდება ქალური თვისებების კრიტიკა, მეორეთი კი – მისი სათანადოდ შეფასება.

1) ქალები უფრო ზრდილობიანები არიან, რადგან მათზე მამაკაცები ბატონობენ;

2) ქალები უფრო ზრდილობიანები არიან, რადგან უფრო ზრუნავენ იმაზე, რომ კომუნიკაციის დროს დამყარდეს ერთგვარი ინტერესთა ერთიანობა. ასევე კომუნიკაციის დროს შეიმჩნევა საკომუნიკაციო ნორმების ცვლილება. მკვლევარების აზრით, კომუნიკაციის პროცესი განსხვავდება თავაზიანობის გამოყენების თვალსაზრისით. მამაკაცები არ არიან ალბათ ქალებთან შედარებით ნაკლებ ზრდილობიანები, მაგრამ განსხვავება ალბათ პიროვნებათა შორის კომუნიკაციის შესაბამის კონცეფციაშია, რომელიც ალბათ ყოველთვის როდი დაექვემდებარება დისკურსის წარმოებისა და ინტერპრეტაციის ერთსა და იმავე კანონებს.

ქალები და მამაკაცები ერთნაირად ფლობენ მეტყველების კოდს, შესაძლებელია განსხვავდებოდნენ თავაზიანობის წესების გამოყენებისა და საუბრის მანერის თვალსაზრისით. რაც შეეხება თავაზიანობის სტრატეგიას, ჰოლმსმა გამოყო თავაზიანობის ორი კატეგორია. ესენია: ბოდიშის მოხდა და ქათინაური. თავაზიანობის ამ ორ სტრატეგიას ალბათ არა აქვს ერთი და იგივე მნიშვნელობა, და არც ერთი და იგივე ფუნქცია კაცებისა და ქალებისათვის.

რაც შეეხება მობოდიშებას, საქციელის გამოსწორების მიზნით 74,5% დაფიქსირებულ შემთხვევაში ბოდიშს იხდიან ქალები, 73%-ის შემთხვევაში კი მათ უხდიან ბოდიშს. ბოდიშის მოხდა უფრო ხშირია ქალებს შორის, ვიდრე მამაკაცებს შორის. ქალები უფრო ხშირად ბოდიშს იხდიან, როცა ისინი სხვის ტერიტორიაზე აღმოჩნდებიან, მაშინ როცა მამაკაცები უფრო ხშირად ამას აკეთებენ დაგვიანების შემთხვევაში.

ქალები ასევე ბოდიშს იხდიან შეურაცხყოფის დროს, რაც დაკავშირებულია კომუნიკაციის პროცესთან (საუბრის შეწყვეტა, მოსმენის ნაკლებობა, ძალიან ბევრი ლაპარაკის დროს, ხოლო მამაკაცები კი ბოდიშს იხდიან იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც დაკავშირებულია რაიმე ნივთის გაფუჭებასა და დაკარგვასთან, (ესენია: კალმისტარი, მანქანა, წიგნი, ტანსაცმელი, სარეცხი მანქანა). რაც შეეხება ქათინაურებს, მამაკაცები უფრო მეტად ქალებს ეუბნებიან ქათინაურებს, ვიდრე სხვა მამაკაცებს. ქალები კი უფრო ხშირად ერთმანეთს

ეუბნებიან ქათინაურებს, ვიდრე მამაკაცებს, ხოლო მამაკაცები კი ერთმანეთს არ ეუბნებიან ქათინაურებს. ქალები მამაკაცებზე უფრო ხშირად იყენებენ ჰიპერბოლას, რომელიც აძლიერებს ქათინაურის დადებით ღირებულებას, მაშინ როდესაც მამაკაცები მიმართავენ ლიტოტას, რომელიც ასუსტებს ქათინაურის მნიშვნელობას. ქალები ერთმანეთს ეუბნებიან ქათინაურებს გარეგნობასთან დაკავშირებით, მამაკაცები კი უფრო მეტად ქონებასთან დაკავშირებით.

ტანენი, მალსი, ბორკერი გვირჩევენ (ტანენი, მალსი და ბორკერი, 1982-1991:196-216,) ასევე, რომ მამაკაცებმა და ქალებმა განსხვავებული წესები გამოიყენონ მეგობრული საუბრის დროს. შეუფერებელი წესების გამოყენება სხვადასხვა სქესს შორის კონტექსტში, შეიძლება ზოგიერთი ინციდენტის მიზეზი გახდეს ქალებსა და მამაკაცებს შორის კომუნიკაციის დროს. გაგების სირთულე გამომდინარეობს განსხვავებული წესების არსებობის არცოდნისა და უკმარისობით იმის გამო, რომ მოსალოდნელ რეაგირებას არ ჰქონდა ადგილი. დადგენილი იქნა ექვსი სასაუბრო სტრატეგია, რომელიც სქესის შესაბამისად იცვლებოდა (ტანენი, 1991:330). ესენია: შეკითხვის ინტერპრეტაცია და მნიშვნელობა: ქალები შეკითხვას იყენებენ იმისთვის, რომ არ შეწყდეს საუბარი, მამაკაცები კი მხოლოდ ინფორმაციის მისაღებად.

წინადადების დასაწყისი და მისი შემდგომი განვითარება. ისინი ექსპლიციტური ხდება ქალების მიერ, მაშინ როდესაც მამაკაცები კომენტარს არ უკეთებენ.

სიტყვიერი აგრესიის გამოხატვა; უარყოფითი დამოკიდებულებაა ქალების მხრიდან, პირობითია – მამაკაცებისთვის.

ერთი თემიდან მეორეზე გადასვლა; სასაუბრო თემა, რომელსაც ქალები ავითარებენ, თანდათანობით გადადის სხვა თემაში, მამაკაცებისათვის დამახასიათებელია მკვეთრად განსხვავებული თემატიკა, სუბიექტის მონაწილეობა საკითხის ამოწურვამდე, თემის მეტად მკვეთრი შეცვლა.

პრობლემის გაზიარება და ბევრი რჩევის მიცემა; ქალები უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ პრობლემებს, უყვებიან საკუთარი გამოცდილების შესახებ და ერთმანეთს ამხნევენ; მამაკაცები რჩევებს აძლევენ პრობლემასთან დაკავშირებით, ტუქსავენ ერთმანეთს, ექსპერტებივით იქცევიან კონკრეტული საკითხის გადაჭრის დროს.

ურთიერთმოქმედი რეგულატორის წარმოქმნა და გამოხატვა; თავის ქნევა, მოკლე კომენტარი „ დიახ“, „ჰო“, ნიშნავს „ გისმენთ“, განავრძეთ – ქალებში; გეთანხმებით, თქვენს აზრს მივყვები – მამაკაცებში.

უამრავი ემპირიული კვლევა, რომელიც უკვე 30 წელია მიმდინარეობს სექსოლექტური ცვლილების შესახებ, ზოგჯერ ურთიერთსაპირისპირო შედეგებს იძლევა. იგი მკვლევართა საკუთარ იდეოლოგიურ წარმოდგენასაც კი გამოხატავს. ამგვარად, ამ ნაშრომების მიხედვით, ხან სურთ ხაზი გაუსვან მამაკაცების

ქალებზე სოციალურ ბატონობას და იმას, რომ ქალებს ძალაუფლება არ გააჩნიათ საზოგადოებასა და საუბრის დროს, ხან სათანადოდ აფასებენ ზოგიერთ საკომუნიკაციო თვისებას, რომელიც დაკავშირებულია ქალის პიროვნებასთან, რომლის ფუნქციაც ალბათ ისაა, რომ გააძლიეროს სოციალურ ჯგუფში პიროვნებებს შორის ურთიერთობა.

ყველაფერი მაინც მიგვითითებს იმაზე, რომ მამაკაცები და ქალები, რომელთაც ერთი და იგივე კომპეტენციები აქვთ ენობრივი კოდის მართვაში, ალბათ, ერთმანეთში ურთიერთობისას ენის გამოყენების ერთი და იმავე სოციალური წესით არმოქმედებენ; პიროვნებებს შორის კომუნიკაციის დროს, ეს განსხვავებული ნორმები შეიძლება დაუპირისპირდეს ერთმანეთს და გამოიწვიოს უფრო კულტურათშორისი გაუგებრობა, ვიდრე სქესთა შორის გაუგებრობა.

## 2.4. ფატიკური კომუნიკაციის ტიპოლოგია

ფატიკური კომუნიკაცია როგორც ფენომენი ეკუთვნის არა მხოლოდ ენას, არამედ იმ შინაგან განუყოფელ მთლიანობას, რომელსაც თანამედროვე მეცნიერულ ლიტერატურაში „ლინგვოკულტურული არეალი“ ეწოდება. ისიც აღსანიშნავია, რომ ფატიკურ კომუნიკაციას ეკუთვნის ხსენებული არეალის ყოფითი დონე, ანუ ის დონე, რომელიც ყველაზე მეტი უშუალოდ რეაგირებს იმ სოციალურ, ცივილიზებულ თუ მეცნიერულ, ტექნიკურ ცვლილებებზე, რომელიც ასე დამახასიათებელია ჩვენი ეპოქისათვის. აქედან გამომდინარეობს ხსენებული ტიპის გამონათქვამთა ტიპოლოგიზაციის პირველი კრიტერიუმი, რომელიც შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს.

ა) ჩვენი თანამედროვე ყოფა (იქნება ეს ქართული, ესპანური თუ ფრანგული) გამოირჩევა შემდეგი დონეებრივი სტრუქტურით: არსებობს ამ ყოფის პირველადი ანუ ბუნებრივი, ანუ ახალი ტექნოლოგიების გარეშე დონე, რომლის ფარგლებში ურთიერთობენ, მაგრამ უფრო მნიშვნელოვან ღირებულებას იძენს ყოფითი ურთიერთობის ის დონე, რომელიც მთლიანად განპირობებულია თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნიკის არსებობით. აქედან გამომდინარე უნდა განვასხვაოთ ფატიკურ გამონათქვამთა ორი ტიპი- გამონათქვამები, რომლებიც გვხვდება ყოფის „პირველად“ დონეზე და გამონათქვამები, რომლებიც გვხვდება ყოფის მეორად, ანუ ტექნოლოგიურად განპირობებულ დონეზე ( ცერცვაძე,2007:68).

ბ) ტიპოლოგიზაციის მეორე კრიტერიუმი ეფუძნება თანამედროვე სემიოტიკის შემდეგ, დღეისათვის უკვე აქსიომატურ დებულებას: ნიშანი (ტექსტი) შეიძლება

იყოს როგორც ვერბალური, ისე არავერბალური. ცნობილია, რომ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ნიშანთა იმ არავერბალურ სისტემას, რომელსაც ადამიანი იყენებს ურთიერთობაში ვერბალურთან ერთად, „პარალინგვისტიკის“ სფერო ეწოდება. დღეს ხსენებული სფერო უკვე იქცა აქტიური ლინგვისტიკური კვლევის სფეროდ და ჩვენც იგი მივიჩნიეთ ჩვენი საკვლევი თემის ანუ ფატიკური კომუნიკაციის ორგანულ ნაწილად. ამის საფუძველზე ჩვენ გამოვეყავით ვერბალური და არავერბალური ფატიკური გამონათქვამები.

თუმცა ტიპოლოგიზაციის კრიტერიუმთა მეთოდოლოგიურ პრობლემასთან დაკავშირებით ჩნდება შემდეგი ორი მნიშვნელოვანი კითხვა:

ა) უნდა განვასხვავოთ თუ არა ფატიკური გამონათქვამები მათი სემანტიკური და პრაგმატიკული მნიშვნელობის მიხედვით? ამგვარი განსხვავების არსებობა ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი სხვა ტიპის გამონათქვამებისათვის, თუმცა ვიცით, რომ თავისი ფუნქციით ფატიკურობა ძალიან შორსაა ინფორმაციულობის იმ კრიტერიუმებისაგან, რომლის გარეშე შეუძლებელია მოხდეს სემანტიკისა და პრაგმატიკის მკაფიო გამიჯვნა; სემანტიკა განეკუთვნება სწორედ ინფორმაციული გამონათქვამის განზომილებას, ხოლო პრაგმატიკა კი ასახავს კომუნიკანტთა შორის ურთიერთმიმართებას;

ბ) აღსანიშნავია ფატიკურ გამონათქვამთა ორი ტიპოლოგიური ოპოზიცია: (ცერცვაძე, 2007:68).

1)პირველად-ყოფითი ფატიკური გამონათქვამები

მეორად-ყოფითი ფატიკური გამონათქვამები

2)ვერბალური ფატიკური გამონათქვამები

არავერბალური ფატიკური გამონათქვამები

მიუხედავად იმისა, თუ ყოფის რომელ დონეზე გამოიყენება ფატიკური გამონათქვამები და მიუხედავად იმისა, ექნება მათ ვერბალური თუ არავერბალური ფორმა, მათი მნიშვნელობა ერთნაირად განისაზღვრება ფატიკურობის ფუნქციით, ხოლო ამ ფუნქციამ ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება მიიღოს ერთ-ერთ იმ მნიშვნელობათაგანი, რომლებსაც ჩვენ გამოვეყოფთ ფატიკურობის ზოგად, ანუ პარადიგმატულ ტიპოლოგიაში.

ლინგვისტები და ენის ფილოსოფოსები ენას განიხილავენ, როგორც ფაქტობრივი ინფორმაციის გადაცემის საშუალებას. ყოველი ლინგვისტი აღიარებს ენის, როგორც საკომუნიკაციო საშუალების მნიშვნელობას, ვინაიდან არც ერთი სოციალური აქტის განხორციელება არ შეიძლება კომუნიკაციის გარეშე. კომუნიკაციის საშუალებით მყარდება ადამიანური ურთიერთობები, ხდება

თვალსაზრისების გაცვლა, გრძნობების გამოხატვა; კომუნიკაციის საშუალებით აღწევენ ადამიანები გარკვეულ მიზნებს, ახდენენ შთაბეჭდილებას სხვებზე და იქმნიან პიროვნულ ავტორიტეტს.

ვერბალური კომუნიკაცია ორი გზით ხორციელდება: ზეპირი ნიშნებით, სიტყვებით ან ნიშნების გრაფიკული წარმოდგენის საშუალებით. ზეპირი კომუნიკაციის ბევრი ფორმაა: წამოძახილები, კოცნა, ყვირილი, სიცილი, რომლებსაც შეუძლიათ გამოხატონ სხვადასხვა ხასიათი და სიტუაციები, რაც კომუნიკაციის პირველადი ფორმებია. ზეპირ კომუნიკაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს არტიკულაციური ენა, სტრუქტურული ხმები, რაც წინ უძღვის მარცვლებს, სიტყვებს და წინადადებებს, რითაც ჩვენ ვუკავშირდებით ერთმანეთს.

დაწერილი კომუნიკაციის მრავალფეროვანი ფორმებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: იეროგლიფები, ანბანები, ასოები, გრაფიტები და ლოგოები. დაწერილი შეტყობინების გასარკვევად მნიშვნელოვანია კოდის ცოდნა, რაც საერთო უნდა იყოს გამგზავნისა და მიმღებისათვის.

კომუნიკაციის თეორიაში გამოიყოფა ცალმხრივი და ორმხრივი კომუნიკაცია.

ცალმხრივი კომუნიკაციის დროს მხოლოდ ერთი ადამიანი საუბრობს. ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს ინტიმური მეთოდების გამოყენებას: შეკითხვების დასმას, საკუთარი მოსაზრების გამოთქმას, დისკუსიას.

ორმხრივი კომუნიკაცია გულისხმობს ინტერაქციული კომუნიკაციის პროცესს. ამ შემთხვევაში კომუნიკაციის პროცესში ჩართულია როგორც ერთი, ისე მეორე მხარე, რაც აადვილებს და უფრო გასაგებს ხდის მიწოდებული ინფორმაციის აღქმის პროცესს.

ზუსტი მნიშვნელობით ჩვენ გვესმის კომუნიკაცია როგორც ზეპირი, ინტერპერსონალური კომუნიკაციის ნაწილი, რომელიც ხდება მოსაუბრეებს შორის განსაკუთრებულ სიტუაციაში. მასში იგულისხმება ფიზიკური და აქტიური მონაწილეობა, სადაც ორივე, ადრესანტიც და ადრესატიც იყენებს ერთი და იმავე კოდს, ანუ ენას.

ვერბალური კომუნიკაციის ორ სახეობას გამოყოფენ: სასაუბრო და წერილობითი კომუნიკაცია. მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ისეთ ფაქტორებს როგორცაა: ფიქრის და საუბრის გამოხატულება, ინფორმაციის ხარისხი, რეაქციების თვითრეგულაცია და კონტროლი, ხმის მაღალი მელოდიურობა, ინტონაცია, რიტმი, ტემპი, არტიკულაცია და ა.შ.

ვერბალური კომუნიკაცია ენის მეშვეობით ხორციელდება. ენა უზრუნველყოფს ადამიანის სოციალურ, კულტურულ და ტექნოლოგიურ განვითარებას. ენა არ არის მხოლოდ ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის საშუალება ან ინფორმაციის

დამახსოვრების ხერხი. ენის საშუალებით ადამიანები იგებენ სხვების ქცევას და ქმედებებს და შეუძლიათ გაიგონ სიტუაციები და მოვლენები. ადამიანები ვერბალურ კომუნიკაციას იყენებენ სიტყვებისა და წინადადებების გადმოსაცემად. კომუნიკაციაში პიროვნებას შეუძლია გამოხატოს კომუნიკაციის ფუნქციების ნაირსახეობა. ეს ის საშუალებებია, რომლითაც კომუნიკაცია დასახულ მიზანს აღწევს. ვერბალური კომუნიკაცია ხორციელდება სიტყვათა მნიშვნელობების გადაცემით. ესენია: სიტყვათა მნიშვნელობები, საუბრის ტემპი, პაუზები საუბარში, ხმის ელფერი, რასაც პარალინგვისტიკა ეწოდება<sup>21</sup>.

კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვანია საუბრის ხანგრძლივობაც, რაც გამოიხატება სიტყვათა რაოდენობით. ვერბალური კომუნიკაცია შეიძლება იყოს მონოლოგი და დიალოგი. მონოლოგში ადამიანი თანმიმდევრულად გამოხატავს საკუთარ მოსაზრებას. მომზადებული საუბარი ხშირად მონოლოგია. მოლაპარაკენი ხშირად მიმართავენ მსმენელს, სვამენ რიტორიკულ შეკითხვებს და ა.შ. ზოგადად, კომუნიკაცია აღიქმება, როგორც საუბარი. უფრო ფართო მნიშვნელობით კომუნიკაცია არის ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა ინდივიდებს შორის საერთო სისტემების მეშვეობით. კომუნიკაცია ძირითად როლს თამაშობს ადამიანის სოციალურ ურთიერთობებში. ადამიანები უკავშირდებიან ერთმანეთს ნებისმიერ სიტუაციაში, როცა ვსაუბრობთ ახალ ამბებზე მეგობრებთან, ან ვიცავთ მათ მოსაზრებას, როცა ვკითხულობთ გაზეთებს ან ვსწავლობთ მეცნიერულ ტექსტს. კომუნიკაცია მაშინაც კი მყარდება, როცა ერთი მონაწილე ჩუმადაა.

ვერბალური კომუნიკაციის ძირითადი ელემენტი სიტყვათა მარაგია. სიტყვათა მარაგის მონაცვლეობა დამოკიდებულია ასაკზე, განათლებაზე, საქმიანობაზე და სქესზე. განათლებული ადამიანი, ვინც მუშაობს საზოგადოებასთან და მოგზაურობს, მდიდარია აქტიური და პასიური სიტყვათა მარაგით. სიტყვათა მარაგის მეშვეობით, პიროვნება ირჩევს კომუნიკაციისათვის საჭირო სიტყვებს, რომლებიც უკავშირდება საუბრის თემას სიტუაციით, განათლებით, ტემპერამენტით და ა.შ.

მოლაპარაკეები ხშირად წარმოთქვამენ სიტყვას, რამდენიმე სიტყვას ან ფრაზას და მხოლოდ მოგვიანებით ხვდებიან, რომ მათ სურდათ ეთქვათ რამე სრულიად განსხვავებული. ამ შემთხვევაში ისინი წყვეტენ საუბარს.

კომუნიკაციაში ასევე გამოიყოფა სპონტანური საუბარი, რომელიც არ არის გრამატიკულად სწორი. მასში არ არის სრულყოფილად აგებული ფრაზები, საუბარში მრავალი დეფექტია, რაც საერთო მოვლენაა სპონტანური მოსაუბრისათვის.

<sup>21</sup> <http://www.dictionarist.com/paralinguistic>

კომუნიკაციის შემდეგი ფორმებია: წერილობითი ენა, სალაპარაკო დიალოგი, საუბარი ვიწრო წრეში, საუბარი ფართო საზოგადოებაში, საკუთარ თავთან ლაპარაკი და ა.შ.

საუბარი კომუნიკაციის უფრო ეკონომიური ფორმაა, ვიდრე წერა. საუბარი ოფიციალურად უფრო მდიდარია, რადგან ადამიანებს ურჩევნიათ უშუალო კონტაქტი. ერთობლივი კომუნიკაცია ორ პარტნიორს შორის არის უფრო ეფექტური. ისინი ერთმანეთს უფრო მეტ აზრს უზიარებენ.

იმისათვის, რომ მივიპყროთ მოსაუბრის თუ ფართო აუდიტორიის ყურადღება, საჭიროა ვერბალური კომუნიკაციის შემდეგი საშუალებების გამოყენება. საუბრის ეფექტურად წამოწყება, საუბრის მანერა: ხმის ტემბრი და სიმაღლე, ხმის ინტონაცია (თბილი, ცივი) ტემპი (მონოტონური, დინამიური) და ა.შ. ცხოვრებისეული ან ფაქტებზე დაყრდნობილი მაგალითების მიცემა, სიტყვებისა და ფრაზების მრავალჯერ გამეორების თავიდან აცილება, ერთი თემიდან მეორეზე ლაკონურად გადასვლა, შესატყვისი ლექსიკის გამოყენება. კომუნიკაციის თეორიაში განსაკუთრებული როლი აკისრია ფატიკურ ფუნქციას, რომელიც უმეტესად გარე საკომუნიკაციო სისტემის ფარგლებში იჩენს თავს. ამ ფუნქციის მქონე რეპლიკები გამოხატავენ მოქმედ პირთა კომუნიკაციურ მზადყოფნას, მათ უნარს დაამყარონ კავშირი პარტნიორთან (მაგალითად: მიმართვა, პასუხი სხვის რეპლიკაზე, მიზანდასახული საუბარი.)

როდესაც შეხვედრისას ნაცნობებს არაფერი მნიშვნელოვანი არა აქვთ ერთმანეთისათვის სათქმელი, ისინი ჩუმდებიან; სიჩუმე კი ზოგჯერ აღიქმება, როგორც გაბუტვის, არამეგობრული დამოკიდებულების მაჩვენებელი. ამ სიჩუმის შესავსებად ადამიანები იწყებენ არაფრისმოქმედ საუბარს ამინდზე, ნაცნობ-მეგობრების ჯანმრთელობაზე და ა.შ.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა ის, რას იტყვი, არამედ როგორ იტყვი და შეძლებ თუ არა გამოხატო თანაგრძნობა თანამოსაუბრის მიმართ; ასეთ სიტუაციას შეიძლება შეესაბამებოდეს შემდეგი ქართული, ფრანგული და ესპანური ტერმინები: მუსაიფი, ბაასი- le petit discours, la petite conversation, una pequeña conversación.

ისევე როგორც ფრანგულ და ესპანურ ენებში, ქართულშიც მრავლად გვხვდება ფატიკური კომუნიკაციის ნიმუშები. თითოეული ცხოვრებისეული სიტუაციის შესაბამისად, ადამიანი არჩევს შესაბამის ქართულ, ფრანგულ და ესპანურ გამონათქვამს და ავტომატურად სვამს მას ამა თუ იმ კონტექსტში. გულთბილი და მეგობრული ატმოსფეროს შექმნაში კი სწორედ ფატიკურ კომუნიკაციას ენიჭება მნიშვნელოვანი როლი. ხშირად ადამიანები რაიმე გარკვეული მიზეზის გამოც კი გაუბამენ ხოლმე საუბარს სრულიად უცხო ადამიანებს. მათი ფატიკური



კომუნიკაცია იმდენად ახლობლურია, რომ ზოგჯერ საუბრის ბოლოს უცნობები მეგობრულად შორდებიან.

ფატიკური კომუნიკაციის გარეშე ადამიანები ვერ დაამყარებენ ურთიერთობას; მასში მკაფიოდ ჩანს კულტურული ტრადიციები, რომლებიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ენაზე.

ნებისმიერი ფატიკური გამონათქვამი წარმოადგენს ტექსტს ამ ტერმინის სემიოტიკური გაგებით, თუ მივიჩნიეთ, რომ როგორც ყველა სხვა ტექსტს, ფატიკურსაც უნდა ჰქონდეს სემანტიკური და პრაგმატიკული განზომილებები. აღსანიშნავია, რომ ჩვენ ვერ ვუარყოფთ ამ ორი განზომილების გამიჯვნის აუცილებლობას, რადგან ეს უარყოფა იქნებოდა ამ გამონათქვამთა არასემიოტიკური ხედვის ტოლფასი; მაგრამ ისიც ცხადია, რომ ფატიკური გამონათქვამები მინიმალურად შეიცავს ინფორმაციულობას და მასში მაქსიმალურადაა განხორციელებული ის, რასაც პრაგმატული მნიშვნელობა შეიძლება ეწოდოს. ამიტომ ჩვენთვის აუცილებელია ვილაპარაკოთ ფატიკურ გამონათქვამთა პრაგმასემანტიკაზე, რითაც ვინარჩუნებთ ამ ტიპის გამონათქვამთა სემიოტიკურ ხედვას, ე.ი მივაწერთ მათ სემიოტიკურობის თუნდაც მინიმალურ ხარისხს, მაგრამ ამავე დროს ვითვალისწინებთ იმასაც, რომ გამონათქვამის ფატიკურობა უნდა ნიშნავდეს მისი სემანტიკის პრაგმატულ ტრანსფორმაციას, ანუ სემანტიკის „პრაგმატიზაციას“ (ცერცვაძე, 2007:69).

ფატიკური კომუნიკაციის თემა ქართულში შემოიტანეს ლ. გოგსაძემ და ი.დემეტრაძემ, რომლებმაც გაანალიზეს ეს მოვლენა ბრიტანულ და ქართულ ენობრივ მასალაზე დაყრდნობით. დემეტრაძემ მოახდინა ფატიკური სემანტიკის დაყოფა შესაბამის ქვეტიპებად, ანუ შემოგვთავაზა ფატიკური კომუნიკაციის დეტალურად დამუშავებული პარადიგმატიკა, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ზემოაღნიშნული ნაშრომი შესრულებული იქნა თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების განვითარების უფრო ადრეულ ეტაპზე, რის გამოც თავის ნაშრომში ავტორი ნაკლებად ლაპარაკობს პრაგმატიკისა და სემანტიკის ურთიერთმიმართებაზე (ცერცვაძე, 2007:70).

ი.დემეტრაძე გამოყოფს ფატიკური კომუნიკაციის ცხრა ქვეტიპს, რომლებიც, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ერთმანეთთან პარადიგმატულ მიმართებაში იმყოფება. ეს ქვეტიპებია:

- 1) მისალმებები;
- 2) დამწვიდობებები;
- 3) მადლობები;
- 4) ბოდიშები;

- 5) დაპატიუებები;
- 6) შეთავაზებანი;
- 7) დალოცვები, მილოცვები;
- 8) თანაგრძნობის გამომხატველი გამოთქმები;
- 9) ქათინაურები;

ჩვენ ვიღებთ ი. დემეტრაძის მიერ შემოთავაზებულ ფატიკურ პრაგმასემანტიკას მის სისტემურ მთლიანობაში, მაგრამ ამავე დროს საჭიროდ მიგვაჩნია შევავსოთ იგი იმ პრაგმასემანტიკური ტიპობრივი ერთეულით, რომელსაც ჩვენ ფატიკური კომუნიკაციის გაცნობისა და თავაზიანი მიმართვის პრაგმასემანტიკურ ქვეტიპს ვუწოდებთ, რის შედეგად ჩვენ ვიღებთ არა ცხრა-არამედ ათწევრიან პრაგმასემანტიკურ სისტემას.

როგორც ცნობილია, ნებისმიერ პარადიგმატულ პლანში გამოყოფილი ენობრივი ერთეული მეტყველებაში განიცდის სიტუაციურად და კონტექსტუალურად განპირობებულ ვარიაციებს. ამიტომ, ჩვენც შევეცდებით განვიხილოთ ფატიკურობის გამომხატველი ყოველი ტიპი იმ სიტუაციურ ვარიაციათა გათვალისწინებით, რომლებსაც იგი განიცდის სიტუაციათა მიხედვით ფრანგულ და ესპანურ ლინგოკულტურულ არეალში.

## **დასკვნა II თავის მიხედვით**

მოცემულ თავში საუბარია ინტონაციის როლზე ფატიკურ კომუნიკაციაში, რომელიც გადმოსცემს მოლაპარაკის ფიქრს, გამოხატავს მოლაპარაკის გონებრივ და ემოციურ მდგომარეობას, ავლენს სიტყვებსა და მნიშვნელობას შორის განსხვავებას და ნათელს ჰფენს მსმენელისათვის დაფარულ ბუნდოვანებასა და ზრახვებს. რაც შეეხება სოციალურ იდენტურობას, იგი ყალიბდება ადამიანის ინდივიდუალური განვითარების კვალდაკვალ და ასევე სოციალიზაციის, იდენტიფიკაციის, პიროვნული ინტეგრაციის შედეგია ინდივიდის მიერ სოციალურ-კულტურული ნიმუშების, ღირებულებების ათვისება და გაზიარება; რაც შეეხება იდენტურობის ცნებას, იგი მოიაზრება, როგორც სოციალური ურთიერთობის განზომილება, რაც ვლინდება საკუთარი თავის წარდგენისას. ასევე ფატიკური კომუნიკაციის დროს მნიშვნელოვანია გენდერული იდენტურობა, სადაც აღინიშნება, რომ პიროვნების ვინაობის დასადგენად, ერთ-ერთი პირველი ელემენტია მისი სქესი. თვით ჩაცმის მანერაც სოციალურ ვინაობას ავლენს, რომლისთვისაც სქესი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, ხოლო რაც შეეხება ლექსიკას, ერთი და იმავე საზოგადოებაში მცხოვრებმა ქალებმა და მამაკაცებმა შეიძლება განსხვავებული

ლექსიკური ფორმები წარმოადგინონ, როგორც განსხვავებული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებმა, რომლებიც იმ სოციალური წნეხისგან გამომდინარეობს, რომლებსაც ისინი განიცდიან.

აღსანიშნავია, რომ ფატიკური კომუნიკაცია როგორც ფენომენი ეკუთვნის არა მხოლოდ ენას, არამედ იმ შინაგან განუყოფელ მთლიანობას, რომელსაც თანამედროვე მეცნიერულ ლიტერატურაში “ლინგვოკულტურული არეალი“ ეწოდება.

### თავი III. ფატიკური კომუნიკაციის ლინგოკულტურული ასპექტები;

#### 3.1. ფატიკური კომუნიკაციის ვერბალური ასპექტები ფრანგულ და ქართულ ენებში

აღსანიშნავია, რომ ფრანგები და ესპანელები კომუნიკაბელური ხალხია, ისევე როგორც ქართველები და უხარიათ ახალი ნაცნობების შექმნა. ცნობილია, რომ გაცნობის ფორმები როგორც ქართულში, ისე ესპანურ და ფრანგულ ენებშიც დიალოგური ხასიათისაა, რასაც ხშირად თან ახლავს ჟესტებიც.

ხშირად ვინმეს გაცნობისას თავად წარვადგენთ ხოლმე საკუთარ თავს და მოსაუბრეც ასახელებს თავის ვინაობას. ამ შემთხვევაში, ქართველი იყენებს შემდეგ გამონათქვამებს: „ ნება მომეცით, წარმოგიდგეთ!“ „ ჩემი სახელია...“ და ა.შ. რაც შეეხება ფრანგულ გამონათქვამებს, ისინი ასე გამოიხატება: “ Permettez-moi de me présenter”, “ Je suis ”, “ Mon prénom, c’est ”. “ ბედნიერი ვარ თქვენი გაცნობით“, „ დიდად მოხარული ვარ თქვენი გაცნობით“, „ ნება მიბოძეთ წარმოგიდგეთ“, რასაც თან ახლავს სახელისა და გვარის დასახელება „ მე ვარ...“

ამ გამონათქვამების ნაწილი ინფორმაციული სახის იქნებოდა თან რომ არ ახლდეს ისეთი გამოთქმები, რომლებიც მათ თავაზიანობის რეგისტრში გადაიყვანს, რაც განსაკუთრებით დიალოგის დროს პასუხში გამოიხატება ხოლმე: „სასიამოვნოა“, „თქვენს გაცნობაზე ვოცნებობდი“, „ ჩემთვის დიდი პატივია..“ შესაბამისი ფატიკური პასუხით გაისმის “სასიამოვნოა“, რაც სემანტიკურად სიამოვნებას, მოწონებას უკავშირდება. „დიდად მოხარული ვარ თქვენი გაცნობის“, „ სასიამოვნოა თქვენი გაცნობა“ „ დიდი ხანია ვოცნებობდი თქვენს გაცნობაზე“ და ა.შ. ხსენებულ გამონათქვამზე ისინი არ პასუხობენ (მე ვარ..). თუმცა საკმარისია მხოლოდ ჩვენი სახელი და გვარი წარმოვთქვათ ან მხოლოდ საკუთარი სახელი. აღსანიშნავია, რომ ხელის ჩამორთმევასაც თან ახლავს პიროვნების ან საკუთარი სახელისა და გვარის წარმოთქმა, რასაც ხშირად იმეორებენ ხოლმე მაშინაც, როცა ერთმანეთს უკვე იცნობენ (ჩემთვისაც სასიამოვნოა, სასიამოვნოა).

ხშირად ოფიციალურ შეხვედრებსა თუ მეგობრულ წვეულებებზე ვხვდებით პიროვნებებს, რომლებსაც არ ვიცნობთ. ამიტომ ხშირია შემთხვევა, როდესაც ამ ფუნქციას ან მასპინძელი კისრულობს და ერთმანეთს აცნობს სტუმრებს, ან ჩვენ ვსარგებლობთ ხოლმე მომენტით და მათ ერთმანეთს ვაცნობთ ხოლმე შემდეგი გამონათქვამებით: „ ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ბატონი...“, „ გაიცანით გეთაყვა“ და ა.შ. „ წარმოგიდგენთ, გაიცანით, ხოლო მასპინძელს შემდეგი თხოვნით მივმართავთ: „ წარმოგიდგენთ, გეთაყვა..“ „ გააცანით ჩემი თავი ბატონ...“ როცა რომელიმე პიროვნებისათვის ვინმეს წარდგენისას გვსურს დავრწმუნდეთ, რომ

ისინი ჯერ არ იცნობენ ერთმანეთს ან გვინდა მომენტი ვისარგებლოთ და ისინი ერთმანეთს გაგაცნოთ, ვიყენებთ შემდეგ გამოთქმებს: „ იცნობთ...“ „ მსურს წარმოგიდგინოთ ბატონი...“, . ახლო ნაცნობს კი შემდეგი ფრაზით ვთავაზობთ სხვის გაცნობას „ მოდი, ერთი გაგაცნო..“ „ გინდა გაიცნო?“, თუმცა ფამილიარულ სიტუაციაში საკმარისია მხოლოდ სახელის წარმოთქმა.

როდესაც ოფიციალური ურთიერთობიდან არაოფიციალურზე გადავდივართ, ისინი შემდეგი ფრაზით მიმართავენ თანამოსაუბრეს (მოდი “შენობით ვილაპარაკოთ“, “შენობით ხომ არ მიგვემართა ერთმანეთისთვის“, “რას იტყვი იმაზე, რომ შენობით ვილაპარაკოთ“, „თუ ნებას მომცემ შენობით ვილაპარაკოთ“, “წინააღმდეგი ხომ არ ხარ “შენობით“ მოვმართოთ ერთმანეთს?“, თუმცა ეს ქართულისათვის არაა დამახასიათებელი.

ფრანგულ და ესპანურ ენებში „ შენობით“ მიმართვაზე სწრაფად გადასვლა ძალზე გავრცელებული ფორმაა, განსაკუთრებით ახალგაზრდებსა და მოზარდებს შორის, ერთი და იმავე ასაკის მქონე პირებსა და კოლეგებს შორის, აგრეთვე თეატრისა და კინოს წარმომადგენლებს შორის. ცნობილია, რომ პირველად ქალმა უნდა შესთავაზოს მამაკაცს „ შენობით“ საუბარზე გადასვლა, ხოლო ასაკით უფროსმა თავისზე უმცროსს. ხოლო ზოგ ენაში, უცხო ქვეყნის წარმომადგენლებისთვის, რომლის ენაშიც არ არსებობს განსხვავება „ შენობით“ და „თქვენობით“ მიმართვებს შორის, მისაღები უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ფამილიარულად საუბრისკენ მას პირველი ფრანგი ან ესპანელი მოუწოდებს. აღსანიშნავია, რომ ესპანელები ფორმებს: usted და ustedes იყენებენ.

საქართველოში მიმართვისას შემდეგ ტერმინებს იყენებენ: „ ბატონო“ ან „ქალბატონო“, რაც ფრანგულსა და ესპანურში გამოიხატება შემდეგნაირად: “monsieur”, “ monsieur Dupont”, ასევე “ señor” “ señora Sanchez”.

ქართულში მიმართვისას “თქვენო ბრწყინვალეობავ“, (რაც დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისათვის არის დამახასიათებელი), „თქვენო უწმინდესობავ“ მხოლოდ მაღალი დიპლომატიური რანგისა და საეკლესიო პირთა მოწიწებით მიმართვისას გამოიყენება. ფრანგულ და ესპანურ ყოფაში ტიტულებით მოხსენიება თანდათან ქრება, მაგრამ ზოგი ღირსეული და გამოჩენილი პიროვნების მიმართ თავაზიანი მიმართვები დღესაც გამოიყენება, განსაკუთრებით წერილობით მიმართვისას.

არაოფიციალური მიმართვისას ფრანგები და ესპანელები მეგობრის მიმართ იყენებენ შემდეგ გამონათქვამებს „ ძვირფასო“, რაც სემანტიკურად ძვირფასს უკავშირდება, ხოლო მეუღლეები ასე მიმართავენ ერთმანეთს „ ჩემო საყვარელო“, თუმცა ქართველები მეგობრის მიმართაც იყენებენ ხოლმე მსგავსი ტიპის გამონათქვამებს. ძნელი სათარგმნია ფატიკური გამონათქვამები „ შენ გენაცვალე“, „ შენი ჭირიმე“, „შემოგველე“ და ა.შ.

როგორც დავინახეთ გაცნობისას ფრანგები და ესპანელები მრავალ თავაზიან მიმართვის გამომხატველ ფატიკურ ფრაზებს იყენებენ, რათა უფრო აშკარად გამოხატონ გაცნობით და შეხვედრით მიღებული სიხარული.

ვიყენებთ ფატიკური კომუნიკაციის გამოყოფილ ქვეტიპებს და მათ მიხედვით მოვახდენთ ფრანგულ და ქართულ ენებში ლინგვოკულტურული ასპექტების ანალიზს.

1) მისალმების გამომხატველი ფატიკური პრაგმასემანტიკა ფრანგულ ენაში.

„მისალმებას“ ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანთა ყოველდღიურ ლექსიკურ მარაგში. ზოგჯერ ნაცნობების საღამს, გულთბილ საუბარს და კეთილ მოკითხვას ჩვენი განწყობა მთლიანად შეუცვლია. ქართულ ენაში ყველაზე გავრცელებული მისასალმებელი სიტყვაა: „ გამარჯობა“; ასევე: „დილა მშვიდობისა“, „საღამო მშვიდობისა“, რაშიც ნათლად ჩანს ქართველი კაცის მშვიდობის მონატრება. არსებობს მისასალმებელი სიტყვა, რომელიც დღის ნებისმიერ პერიოდში შეიძლება იყოს გამოყენებული; ასეთია ქართველებისთვის „გამარჯობა“ და ფრანგებისათვის „bonjour“.

დიდი ხნის უნახავ ნაცნობებთან შეხვედრისას, ქართველები სიხარულის ნიშნად ამბობენ: „ამას ვის ვხედავ! საუკუნეა არ მინახიხარ! სად დაიკარგე! სასიამოვნოა შენი ნახვა!, „ ცოცხალი ხარ? ასე წელია არ მინახიხარ! ბოლოს როდის გნახე დამავიწყდა! მომენატრე! ხოლო ჩამოსულ ადამიანს შემდეგნაირად მიმართავენ:“ აქეთ რა ქარმა გადმოგაგდო! რაზეც თანამოსაუბრე პასუხობს: „აქეთ მოვხვდი და შემოვიარე“, „ ძალიან მინდოდა თქვენი ნახვა“ „ მიხარია, რომ გნახეთ“, რაც ფრანგულ ენაში შემდეგნაირად გამოიხატება.

Mais regardez qui se trouve là ( qui est venu ici) „ ნახეთ ვინ მოსულა“

Je ne pensais pas vous voir ici! „ არ მეგონა აქ თუ გნახავდით“

Que de temps que je ne t'ai pas vu! „რა ხანია არ მინახიხარ“

Je ne me souviens plus de notre dernière rencontre! “ ბოლოს როდის გნახე აღარც კი მახსოვს!”

Je suis très heureux de vous voir! “ ბედნიერი ვარ თქვენი ნახვით!”

Vous me manquez beaucoup! “ძალიან მენატრებით!”

Je désirais aussi vous revoir! “თქვენს ნახვას კვლავაც ვისურვებდი!”

ფატიკური სიტუაციის მოსურნე პიროვნება ზოგჯერ შეკითხვაშივე გამოხატავს, თანამოსაუბრის კარგად ყოფნის სურვილს, რაც შემდეგი შეკითხვით გამოიხატება: „ რა არის შენსკენ კარგი და საინტერესო? „ რა არის ახალი?“, რაც ფრანგულში შემდეგნაირად გამოიხატება: “ quoi de neuf et intéressant?” “ de quoi t’occupes- tu?”.

ფრანგულ ენაში მისალმების ოფიციალური ფორმაა: “ bonjour”, რომელიც ნიშნავს „კარგ დღეს“, ანუ დღის კარგად გატარების სურვილს შეიცავს.

მისალმების არაოფიციალურ ვარიანტებში გამოხატულია შესხვედრით განცდილი სიხარული და მონატრება. რაკი მისალმების ფორმა მოკლეა და სიტუაცია მეტს მოითხოვს, ამიტომ მისალმებას თან ახლავს: “ comment ça va?” „ როგორა ხარ?“, რაც არ გულისხმობს მოსაუბრის დაინტერესებას თანამოსაუბრის ჯანმრთელობით; იგი გულისხმობს კეთილგანწყობას და კეთილი სურვილის გამოხატვას, რაზეც ინსტიქტურად პასუხობენ: „ კარგად, გმადლობთ,“ ფრანგული: „merci, bien”, თუნდაც რომ ისინი სულაც არ გრძნობდნენ თავს კარგად. ხშირია შემთხვევაც, როცა ფატიკური მოკითხვის შემდეგ, მსმენელმა შემდეგნაირად უპასუხოს: „ ისე რა“ „ არც მთლად კარგად“, რაც ფრანგულ ენაში შემდეგნაირად გამოიხატება: “ comme ci, comme ça”! ფატიკური მოკითხვის პრინციპი ზოგჯერ ირღვევა, როდესაც შეკითხვაზე „ როგორა ხარ?“ პასუხობენ: „ როგორც მკითხულობ!“ „ როგორ ვიქნები შენგან დავიწყებული“, რითაც უკმაყოფილება გამოიხატება თანამოსაუბრისადმი და რაც მსმენელს უხერხულობაში აგდებს. ეს სიტუაციები ფრანგულ ენაში შემდეგნაირად გამოიხატება: “comment dois-je être, oublié de toi?” “comme tu t’intéresses à moi!”.

ხშირად უცხო ადამიანის გაცნობისას, ქართველებს უჩნდებათ სურვილი შექმნან ახლობლური სიტუაცია, რაც შემდეგი შეკითხვებით გამოიხატება: „ უკვე ხომ არ შევხვედრილვართ?“ „ სადმე ხომ არ მინახიხარ?“, რაც ფრანგულში შემდეგნაირად გამოიხატება: “ on s’est vus déjà?” “ on s’est rencontrés quelque part par hasard?” და ა.შ.

მოცემული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ფრანგებს და ქართველებს მისალმების უამრავი ფორმა აქვთ, რაც მათ კომუნიკაბელურ ხასიათზე მეტყველებს.

2) დამშვიდობების გამომხატველი პრაგმასემანტიკა ფრანგულ ენაში.

აღსანიშნავია, რომ სიტყვიერი კომუნიკაცია ყოველთვის დამშვიდობებით მთავრდება. ქართულ ენაში დამშვიდობების გამომხატველი სიტყვებია:

“ნახვამდის“ და „მშვიდობით“. „ ნახვამდის“ უფრო ოპტიმისტური ხასიათისაა, ხოლო „ მშვიდობით“ სამუდამო განშორებას აღნიშნავს.

„ ნახვამდის“ ყველაზე გავრცელებული სიტყვაა და ფართოდაა გამოყენებული დღის ნებისმიერ დროს, ხოლო „ დამე მშვიდობისა“ არის დამშვიდობება, როდესაც ადამიანები ღამით ემშვიდობებიან ერთმანეთს, რაც ფრანგულ ენაში შემდეგნაირად გამოიხატება.

“ Au revoir”-ნახვამდის, რაც მიუთითებს „ხელახლა ნახვაზე“ ასევე “bientôt”- „მომავალ შეხვედრამდე“, “tout de suite”- „მალე შევხვდებით“. დამშვიდობებისას ასევე ვამბობთ “კარგათ იყავით!“, „აბა ჯერჯერობით!“ “კიდევ გნახავ(თ)!“ „იმედია მალე შევხვდებით“, „მომავალ შეხვედრამდე“, „დროებით“. მოცემული გამოთქმები ნათლად მიაჩნებენ, რომ ქართველებს დიდი სურვილი აქვთ ერთმანეთის ხელახლა ნახვის, რაც ფრანგულ ენაში შემდეგნაირად გამოიხატება.

„ Bonne journée!“, “ bonne soirée!“, “bon fin d’après-midi!<sup>22</sup>“, თუმცა ეს ფორმები ქართულ ენაში არ გვაქვს.

“ Soyez bien”- „ კარგად იყავით!“

“ je te verrai encore”- „ კიდევ გნახავ!“

“ J’espère que nous nous rencontrerons bientôt”- „ იმედია, მალე შევხვდებით!

ისევე, როგორც ქართულში, ფრანგულშიც ჩანს ხელახლა ნახვის სურვილი შემდეგი სახის დამშვიდობებებში: „ აბა, ნახვამდის“, „აბა, ხვალამდე“, „ აბა, საღამომდე“, “აბა, ზეგამდე“, ხოლო რაც შეეხება გამოთქმას “დროებით“ ხანმოკლე დროით დამშვიდობებას გამოხატავს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხანმოკლე დროით დამშვიდობების ეს ფორმა ქართულ ენაში მოგვიანებით დამკვიდრდა, რასაც თან ახლავს შემდეგი შორისდებულები: „აბა“, „მაშ“ და ა.შ.

ფატიკური კომუნიკაციისას დამშვიდობება არასასურველია, მაშინაც კი როცა ერთ-ერთ თანამოსაუბრეს აღარ სურს საუბრის გაგრძელება. ასეთ სიტუაციაში ის ბოდიშს იხდის და წასვლის რაიმე მიზეზს ასახელებს “მაპატიეთ“, ახლა მეჩქარება და სხვა დროს გნახავ(თ). ფრანგები ბოდიშის ნაცვლად წუხილის გამომხატველ ფრაზას ამჯობინებენ: „ვწუხვარ, მაგრამ უნდა დაგტოვოთ“, „იმედი მაქვს მალე შევხვდებით“, რითაც გამოიხატება ნაცნობებთან განშორების სინანული და მასთან კვლავ შეხვედრის სურვილის გამოხატვა, რაც ფრანგულ ენაში შემდეგნაირად გამოიხატება:

“ Excusez-moi!”- მაპატიეთ!

<sup>22</sup> მოცემულ ფრანგულ გამოთქმებში იგულისხმება, რომ უსურვონ კარგი დღე, საღამო და ნაშუადღევი.



“ Désolé, mais je dois vous laisser!”- ვწუხვარ, მაგრამ უნდა დავტოვოთ!

“ J’espère qu’on se voit bientôt!”- ვიმედოვნებ, მალე შევხვდებით!

ხშირად მეტი სითბოსა და სიყვარულის გამოსახატავად ქართველები და ფრანგები მოკითხვას აბარებენ მათ ახლობლებთან და საერთო ნაცნობებთან “მომიკითხე(თ) თქვენები“, “მომიკითხე შენი ოჯახი“, “მოკითხვა გადაეცი თქვენებს“, „ დამიკოცნეთ თქვენები“, „ დედაშენს გადაეცი ჩემი მოკითხვა“.

ნაცნობების და მეგობრების გამგზავრებისას ქართველები შემდეგნაირად ემშვიდობებიან: “ბედნიერ მგზავრობას გისურვებ(თ)!“, ხოლო შინაურული დამშვიდობების ფორმა ასეთია: „აბა შენ იცი, კარგად იყავი!“, „კარგად მეყოლე!“, “იცოდე როგორც კი ჩამოხვალ დამირეკე!“, “შემატყობინე როგორ იმგზავრებ!“ “აბა, შენ იცი არ დამივიწყო!“ „ იცოდე, რომ ძალიან მომენატრები!“ „წარმატებებს გისურვებ!“ „ მოგვიანებით გნახავ!“, რაც ფრანგულში შემდეგნაირად გამოიხატება.

“Salut à ta famille!”- მოკითხვა გადაეცი შენს ოჯახს!

“ Donne mes bises à ta famille“- დამიკოცნე შენი ოჯახი!

“ Salut à ta maman!”- მომიკითხე დედაშენი!

“ Bon voyage!”- კეთილი მგზავრობა!

“ Alors, sois bien!”- აბა, კარგად იყავი!

“ En rentrant, téléphone moi!”- დაბრუნებისას დამირეკე!

“ Ne m’oublie pas!”- არ დამივიწყო!

“ Tu me manqueras beaucoup!”- ძალიან მომენატრები!

“ Bonne chance!”-წარმატებას გისურვებ!

“ Je te verrai un peu plus tard!”- მოგვიანებით გნახავ!

ასევე დამშვიდობების გამომხატველი სხვა ფორმებიც; როდესაც მასპინძელი ხედავს, რომ სტუმარი მიდის, იგი ეუბნება: „ გთხოვ, დარჩი!“ „ ნელა იარე!“ “ფრთხილად იარე!“, რაც ფრანგულში შემდეგნაირად გამოიხატება:

“ Reste, je t’en prie!”- დარჩი, გთხოვ!

“Marche lentement!”- ნელა იარე!

“Marche prudemment!”- ფრთხილად იარე!

ეს ფრაზები ნათლად აჩვენებენ, რომ დამშვიდობებისას მოსაუბრე მსმენელისადმი დიდ სიბოძას და პატივისცემას გამოხატავს, აგრძობინებს თანამოსაუბრეს განშორების სინანულსა და მასთან ხელახლა შეხვედრის იმედსაც იტოვებს.

3) მადლიერების გამომხატველი ფატიკური პრაგმასემანტიკა ფრანგულ ენაში.

აღსანიშნავია, რომ სიკეთეზე ან კეთილ საქციელზე ქართველები პასუხობენ სიტყვით „ გმადლობ(თ)“. ბუნებრივია ადამიანი სიკეთეს არ აკეთებს მხოლოდ მადლობის მისაღებად. მადლობის გადახდა უბრალოდ თავაზიანობასთან ასოცირდება, რომლის გარეშეც ადამიანი შეიძლება უზრდელად და უმადურად ჩაითვალოს, მოკრძალებას იჩენს და საუბარი სწრაფად გადააქვს სხვა თემაზე.

ქართველები და ფრანგები მადლიერი და სიკეთის დამფასებელი ხალხია. ქართულ ენაში მადლობა შემდეგნაირად გამოიხატება: „ გმადლობთ“, „დიდი მადლობა“, „უღრმესი მადლობა“ და სხვა. ფრანგულ ენაში მადლიერება გადმოიცემა შემდეგი ფრაზებით:

Merci- გმადლობთ!

Je vous remercie!- მადლობას გიხდით!

Merci beaucoup, merci bien-დიდი მადლობა!

ხშირად ისინი მადლობის გადახდისას მიზეზსაც ასახელებენ, რის გამოც ემადლიერებიან თანამოსაუბრეს: “მადლობას გიხდით დახმარებისთვის“, „მადლობას გიხდით პატივისცემისთვის“, “მადლობას გიხდით მასპინძლობისათვის“, “მადლობას გიხდით თბილი მიღებისათვის“ და სხვა მრავალი, რაც ფრანგულში შემდეგნაირად გამოიხატება.

„ Je vous remercie pour l’aide!- დახმარებისთვის მადლობა!

“Merci pour le service!”- მადლობა პატივისცემისთვის!

“Merci pour une bonne réception!- მადლობა მიღებისათვის!

ქართულ ენაში მადლობის შესაბამისი პასუხია: „არაფრის“, რაც გულისხმობს, რომ მოსაუბრეს მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია მადლობის სათქმელი, რაც უმეტესად მოსაუბრის თავმდაბლობას უსვამს ხაზს. ხშირად მადლობის საპასუხო სიტყვებია: „ რას ამბობ, რისი მადლობა!“ „ რაც შემეძლო, ის გააკეთე“, „ ძალიან მიხარია თუ რაიმეში გამოგადექი“ და სხვა, რაც ფრანგულში შემდეგნაირად გამოიხატება.

Pas de quoi!- არაფერს!

De rien!-არაფერს!

Que dis-tu, à quoi bon dire merci?-რას ამბობ, რა საჭიროა მადლობა!

“J’ai fait ce que j’ai pu”-რაც შემიძლო, ის ვქენი!

“ Je suis heureux d’être utile pour toi”-ბედნიერი ვარ, რომ გამოგადექი!

ქართველები მადლობას მრავალი უამრავი სამადლობელი ფრაზით გამოხატავენ: „მინდა დიდი მადლობა გადაგიხადო ყველაფრისათვის, რაც ჩემთვის გააკეთე(თ)!“, „მადლობელი ვარ, ცხოვრებაში არ დაგივიწყებთ ამ სიკეთეს“, „უშენოდ რა მეშველებოდა“, რაც ფრანგულში შემდეგნაირად გამოიხატება.

“ Je veux te remercier pour tout ce que tu as fait pour moi!”-მინდა მადლობა გადაგიხადო ყველაფრისათვის, რაც ჩემთვის გააკეთე!

“Je te remercie, je n’oublierai jamais cette bonté!”-მადლობელი ვარ, არასდროს დაგივიწყებ სიკეთეს!

“ Comment pourrais-je être sans toi!”-უშენოდ რა მეშველებოდა!

როდესაც ფრანგები ქართველ სტუმარს საკვებს ან სასმელს შესთავაზებენ, ის თავპატიუს იწყებს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან სურს, მაგრამ მორიდების გამო ამბობს უარს, რაც ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ფატიკური უარია. ეს ფატიკური უარი ფრანგებისათვის უცხოა და ისინი ამას პირდაპირი გაგებით იგებენ. ასეთ სიტუაციაში უმჯობესია დათანხმება და მადლიერების გამოხატვაც. მაგალითად:

“ Voulez-vous du café?”-„ გსურთ ყავა?“- volontiers!-სიამოვნებით!

“Merci pour le café”- „ გმადლობთ ყავისთვის“

და ჩვენ ვუპასუხებთ „ გმადლობთ“, იგი დაიბნევა და ვერ გაიგებს ნამდვილად გგინდა თუ არა ყავის დაღევა, ამიტომ ასეთ სიტუაციაში ფრანგები ამბობენ: „oui”და “non” “ oui, je veux” და “ non, je ne veux pas”.

ძვირფასი საჩუქრის მიღებისას, იწყებენ ფატიკურ საყვედურს “რატომ შეწუხდით?“, „ასე რატომ დაიხარჯეთ?“, „რად გინდოდათ?“ თითქოს არც უნდოდეთ საჩუქრის მიღება. ასეთი ფრაზებით მდიდარია როგორც ქართული, ისე ფრანგული ენა და ასეთი ფრაზების ცოდნა და გამოყენება მნიშვნელოვანია ორივე ერის წარმომადგენლებისათვის, რაც მათ ეხმარება გამოხატონ მადლიერება გაწეული თავაზიანობის და სიკეთის გამო.

4) ბოდიშის გამომხატველი ფატიკური პრაგმასემანტიკა ფრანგულ ენაში.

როდესაც ადამიანი ნებსით თუ უნებლიედ აწუხებს ვინმეს, იგი გამოსავალს ბოდიშის მოხდით პოულობს. ქართულ ენაში მობოდიშების შემდეგი ფრაზებია: “უკაცრავად“, „მაპატიეთ“, „ დიდი ბოდიში“, „ ძალიან ვწუხვარ“, „ დამნაშავე ვარ“ და ა.შ. ფრანგულ ენაში კი იხმარება შემდეგი ფრაზები:

Pardon!- ბოდიში!

Excusez-moi!- მაპატიეთ!

Pardonnez-moi!- მაპატიეთ!

Je suis coupable!- დამნაშავე ვარ!

C'est ma faute!- ჩემი ბრალია!

მობოდიშების შემდეგ ქართველები და ფრანგები თავიანთ წუხილს არაფრად აგდებენ და შემდეგნაირად პასუხობენ თანამოსაუბრეს: „ არაფრის“, „არა უშავს“, „არაფერია“, „ რა შეწუხებაა“, „ საბოდიშო არაფერია“ და ა.შ. ეს ფრაზები ფრანგულ ენაში შემდეგნაირად გამოიხატება:

Il n'y a rien de particulier, tout va bien!-განსაკუთრებული არაფერია, ყველაფერი კარგადაა!

Ce n'est pas ta faute, oublie-le!- ეს შენი ბრალი არ არის, დაივიწყე!

შეხვედრაზე დაგვიანებისას ფრანგები და ქართველები ასე გამოსატყვევებ თავიანთ საბოდიშო სიტყვას: „ძალიან ვწუხვარ, დამაგვიანდა“, „მაპატიეთ დაგვიანებისათვის“, რაზეც პასუხობენ: “არა უშავს“, “არაფერია“ და უხერხულობის თავიდან ასაცილებლად „ ფატიკურ ტყუილსაც“ იყენებენ: “ნუ წუხვარ, მეც 10 წუთი დამაგვიანდა.“

საბოდიშო სიტყვებს ადამიანები მაშინაც იყენებენ, როცა სტუმრობისას მასპინძლის რამეს შემთხვევით დააზიანებენ. ასეთ სიტუაციაში, ისინი შემდეგ საბოდიშო სიტყვებს იყენებენ: „ ვაიძე, ეს რა დამემართა!“ „ როგორ ვერ შევამჩნიე?“ „ ეს როგორ დამემართა?“ და ა.შ, რაც ფრანგულში შემდეგნაირად გამოიყურება:

Oh, c'est comment?-ეს როგორ დამემართა?

Comment n'ai-je pas pu voir?- ეს როგორ ვერ დავინახე?

ამ შემთხვევაში მასპინძელი ცდილობს უხერხულობა თავიდან ააცილოს სტუმარს და შემდეგი სახის ფატიკურ საბოდიშო სიტყვებს ამბობს. „არა უშავს, არ

იდარდო!“ „ნეტა მეტი სადარდებელი არ მოგცეს ღმერთმა!“, რაც ფრანგულში შემდეგნაირად გამოიხატება:

Il n'y a rien, ne t'inquiète pas!- არა უშავს, არ იდარდო!

თუ სტუმარი გაუფრთხილებლად მივა მასპინძელთან სახლში ან სამსახურში და ეს უკანასკნელი უწესრიგოდაა, ის ბოდიშს იხდის “ბოდიშს გიხდის უწესრიგობისთვის“, “pardon, pour le désordre”.

მოცემული მაგალითებით ჩანს, რომ ფატიკური გამონათქვამების წყალობით ხერხდება უხერხული სიტუაციების თავიდან აცილება და მეგობრული განწყობილების შექმნა.

5) დაპატიუების გამომხატველი ფატიკური პრაგმასემანტიკა ფრანგულ ენაში.

ცნობილია, რომ საქართველო დიდი სტუმართმოყვარეობით გამოირჩევა. ქართველები მოსულ სტუმარს „ღვთისგან ბოძებულად“ მიიჩნევენ, რაც შემდეგ გამოთქმაში გამოიხატება „სტუმარი ღვთისაა“, თუმცა როგორც ყველა ქვეყანაში, საფრანგეთშიც მიპატიუება მრავალგვარია. მათ ხშირად ახასიათებთ მეგობრისა თუ ნაცნობის ფატიკური მოპატიუება.

მოწვევისა და დაპატიუების უამრავი გამოთქმა არსებობს-ზეპირი თუ წერილობითი, ოფიციალური თუ მეგობრული. როდესაც მოპატიუების ზუსტი დროა მითითებული, იგი ინფორმაციული ხასიათისაა. ისეთი შემთხვევებიც ხშირია, როცა მოსაუბრეს არა აქვს დაგეგმილი წვეულების გადახდა და იგი „ფატიკურად“ ეპატიუება მეგობარს თუ ნაცნობს: „გამოგვიარე“, „გინახულე ხოლმე“, „როცა დრო გექნება, შემომიარე“, რაც ფრანგულში შემდეგნაირად გამოიხატება.

Visite-nous!-მოგვინახულე!

Pourquoi tu ne viens pas nous voir!-რატომ არ მოდიხარ ჩვენს სანახავად!

Quand tu as le temps, visite nous!- როცა დრო გექნება გამოგვიარე!

ფატიკურ მოპატიუებაზე პასუხი ხშირად დადებითი და კმაყოფილების გამომხატველია: „ გინახულვით“, „ როცა დრო გექნება, აუცილებლად გნახავთ“, რაც ფრანგულში შემდეგნაირად გამოიხატება:

“ Je vais vous voir”-„გინახულვით!“

“ Quand j'ai le temps, je vous visiterai”- როცა დრო გექნება გინახულვით!

“ je viendrai avec plaisir”- სიამოვნებით მოვალ!

აღნიშნული სიტუაციებიდან გამომდინარე, დადებითი პასუხი ფსიქოლოგიურად უფრო მისაღებია და ამიტომ ითვლება, რომ მოწვევაზე უარყოფითი პასუხი მსმენელის ფსიქოლოგიაზე არასასურველ გავლენას ახდენს. ზოგჯერ მოსაუბრე წინასწარ არკვევს რა აქვს თანამოსაუბრეს დაგეგმილი სამომავლოდ და თუ ის დაკავებულია აღარც ეპატიუება მას. მაგალითად: შეკითხვაზე „მოსვალ წვეულებაზე?“ უარყოფითი პასუხი შეიძლება ასე გამოიყურებოდეს: „ ვწუხვარ,, მაგრამ ვერ მოვალ“, „ვწუხვარ, მაგრამ სხვა დროს იყოს“, რაც ფრანგულში შემდეგნაირად გამოიხატება.

“ Tu viendras au carnaval?”- მოსვალ წვეულებაზე?

“ Tu viendras à l’anniversaire?”-მოსვალ დაბადების დღეზე?

„ Désolé, mais je ne viendrai pas”- ვწუხვარ, მაგრამ ვერ მოვალ!

“Désolé, mais ça peut être l’autre temps!-ვწუხვარ, სხვა დროს იყოს!

ასევე სხვა სახის მოპატიუებებიც: „ ამ საღამოს პატარა წვეულება მაქვს და რომ არ მოხვიდე მეწყინება“, „ ჩემი შვილის ქორწილში გეპატიუები“, „ხვალ ქეიფი მაქვს და უშენოდ არაფერი იქნება“ და ა.შ, რაც ფრანგულში შემდეგნაირად გამოიხატება.

„ Ce soir on célèbre et sans toi ça n’aura pas d’importance!”-ამ საღამოს ვკეიფობთ და უშენოდ აზრი არ ექნება!

“ Je t’invite à la noce de mon fils!”- ჩემი ვაჟის ქორწილში გეპატიუები!

“ Ce soir j’ai l’anniversaire et si tu n’arrives pas, je serai triste!”- ამ საღამოს დაბადების დღე მაქვს და თუ არ მოხვალ,მეწყინება!

მოცემული მაგალითებით ნათლად ჩანს, რომ მოპატიუებებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანთა ცხოვრებაში და ისინი განსაკუთრებულ როლს ასრულებენ კომუნიკაციაში.

6) შეთავაზების გამომხატველი ფრანგული პრაგმასემანტიკა.

შეთავაზების გამომხატველი ფატიკური ფრაზები მრავლადაა, როგორც ქართულ ისე ფრანგულ ენებში. ფატიკური ხასიათის შეთავაზებები თბილ დამოკიდებულებას გამოხატავენ თანამოსაუბრის მიმართ და მხარდაჭერასაც უცხადებენ. ქართველები მოსულ სტუმარს შემდეგნაირად მიმართავენ: „შემოდი, მობრძანდი!“, რაც ორმაგ მნიშვნელობას ატარებს: „დაბრძანდით“, „შემობრძანდით“, „დაჯექით“, „შემოდი“ „დასხედით, შემოდით“, რაც ფრანგულ ენაში შემდეგნაირად გამოიხატება: “Entre”, “asseyez-vous!”, “Entrez!”.

ქართველებისათვის ასევე დამახასიათებელია ფატიკური შეთავაზებები. ისინი მოახლოვებულ უცხო ადამიანსაც კი ასე მიმართავენ: „რა გნებავთ?“ „რით შემიძლია გემსახუროთ?“, ნაცნობ-მეგობრებს კი ხშირად ასე ვთავაზობთ სამსახურს: „თუ რამე დაგჭირდეს არ მოგერიდოს!“ „რაც შემეძლება, გავაკეთებ!“ „რით შემიძლია დაგეხმაროთ?“ „რა შემიძლია შემოგთავაზოთ?“ „რა შემიძლია თქვენთვის გავაკეთო?“ „მზად ვარ დაგეხმაროთ!“ „თქვენს სამსახურში მიგულებო!“ რაც ფრანგულ ენაში შემდეგნაირად გამოიხატება.

“Que désirez-vous?-რა გნებავთ?

“Je suis à votre service!”-თქვენს სამსახურში მიგულებო!

“Si tu as besoin de quelque chose, ne te gêne pas!”-თუ რამე დაგჭირდეს, არ მოგერიდოს!

“Que puis-je vous proposer?”- რა შემიძლია შემოგთავაზოთ?

“Que puis-je faire pour vous?”რა შემიძლია თქვენთვის გავაკეთო?

“Je suis prêt à vous aider!”- მზად ვარ დაგეხმაროთ!

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფატიკურ შეთავაზებებში მთლად არ იგულისხმება ის აზრი, რომ მოსაუბრე თანამოსაუბრეს აუცილებლად დაეხმარება მომავალში, მაგრამ მსგავსი ფატიკური ფრაზების მოსმენა სასიამოვნოა თანამოსაუბრისთვის და ხელს უწყობს ადამიანებს შორის თბილი და მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებას.

7) დალოცვებისა და მილოცვების გამომხატველი პრაგმასემანტიკა ფრანგულ ენაში

აღბათ წარმოუდგენელია ფატიკური კომუნიკაცია დალოცვებისა და მილოცვების გარეშე. ფატიკური ფრაზების საშუალებით, ადამიანები გამომხატავენ სხვადასხვა სახის სიხარულსა თუ განცდას და თანამოსაუბრეებს აგრძნობინებენ მათდამი კეთილგანწყობას და მათ სიხარულსაც იზიარებენ: „ გაიხარე!“ „გაიზარდე!“ „ ღმერთმა დაგლოცოს!“ „ ღმერთმა გაგახაროს!“ და სხვა, რაც ფრანგულში შემდეგნაირად გამოიხატება: „ sois heureux!“ “grandis!” “ sois béni par Dieu!”.

სწორედ ეს სიტყვებია, რომლითაც ქართველები ერთმანეთს ლოცავენ და კეთილ სურვილებს გამომხატავენ თანამოსაუბრის მიმართ. ამ დალოცვებში შეიგრძნობა ქართველი ადამიანის ღვთის დახმარების და შემწეობის იმედიც: „ღმერთმა გიშველოს! „ ბედნიერი იყავი! დალოცვილი იყავი! წარმატებას გისურვებ! და ა.შ, რაც ფრანგულ ენაში შემდეგნაირად გამოიხატება.

Sois Dieu avec toi!-ღმერთი გფარავდეს!

Dieu t'aide!- ღმერთმა გიშველოს!

Je te souhaite de grands succès!- დიდ წარმატებებს გისურვებ!

განსაკუთრებით აღსანიშნავია დაბადების დღის ფატიკური მილოცვა: “დაბადების დღეს გილოცავ!” „ გისურვებ ბედნიერებას!”

„ გისურვებ ჯანმრთელობას!“, რას ფრანგულ ენაში ასე გამოიხატება:

“Je te félicite l’anniversaire!”-დაბადების დღეს გილოცავ!

“ Bonne anniversaire!”- დაბადების დღეს გილოცავ!

“ Je te souhaite un grand bonheur!”- დიდ ბედნიერებას გისურვებ!

“ Je te souhaite une bonne santé!”- ჯანმრთელობას გისურვებ!

“ Joyeux anniversaire!”- დაბადების დღეს გილოცავ!

შემოქმედებით საქმიანობაში წარმატების შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი სახის ფატიკური მილოცვები: „ გილოცავთ!“ „ კიდევ მრავალი წარმატება მომელოცოს!“ „ მრავალი წარმატება გქონოდეს ცხოვრებაში!“ „ კარგ სწავლას გისურვებ!“ და ა.შ, რაც ფრანგულში შემდეგნაირად გამოიხატება.

“ Je vous félicite”- გილოცავ!



სტუმრის მოსვლისას, ქართველები ეუბნებიან: „ კეთილი იყოს შენი მობრძანება!“, ხოლო დაბრუნებისას ასე ეუბნებიან: „ კეთილი იყოს შენი დაბრუნება!“ ასეთივე კეთილი სურვილები გამოიხატება მგზავრობასთან დაკავშირებით: „ კეთილი მგზავრობა!“, რაც ფრანგულში ასე გამოიხატება:

Sois bienvenu!- კეთილი იყოს შენი მობრძანება!

Soyez bienvenu(s)!- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

მილოცვებისა და დალოცვების გამომხატველ ფატიკურ გამონათქვამებს შორის უნდა აღინიშნოს სადღეგრძელოებიც „ გაგიმარჯოს!“ „ გაუმარჯოს!“, რაც ფრანგულში ასე გამოიხატება: Salut! A ta santé!

ქართულ ენაში სადღეგრძელოები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც ქართული სუფრის მრავალსაუკუნოვან ტრადიციაზე მეტყველებს. ქართული სადღეგრძელოები ფატიკური კომუნიკაციის შესანიშნავი მაგალითია, რომლითაც სუფრის თამადა და სუფრის წევრები მუდამ აქებენ და ღოცავენ ერთმანეთს. ხშირად ქართული სუფრა და წარმოთქმული სადღეგრძელოები საოცრად აახლოვებს უცხო ადამიანებს, სადაც მიიღწევა ფატიკური კომუნიკაციის მიზანი და სადაც უცნობები მეგობრებად შორდებიან.

8) თანაგრძნობის გამომხატველი პრაგმასემანტიკა ფრანგულ ენაში.

ადამიანები ჭირში თუ ლხინში ამხნევებენ ერთმანეთს. ქართველებისათვის ეს დამახასიათებელი მოვლენაა, რადგან ზოგჯერ ერთ გამამხნეველ სიტყვასაც აქვს მნიშვნელობა იმედის ჩასასახად და გასაჭირიდან თავის დასაღწევად. მსგავს სიტუაციებში დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ გამამხნეველ სიტყვებს როგორცაა: „იმედს ნუ დაკარგავ!“, „ყველაფერი კარგად იქნება!“ „ღმერთი მოწყალეა!“ „ცხოვრებაში ყველაფერი ხდება!“, „ ყველაფერი კარგად იქნება!“ „მხნედ იყავი!“ „ზოგი ჭირი მარგებელია!“ „ რას იზამ ასეთია ცხოვრება!“ „ ყველაფერს ეშველება სიკვდილის გარდა!“ და ა.შ, რაც ფრანგულ ენაში შემდეგნაირად გამოიხატება:

“ Ne perds pas l’espoir!”- იმედს ნუ დაკარგავ!

“ Tout sera bien!”- ყველაფერი კარგად იქნება!

“ Tout est possible dans la vie!”- ცხოვრებაში ყველაფერი ხდება!

“ C’est la vie!”- ასეთია ცხოვრება!

“ N’ayez pas peur!”-ნუ გეშინია!

“ Sois courageux!”- მამაცი იყავი!

“ Aies du courage!-იყავი მამაცი!

გამამხნეველი სიტყვების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავადმყოფებთან. მათთან შემდეგი გამამხნეველი სიტყვები გამოიყენება:

“ნუ გეშინია, მალე გამოჯანმრთელდები!“ “მალე კარგად იქნები!“  
“გამოჯანმრთელებას გისურვებ!“ “სულ მალე ადგები!“, რაც ფრანგულ ენაში შემდეგნაირად გამოიხატება:

“ Ne sois pas peur, tu seras bientôt sain!”- ნუ გეშინია, მალე ჯანმრთელად იქნები!

“ Tu seras bientôt bien!”- მალე კარგად იქნები!

“ Tu seras bientôt sur pied!”- მალე ადგები!

თანაგრძნობის გამომხატველი ფატიკური თანაგრძნობა დიდ მნიშვნელობას იძენს გარდაცვლილის ოჯახთან, როდესაც მივმართავთ შემდეგი სიტყვებით: „ ვიზიარებ შენს მწუხარებას!“ „ ვწუხვარ!“ „ ძალიან მეწყინა!“ „ ეს უკანასკნელი ყოფილიყოს თქვენს ოჯახში!“, რაც ფრანგულში შემდეგნაირად გამოიხატება:

“ Je vous compatie!”- თანაგიგრძნობ!

“ Je partage votre malheur!”- თქვენს მწუხარებას ვიზიარებ!

“ Mes condoléances!-თანაგიგრძნობ!

“ ça soit dernier dans votre famille!”- ეს უკანასკნელი ყოფილიყოს თქვენს ოჯახში!

მოცემული მაგალითებით ჩანს, რომ თანაგრძნობის გამომხატველი გამოთქმები საკმაოდ მრავლადაა ორივე ენაში, თუმცა მათი გამოყენებისას გარკვეული ტაქტი უნდა დავიცვათ, რათა გული არ ვატკინოთ მსმენელს.

9) ქათინაურების გამომხატველი ფატიკური პრაგმასემანტიკა ფრანგულ ენაში.

„ კომპლიმენტი“ უშუალო კავშირშია ფატიკურ კომუნიკაციასთან, რომლის მიზანია კონტაქტის დამყარება, გაგრძელება, შეწყვეტა და იმის დადასტურება მუშაობს თუ არა არხი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კომუნიკაცია.

კომპლიმენტები გამოიყენება ცხოვრების სხვადასხვა სფეროში: ოფიციალურ ანუ საქმიან გარემოში და არაოფიციალურ გარემოში ანუ ახლობელთა, მეგობართა და ნათესავთა წრეში. კომპლიმენტის საშუალებით მოლაპარაკე აღწევს კომუნიკაციური სიტუაციის სხვადასხვა მოზნებს: გარდა იმისა, რომ მყარდება

კონტაქტი, ასევე იქმნება საუბრისათვის, გრძნობების გამოხატვისათვის (ყველაზე ხშირად მამაკაცისა და ქალის ურთიერთობისათვის) და სხვ. სასიამოვნო ატმოსფერო.

კომპლიმენტი შეიძლება იყოს გამოყენებული ქალის, მამაკაცის, კოლეგის, ბავშვის, მოხუცის და ა.შ მიმართ. კომპლიმენტის გამოხატვის ფორმა, სტრუქტურა და შინაარსი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის მიმართ და რა სიტუაციაშია ის წარმოთქმული<sup>23</sup>.

ამგვარად, კომპლიმენტი როგორც სამეტყველო უნარი, რომელიც ფლობს კონტაქტის დამამყარებელ ფუნქციას და წარმოადგენს ურთიერთობის ჰარმონიზაციას, იმსახურებს კომპლექსურ კვლევას.

ფრანგულენოვანი კომუნიკაციის სასაუბრო ფორმაში კომპლიმენტი გვხვდება უფრო ხშირად, ვიდრე რომელიმე სხვა ენაში. ამ ტიპის სასაუბრო კომპლიმენტები გამოირჩევა წინადადების მარტივი წყობით, აშკარად გამოხატულ ემოციურ შეფერილობაზე ხაზგასმით“.

“ Comme tu es belle, ma fille!”- რა ლამაზი ხარ, ჩემო გოგო!

უდავოა, რომ კომპლიმენტი ფლირტისათვის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს; ასეთ შემთხვევაში ის შეიძლება თამამი ტონით და აზრის შენიღბვით ხასიათდებოდეს; მაგალითად:

“ T’appelles-tu Alice?-non, pourquoi?- Parce qu’une fille comme toi, peux seulement venir du pays de merveilles!- ალისა გქვია არა, რადგან შენნაირი გოგო შეიძლება სასწაულებათა ქვეყნიდან იყოს!

“ Que se passera-t-il dans le ciel avec tous ces anges qui marchent sur terre?”- რა მოხდება ცაში ყველა ამ ანგელოზებთან, რომლებიც მიწაზე დააბიჯებენ?

ფრანგულენოვან კომუნიკაციაში კომპლიმენტი გამოიყენება საქმიან სფეროშიც, სადაც კონტაქტის დამყარება ძალიან მნიშვნელოვან მომენტად ითვლება და ხელს უწყობს საქმიანი ურთიერთობის ეფექტურობას, სადაც კომპლიმენტი არა მხოლოდ ეტიკეტის ელემენტია, არამედ პიროვნებათა შორის ურთიერთქმედების ჰარმონიზაციის საშუალებაცაა:

“ Je pense que votre entreprise serait l’idéal pour moi;”-ვფიქრობ, რომ თქვენი საწარმო იდეალური იქნებოდა ჩემთვის!

“ Si tout le monde était comme vous ce serait un bonheur!”-ყველა თქვენნაირი რომ იყოს, რა ბედნიერება იქნებოდა!

<sup>23</sup> <http://fr.wikipedia.org/wiki/Pragmatique>

კომუნიკაციის სხვადასხვა სახის კომპლიმენტს, თემის, ადრესატის და გამოყენების სფეროს მიუხედავად, ახასიათებთ საერთო ნიშნები:

1) კომპლიმენტის ობიექტს წარმოადგენს რაიმე დადებითი თვისება (შესახედაობა, თანამოსაუბრის პროფესიონალური შეფასება, მისი ხასიათის და ქცევის თავისებურებები და ა.შ)

2) “შენ“-ობით ან „თქვენ“-ობით პირდაპირი მიმართვა, რადგან კომპლიმენტი კონტაქტურ კომუნიკაციას განეკუთვნება( vous êtes, tu es) და გულისხმობს საპასუხო რეაქციას;

3) ადრესატის ღირსებათა ჰიპერბოლიზაცია და ლექსიკა დადებითი შეფასებით (célèbre, belle).

4) ემოციურობა, რაც ზეპირმეტყველებაში ინტონაციით და წერით ფორმაში ძახილის ნიშნით გამოიხატება;

5) ჰიპერბოლიზაცია;<sup>24</sup>

ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც არ სიამოვნებდეს თავისი სულიერი თვისებების შექება. ქათინაურების წარმოთქმა ფატიკური კომუნიკაციის ყველაზე სასიამოვნო ხერხია. ქართველები ხშირად წარმოთქვამენ შემდეგ ფრაზებს: „ რა სიმპატიური ხარ!“ „ რა კარგად გამოიყურები!“ „ რა ლამაზი ვარცხნილობა გაქვს!“ „ ეს ტანსაცმელი ძალიან გიხდება!“ „ რა კარგი დიასახლისი ყოფილხარ!“, რაც ფრანგულში შემდეგნაირად გამოიხატება:

“Que tu es sympathique!”-რა სიმპატიური ხარ!

“Que tu es belle!”- რა ლამაზი ხარ!

“Quelle belle coiffure tu as!- რა ლამაზი ვარცხნილობა გაქვს!”

“ Ces vêtements te vont beaucoup!”-ეს ტანსაცმელი ძალიან გიხდება!

“Quelle bonne ménagère tu es!”- რა კარგი დიასახლისი ხარ!

ქართველებს და ფრანგებს ძალიან სიამოვნებთ მათი ინტელექტუალური ნიჭისა და უნარის შექება: „ რა ნიჭიერი ხარ!“ „რა კარგი რამ დაგიწერია!“ „ რა ლამაზი ხმა გაქვს!“ „ რა ჭკვიანი ხარ!“, რაც ფრანგულში შემდეგნაირად გამოიხატება:

„ Comme tu es intelligent!”-რა ნიჭიერი ხარ!

ქ“ Quelle belle voix!”- რა ლამაზი ხმა გაქვს!

<sup>24</sup> <http://www.fr.wikipedia.org/wiki/Pragmatique>

“ Comme tu es sage!”- რა ჭკვიანი ხარ!

ამრიგად, ქართულ და ფრანგულ ენებში თავაზიანობის ფორმები და ფატიკური გამონათქვამები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ისინი ხელს უწყობენ ადამიანს დასახული მიზნის მიღწევაში.

### 3.2. ფატიკური კომუნიკაციის ვერბალური პრაგმასემანტიკა ესპანურ და ქართულ ენებში

ფატიკური კომუნიკაციის თვალსაზრისით საინტერესოა ასევე ესპანური ენა.

“ ¡Hola!”-გამარჯობა!

“ ¡Buenos días!”- „ გამარჯობა“, სიტყვასიტყვით- „კარგი დღე“

“ ¡Buenas tardes!”- „ შუადღე მშვიდობისა!“

“ ¡Buenas noches!”- „ ღამე მშვიდობისა!“- რაც ღამის კარგად გატარების სურვილს შეიცავს.

არაოფიციალური საუბრის ფორმებია:

“ ¡Dichosos los ojos!”-ამას ვის ვხედავ!

“ ¡Hace mucho que no nos vemos!”-დიდი ხანია არ მინახიხარ!

“ ¡Me alegro de verlo!”- შენი ნახვა მიხარია!

“ ¡Que le ha traído por aquí?”-აქ რამ მოგიყვანა!

“ ¿Como le va?”-როგორ ხარ?

სიტყვიერი კომუნიკაცია ყოველთვის დამშვიდობებით მთავრდება. ესპანურ ენაში დამშვიდობების გამომხატველი სიტყვებია:

¡Adiós!-მშვიდობით!

¡Hasta la vista!-ნახვამდის!

¡Hasta pronto!-მომავალ შეხვედრამდე!

¡Hasta luego!-დროებით!

¡Nos veremos mas tarde!- მოგვიანებით შევხვდებით!

¡No se pierda!-არ დაიკარგო!

დამწვიდობების პროცესის გასახანგრძლივებლად, ქართველები, ფრანგები და ესპანელები მოკითხვას აბარებენ საერთო ნაცნობებთან.

“ ¡Le doy saludo de parte de mí a todos!- მოკითხვა თქვენებს!

ესპანელები მადლიერი და სიკეთის დამფასებელი ხალხია. ქართულ ენაში გამოხატული მადლიერების გამომხატველი სიტყვები, როგორცაა: „ გმადლობთ“;

„ დიდი მადლობა“; „ უღრმესი მადლობა“ და სხვა ესპანურ ენაში ასე გამოიხატება:

¡Gracias!- გმადლობთ!

¡Muchas gracias!- დიდი მადლობა!

¡Le estoy muy reconocido!- ძალიან მადლობელი ვარ თქვენი!

რაზეც ესპანელები თავმდაბლობას გამოხატავენ და პასუხობენ:

¡De nada!- არაფერს!

¡Que dices, no es necesario decir gracias!-რას ამბობ, რა საჭიროა მადლობის გადახდა!

¡Yo hice lo que yo pude!- რაც შემეძლო ის გავაკეთე!

როდესაც ესპანელი ნებისთ თუ უნებლიედ აწუხებს სხვა ადამიანს, ის გამოსავალს ბოდიშის მოხდით პოულობს. იგი ამ სიტუაციაში შემდეგ საბოდიშო სიტყვებს იყენებს:

¡Perdóneme!-ბოდიში!

¡Excúseme!-მაპატიეთ!

¡discúlpeme!-მაპატიეთ!

¡No le haya ofendido!- ხომ არაფერი გაწუხებთ?

¡No le haya hecho daño!- ხომ არაფერი დაგიშავეთ?

¡No quise hacerle daño!-არ მინდოდა თქვენთვის გული მეტკინა!

¡No quiso ofenderlo! -არ მინდოდა თქვენი წყენინება!

¡La culpa es mía!- ჩემი ბრალია!

ესპანელები მსგავს მობოდიშებებზე შემდეგნაირად პასუხობენ: “ ¡quítesele de la cabeza-! “თავიდან ამოიგდე!”

ესპანეთი დიდი სტუმართმოყვარეობით გამოირჩევა. მათაც მოპატიუების მრავალი ფორმა გააჩნიათ. ისინი დაპატიუებისას შემდეგ ფორმებს იყენებენ: ¡Te invito!- გეპატიუები! ¡Quiero invitarte!- მინდა დაგპატიუო! ¿Porque no llegas para visitarme?- რატომ არ მოდიხარ ჩემს სანახავად?, რაზეც პასუხი ასეთია: „¡voy a visitarvos!- გინახულებთ!

როგორც ქართველებისთვის, ასევე ესპანელებისთვისაც დამახასიათებელია გასაჭირში მყოფი მეგობრისა თუ ნაცნობისათვის დახმარების შეთავაზება. ისინი დახმარებას ასე სთავაზობენ: ”¿Que puedo hacer para tí?” “რით შემიძლია გემსახუროთ?” “¡ llámame si tu necesitas mi ayuda!”-დამირეკე თუ დაგჭირდეს ჩემი დახმარება! ამ ფრაზებით ესპანელები გამოხატავენ თავიანთ გულთბილ დამოკიდებულებას თანამოსაუბრის მიმართ.

ესპანელებისათვის ასევე დამახასიათებელია მეგობრებისა და ნაცნობების დალოცვა, რაც ესპანურ ენაში შემდეგნაირად გამოიხატება: ¡Buena fortuna- წარმატება!

დღესასწაულებთან დაკავშირებული მილოცვები კი შემდეგნაირად გამოიხატება ესპანურ ენაში: „ ¡Bueno Nuevo año!”-კარგ ახალ წელს გისურვებ! „ ¡Feliz navidad!”- ბედნიერ შობას გისურვებ!

ესპანელებისათვის ასევე დამახასიათებელია გასაჭირში მყოფი მეგობრის ნუგეშისცემა, რაც ესპანურ ენაში შემდეგნაირად გამოიხატება:

¡Es una pena!- სამწუხაროა!

¡ Qué pena!- სამწუხაროა!

¡Lo siento!- ვწუხვარ!

¡Siento mucho lo ocurrido!- ძალიან მწყინს, რაც მოხდა!

¡Que lástima!- რა სამწუხაროა!

ყველა ერის წარმომადგენელს სიამოვნებს მისი სულიერი და ფიზიკური თვისებების შექება. ასევე ესპანელებიც ერთმანეთს ქათინაურებს ეუბნებიან:

¡Tu eres muy linda!-ძალიან ლამაზი ხარ!

¡Tu eres muy guapa!- ძალიან ლამაზი ხარ!

¡Tu eres muy inteligente!- ძალიან ჭკვიანი ხარ!

¡Eres muy linda en esto vestido!- ეს კაბა ძალიან გიხდება!

ამრიგად, ქართულ, ფრანგულ და ესპანურ ენებში თავაზიანობის ფორმები და ფატიკური გამონათქვამები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც ადამიანებს ხელს უწყობს დასახული მიზნის მიღწევაში. ფატიკური კომუნიკაციის წარმატებით განხორციელებისას, მოსაუბრეებს მართებთ სასაუბრო რეგისტრის დაცვა, სადაც მოსაუბრეებს მართებთ არ აურიონ ერთმანეთში მეტყველების განსაკუთრებული რეგისტრები. ხშირად განათლებული პიროვნება აუცილებლად „მოარგებს“ შექმნილ სიტუაციას სათქმელს, რადგან მან წინასწარ იცის, რა რეაქციას გამოიწვევს მსმენელში მისი ნათქვამი. ვერბალურ კომუნიკაციაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კინესიკურ სიგნალებს, რომლებიც ხასიათდება ჭარბი უესტიკულაციით. სწორედ მათი მეშვეობით ახერხებენ ადამიანები თანამოსაუბრესთან კონტაქტში შესვლას, მაშინაც კი, თუ ისინი ვერ იგებენ თანამოსაუბრის ენას. ამ შემთხვევაში ისინი უესტიკულაციის წყალობით ახერხებენ თანამოსაუბრესთან დაკონტაქტებას.

ესპანელებისათვის ასევე დამახასიათებელია სხვადასხვა სიტუაციაში ფატიკური საუბარი.

### რესტორანში:

Rosa-Yo camino al restaurant para cenar.

Jose-¿Te puedo acompañar?

Rosa-Por supuesto que puedes.

Jose-Gracias,¿ te puedo ayudar con el equipaje?

Rosa-Gracias, ayúdame con una mochila.

Jose-Con mucho gusto.

Rosa-Qué deseas comer?

Jose-Una sopa con venturas. ¿Y tú?¿ Qué deseas comer?

Rosa-Unas tortillas con frijoles, huevos, y salsa de tomate.

Jose-Yo invite a la cena.

Rosa-No, yo paga la cuenta de los dos.



მოცემულ დიალოგში მოსაუბრე როსა სასადილოდ მიდის რესტორანში. ხოსეს სურს თან გაჰყვეს და დახმარებასაც სთავაზობს. პატივისცემის ნიშნად როსა სასურველ საჭმელს სთავაზობს და არჩევანის საშუალებასაც აძლევს. ხოსე ირჩევს სასურველ საკვებს და ბოლოს ანგარიშის გადახდასაც აპირებს, თუმცა როსა ამის საშუალებას არ აძლევს.

გამგზავრება:

J.¿Dónde está el boleto?

R.Está en la mesa.

J.Los aviones de la aerolinea son grandes.

R.Pero los vuelos son pocos.

J.Lo importante es que tenemos los billetes y las maletas preparados.

R.Si porque el horario de el viaje es a la 1 p.m.

J.Espero que lleves la linterna en la mochila.

R.La llevo. El avion está en la pista, esperando que aborden los pasajeros.

J.Pero la salida es a la 1 p.m.

დიალოგი როსას და ხოსეს შორის მიმდინარეობს. ხოსე კითხულობს სადაა ბილეთი, რაზეც როსა მიუგებს, რომ ის მაგიდაშია. ხოსე ამბობს, რომ უკვე უნდა მოემზადონ გასამგზავრებლად, რადგან თვითმფრინავი უკვე ასაფრენ ზოლზეა და მგზავრთა ასვლას ელოდება, მიუხედავად იმისა, რომ ფრენა 1 საათზეა.

საინტერესო კითხვები:

R.¿Tù eres taxista?

J.No, jo soy guardia.

R.¿Tù eres botones?

J.No, é les el botones.

R.¿Quién es Maria?

J.Es la azafata del avion.

R.¿Quién es Leticia?

J.Es la camarera del hotel.

R.¿Quiénes son ellos?

J.Él es aviador y ella es turista.

მოცემულ დიალოგში როსა ცდილობს დაადგინოს ხოსეს პროფესია. აქ ასევე ჩანს თუ როგორ არკვევენ ისინი სხვადასხვა ადამიანების პროფესიებს. დიალოგის ბოლოს ისინი იგებენ ნაცნობი ადამიანების პროფესიებს.

სად არიან მეგობრები?

R.¿Dónde están nuestros amigos?

J.Celeste está en la terminal de buses.

R.¿Maria y Anna? Dónde están?

J.Maria está en el supermercado comprando.

R.Ana está en la farmacia comprando medicinas.

J.¿Y tú? Qué haces?

R.Yo estoy cuidando el equipaje de todos.

მოცემულ დიალოგში როსას აინტერესებს სად არიან მისი მეგობრები, რაზეც ხოსე პასუხობს, რომ სელესტე ავტობუსების გაჩერებაზეა, მარია და ანა სუპერმარკეტში, ხოლო ანა აფთიაქში წამლებს ყიდულობს, თვით როსა კი ბარგთან რჩება.

ბავშვის დახასიათება:

R.El niño no es tonto.

J.No, él es muy inteligente.

R.Pero, también travieso.

J.Él está triste y aburrido.

დიალოგში ხოსე და როსა ვიდაც ბავშვზე საუბრობენ და განიხილავენ მის თვისებებს, რომ იგი ცველია, მაგრამ სამაგიეროდ ნიჭიერია; ის ასევე მოწყვნილი და უხასიათოა.

გასვირნება:

R.¿Tú estás feliz, por qué?

J.Porque tengo un viaje divertido

R.¿Quiénes irán contigo?

J.Mi hermano grande.

R.Y mi hermana pequeña.

J.¿A dónde irán?

R.A un río enorme.

J.¿El agua del río es limpia?

R.Si, pero muy fría.

J.Yo estoy preocupado.

R.¿Por qué?

J.Porque no sabes nadar.

R.Llevo salvavidas

J.¿Que tengas un viaje divertido.

R.Gracias, adiós.

დიალოგში როსა ეკითხება ხოსეს რატომაა ის ასე ბედნიერი, რაზეც ის პასუხობს, რომ მხიარულია მოგზაურობის გამო. მას თან ახლავს კითხვები, თუ ვინ იყვნენ მასთან ერთად და სად იყვნენ. იგი პასუხობს, რომ უზარმაზარ კამკამა მდინარეზე, რომელიც იმავდროულად ცივი იყო. ხოსე წუხილს გამოხატავს, რადგან ცურვა არ იცის, თუმცა ბედნიერ მოგზაურობას უსურვებს.

ვისია ზურგჩანთა?

R.¿La maleta pequeña es suya?

J.Si, es mía.

R.¿De quién es el equipaje que está allá?

J.El equipaje es nuestro.

R.¿Entonces, de quién es la mochila azul?

J.Està tuya.

R.¿Es mía!

J.Si, porque tiene los documentos tuyos.

R.Gracias.

დიალოგში საუბარია პატარა ჩემოდანზე. როსა ეკითხება ხოსეს, მისია თუ არა ეს ჩემოდანი, რაზეც ხოსე პასუხობს, რომ მისია ჩემოდანიც და ბარგიც. ხოლო რაც შეეხება ზურგჩანთას, ის როსასია, რადგან მასში მისი დოკუმენტებია.

მზადება გასეირნებისთვის:

R.Ellos ven el mapa.

J.Pero nosotros vemos la brújula.

R.¿Porqué tú ves la montaña?

J.Porqué està al sur.

R.Entonces, nosotros necesitamos ver el mapa.

J.Ellos ven el mapa y la brújula.

როსა და ხოსე რუკას უყურებენ, რადგან მთაში წასვლას გეგმავენ, თუმცა მათ ასევე იციან, რომ მოგზაურობისათვის კომპასიც აუცილებელია.

მოგზაურობა:

R.Yo vuelo a México.

J.Tú debes mostrar el pasaporte en aeropuerto.

R.Y también mostrar las maletas.

J.Tú vuelas en avión.

R.Y tú en avioneta.

J.A mis amigos les gusta volar en avión.

R.A mi hermano no le gusta volar.

ნაწევებში საუბარია მეხიკოში წასვლაზე, სადაც ხოსე ეკითხება როსას მიფრინავს თუ არა თვითმფრინავით, რაზეც ის პასუხობს, რომ ყველა მის მეგობარს თვითმფრინავით ფრენა უყვარს, თუმცა მის ძმას - არა.

მოგზაურობაზე ფიქრი:

R.Nosotros pensamos viajar a Italia.

J.¿Cuándo piensan salir?

R.Pensamos salir dentro de 15 días.

R.Yo pienso que es mejor viajar a Brasil.

J.¿Porqué piensas eso?

R.Porque el clima es mejor allá.

J.Juan piensa también viajar.

R.¿A dónde?

J.¿Qué lugares piensa visitar?

R.Él piensa visitar los templos.

J.Yo pienso que es muy interesante.

როსა ხოსეს უყვება, რომ იტალიაში მოგზაურობას გეგმავს, თუმცა მიაჩნია, რომ ბრაზილიაში მოგზაურობა სჯობია, რადგან იქ უკეთესი ჰავაა. ხოსე ამბობს, რომ ხუანიც აპირებს მოგზაურობას ტაძრების დასათვალიერებლად, რაც ძალიან საინტერესოდ მიაჩნია.

გასეინება:

R.Nadie de nosotros trae brújula.

J.Ni yo tampoco.

R.Nunca olviden la brújula

J.Veamos tu mapa.

R.Yo jamás cargo mapa.

J.Nada podemos hacer sin mapa y brújula.

R.Ninguna de estas cosas debemos olvidar traer.

როსა ეუბნება ხოსეს, რომ არცერთ მათგანს არა აქვს კომპასი, რაც აუცილებელია, რადგან რუკისა და კომპასის გარეშე ვერაფერს გახდებიან.<sup>25</sup>

მოცემული მაგალითები ნათლად აჩვენებენ, რომ ესპანელებისათვის, ისევე როგორც ფრანგებისათვის, დამახასიათებელია ყოველდღიურ საუბარში ფატიკური კომუნიკაციის გამოყენება. მათი ყოველდღიური ცხოვრება ფატიკური კომუნიკაციითაა სავსე.

### 3.3. ფატიკური კომუნიკაციის არავერბალური ასპექტები ფრანგულ და ქართულ ლინგვოკულტურულ არეალში

წინა თავში ჩვენ ვილაპარაკეთ ფატიკური კომუნიკაციის, როგორც ფრანგული და ესპანური ყოფის ლინგვოკულტურული ასპექტის საკუთრივ თეორიულ და ტიპოლოგიურ პარამეტრებზე, სადაც აღნიშნულ იქნა, რომ ჩვენ ვიკვლევთ ფატიკური კომუნიკაციის ვერბალურ ასპექტს, ანუ ასპექტს, რომელიც გააზრებულ იქნა თანამედროვე ლინგვისტიკაში. სანამ მოცემულ თავში დასმულ საკითხს შევეხებით, საჭიროა აღინიშნოს მათ შორის არსებული ტიპოლოგიური განსხვავება: არავერბალური ფატიკური კომუნიკაცია ეკუთვნის ლინგვოკულტურული ყოფის იგივე დონეს, რომელსაც ეკუთვნის ვერბალური კომუნიკაცია, ანუ ყოფით, სინამდვილის პირველ დონეს, ხოლო რაც შეეხება ფატიკური კომუნიკაციის იმ ასპექტს, რომელიც განპირობებულია ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით-იგი ეკუთვნის ყოფითი სინამდვილის მეორად დონეს, ანუ იმ დონეს, რომელსაც თანამედროვე ცივილიზაციის ფარგლებში ქმნის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია.

კომუნიკაციის ფორმებია.

ცნობილია, რომ შეტყობინებების 55% გადმოიცემა სახის გამომეტყველებებით, პოზირებითა და ჟესტებით; 38% ინტონაციით და ხმის მოდულაციით; სიტყვებისათვის მხოლოდ 7% რჩება.

<sup>25</sup> [http://www.123teachme.com/learn\\_spanish/brief\\_conversations](http://www.123teachme.com/learn_spanish/brief_conversations)

ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია ვოკალური და არავოკალური ჯგუფების კატეგორიებადაა დაყოფილი. კომუნიკაციის უმეტესი ნაწილი სიტყვიერია, ის დაფუძნებულია ენაზე და ვოკალურია, ხოლო არავოკალური ვერბალური კომუნიკაცია იყენებს წერილობით კომუნიკაციას, რომელიც გადმოცემულია ნიშნების ენით, თითების მოძრაობით.

კომუნიკაცია ინფორმაციის გადაცემის გაზიარებაა. არავერბალურ კომუნიკაციას ზოგადად ახლავს ყველა ქმედება, რაც შეტყობინებას უკავშირდება. მას ახლავს მიმიკა, სხეულის მოძრაობა და ჟესტები. ზოგჯერ ქმედება უფრო ბევრის მთქმელია, ვიდრე სიტყვები. არავერბალური კომუნიკაცია გზავნის და იღებს შეტყობინებებს სხვადასხვა საშუალებებით, სიტყვების გარეშე. იგი კომუნიკაციის ერთ-ერთი მთავარი ასპექტია.

როგორც აღვნიშნეთ, ფატიკური კომუნიკაცია ვლინდება როგორც ვერბალური, ისე არავერბალური დისკურსით. თანამშრომელთან, მეგობართან მისაღმების ნიშნად ხელის აწევა ან დაქნევა არავერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი ტიპია, რომელიც ასევე დაკავშირებულია არავერბალურ ჟესტებთან, როგორცაა გულთბილად ხელის ჩამორთმევა, ასევე სახის გამომეტყველება, როგორცაა ღიმილი, შეწუხებული სახე ან ხმის ტონი, თავის დაქნევით ღიმილი და ზოგჯერ უბრალოდ „ გამარჯობა“. ასევე ფატიკურობის არავერბალური გამოხატულებაა ფიჭური ტელეფონით შეტყობინების გაგზავნა: როგორა ხარ? რას აკე ჩვენს დროში არავერბალური კომუნიკაციის სისტემები მნიშვნელოვანი ხდება. როცა ჩვენ ვესაუბრებით ვინმეს, მხოლოდ ინფორმაციის მცირე ნაწილს ვიღებთ თანამოსაუბრისგან სიტყვებით. მეკლევარებმა დაადგინეს, რომ 60% – 70%-ით ვუკავშირდებით არავერბალურად: ჟესტებით, გამომეტყველებით, სხეულის მდებარეობით, მოძრაობებით და ა.შ.

არავერბალურ კომუნიკაციას შემდეგი მახასიათებელი ნიშნები გააჩნია. იგი ინარჩუნებს ურთიერთობას ვერბალურ კომუნიკაციასთან და ზოგჯერ ერთადაც ხდება. არავერბალური კომუნიკაცია ასევე გამოირჩევა კულტურების მიხედვით. არავერბალური კომუნიკაციის სისტემებს შორის აღსანიშნავია:

სხეულის ენა- ჟესტები, მოძრაობები, ხმის ტონი, ტანსაცმელი და თავად სხეული, რომელიც კომუნიკაციაში ჩვენი შეტყობინების ნაწილია. ასევე აღსანიშნავია ხატოვანი ენა, რომელიც არავერბალური კომუნიკაციის ბევრ ფორმას დაირთავს.

არავერბალური კომუნიკაცია უსიტყვო შეტყობინების პროცესია, რომელიც შეიძლება იყოს გადმოცემული ჟესტებით, სხეულის ენით ან პოზირებით, სახის გამომეტყველებებით ან თვალის კონტაქტით, პროსოდიული საუბრის ნიშნებით,

როგორცაა ინტონაცია, ხმა და საუბრის სხვა მახასიათებლები: ლაპარაკის სტილითა და ემოციით<sup>26</sup>.

ზოგჯერ ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია თანადროულად ხდება, რაც გამოსატულია სიტყვების, მზერის და სახის გამომეტყველებების ცვლილებებით. მაგ: ღიმილით, აწეული წარბებით, დაჟინებული მზერით, დაწუნების თუ მოწონების გამომხატველი მზერით, რაც არავერბალური თებ? კარგად ხარ? და სხვა, რითაც ადამიანები ცდილობენ ერთმანეთის იზოლირებისგან განცდის თავიდან აცილებას და შორ მანძილზეც და ხანგრძლივი დროითაც ერთმანეთის შენარჩუნებას, როგორც სივრცითი, ისე დროითი თვალსაზრისით.

ვერბალურ და არავერბალურ ფატიკურ კომუნიკაციას აქვს ასევე სოციალური ფუნქცია, მაგალითად: საუბრის წამოწყება, დამშვიდობების ცერემონიალი, ასევე ინფორმაციული ფუნქცია; მაგალითად: ხელის აწევით „ გამარჯობის“ გამოსატვა არის არავერბალური კომუნიკაცია, ხოლო შეკითხვა „ რა ხდება?“, „როგორა ხარ?“ და ა.შ არის ვერბალური ფატიკური კომუნიკაცია. განვიხილოთ შემდეგი საუბარი.

-გამარჯობა, როგორა ხარ?

-კარგად, შენ როგორა ხარ?

-კარგად, მშენიერი დღეა, არა?

-კი, მალე შევხვდებით.

-Bonjour, ça va?

-Bien, et toi?

-Bien, le temps est beau, n'est-ce pas?

-Oui, bientôt on se rencontre.

არავერბალურ კომუნიკაციას იგივე დატვირთვა აქვს, როგორც ვერბალურს. არავერბალური კომუნიკაციის გამოსატულების ფორმებია:

ჟესტიკულაცია- ხელების, ფეხების, თავის და სხეულის მოძრაობები.

შეხება- ხელის ჩამორთმევა, მხარზე ხელის დადება.

მსუბუქი გამომხატველობითი მოძრაობები: წარბების შეკვრა, მიმიკა, ღიმილი, ტუჩების კვნეტა და ა.შ.

<sup>26</sup> <http://www.rarbie.wordpress.com>



მხედველობითი კონტაქტი;

ფიზიკური დისტანცია: ახლო, პერსონალური, სოციალური.

ინტიმური 0-45 სმ, ახლო ემოციური კონტაქტის შემთხვევაში.

ინდივიდუალური ( პირადი) 45-120 სმ, ნორმალური კომუნიკაციის შემთხვევაში.

სოციალური 120-160 სმ, ოფიციალური შეხვედრების და საქმიანი ურთიერთობების შემთხვევაში.

პოზა- რა მანერით ზის, დადის ან დგას ადამიანი.

პარალინგვისტური ფორმები: ტირილი, სიცილი, ჩურჩული, ხველა და ა.შ.

საუბრის მანერა: ხმის ინტონაცია (თბილი, ცივი), ტემპი (მონოტონური, დინამიური), წარმოთქმული სიტყვები (ნერვიულად, მძიმედ, ადვილად, დაგვიანებით).

გარეგნული მახასიათებლები- სახე, თმები, სხეული, ჩაცმულობა, სქესი<sup>27</sup>. არავერბალური კომუნიკაცია, ეს არის კომუნიკაციის პროცესი, როდესაც მეტყველების გარეშე ხდება ინფორმაციის გაცვლა. სიტყვები გვაწვდიან ლოგიკურ ინფორმაციას. უესტები, მიმიკა და ხმის ტემბრი კი ამ ინფორმაციას ამყარებენ. მეტყველებით ინფორმაციის 7% გადმოიცემა, ხოლო არავერბალურ კომუნიკაციით 93%. აქედან უესტებს, პოზას და სახის გამომეტყველებებს დაახლოებით 55% უჭირავს, 38% კი - ხმის ინტონაციას და სასაუბრო ტემბრს. ვერბალურ კომუნიკაციას, ანუ მეტყველებას ძირითადად თავისუფლად ვაკონტროლებთ. საქმე სხვანაირადაა არავერბალური კომუნიკაციის დროს. ის არ ექვემდებარება ცნობიერს და ქვეცნობიერად ხდება მათი გაცვლა. მნიშვნელოვანია, რომ კომუნიკაციის ეს ორი გზა ერთმანეთს, თუ არ ემთხვევა რთულია, გვეუბნებიან ერთს, ფიქრობენ მეორეს. მათი ქვეცნობიერი კი მათ გასცემს<sup>28</sup>.

ყველაზე გავრცელებული უესტია ხელების გადაჯვარედინება მკერდთან. ეს უესტი შეიძლება მეტყველებდეს ადამიანის შებოჭილობაზე, დაძაბულობაზე. თუ მოსაუბრეს ხელები გადაჯვარედინებული აქვს და თან ოდნავ უკან არის გადახრილი, ამ შემთხვევაში ის ქმნის ქვეცნობიერ ბარიერს თქვენს შორის. თუმცა შეიძლება უბრალოდ ხელებს ითბობდეს. ამიტომ ვაკვირდებით სახის გამომეტყველებასაც. ასევე შესაძლებელია, მას თქვენ კი არა, საუბრის თემა აღიზიანებდეს და ამ უესტით იცავდეს ქვეცნობიერად თავს.

<sup>27</sup> <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=print&d=5&t=14192>

<sup>28</sup> <http://rarbie.wordpress.com/tag>

ცხვირთან და ტუჩებთან თითის მიტანა, როცა ადამიანი გაუცნობიერებლად ეხება ცხვირს ან აწვალებს ყურის ბიბილოს, ეს შეიძლება ტყუილის მიმანიშნებელი იყოს. თუ თქვენ საუბრობთ და ის გისმენთ, მაშინ მას ეჭვი შეაქვს თქვენს ნაამბობში. ტყუილისას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსაუბრის თვალებს. მოტყუებისას მას უჭირს თვალის გასწორება და შესანიღბად გადააქვს მზერა ან იფშენებს თვალებს<sup>29</sup>.

არსებობს მხედველობითი კონტაქტის რამდენიმე გზა:

საურთიერთობო გამოხედვა:- ამ დროს მოსაუბრეს უყურებენ სახეზე, ცხვირზე, შუბლზე და ტუჩებზე.

საქმიანი გამოხედვა:-ამ დროს უყურებენ თვალებში ან შუბლზე.

ინტიმური გამოხედვა:- ამ დროს მოსაუბრეს უყურებენ ტუჩებზე, თვალებში, სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე. საურთიერთობო გამოხედვისგან განსხვავებით, ამ დროს გუგები გაფართოებულია.

ჩვენი სხეული მუდმივად გადასცემს სიგნალებს, თან ისე, რომ ვერც ვხედავთ მას. არავერბალური კომუნიკაციის უნარი ადამიანებს დაბადებიდან გადაეცემა.

მიმიკური მოძრაობები უნებლიეა, რეფლექსური, თუმცა ადამიანს შეუძლია მათი ნებაყოფლობით გამოხატვაც. მიმიკა ერთ-ერთი დამხმარე საშუალებაა ადამიანებთან ურთიერთობისას. საუბრისას მიმიკა აზრის გამოხატვაში გვეხმარება. მიმიკა ბერძნული სიტყვაა და მიბაძვას ნიშნავს. მიმიკა სახის ნაკვეთების გამოკვეთილი მოძრაობაა, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვხატოთ ესა თუ ის განცდა- სიხარული, სევდა და სხვა.<sup>30</sup>

ჟესტიკულაცია- არავერბალური კომუნიკაციის ფორმა გამოხატული ხელების მოძრაობით, რომელიც ვერბალური კომუნიკაციის მაგივრად ან მის პარალელურად ხორციელდება. ჟესტიკულაციის ენა იძლევა სხვადასხვა გრძნობებისა და აზრების გამოხატვის საშუალებას. გამოიყოფა გამოხატვის ოთხი ძირითადი ფუნქცია:

1)ექსპრესიული, 2)მიმართებითი (იგულისხმება ავტორისა და ადრესატის ურთიერთდამოკიდებულება, 3)თავაზიანობის, 4)ირონიის და იუმორის გამომხატველი.

კლასიკური, არავერბალური იკონური გამოხატულების პარალელურად ელექტრონულ მეტყველებაში თანდათან აქტიურდება ვერბალური სიცილაკებიც, რომლებიც, ამა თუ იმ ემოციისა და ჟესტების სიტყვიერი გამოხატვით არის მიღებული.

<sup>29</sup> <http://www.rarbie.wordpress.com>

<sup>30</sup> <http://www.sangu.ge/new/Sartoniakonf.html/>

არავერბალური ფატიკური კომუნიკაცია ეკუთვნის ლინგვოკულტურულ ყოფის იგივე დონეს, რომელსაც ეკუთვნოდა ჩვენს მიერ უკვე განხილული ვერბალური ფატიკური კომუნიკაცია, ანუ ყოფით, სინამდვილის პირველ დონეს. მაგრამ რაც შეეხება ფატიკური კომუნიკაციის იმ ასპექტს, რომლის არსებობა განპირობებულია ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიით- იგი უკვე ეკუთვნის სინამდვილის მეორე დონეს, ანუ იმ დონეს, რომელსაც თანამედროვე ცივილიზაციის ფარგლებში ქმნის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: როგორ გამოიყურება არავერბალური ფატიკური კომუნიკაცია მის უშუალო მოცემულობაში?

ერთმანეთის პირისპირ მყოფი თანამოსაუბრეების მიერ ნებისმიერი ზეპირი მესიჯის გაცვლას შეიძლება თან სდევდეს მთქმელის სხეულის ერთგვარი მოძრაობები, რომლებმაც შეიძლება გააძლიეროს ან დააზუსტოს იმ სიტყვების მნიშვნელობა, რომელთაც ეს უკანასკნელი თან ახლავს. საუბარია იმ „კინესიკურ კოდზე“ (ბერძნულიდან კინესის= მოძრაობა), რომელშიც იგულისხმება, კერძოდ, სახის განსაკუთრებული მიმიკა, გამოხედვა, სხეულის პოზიციის დაფიქსირება, თანამოსაუბრეთა შორის ფიზიკური კონტაქტი, ჟესტიკულაცია და ა.შ. ვერბალური ენის ანალოგიურად, ნებისმიერი კულტურა განავითარებს თავის კინესიკურ ენას და იცნობს მის ნიშნებსა და მნიშვნელობებს, რომლებიც გარკვეულ წესებზეა დაფუძნებული და ვარიაციების მსგავსი პარამეტრების საფუძველზე შესაბამის ენობრივ კოდად გარდაიქმნება.

ნებისმიერი კულტურა სხვადასხვანაირ როლს ანიჭებს მისი საკომუნიკაციო შესაძლებლობის ფარგლებში მყოფ კინესიკურ კოდს: ამგვარად შეგვიძლია ავხსნათ ის არსებული ფიზიკური „უმოდრაობა“, რომელიც ერთმანეთის პირისპირ მდგომ მოსაუბრეებს ახასიათებთ.

მაგრამ როგორ აღიქმება და განიხილება თანამედროვე ენათმეცნიერებაში ზოგადთოერულ დონეზე ყველაფერი ის, რაც უკავშირდება არავერბალურ კომუნიკაციას? თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ხსენებული ფენომენი მოიაზრება როგორც სემიოტიკის იმ სფეროს კვლევის საგანი, რომელსაც „არავერბალური სემიოტიკა ეწოდება“.

არავერბალური სემიოტიკა ცდილობს აღწეროს და გაიაზროს არავერბალურ კომუნიკაციასთან დაკავშირებულ ფენომენთა სპექტრი ცნებათა იმ სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც უკვე შემუშავებული აქვს ვერბალურ კომუნიკაციას. სემანტიკის ამ სფეროსთვის არავერბალური კომუნიკაციის მოვლენათა ერთობლიობა წარმოადგენს „სხეულის ენას“, ხოლო იმ ნიშნობრივ ერთეულებს, რომლებსგანაც ეს ენა შედგება, უწოდებენ „ჟესტის ლექსემებს“, და აქედან გამომდინარე- „ყოფით ჟესტებს“. სემიოტიკის იმ სფეროს კი, რომელიც „სხეულის ენას“ (ანუ ჟესტების ენას იკვლევს) „კინესიკას“ უწოდებენ.

გამოყოფთ შემდეგ პრინციპებს:

ა)“ქესტებს, ისე როგორც ნებისმიერ სხვა ნიშანს აქვს აღსანიშნი (მნიშვნელობა) და აღმნიშვნელი (ფორმა), სინტაქტიკა და პრაგმატიკა.

ბ)“ყოფით ქესტებს, პოზებს, სხეულებრივ მოძრაობებს და სახის გამომეტყველებებს აქვთ იგივე ტიპის მნიშვნელობები, რომლებიც კოდირებულია ბუნებრივ ენაში: ქესტებს, ისევე როგორც სიტყვებს შეუძლიათ აღნიშნონ სახელები, ქმედებანი და ა.შ“

გამოიყოფა ქესტთა ორ შემდეგ სემანტიკურ ტიპი: კომუნიკაციური და სიმპტომატური.

„ კომუნიკაციურ ქესტებს ეკუთვნის ის არავერბალური ერთეულები, რომლებიც აღრესატს გადასცემენ იმ ინფორმაციას, რომლის გადაცემა აღრესანტს განზრახ სურს.

რაც შეეხება სიმპტომატურ ქესტებს, ისინი „ მოწმობენ მეტყველი პირის ემოციურ მდგომარეობაზე“.

ასევე ცნობილია კომუნიკაციურ ქესტთა შემდეგი კლასიფიკაცია, რომელიც იყოფა სამ ქვეკლასად: ჩვენებით - დეიქტიკური ქესტებად, ეტიკეტურ ქესტებად და ზოგადკომუნიკაციურ ქესტებად.

ბ) არავერბალური სემიოტიკის იმ ასპექტებს, რომლებსაც უკვე შევეხეთ შეიძლება ვუწოდოთ პირობითად „ პოზიტიური ასპექტები“, თუ პოზიტიურობას გავიგებთ, როგორც ყველაფერ იმას, რასაც უკვე შეგვიძლია დავეყრდნოთ არავერბალურ კომუნიკაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სფეროს კვლევისას.

ისევე, როგორც ფატიკური გამოთქმები, ყოფითი კინესიკური სიგნალებიც გათავისებული აქვს ადამიანს და ვერც კი აცნობიერებს, ისე ავტომატურად იყენებს მათ. არავერბალურ ქცევას სეპირი უწოდებდა „ შემუშავებულ და საიდუმლო კოდს“, რომელიც არსად არ წერია და მაინც ყველა იყენებს. აღსანიშნავია, რომ “ყველაში“ იგულისხმებიან მხოლოდ ერთი ცალკეული ერის წარმომადგენლები, ვინაიდან ყოველ ერს თავისებური კინესიკური სიგნალები აქვს, ხოლო უცხოელებთან ურთიერთობისას ამ უკანასკნელთა კინესიკური ქცევის ცოდნა და გათვალისწინება ისევე აუცილებელია, როგორც ეტიკეტის ნორმის ცოდნა.

ქესტები ყოფითი მოვლენაა და განსხვავდება ყოფითი კოლექტივების მიხედვით. ის ქესტები, რომლებიც ქართველებისათვის, როგორც ძლიერი ემოციური ერისათვის მისაღებია, შეიძლება ბევრი სხვა ერისათვის მიუღებელი იყოს.

ქართული ერის ყოფა ძალიან მდიდარია კინესიკური სიგნალებით, თუმცა ფრანგები და ესპანელები უხვად იყენებენ ქესტებს (ცერცვაძე, 2007:107)

### 3.4. ფატიკური კომუნიკაციის არავერბალური ასპექტები ესპანურ და ქართულ ენებში.

სხეულის ენა და შესტები კარგი საშუალებაა იმის საჩვენებლად, თუ რას ეძებ ან სად გინდა წახვიდე; თუმცა ზოგ ქვეყანაში ეს უხეშობადაა მიჩნეული. ესპანელებისათვის, ამ შემთხვევაში ყველაზე ეფექტური საშუალებაა პასტა და ფურცელი, რომლებიც მუდამ თან დააქვთ. სურათების დახატვამ შეიძლება სხვებს უკეთესად გააგებინოს, ვიდრე ხელების მოძრაობამ, ან მიაწოდო მათ პასტა და ფურცელი და სთხოვო დაგიწერონ რისი თქმაც სურთ. ეს განსაკუთრებით ეფექტურია რაიმე ნივთის ფასის გაგების დროს.

შესტებს თავიანთი დანიშნულება აქვთ. ისინი სხვადასხვა სიტუაციებში გამოიყენება. ზოგი ჩვეულებრივ სიტუაციაში, ზოგი არაოფიციალურსა და ოჯახურში.

ესპანელები უხვად იყენებენ შესტებს და სხეულის ენას. შესტებისა და სხეულის ენაზე დაკვირვებით, შეგიძლიათ დაასკვნათ რას ფიქრობს მოლაპარაკე და რა ენერჯია აქვს მას მოცემულ მომენტში. ეს შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, განსაკუთრებით დასაწყისში, როდესაც კარგად ვერ ფლობ ესპანურ ენას. ადგილობრივი ესპანელები სწრაფად ლაპარაკობენ და ზოგჯერ რთულია მათი გაგება. სწორედ სხეულის ენა გვეხმარება აზრის გაგებაში. იმისათვის, რომ შეეჩვიო მათ ვერბალურ თუ არავერბალურ კომუნიკაციას საჭიროა მათთან ბევრი დროის გატარება.

ესპანური კულტურა ჩვენი კულტურისგან დიდად განსხვავდება. ესპანეთში მოგზაურობა დიდი სიამოვნებაა, როცა იცნობ მათ კულტურასა და ხალხს.

ლათინურ ამერიკაში უზრდველობაა საგნების ერთმანეთისთვის სროლა. თუ ვინმესთვის რამის მიცემა გინდა ხელში უნდა მიაწოდო, თუმცა ეს ყველა ქვეყანაში ასეა.

ლათინოამერიკელები მეგობრებს ჩვეულებრისამებრ ესალმებიან და ნათესავებს ისინი კოცნიან, კაცებსაც კი. კაცები ქალებს ესალმებიან “ბესიტოს”-ით, თვით ქალებიც კი ამ შესტს იყენებენ. ეს კოცნა მეგობრულია და არა აქვს რომანტიული მნიშვნელობა. ესპანეთში მოგზაურობისას, გარიგება უფრო დაბალ ფასებზე – ბაზრებში, პატარა მაღაზიებში და ტაქსებშიც კი მოსალოდნელი ფაქტია. ტურისტებს უფრო ძვირს უფასებენ ხოლმე ვაჭრობისას. გარიგება ერთგვარი სპორტია და შეიძლება გართობად ჩაითვალოს.

ესპანეთში მოგზაურობისას დიდი სიფრთხილეა საჭირო შესტების გამოყენებისას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელის შესტი „მოდი აქ“, როდესაც

ხელის გული გაქვს დაბლა დაწეული საჩვენებელი თითით. ხოლო როდესაც ხელის გული მაღლა გაქვს აწეული ნიშნავს, რომ ამ პიროვნებით რომანტიულად ხარ დაინტერესებული (იხ. სქემები დანართში).

ესპანელებისათვის ასევე დამახასიათებელია ტრანსპორტში გამოყენებული შესტები, როდესაც სიახლოვეს ჯიბის ქურდია; ამ შემთხვევაში ყურადღებას აქცევენ ბებიებს ან დედებს. ისინი აუცილებლად მიგანიშნებენ, თუ ჯიბის ქურდი სიახლოვესაა. ისინი ხელს წამოწევენ, რამდენჯერმე გაამოძრავებენ და ხელს გულთან მიიტანენ. ამას რამდენიმე წამი სჭირდება, თუმცა მნიშვნელოვანი შესტია.

როდესაც ესპანელს ხელი პირთან მიაქვს, ეს ნიშნავს, რომ მას შია “მოდ, ვკამოთ!” როდესაც ქალს ნეკა თითი მაღლა უჭირავს, იგი გულისხმობს „ ასე დამტოვე?“. ხოლო როდესაც ამობრუნებულ ხელის გულს ვინმესკენ იშვერენ, გულისხმობენ „ ვაპირებ მოგცე რაღაც“. თუ ქალი ხელს შლის და ერთმანეთს ურტყამს, იგულისხმება, რომ მან ხელები დაიბანა. ასევე როდესაც პირთან თითი მიაქვთ და მას კოცნიან, ფიცს გულისხმობენ. როდესაც აინტერესებთ რომელი საათია, მათ ხელი მაჯასთან მიაქვთ. ისინი ასევე ხატავენ მატარებელს, რომ შეიტყონ სად არის ყველაზე ახლო გაჩერება და ა.შ.

არაოფიციალური შესტები გამოიყენება ისეთ ადამიანებთან ურთიერთობისას, რომლებსაც შენობით მივმართავთ.

აღსანიშნავია, რომ არავერბალური კომუნიკაცია სწორედ ის პროცესია, რომლის მიზანია უსიტყვო შეტყობინების გაგზავნა და მიღება. ასეთი შეტყობინებები გადმოიცემა შესტებით, სხეულის ენით, პოზირებით, სახის გამომეტყველებებით და თვალის კონტაქტით. არავერბალური კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. პოზირება გადმოსცემს ოფიციალურობას ან არაოფიციალურობას კომუნიკაციის დროს. რაც შეეხება ფიზიკურ კონტაქტს, იგი უკავშირდება ხელის ჩამორთმევას, შეხებას, კოცნას, ხელის კვრას და ა.შ. ისინი ინტიმურობის ან მიზიდულობის ელემენტებს გამოხატავენ. რაც შეეხება შესტებს ყველაზე გავრცელებულია ხელის მოძრაობა. ადამიანების უმეტესობა საუბრისას ხელით მოძრაობას იყენებს, ხოლო საურთიერთობო კონტაქტის ძირითად ქცევას თვალით კონტაქტი წარმოადგენს. ის შეიძლება გადმოსცემდეს ემოციას, სიგნალს, როდის ისაუბროს ან დაასრულოს საუბარი. იგი შეიძლება ინტერესს და მობეზრებასაც გამოხატავდეს.

### **დასკვნა III თავის მიხედვით**

მოცემულ თავში წარმოდგენილია ფატიკური კომუნიკაციის ლინგვოკულტურული ასპექტები ფრანგულ და ესპანურ ენებში, სადაც ყურადღებას ვამახვილებთ ფატიკური კომუნიკაციის ცხრა ქვეტიპზე, რომლებიც ერთმანეთთან პარადიგმატულ

მიმართებაში იმყოფებიან. ცნობილია, რომ ნებისმიერ პარადიგმატულ პლანში, გამოყოფილი ენობრივი ერთეული მეტყველებაში განიცდის სიტუაციურად და კონტექსტუალურად განპირობებულ ვარიაციას. მოცემულ თავში განხილულია ფატიკური კომუნიკაციის ქვეტიპები და სიტუაციურად განპირობებული ფორმები. ასევე გაანალიზებულია ფატიკური კომუნიკაციის არავერბალური ასპექტები ფრანგულ და ესპანურ ლინგოკულტურულ არეალში, სადაც აღნიშნულია, რომ ჩვენს დროში არავერბალური კომუნიკაციის სისტემები მნიშვნელოვანი ხდება და რომ 60% 70%-ით ვუკავშირდებით არავერბალურად: ჟესტებით, გამომეტყველებებით, პოზირებით, სხეულის მოძრაობით და ა.შ. ასევე შეინიშნება, რომ ზოგჯერ ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია თანადროულად ხდება, რაც გამოხატულია სიტყვების, მზერის და სახის გამომეტყველებების ცვლილებით. ესპანელებისათვის დამახასიათებელია ჟესტები და სხეულის ენა, რომლის მეშვეობით ისინი იგებენ რას ფიქრობს მოლაპარაკე და რა ენერგია აქვს მოცემულ მომენტში.

## თავი IV ფატიკურ გამონათქვამთა შედარებითი ანალიზი ფრანგულ, ესპანურ და ქართულ ენებში

როგორც ავღნიშნეთ, არავერბალური ფატიკური კომუნიკაცია უსიტყვო შეტყობინების პროცესია, რომელიც შეიძლება იყოს გადმოცემული ქესტებით, სხეულის ენით ან პოზირებით, სახის გამომეტყველებით ან თვალის კონტაქტით.

არავერბალური კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. როგორც ფრანგები და ესპანელები, ქართველებისთვისაც დამახასიათებელია არავერბალური ფატიკური კომუნიკაციის გამოყენება. როგორც წინა თავებში ავღნიშნეთ, არავერბალური ფატიკური კომუნიკაცია შეტყობინების 93% შეადგენს. მისი გამოხატვის ხერხებია: ქესტები, სხეულის ენა, პოზირება, სახის გამომეტყველება და თვალთ კონტაქტი. ასევე პროსოდიული საუბრის ნიშნები, როგორცაა ინტონაცია, ტონი და საუბრის სხვა მახასიათებლები: ლაპარაკის სტილი და ემოცია.

ქართველი ერის ყოფა მეტად მდიდარია კინესიკური სიგნალებით. ქართველები ძალიან მოქნილად იყენებენ ამა თუ იმ ქესტს. ისინი საკმაოდ მოხერხებულნი არიან უცხოელებთან ურთიერთობისას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ არ იციან უცხო ენა.

ყველაფერ იმაზე, რაც ზემოთ ითქვა არავერბალურ კომუნიკაციაზე, შეგვიძლია მივუთითოთ ფატიკური არავერბალური კომუნიკაციის როგორც კვლევის მეტად თუ ნაკლებად ავტონომიური სფეროს გამოყოფასთან დაკავშირებული პრობლემატიკის შემდეგ ძირითად ასპექტებზე:

ა) ხსენებული პრობლემატიკის პირველი ასპექტი უკავშირდება არავერბალური ფატიკური კომუნიკაციის პრაგმასემანტიკის, მისი სპეციფიკისა და საზღვრების განსაზღვრას. ფუნქციურ-შინაარსობრივი თვალსაზრისით, არავერბალური ფატიკური კომუნიკაციის პრაგმასემანტიკა არ უნდა განსხვავდებოდეს ვერბალური ფატიკური კომუნიკაციის პრაგმასემანტიკისგან. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია, რომლის მართებულობა უნდა დადასტურდეს “სხეულის ენის“ ემპირიული სინამდვილის შემდგომი კვლევის შედეგად;

ბ) აქედან გამომდინარე უნდა ჩავთვალოთ, რომ არავერბალური კომუნიკაციის პრობლემა ატარებს არა მხოლოდ ლინგვოსემიოტიკურ, არამედ ასევე ლინგვოკულტუროლოგიურ და უფრო ფართოდ სემიოკულტურულ ხასიათს. კვლევის ლინგვოკულტუროლოგიური მიმართულება იმყოფება თავისი განვითარების საწყის ეტაპზე. როგორც ჩანს, არავერბალური ფატიკური კომუნიკაციის კვლევა უნდა იქცეს ხსენებული ინტერდისციპლინარული მეცნიერული მიმართულების კვლევის ობიექტად.



განსაკუთრებით საყურადღებოა ფიჭური ტელეფონით განპირობებული კომუნიკაცია, იგი არა მხოლოდ ეკუთვნის ყოფის უკვე მეორად დონეს, არამედ შეიძლება ითქვას, რომ ეს დონე იქმნება ფიჭური სატელეფონო კომუნიკაციით. მობილურ ტელეფონს სხვადასხვა დანიშნულებები გააჩნია:

1) მობილური ტელეფონი გეთავაზობს ინდივიდის პირადი მე-ს საკომუნიკაციო შესაძლებლობების ტექნოლოგიური თვალსაზრისით გაფართოების შესაძლებლობას და, მაშასადამე, გვევლინება შიდა ინტრაფსიქიკური დონის ფუნქციის გარე გამოვლინებად.

2) მობილური ტელეფონი შლის საკომუნიკაციო პროცესის ტერიტორიულ და გეოგრაფიულ საზღვრებს. ამ შემთხვევაში საკომუნიკაციო აქტი პირდაპირ კავშირშია ინდივიდთან და არა ამ აქტის კონტექსტთან: საკომუნიკაციო აქტის ფოკუსი „ კონტექსტუალიზაციიდან“ „ ინდივიდუალიზაციაზე“ გადაინაცვლებს.

3) ეს პროცესი დაკავშირებულია უფრო მნიშვნელოვან პროცესთან, რომელიც თანამედროვე საზოგადოებისა და კულტურისთვისაა დამახასიათებელი და რომელიც „ დერადიკაციის“ და „ დეკონტექსტუალიზაციის“ სახელითაა ცნობილი.

მობილური ტელეფონი ყოველთვის პირდაპირი გზით არის დაკავშირებული მის მფლობელთან და თუ იგი გამორთული არ არის, ყოველთვის შესაძლებელი ხდება მასთან კავშირის დამყარება. მობილური ტელეფონი „ არასოდეს არ არის ერთ რომელიმე კონკრეტულ ადგილას“, არ არის ფიქსირებული, იგი ყოველთვის თან ახლავს თავის მფლობელს, მასთან ერთად მოიაზრება. ამ თვალსაზრისით, ხდება კომუნიკაციის დეტერიტორიალიზება და დეკონტექსტირება, იშლება მისი ფუნქციური და გეოგრაფიული საზღვრები, რასაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მართლაც რომ ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ფიჭური ტელეფონით განპირობებული მთელი სიახლე ჩვენ აღვიქვათ სივრცითი და დროითი თვალსაზრისით. ამ სიტუაციაში ივარაუდება ის სიახლოვე, რომელსაც ჩვენ განვიცდით ფიჭური ტელეფონით კომუნიკაციის დროს. „სიახლოვის“ ცნება შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს როგორც სივრცითი, ისე დროითი თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით, მობილური ტელეფონი, ტენდენციურად, მხოლოდ გვიდასტურებს სხვა პიროვნების „ ტელეფონზე დაჭერის“ შესაძლებლობას. იგი გვაგრძნობინებს მის სიახლოვეს და ასეთ მომენტში მისი ფიზიკურად შორს ყოფნით გამოწვეული წუხილის რისკის ფაქტორი მინიმუმამდეა დაყვანილი.

რაც შეეხება ხაზგასმას სივრცითი თვალსაზრისით, იგი საშუალებას გვაძლევს პირდაპირი კონტაქტი დავამყაროთ ჩვენთვის სასურველ პიროვნებასთან ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას, რაც იმ აზრს ადასტურებს, რომ ის „სხვა პიროვნება“ ჩვენთვის მუდამ ხელმისაწვდომია, რაც გულისხმობს “მუდმივი კავშირის“ ოცნების ასრულებას, მყარ მეგობრულ „ არსებობის კონტექსტში

ჩაფლულობას“, კომუნიკანტთა ერთგვარი მაკროჯგუფის წევრად თავის აღქმას, პერმანენტულად “საკომუნიკაციო ურთიერთობაში მყოფი სუბიექტების გაერთიანებას“. სწორედ ასეთ ჭრილში შეგვიძლია განვიხილოთ უამრავი „sms“<sup>31</sup>-ი და მესიჯი“, რომლებსაც მოზარდები ერთმანეთს უგზავნიან მხოლოდ მისაღმების მიზნით. მათი რიცხვი კი ყოველწლიურად იზრდება.

ფიჭურმა ტელეფონმა, შექმნა რა თანამედროვე ადამიანის ყოფის მეორადი დონე, გარდაქმნა თვით ფატიკურობა, როგორც ფენომენი და მას მიანიჭა ახალი ფუნქცია, სახელდობრ დროისა და სივრცის გადალახვის ფუნქცია ადამიანთა ურთიერთობის პლანში. ლ. პეცულოს მიერ განხორციელებულმა დაკვირვებებმა საშუალება მოგვცა გავაკეთოთ ორი ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული დასკვნა:

ა) ფიჭური კომუნიკაციის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ფატიკურ და არა ინფორმაციულ კომუნიკაციას.

ბ) ის ფატიკური კომუნიკაცია, რომელიც ხორციელდება ფიჭური ტელეფონით, ფუნქციურად და თვისობრივად განსხვავდება ლინგვისტიკისათვის კარგად ცნობილი ფატიკური კომუნიკაციისაგან. ის ფატიკური კომუნიკაცია, რომელიც პირველად აღწერა ბ. მალინოვსკიმ და რომლის სისტემატიზაცია მოახდინა რ.იაკობსონმა, ხასიათდება იმით, რომ იგი ქმნიდა შესაფერის (თბილ, მეგობრულ) ატმოსფეროს კომუნიკაციის შემდგომი, უკვე ინფორმაციის მატარებელი ეტაპისათვის. ამგვარად გაგებულ ფატიკური კომუნიკაცია ასრულებდა უაღრესად მნიშვნელოვან ფუნქციას.

#### 4.2. თანამედროვე ტექნოლოგიებით განხორციელებული ფატიკური კომუნიკაციის ვერბალური ტიპების კლასიფიკაცია ფრანგულ, ესპანურ და ქართულ ენებში

თანამედროვე ტექნოლოგიებით განხორციელებული ფატიკური კომუნიკაცია ემსახურება იმას, რომ დაამყაროს, განავითაროს და შეინარჩუნოს ადამიანური ურთიერთობები. ამ ტიპის ტექნოლოგიების უმთავრესი ფუნქციაა შექმნას სოციალური კონტექსტი. მისი მომხმარებელნი ქმნიან სოციალურ საზოგადოებას ინტერაქციული მიზნების ერთობლიობით, რომელიც შეიძლება იყოს მართებული ყველა ადამიანთა ინტერაქციის სოციალურ კონტექსტში.

ამ მხრივ საყურადღებოა ის თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც ადამიანებს ეხმარება კომუნიკაციის დამყარებაში. ეს თანამედროვე ტექნოლოგიებია: ინტერნეტი, ტელეფონები, ფაქსები, სატელეფონო ქსელები, ვიდეო კომპიუტერი. პირველი ნაბიჯები ინფორმაციული საზოგადოებისკენ იყო აღნიშნული

<sup>31</sup> მოკლე ტექსტური შეტყობინება

ელექტრონული ტელეგრაფით, ტელევიზიით და ინტერნეტით, შემდეგ მობილური ტელეკომუნიკაციით.

ფატიკური ტექნოლოგიის განვითარება და მისი გავლენა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე შესამჩნევად იზრდება თანამედროვე პერიოდში. თუმცა ფატიკური ტექნოლოგია არ არის თანამედროვე დროის პროდუქტი, ის არც თანამედროვეობის სოციალური პირობების პროდუქტია. „თანამედროვეობით“ ჩვენ ძირითადად ვგულისხმობთ, სოციალური ცხოვრების ფორმებს, რაც ევროპაში განვითარდა 1700 წლიდან და გავლენა მოახდინა მთელს მსოფლიოზე.

ჩვენ ვცდილობთ გავიგოთ დამოკიდებულება ფატიკურ ტექნოლოგიასა და თანამედროვეობას შორის. თუმცა ჩვენ ვიცით თანამედროვეობის ფართო მნიშვნელობები და სხვადასხვა თეორიული ინტერპრეტაციები.

ახალი ტექნოლოგიების მომხმარებლებს აქვთ პერსონალური და სოციალური მიზნები. ფატიკური ტექნოლოგია და მისი მომხმარებელი საზოგადოება განსაზღვრავს სოციალურ კონტექსტს, ხოლო თვით ტექნოლოგია კი შეიძლება იყოს მართებული ყველა ადამიანურ აზრთა გაცვლა-გამოცვლის კონტექსტში.

ფატიკური ტექნოლოგიის მიზანია სოციალური ურთიერთობის შენარჩუნება, რომელიც შეიძლება იყოს მართებული და მნიშვნელოვანი ჯგუფის გარკვეული ჯგუფისათვის. ჩვენ განვიხილავთ ინტერნეტს, როგორც ფატიკური ტექნოლოგიების პირველად წყაროდ, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების და ტექნოლოგიის ინტერაქციას.

ინტერნეტი არის ფატიკური ტექნოლოგიის ცნების უმთავრესი მოტივირებული მაგალითი. ის წარმოდგება სოციალური თემიდან, მდიდარი სოციო-ლოგიკური სტრუქტურით, რაც ეფუძნება პიროვნებათა პირად საჭიროებებს.

ფატიკურობა არის მნიშვნელოვანი ცნება ტექნოლოგიისა და თანამედროვეობის როლის გაგებაში და თანამედროვეობის პირობებში.

კომუნიკაცია არის ადამიანური გამოცდილების მთავარი ნაწილი. კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ტექნოლოგიაც ვითარდება და ზეგავლენას ახდენს ჩვენი ცხოვრების კომუნიკაციურ ასპექტზე. თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტები იმაზე, თუ როგორ ვუკავშირდებით ერთიმეორეს, არის ვრცელი და მრავალფეროვანი; ორივეთი, დადებითი და უარყოფითი ზემოქმედებით, ჩვენ პირად ცხოვრებაზე და საქმეზე. თანამედროვე ტექნოლოგიები ხელს უწყობს ინფორმაციის გადაცემის სიჩქარეს. „იმეილი“ იგზავნება წუთში, ტექსტური შეტყობინებები საშუალებას გვაძლევს ერთმანეთს შეტყობინებები გავუგზავნოთ წამებში. ტელეფონით შეგვიძლია დავეკონტაქტოთ ყველას ნებისმიერ ადგილას და დროს. მესიჯები და ვიდეოები საშუალებას აძლევენ ხალხის ჯგუფებს რეალურ დროში ილაპარაკონ მთელს მსოფლიოში. თანამედროვე კომუნიკაციები ზრდის

კომუნიკაციისაკენ წვდომას. ტელეფონის და ინტერნეტის გავრცელება საშუალებას აძლევს ინდივიდებს ყველაზე შორი მანძილიდან ან მიდამოებიდან დაუკავშირდნენ ერთმანეთს. ეს ტექნოლოგიები ქმნიან აქამდე არარსებულ კომუნიკაციურ შესაძლებლობებს<sup>32</sup>.

ოჯახისგან, მეგობრებისგან და სხვა საყვარელი ადამიანებისგან შორ მანძილზე ყოფნა ცხოვრებას ართულებს. სატელეფონო საუბრებს ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ. ისინი ეხმარებიან კომუნიკაციას. ისეთი ტექნოლოგიები როგორცაა: facebook, twitter, ტექსტური შეტყობინებები, და სოციალური ქსელების საიტები, facebook, my space, ეხმარება ხალხს მუდმივად იყვნენ კავშირში ახლობელ ადამიანებთან.

ინტერნეტის საშუალებით, როდესაც ადამიანები facebook-ზე აქვეყნებენ პირად ინფორმაციას, ვიგებთ ახალ, პირად და საინტერესო ამბებს, რაც ადრე არც კი ვიცოდით ჩვენი მეგობრების შესახებ.

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომუნიკაციის განვითარების მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად კომუნიკაციის გადაცემა უფრო სწრაფი ხდება. თანამედროვე ტექნოლოგიებმა ასევე ხელი შეუწყო, რომ ადამიანები ერთმანეთს დაუკავშირდნენ ნებისმიერ ადგილას და დროს, რამაც მათ შორის დისტანცია გარკვეულწილად შეამცირა.

როგორც ქართველები, ისევე ფრანგები და ესპანელებიც აქტიურად იყენებენ ინტერნეტს, ტექსტურ შეტყობინებებს, იმეილებს და ა.შ, რაც მათ ცხოვრებას ამარტივებს და რომლითაც შორს მყოფი მეგობრები და ახლობელი ადამიანები თავს ერთმანეთთან ახლოს გრძნობენ. ამ მხრივ ასევე სინტერესოა skype-ის დანიშნულება, რომლის მეშვეობითაც შორს მყოფი ადამიანები ერთმანეთს ხედავენ და უზიარებენ ერთმანეთის სიხარულსა თუ მწუხარებას.

ფრანგები, ტექსტური შეტყობინებების წერისას, შემოკლების ფორმებს იყენებენ, რითაც ისინი დროს ზოგავენ. ფრანგებისთვის და მით უმეტეს სხვა ერის წარმომადგენლებისათვის რთულია შემოკლებული შეტყობინებების გაგება, რადგან ის სრულიად ახალ ენას წააგავს. თუმცა დროთა განმავლობაში წერის ასეთი სტილი უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ტექსტური შეტყობინებების მთავარი წესი შემდეგი საშუალებებით გამოიხატება.

1) შემოკლებების გამოყენება, როგორცაა TLM, tout le monde-ის ნაცვლად.

<sup>32</sup> <http://micronarratives.blogspot.com/2009/04/phatic-communication-twitter-and-web20.html#1/2009/04/phatic-communication-twitter-and-web20.html>

2) ასოების გამოყენება, რომლებიც სასურველი ელერადობებით წარმოითქმის, როგორიცაა: OQP-occupé.

3) მუნჯი ასოების ამოვარდნა სიტყვის ბოლოს, parl, parle-ის ნაცვლად.

1 ანაცვლებს, un, une, in, მაშინ როცა 2 ანაცვლებს de-ს. C- თი იცვლება c'est, s'est, sais etc. E- თი იცვლება ai, ais. K- თი იცვლება qu, ხოლო O-თი იცვლება au, aux, eau და T-ით t'es.

შევეცდებით წარმოვადგინოთ ნაწილობრივ sms-ის მოკლე ფორმები ფრანგულ ენაში<sup>33</sup>.

C=c'est	qqch=quelque chose
O=au	qqn=quelqu'un
Koi=quoi	2 ri 1=de rien
Kil=qu'il	A+=A plus
Parske=parce que	a tt=à tout à l'heure
Koment=comment	auj=aujourd'hui
2m1=demain	b 1 sur=bien sûr
Je vai=je vais	bi 1 to= bientôt
Boku=beaucoup	bjr=bonjour
Abiento= à bientôt	bsr=bonsoir
Vou ete= vous □tes	CAD=c'est-à-dire
C ki= c'est qui?	Cb1=c'est bien
Rdv=rendez vous.	C cho=c'est chaud
Ecm= en ce moment	C pa 5pa= c'est pas sympa
Aprem=après-midi	CPG=c'est p[as grave
Biz=bises/bisous	Ct=c'était, c'est tout
D'ac=d'accord	QDN=quoi de neuf?

<sup>33</sup> <http://french.about.com/library/writing/bl-texting.htm>

DSL=désolé	qq=quelques
ENTK=en tout cas	raf=rien à faire
G la N= J'ai la haine	rdv=rendez-vous
GSPR b 1=J'espère bien	ri1=rien
Je C=je sais	savapa=ça va pas?
Jenémar- j'en ai marre	STP/SVP=s'il te plaît, s'il vous plaît
Je t'M=je t'aime	tabitou=t'habites ou?
JMS=jamais	Tok?=t'es ok?
JSG= je suis génial	tps=temps
Keske=qu'est-ce que?	Vazi=vas-y
Ki=qui	VrMan=vraiment
Koi=quoi	X1nt=excellent
Lut=salut	ya=il y a
M=merci	
NSP=ne sais pas	
P2k=pas de quoi	
Pkoi=pourquoi	

ეს ის შემოკლებებია, რომლებსაც ფრანგები იყენებენ ტექსტური შეტყობინებების წერისას. წერის ეს სტილი ასევე დამახასიათებელია ესპანელებისათვისაც. ისინი შემოკლების შემდეგ ფორმებს იყენებენ.<sup>34</sup>

H,hi=hola	aki=aqui
Q tal?=qué tal?	Amr=amor
Qai?=qué hay?	Aora=ahora
Ko=estoy muerto	asdc=al salir de clase
M1ml=mándame un mensaje luego	asias=gracias

<sup>34</sup> <http://www.braser.com/spanish-information/spanish-sms-abbreviations.html>

Msj=mensaje	b=bien
Mxo=mucho	bb=bebé
Nph=no puedo hablar	bs,bss=besos
Npn=no puedo nada	bye=adiós
Pco=poco	b7s=besitos
Pf=por favor	C=sé,se
Pq=porque, por qué?	100pre=siempre
Q acs?=qué haces?	A10=adiós
Q qrs?= qué quieres?	A2=adiós
Q risa?=qué risa?	Dfcl=difícil
Q tal?= qué tal?	Dim=dime
Sbs?=sabes?	Dnd=dónde?
Spro=espero	finde=fin de semana
Tq=tq quiero	fsta=fiesta
Tas ok?=estàs ok?	Hl=hasta luego
Tb=tambien	k=que, qué
Xdon=perdón	kbza=cabeza
Xfa=por favor	kls=clase
Xo=pero	kntm=cuéntame
:)=feliz, alegre	
:(=triste	

მოცემული მაგალითებით ნათლად ჩანს, რომ sms-ის ენა სრულიად განსხვავებულია როგორც ფრანგულ, ისე ესპანურ ენაში. თუმცა მისი გამოყენება უფრო მოსახერხებელია ფრანგებისთვის და ესპანელებისთვის და ისინი შეტყობინების ამ ფორმას აქტიურად იყენებენ.

ფრანგული sms-თვის დამახასიათებელია შემოკლების შემდეგი ფორმები. ფრანგები q-თი დაწყებულ კითხვით ნაცვალსახელებს k-თი ცვლიან. 1 ანაცვლებს

un, une, in-ს, ხოლო 2 ანაცვლებს de-ს, ხოლო ესპანელები ზოგჯერ მთელ სიტყვას გამოხატავენ ერთი ან ორი ასოთი. მაგალითად: b=bien, C=sé,sé, ხოლო ორი ან მეტი ასოთი მთლიან ფრაზას: Ko=estoy muerto, Nph=no puedo hablar, pf=por favor, sbs?=sabes? Tq=te quiero და ა.შ.

ფრანგულ sms-ში C-თი იცვლება c'est, s'est, sais და სხვა. K-თი იცვლება qu, ხოლო O-თი au, aux, eau და t-თი t'es.

ხოლო ესპანელებისათვის დამახასიათებელია sms-ის წერისას გარკვეული სიტყვების რიცხვებით გამოხატვა. მაგალითად: A10=adiós, A2=adios, 100pre=siempre..

მოცემული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ფრანგები და ესპანელები sms-ის სხვადასხვა ფორმებს იყენებენ, თუმცა ზოგ შემთხვევაში ისინი შემოკლების მსგავს ხერხებს იყენებენ. მაგალითად: ორივე ერის წარმომადგენლები qu-თი დაწვებულ შეკითხვებს K-თი ამოკლებენ, ხოლო რიგ შემთხვევებში ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ამგვარად, თანამედროვე ტექნოლოგიები ხელს უწყობენ კომუნიკაციის დამყარებას და მის სხვადასხვა საშუალებებით განვითარებას.

### 4.3. ფატიკური კომუნიკაციის ვერბალური ტიპების შედარებითი ანალიზი ფრანგულ, ესპანურ და ქართულ ენებში

წინა თავებში განვიხილეთ, თუ როგორ გამოიყურება ვერბალური ფატიკური კომუნიკაცია და მისი ვერბალური ტიპოლოგია ფრანგულ და ესპანურ ენებში. მოცემული მასალიდან ნათლად დავინახეთ, რომ ვერბალური ფატიკური კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორივე ენაში. როგორც ავლნიშნეთ, გამოიყო ვერბალური ფატიკური კომუნიკაციის ცხრა ქვეტიპი, რომლებიც ერთმანეთთან პარადიგმატულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. პირველი ქვეტიპია მისალმებები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, როგორც ესპანელების, ისე ფრანგების ცხოვრებაში. ორივე ერის წარმომადგენლისთვის დამახასიათებელია მსგავსი მისალმების ფორმები, როგორცაა „ გამარჯობა“, რაც ესპანურ ენაში გამოიხატება სიტყვით „Buenos días“ და ფრანგულ ენაში სიტყვით “ bonjour”. ორივე სიტყვაში იგულისხმება კარგი დღის სურვება თანამოსაუბრის მხრიდან. ასევე მისალმების სხვა ფორმებიც, რომლებიც ორივე ენისათვის



დამსახიათებელია, მაგალითად: „ დილა მშვიდობისა“, რომელსაც ესპანელები არ იყენებენ და მის ნაცვლად ხმარობენ სიტყვას „¡buenos días!“, ხოლო ფრანგები მას იყენებენ „bon matin“, რაც შეეხება „ საღამო მშვიდობისას“, ის ასევე ფრანგულში გამოიყენება „bon soir“, და ესპანურში „ ¡Buenas tardes!“.

ფრანგებიც და ესპანელებიც მადლიერების გრძნობით გამოირჩევიან. ისინი ყოველ სამადლობელ საქმეზე მადლობით პასუხობენ. ფრანგულ ენაში სამადლობელი სიტყვებია: “ merci”, “ merci beaucoup”, “ merci bien”, ხოლო ესპანელები მადლობას შემდეგნაირად გამოხატავენ: “ gracias”, “ muchas gracias”.

როდესაც ფრანგები და ესპანელები ნებსით თუ უნებლიედ აწუხებენ ერთმანეთს, ისინი გამოსავალს ბოდიშის მოხდით პოულობენ. ფრანგები შემდეგ საბოდიშო სიტყვებს იყენებენ „pardon“, “ pardonnez-moi!” “ excusez-moi!”, ასევე ესპანური საბოდიშო სიტყვებია: “perdoneme” და ა.შ.

რაც შეეხება მოპატიუების ფორმებს ფრანგებიც და ესპანელებიც მოპატიუების ოფიციალურსა თუ არაოფიციალურს, წერილობით თუ ზეპირ მოპატიუებებს უგზავნიან ერთმანეთს. ფრანგები შემდეგნაირად ეპატიუებიან ერთმანეთს: „viens me voir!”, “ viens chez-moi!”, “la conversation avec toi me manque”, ასევე ესპანური მოპატიუებებია: „¡visítame!” “ ¡quiero mucho hablar contigo!” “ ¡me extraño mucho hablar contigo!” და ა.შ.

შეთავაზებების გამომხატველი ფატიკური გამონათქვამებით მდიდარია როგორც ფრანგული, ისე ესპანური ენა. ფრანგები შეთავაზების შემდეგ ფორმებს იყენებენ: “entre, je t'en prie!” “ asseyez-vous, s'il vous plaît!” “ que puis-je faire pour toi?” “ comment puis-je vous aider?” “ que puis-je vous proposer?” “ voulez-vous que je vous aide?”, ხოლო ესპანელები შეთავაზებების შემდეგ ფორმებს იყენებენ: “ ¿que puedo yo hacer para ti?”, “ ¡entra, te presto!”.

რაც შეეხება მილოცვებს, ფრანგებიც და ესპანელებიც დღესასწაულების მოყვარული ხალხია. ისინი ახლობლებს და მეგობრებს ულოცავენ დღესასწაულებს. ფრანგები ასე ულოცავენ ერთმანეთს დღესასწაულებს: „Joyeux Noël!” “Bon nouvel an!” და ესპანური მილოცვის ფორმებია: “ ¡Bueno Nuevo año!” “ ¡Bueno Navidad!” და ა.შ.

ცნობილია, რომ ყველა ერის წარმომადგენლები ამხნევენ გასაჭირში მყოფ მეგობრებს თუ ახლობლებს, რითაც ცდილობენ ნუგეში სცენ მათ და სულიერი სიმშვიდე მიანიჭონ. ამ მხრივ ფრანგები და ესპანელებიც გამოირჩევიან. ისინი შემდეგ სანუგეშებელ სიტყვებს იყენებენ. ფრანგები: „ Ne perds pas l'espoir!” “ N'ayez pas peur!” “ Sois courageux!”, ასევე ესპანური გამამხნეველი ფორმებია: “ ¡No pierda una esperanza!” “ ¡ No tenga miedo!”. ისინი სიტუაციის მიხედვით სხვადასხვა თანადრძნობის გამომხატველ სიტყვებს იყენებენ.

რაც შეეხება ქათინაურებს, ძნელად თუ მოიძებნება რომელიმე ერის წარმომადგენელი, რომელსაც ქათინაურის მოსმენა არ სიამოვნებდეს. იგი კომუნიკაციის ერთ-ერთი საუკეთესო ხერხია. ფრანგები ერთმანეთს შემდეგ ქათინაურებს ეუბნებიან: “ Cette coiffure te va beaucoup!”, “ Que tu es belle!”, “ Cette robe te va beaucoup!” “ Vous êtes très élégant!” “ Vous avez une bonne apparence!”. ესპანელები კი შემდეგ ქათინაურებს ეუბნებიან: “Te queda bien este peinado!”, “Que guapo eres!”, “Te queda bien este vestido!”, “Usted es muy elegante!”, “ Que elegante estas!”, “ Usted tiene buena apariencia!”.

აღსანიშნავია, რომ ქათინაურებს ერთმანეთს ეუბნებიან, როგორც ქალები, ისე მამაკაცები.

მოცემული ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ ფატიკური ვერბალური ქვეტიპები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ფრანგულ და ესპანურ ენებში და ამ ენებში გამოყენების მხრივ ისინი ჰგვანან ერთმანეთს.

#### **4.4. ფატიკური კომუნიკაციის არავერბალური ასპექტების შედარებითი ანალიზი ფრანგულ, ესპანურ და ქართულ ენებში**

წინა თავებში ჩვენ განვიხილეთ ფრანგული, ესპანური და ქართული არავერბალური კომუნიკაცია. მოცემულ თავში შევეცდებით წარმოვაჩინოთ ესპანური, ფრანგული და ქართული ენების არავერბალური კომუნიკაციის შედარებითი ანალიზი.

როგორც ავღნიშნეთ არავერბალური ფატიკური კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში, თუმცა ეს ზოგჯერ შეუმჩნეველადაც კი ხდება. ისიც ცნობილია, რომ კომუნიკაციის 93% არავერბალურად გადაეცემა, რომელიც გამოიხატება ქესტებით, პოზირებით, თვალის კონტაქტით და ა.შ.

ფრანგული კულტურისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ქესტებით კონტაქტი. თვალის კონტაქტი განსაკუთრებით გამოიყენება უცხოელებთან კონტაქტის დასამყარებლად. როდესაც ფრანგები თვალეში უყურებენ სხვა ადამიანს ქუჩაში ან კაფეში, ისინი ამით გულისხმობენ კონტაქტის დამყარების სურვილს. თუმცა ზოგი ქესტი ფრანგებისათვის მიუღებელია, მაგალითად მიაშტერდვ ვინმეს, ვინც გიყურებს, თუნდაც ის პიროვნება ძალიან გაინტერესებდეს.

რაც შეეხება ხელის ჩამორთმევას, ეს ქესტი ფრანგებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეს განსაკუთრებით გამოიყენება ფრანგულ მისალმებებში ნაცნობებთან, როდესაც შედიან ან გადიან ოთახიდან. ეს ქესტი ასევე დამახასიათებელია კრებამდე ან კრების შემდეგ. თუ ასე არ მოიქცევი, ეს

უზრდელობად მიიჩნევა. ფრანგები ამბობენ, რომ მათ შეუძლიათ იმსჯელონ პიროვნების ხასიათზე ხელის ჩამორთმევის მიხედვით.

ფრანგებისათვის ასევე დამახასიათებელი ქესტია ორჯერ კოცნა. ორივე ლოყაზე კოცნა ჩვეულებრივია ახლო ნაცნობებს შორის, ვინც ესალმებიან ან მიემგზავრებიან. ისინი ხშირად კოცნას მარჯვენა ლოყით იწყებენ. სამხრეთ საფრანგეთში სამჯერ კოცნიან.

მოცემულ თავში მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ გაგვეხილა შემდეგი ფრანგული ქესტები: (იხ. დანართში სქემები).

1) როდესაც ადამიანი თითებზე ითვლის, იგი თვლას იწყებს ცერით. ცერით ის გულისხმობს ერთს. შემდეგ საჩვენებელ თითზე გადადის, რითაც გულისხმობს ორს და შემდეგ შუა თითზე, რითაც გულისხმობს სამს.

2) როდესაც ადამიანი ამობრუნებულ ხელის გულზე იდებს თითს და თითქოს რაღაცის აღებას ცდილობს; ამ ქესტში იგულისხმება, რომ მას რაღაც აქვს ხელის გულზე.

3) როდესაც პიროვნებას სამი თითი მიაქვს ტუჩებთან, კოცნის და შემდეგ შლის მას, იგი გულისხმობს, რომ რაღაც ძალიან გემრიელია.

4) როდესაც ფრანგებს სურთ აჩვენონ, რომ რაღაც დაამთავრეს, ისინი შემდეგ ქესტს იყენებენ. ისინი ხელებს იჯვარედინებენ სხეულზე, შემდეგ ამოძრავებენ მათ და თან ამბობენ „დავამთავრე!“.

5) ფრანგებისათვის ასევე დამახასიათებელი ქესტია ხელების მიტყუპება, თავის მხარზე დადება, და ლოყის დადება ხელზე, შემდეგ კი თვალების დახუჭვა, რითაც ისინი გულისხმობენ, რომ ეძინებათ ან სძინავთ.

6) როდესაც ფრანგებს სურთ აჩვენონ, რომ ვიღაც გიჟია, მათ საჩვენებელი თითი მიაქვთ თავთან და ამოძრავებენ მას.

7) ხოლო როდესაც ისინი თავზე ხელს იდებენ, ამით ვინმეს რამეს პირდებიან ან ეფიცებიან.

8) როდესაც სურთ აღნიშნონ „არაფერი“, ისინი თითებით და ცერით აკეთებენ წრეს.

9) ბოდიშის მოსახდელად ან იმის საჩვენებლად, რომ მათ შეცდომა დაუშვეს, ისინი პირს ხელებით იფარავენ.

ფრანგებისათვის ასევე დამახასიათებელია დროისაკენ მიმართული ქესტები.

როდესაც მათ სურთ გამოხატონ, რომ რაღაც სხვა დროს მოხდება, ისინი მარჯვენა სახვენებელ თითს მიმართავენ მარცხნივ ერთხელ. ამ უესტს თან ახლავს ძლიერი სახის მიმიკა.

ხოლო როდესაც სურთ გამოხატონ, რომ რაღაც ძალიან დიდი ხანია მოხდა, მათ უფრო ძლიერი სახის მიმიკა აქვთ. იმავედროულად პირი ღიაა და თვალები დახუჭული.

რაც შეეხება იმის გამოხატვას, რომ რაღაც გუშინწინ მოხდა, მათ მარჯვენა გაშლილი ხელი სახესთან მიაქვთ შუბლამდე და შემდეგ ნიკაპისკენ (მსუბუქი შეჩერება სახის შუაში, შემდეგ ხელი მსუბუქად ადის მაღლა და ჩერდება მოძრაობა).

როდესაც ფრანგებს სურთ აჩვენონ, რომ რაღაც ახლა ხდება, ისინი მარჯვენა ხელს ძირს მიმართავენ მარცხნისკენ ორჯერ. ამ მომენტში მათ თავი აქვთ დახრილი, რასაც ახლავს გარკვეული მოძრაობა.

ხოლო როდესაც სურთ გამოხატონ, რომ რაღაც ერთ თვეში მოხდება, ამ შემთხვევაში მარჯვენა თითი მიემართება მარჯვნიდან მარცხნივ წრიულად.

რაც შეეხება უესტს, რომელიც მიანიშნებს, რომ რაღაც ერთ წელში მოხდება, ისინი მარჯვენა სახვენებელ თითს ამოძრავებენ მარჯვნიდან მარცხნივ წრიულად ორჯერ.

ხოლო როდესაც რაღაც ორ წელში უნდა მოხდეს, ამ შემთხვევაში, ისინი მოხრილ მარჯვენა სახვენებელ თითს ამოძრავებენ მარჯვნიდან მარცხნივ ორჯერ.

რაც შეეხება უესტს, რომ რაღაც მოხდება მრავალი წლის შემდეგ, ისინი გაწვდილი სახვენებელი თითით აღწერენ წრეს ზემოთ და შემდეგ თავის ირგვლივ, ამას თან ახლავს „ ბევრის „ აღმნიშვნელი უესტი.

როგორც ფრანგები, ბუნებრივია ესპანელებიც უხვად იყენებენ უესტებს. მათვის ასევე დამახასიათებელი უესტების ნაირსახეობა, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიურად იყენებენ.

- 1) როდესაც ესპანელს სურს გამოხატოს, რომ რომელიმე დაწესებულებაში ბევრი ხალხია, იგი ერთ ან ორ ხელს ათავსებს სხეულის წინ, შემდეგ სწრაფად შლის და ხურავს.
- 2) ესპანელებისათვის დამახასიათებელი უესტია იმის გამოხატვა, რომ უფულოდ არიან. ამ შემთხვევაში, მათ სახვენებელი თითი და შუათითები მიაქვთ სახესთან, რომელიც იწყება თვალების ქვემოდან.

3) მათთვის დამახასიათებელი ქესტია ვინმეზე მინიშნება, რომ ის გიჟია. ამ შემთხვევაში, მათ ორი თითი მიაქვთ თავთან და თითს ატრიალებენ, რაც ფრანგული ქესტებისაგან განსხვავდება.

როგორც წინა თავებში ავლინდნენ, ესპანელები უცხო ქვეყანაში მოგზაურობისას ან თუნდაც ესპანეთში მოგზაურობისას, აქტიურად იყენებენ პასტას და ფურცელს, რომლებიც მუდამ თან დააქვთ, რათა მიუთითონ საგანზე ან დახატონ იგი, რათა ესპანელებს გააგებინონ რა სურთ. ეს განსაკუთრებით ეფექტურია, როდესაც გვსურს ფასის გაგება.

მათთვის ასევე დამახასიათებელია მგზავრობისას გავრცელებული ქესტები, როდესაც ჯიბის ქურდი სიახლოვესაა. ამ შემთხვევაში ასაკოვანი ხალხი ცდილობს მიგანიშნოს ამის შესახებ შემდეგი ქესტით: ისინი ხელს გამოწევენ და აამოძრავებენ ერთ თითს და ხელის გულთან მიიტანენ. ამას რამდენიმე წამი სჭირდება, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მსგავს ქესტს მრავალჯერ გადაურჩენია ესპანელები რაიმეს დაკარგვისაგან.

მოცემული მაგალითებიდან ჩვენ ნათლად დავინახეთ, თუ რა მნიშვნელოვან როლს თამაშობს არავერბალური ფატიკური კომუნიკაცია როგორც ფრანგების, ისე ესპანელების ცხოვრებაში და რაოდენ დიდია მათი დანიშნულება ენაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მათ უცხოელებისათვის, კერძოდ, ქართველებისათვის. ამის ცოდნა ხელს შეუწყობს მათ ამ ორი კულტურის წარმომადგენლებთან ადვილად კონტაქტის დამყარებასა და უხერხული სიტუაციის თავიდან აცილებაში.

#### **დასკვნები IV თავის მიხედვით**

მოცემულ თავში წარმოდგენილია ფატიკურ გამონათქვამთა შედარებითი ანალიზი ფრანგულ და ესპანურ ენებში. მასში განხილულია ვერბალური და არავერბალური ფრანგული და ესპანური ფატიკური კომუნიკაციის შედარებითი ანალიზი, რომელსაც ასევე თან ახლავს თანამედროვე ტექნოლოგიებით განხორციელებული ფატიკური კომუნიკაციის ვერბალური ტიპების კლასიფიკაცია ფრანგულ და ესპანურ ენებში; მათი უმთავრესი ფუნქციაა შექმნას სოციალური კონტექსტი და მისი მომხმარებელნი ქმნიან სოციალურ საზოგადოებას ინტერაქციული მიზნების ერთობლიობით, რომელიც შეიძლება იყოს მართებული ყველა ადამიანთა ინტერაქციის სოციალურ კონტექსტში; ამის საუკეთესო გამოვლინებაა ინტერნეტი და სხვა ტექნოლოგიები, ასევე ტელეგრაფი, ტელეფონები, განსაკუთრებით მობილური ტელეფონები, რაც ააშკარავებს ფატიკური კომუნიკაციის ზოგ მახასიათებელ თვისებას.

## დასკვნა

აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში ფატიკური კომუნიკაცია განიხილებოდა როგორც კომუნიკაციის ისეთი ტიპი, რომლის ფუნქცია არ მდგომარეობდა ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლაში, მაგრამ, ამავე დროს, თვით კომუნიკაცია ზოგადად გაიგებოდა როგორც ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის აქტი და პროცესი. ამ ანტინომიურობის გადალახვა და ფატიკური კომუნიკაციის როგორც ცნების შინაგანი კორექტურობის მიღწევა, შესაძლებელი ხდება მხოლოდ კომუნიკაციის თეორიის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როცა დომინირებას იწყებს კომუნიკაციის ინტერაქციული მოდელი. თუ ფატიკურ კომუნიკაციას განვიხილავთ ინტერაქციულ მოდელზე დაყრდნობით, მაშინ კომუნიკაციის ამ ტიპმა შეიძლება დაიკავოს ადგილი არა მხოლოდ კომუნიკაციური პროცესის პერიფერიაზე, არამედ ამ პროცესის ნებისმიერ სეგმენტზე, რადგან სწორედ ინტერაქციულობა წარმოადგენს ფატიკურობის ფუნქციურ არსს.

1) აღსანიშნავია რ. იაკობსონის ნააზრევი ფატიკურ კომუნიკაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით კომუნიკაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალური და ფსიქოლოგიური ურთიერთობანი, რომელიც სუბიექტებს შორის საკომუნიკაციო პროცესების დასრულებამდე მყარდება.

ასევე აღინიშნა, რომ ფატიკური ფუნქციის ცნება ეყრდნობა თავაზიანობის პრინციპების თეორიას და იგი მოიაზრება, როგორც სოციალური კავშირის დამყარება, გაგრძელება ან შეწყვეტა დიალოგური ენობრივი კომუნიკაციის პროცესში, ხოლო ფატიკური საუბრის ცნება ჩნდება XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ისეთი თეორიის შემუშავებისას, რომელიც ემყარება ზრდილობის პრინციპებს ენის პრაგმატული მიდგომის თვალსაზრისით, ხოლო “ფატიკური საუბრის” ცნება ასოცირდება ვინმესთან კავშირის დამყარებასთან და აზრთა გაცვლა-გამოცვლასთან.

განსაკუთრებით საყურადღებოა ფატიკური ფუნქციის ანალიზი მალინოვსკის, იაკობსონის და ბიულერის თეორიების თვალსაზრისით. მოცემული ანალიზის მიხედვით კ. ბიულერმა ენას მიანიჭა შემდეგი სამი ფუნქცია: გამომხატველობითი, კონატიური და წარმომადგენლობითი, ხოლო რ. იაკობსონმა ამ მოდელს დაუმატა ფატიკური, მეტალინგვისტური და პოეტური ფუნქციები. რ. იაკობსონის მიხედვით, ფატიკური ფუნქციის მიზანია ლინგვისტური კონტაქტის შენარჩუნება, ხოლო ფატიკური კომუნიკაციის საფუძველზე მყარდება კონტაქტი გადამცემსა და მიმღებს შორის. რ. იაკობსონი გამოჰყოფს კომუნიკაციის ექვს ფაქტორს: კონტექსტი, მესიჯი, მოქმელი/ადრესატი ანუ მსმენელი, კონტაქტი, კოდური ნიშანი. აქვე ხაზგასმულია, რომ სწორედ რ. იაკობსონს ეკუთვნის ცნება “ფატიკური კომუნიკაცია”, რადგან სწორედ მან დაინახა ამ ფენომენის ადგილი ენობრივი

სისტემის ისეთ ასპექტებს შორის როგორცაა ენობრივი ფუნქციები, ენობრივი საკომუნიკაციო ელემენტები და ენობრივი კომუნიკაციის ფაქტორები.

ფატიკური კომუნიკაცია მოიაზრება, როგორც ვერბალურ-ვოკალური საშუალება, რომელსაც ვერბალური ინტერაქციის მონაწილეები იყენებენ და რომელიც მონაწილეობს დისკურსის თანაწარმოქმნის პლანში, ისევე როგორც სემიო-ემოციური თანამშრომლობითი ურთიერთობის პლანში, რომლის მიზანია მონაწილეებს შორის „კარგი ურთიერთგაგების“ უზრუნველყოფა.

რაც შეეხება „hein“-ის ფუნქციონირების ანალიზს, იგი მიუთითებს, რომ ეს გამოთქმა, როგორც ფატიკური გამონათქვამების ერთობლიობა, თანადროულად მრავალ პლანზე ჩანს. იგი აწესრიგებს გამონათქვამების მონაცვლეობას და ხელს უწყობს საუბრის თანწყობას. რაც შეეხება ფორმულებს, “hein,” “tu vois” და “tu sais,” ისინი უკავშირდება შეთანხმების და თხოვნის კონცეფციებს. “Hein” ასევე გამოიყენება ფამილიარულ საუბარში, სადაც ის ახლავს შეკითხვას ან ფრაზას, რომელიც გაკვირვებას გამოხატავს. ამგვარად, ფატიკური გამონათქვამი “hein” წარმოადგენს ერთადერთ ფატიკურ გამონათქვამს, რომელიც შეიცავს კატეგორიების ერთობლიობას, რომლითაც ის თითქმის „უნივერსალური“ ხდება ფუნქციურ პლანში.

2) ასევე მნიშვნელოვანია ინტონაციის როლი ფატიკურ კომუნიკაციაში, რომელიც გადმოსცემს მოლაპარაკის ფიქრს, გამოხატავს მოლაპარაკის გონებრივ და ემოციურ მდგომარეობას, ავლენს სიტყვებსა და მნიშვნელობას შორის განსხვავებას და ნათელს ჰფენს მსმენელისათვის დაფარულ ბუნდოვანებასა და ზრახვებს. რაც შეეხება სოციალურ იდენტურობას, იგი ყალიბდება ადამიანის ინდივიდუალური განვითარების კვალდაკვალ და სოციალიზაციის, იდენტიფიკაციის, პიროვნული ინტეგრაციის შედეგია ინდივიდის მიერ სოციალურ-კულტურული ნიმუშების, ღირებულების ათვისებისა და გაზიარებისათვის; იდენტურობა მოიაზრება როგორც სოციალური ურთიერთობის განზომილება, რაც ვლინდება საკუთარი თავის წარდგენისას. ასევე ფატიკური კომუნიკაციის დროს მნიშვნელოვანია გენდერული იდენტურობა, სადაც აღინიშნება, რომ პიროვნების ვინაობის დასადგენად, ერთ-ერთი პირველი ელემენტია მისი სქესი. თვით ჩაცმის მანერაც სოციალურ ვინაობას ავლენს, რომლისთვისაც სქესი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, ხოლო რაც შეეხება ლექსიკას, ერთი და იმავე საზოგადოებაში მცხოვრებმა ქალებმა და მამაკაცებმა შეიძლება განსხვავებული ლექსიკური ფორმები წარმოადგინონ, როგორც განსხვავებული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებმა, რომლებიც იმ სოციალური წნეხისგან გამომდინარეობს, რომლებსაც ისინი განიცდიან.

3) ნაშრომში განხილულია ფატიკური კომუნიკაციის ლინგვოკულტურული ასპექტები ფრანგულ, ესპანურ და ქართულ ენებში, სადაც ყურადღებას

ვამახვილებთ ფატიკური კომუნიკაციის ცხრა ქვეტიპზე, რომლებიც ერთმანეთთან პარადიგმატულ მიმართებაში იმყოფებიან. ცნობილია, რომ ნებისმიერ პარადიგმატულ პლანში გამოყოფილი ენობრივი ერთეული მეტყველებაში განიცდის სიტუაციურად და კონტექსტურად განპირობებულ ვარიაციას. განვიხილეთ ფატიკური კომუნიკაციის ქვეტიპები და სიტუაციურად განპირობებული ფორმები. ასევე გავაანალიზოთ ფატიკური კომუნიკაციის არავერბალური ასპექტები ფრანგულ და ესპანურ ლინგვოკულტურულ არეალში, სადაც აღნიშნულია, რომ ჩვენს დროში არავერბალური კომუნიკაციის სისტემები მნიშვნელოვანი ხდება და რომ 60% -70%-ით ვუკავშირდებით არავერბალურად: ქესტებით, გამომეტყველებით, პოზირებით, სხეულის მოძრაობით და ა.შ. აქ ასევე აღინიშნება, რომ ზოგჯერ ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია თანადროულად ხდება, რაც გამოხატულია სიტყვების, მხერის და სახის გამომეტყველების ცვლილებით. ესპანელებისათვის დამახასიათებელია ქესტები და სხეულის ენა, რომლის მეშვეობით ისინი იგებენ, რას ფიქრობს მოლაპარაკე და რა ენერგია აქვს მოცემულ მომენტში.

4) ნაშრომში ნათლად ჩანს, რომ sms-ის ენა სრულიად განსხვავებულია როგორც ფრანგულ, ისე ესპანურ და ქართულ ენაში. თუმცა მისი გამოყენება უფრო მოსახერხებელია ფრანგებისათვის და ესპანელებისათვის და ისინი შეტყობინების ამ ფორმას აქტიურად იყენებენ.

ფრანგული sms-თვის დამახასიათებელია შემოკლების შემდეგი ფორმები. ფრანგები q-თი დაწყებულ კითხვით ნაცვალსახელებს k-თი ცვლიან. 1 ანაცვლებს un, une, in-ს, ხოლო 2 ანაცვლებს de-ს, ხოლო ესპანელები ზოგჯერ მთელ სიტყვას გამოხატავენ ერთი ან ორი ასოთი. მაგალითად: b=bien, C=sé,sé, ხოლო ორი ან მეტი ასოთი მთლიან ფრაზას: Ko=estoy muerto, Nph=no puedo hablar, pf=por favor, sbs?=sabes? Tq=te quiero და ა.შ.

ფრანგულ sms-ში C-თი იცვლება c'est, s'est, sais და სხვა. K-თი იცვლება qu, ხოლო O-თი au, aux, eau და t-თი t'es.

ხოლო ესპანელებისათვის დამახასიათებელია sms-ის წერისას გარკვეული სიტყვების რიცხვებით გამოხატვა. მაგალითად: A10=adiós, A2=adios, 100pre=siempre..

მოცემული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ფრანგები და ესპანელები sms-ის სხვადასხვა ფორმებს იყენებენ, თუმც ზოგ შემთხვევაში ისინი შემოკლების მსგავს ხერხებს იყენებენ. მაგალითად: ორივე ერის წარმომადგენლები qa-თი დაწყებულ შეკითხვებს K-თი ამოკლებენ, ხოლო რიგ შემთხვევებში ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ამგვარად, თანამედროვე ტექნოლოგიები ხელს უწყობენ კომუნიკაციის დამყარებას და მის სხვადასხვა საშუალებებით განვითარებას.



5) ნაშრომში ასევე განხილულია ფატიკურ გამონათქვამთა შედარებითი ანალიზი ფრანგულ და ესპანურ ენებში. მასში განხილულია ვერბალური და არავერბალური ფრანგული და ესპანური ფატიკური კომუნიკაციის შედარებითი ანალიზი, რომელსაც ასევე თან ახლავს თანამედროვე ტექნოლოგიებით განხორციელებული ფატიკური კომუნიკაციის ვერბალური ტიპების კლასიფიკაცია ფრანგულ და ესპანურ ენებში; მათი უმთავრესი ფუნქციაა შექმნან სოციალური კონტექსტი და მისი მომხმარებელნი ქმნიან სოციალურ საზოგადოებას ინტერაქციული მიზნების ერთობლიობით, რომელიც შეიძლება იყოს მართებული ყველა ადამიანთა ინტერაქციის სოციალურ კონტექსტში; ამის საუკეთესო გამოვლინებაა ინტერნეტი და სხვა ტექნოლოგიები, ასევე ტელეგრაფი, ტელეფონები, განსაკუთრებით მობილური ტელეფონები, რაც ააშკარავებს ფატიკური კომუნიკაციის ზოგ მახასიათებელ თვისებას.

აღსანიშნავია, რომ ფატიკური კომუნიკაცია როგორც ფენომენი, ეკუთვნის არა მხოლოდ ენას, არამედ ინ შინაგან განუყოფელ მთლიანობას, რომელსაც თანამედროვე მეცნიერულ ლიტერატურაში „ლინგვოკულტურული არეალი“ ეწოდება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გოქსაძე ლ, დემეტრაძე ი. “ ქართულ-ინგლისური ყოფითი თავისებურებები”, “ნეკერი”, თბ, 1996;
2. ლებანიძე გ. “კომუნიკაციური ლინგვისტიკა”, თბილისი, 2004
3. რამიშვილი გ. “ ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით”, თბილისი, 1995
4. ცერცვაძე, ნ. ( 2004). “ ფატიკური კომუნიკაცია და მისი ტიპოლოგია იტალიურ ენაში.” თბილისი
5. Agneta Fischer, (2000). The relation between gender and emotions.
6. André,V. (2006). Construction du discours au sein de reunions de travail en entreprise: de l’analyse micro-linguistique à l’analyse socio-interactionnelle
7. Anthony Manstead. (2000), Nonverbal communication skills
8. Aparicio,F.R, ( 1983, May), “ Teaching Spanish to the native speaker at the college level.” Hispania, 66 (2),: 232-239.
9. Auchlin, A. ( 1990). Analyse du discours et Bonheur conversationnel. Cahiers de Linguistique Française H, 311-328.
10. Auchlin, A. ( 1990). Analyse du discours et Bonheur conversationnel. Cahiers de Linguistique Française H, 311-328.
11. Auer, P. (1996). On the prosody and syntax of turn-continuations
12. Austin, J. L. ( 1970). Quand dire, c’est faire. Paris, Seuil.
13. Bakhtine, M. (1977). Esthétique de la création verbale.
14. Bailly, S. (1992), La différenciation sexuelle dans la conversation, Etude descriptive des modalités, des thèmes et des représentations, à partir d’entretiens et d’enquêtes, Thèse de Doctorat, sous la direction de Houdebine, A.-M.,Paris V “René Descartes”. Sorbonne.
15. Basso, K.H.( 1975) To give up on words: silence in western Apache culture.
16. Bayon, C, Fabre, P. ( 1975). Initiation à la linguistique. Paris: Nathan.
17. Bertrand, Y. ( 1980). Que faire des interjections? In linguistic Palatina 29, 1-43.

18. Blanco, George M. et al. ( 1987). *Español para el hispanohablante: Función y noción*. Texas Education Agency.
19. Britton, J. ( 1970). "Language and learning" New York
20. Bickmore, T. ( 1999). *A computational model of small talk*
21. Brown, G., Yule, G. ( 1983). *Discourse Analysis*, Cambridge: Cambridge University Press.
22. Collison, M. ( 1994, Feb.2). *Spanish for native speakers*. *Chronicle of higher Education*, 40 (22), A 15-16.
23. Cosnier, J., Brossard, A. ( 1987). *Communication non-verbale: co-texte ou context?* Inj. Cosnier, A. Brossard (éds.), *La communication non-verbale*.
24. Coulmas, F. (éd) ( 1981) *Conversational Routine*. La Haye: Mouton.
25. Crystal, D. ( 1980, 1985, 1991). *A dictionary of Linguistics and Phonetics*. Oxford, Cambridge, Massachusetts. Blackwell.
26. Crystal, D. ( 1987). *The Cambridge Encyclopedia of language*. Cambridge: Cambridge University Press.
27. Danon-Boileau, L., Morel, M.A ( 1998). *Grammaire de l'intonation. L'exemple du français*. (Bibliothèque de faits de langues). Paris: Ophrys.
28. Dostie, G. ( 2004). *Pragmaticalisation et marqueurs discursifs. Analyse sémantique et traitement lexicographique*. Bruxelles: Duculot.
29. Dubois, J, Dubois-Charlier F. ( collab.) ( 1979). *Dictionnaire du français langue étrangère. Niveau 2*. Paris: Larousse.
30. Ducrot, O, Todorov, T. (1972). *Dictionnaire encyclopédique des sciences du langage*, Paris: Seuil.
31. Equipe Delic ( 2004). *Présentation du corpus de référence du français parlé*.
32. Faucher, E. (2000). *Qui a peur de l'anthropologie culturelle?* Nancy.PU.N. (Collection Persuasion et Propagandes).
33. Fernandez, J. ( 2004). *Les particules énonciatives*. Paris, PUF.
34. Fraser, B. ( 1999). *What are discourse markers?* *Journal of Pragmatics*, 31, 931-952.
35. *Функционирование текста в лингокультурной общностию Москва, 1989.*

36. Gadet F., *Le français ordinaire*, Paris, 1989.
37. Germain. C. “ Evolution de l’enseignement des langues”, Paris, 1995
38. Горелов И. Н. *Невербальные компоненты коммуникации*. Москва, 1981.
39. Goffmann, E. (1974). *An essay on the organization of experience*. London: Harper and Row.
40. Grabe, E. ( 2004). *International variation in urban dialects*.
41. Grevisse, M. (1975), *Le bon usage. Grammaire française avec remarques sur la langue française d’aujourd’hui*. Gembloux: Duculot.
42. Greimas, A. J. Courtés J. ( 1979). *Sémiotique: dictionnaire raisonné de la théorie du langage*. Tome 1. Paris: Hachette
43. Grice, H.P. ( 1997), *Logic and conversation*. In Picole, J.L. Morgan (éds), *Speech Acts* ( pp. 41-58). New York: Academic Press.
44. Grzega, J. ( 2008), “ Elements of basic European language Guide”, *Journal for EuroLinguistics* 5: pp. 118-133.
45. Holmes, J. ( 2000), ( DOC. Edité sur internet par N. Daly). *Small talk at work*. Based on the original article entitled. *Doing collegiality and keeping control at work*. *Small talk in Government departments* by Janet Holmes.
46. Holmes, J. ( 2000), *Doing collegiality and keeping control at work*. *Small talk in government departments*. In J.Coupald (éd). *Small talk* ( pp. 32-61). Londres: Longman.
47. Якобсон Р. “Избранные работы” Москва, “Прогресс”, 1985.
48. *Язык и личность*. Москва, 1989.
49. Jakobson R. ( 1995),- “ *Essais de linguistique générale*, Mass: Mit Press
50. Jakobson, R. ( 1960), *Concluding statement: Linguistics and Poetics*. In T.A. Sebook (éd). *Style in language*. ( pp.350-377), Cambridge, Mass: Paris: Seuil.
51. Jakobson, R. ( 1963), *Essais de linguistique générale*. Trad. Fr. Paris: Seuil.
52. Jakobson R. ( 1972), “ *Closing statements: Linguistics and Poetics*”, *style in language*.
53. Jaworski, A. ( 2000). “ *Silence and small talk*”, Coupald J, *Small talk in government departlents*”, J. Coupald, (éd.) *Small talk*, Pearson, Harlow UK.

54. Jucker, A., Smith, S. ( 1996). Explicit and implicit ways of enhancing common ground in conversations. *Pragmatics* 6 (1), 1-18.
55. Judith A. Hall ( 1984): Nonverbal sex differences. *Communication accuracy and expressive style*. 207 pp. Johns Hopkins University Press.
56. Judith A. Hall ( 1979): Gender, gender roles and nonverbal communication skills
57. Judith A. Hall (1987). Gender effects in decoding nonverbal cues. *Psychological Bulletin* 85:
58. Каменская О. Л. Текст и коммуникация. Москва, 1990.
59. Kerbrat-Orecchioni, C. (1980). *L'Énonciation*. Paris: A. Colin.
60. Kerbrat-Orecchioni, C. (1990-1994). *Les interactions nonverbales*. Tomes 1,2,3. Paris: A. Colin.
61. Kerbrat-Orecchioni, C.( 1995). La construction de la relation interpersonnelle: quelques remarques sur cette dimension du dialogue. *Cahiers de Linguistique Française* 16, 69-87.
62. Kerbrat-Orecchioni, C. ( 1996). *La conversation*. Paris, Seuil
63. Kerbrat-Orecchioni, C. ( 2001). *Le discours en interaction*. Paris, Colin.
64. Laver, J. ( 1975). Communicative functions of phatic communion. In A. Kenden, R. M Harris, M. R. Key (éds). *Organisation of behavior in face-to-face interaction* ( pp. 215-238). La Hague/Paris: Mouton.
65. Laver, J. ( 1981). Linguistic routines and politeness in greeting and parting. In F. Coulmas (éd), *Conversational routine* ( pp 289-384). La Haye: Mouton.
66. Leech, G., Svartvik.: *A communicative Grammar of English*: Moscow. 1983: pag. 134-141.
67. Leech, G. ( 1983). *The principles of Pragmatics*. Londres: Longman
68. Lyons, J.: *Language and Linguistics*: Cambridge University Press: 1981.
69. Makice, Kevin ( 2009). “ Phatics and the design of community”.
70. Malinowski B. ( 1979)- “ The problem of meaning in primitive languages”, Londres
71. Malinowski B, Jakobson R. ( 1923)- “ Communion versus function phatique”

72. Marqués, S. ( 1986). *La lengua que heredamos: Curso de Español para bilingües*. New York; John Wiley and Sons. 102
73. Marqués, S. (1986). *La lengua que heredamos: Curso de Español para bilingües*. New York; John Wiley and Sons.102
74. ) Moeschler, J. ( 1993), *Lexique et pragmatique conversationnelle*. Paris; Colin
75. Mondada, L. (2000). *The organization of social interaction*.
76. Mounin, G. (1972), *La linguistique du XXe siècle*. Paris, PUF..
77. Navarro, A, H. (1999). Procédures de démarcation dans l'alternance des prises de interaction, syntaxe et prosodie. *Faits de Langues* 13, Oral-Ecrit: Formes et theories, Paris-Gap, Ophrys, 110-124.
78. Neveu, F. ( 2004). *Dictionnaire des sciences du langage*. Paris, Colin
79. Pears analytics ( 2009). “ Twitter study-August 2009, whitepaper
80. Plantin, C. (2005). *L'argumentation*. Paris, PUF
81. Quilis, A., et al. (éds.) ( 1993). El grupo fonico y el grupo de enonciacion en español hablado, *Revista de Filologia Española* 73, p.55-64.
82. Reboul, A. ( 1996). Faut-il continuer à faire de l'analyse du discours? *Hermes* 16, 61-92.
83. Reboul, A. Moeschler, J. ( 1995). Le dialogue n'est pas une catégorie naturelle scientifiquement pertinente. *Cahiers de linguistique française* 17, 229-248.
84. *Relations et communications interpersonnelles*, Edmond Marc et Dominique Picard. Dunod (Los tipos). 2000.
85. *Relations et communications interpersonnelles*, Edmond Marc et Dominique Picard. Dunod (Los tipos). 2000.
86. )Remland, M.S and Jones, T.S. ( 2005). Interpersonal; distance, body orientation, and touch. The effect of culture, gender and age. *Journal of social psychology*. 135, 281-297.
87. Riley, P. ( 2001), Allô, je parle à qui? Salutations, communion phatique et négociation d'identités sociaux. In E.Carton (éd). *Oral: variabilité et apprentissage*, coll. *Le français dans le monde* ( numéro soecial), 87-96.
88. Rubattel, C. ( 1993). Le potentiel énonciatif des unités lexicales. In *Cahiers de linguistique française* 14, 189-196.

89. Sacks, H. ( 1992). Lectures on conversation. Oxford: Blackwell.
90. Searle, J.R. ( 1982). Sens et expression. Paris: Minuit
91. . Sociologie de la communication et des Médias. Eric Maigret. Armand Colin. 2003
92. Talbot, Mary M. Relevance, ( 1993). “ Encyclopedia of linguistics and languages. Oxford.
93. Tannen, D. ( 1992) “ How men and women use language differently in their lives and classroom”, The Education Digest 57,6.
94. Tracy, K and Naughton, J. M. (2000) “ Institution identity-work”.
95. Traverso, E. (1979). La conversation familière: Analyse pragmatique des interactions. Lyon: PUL.
96. L’utopie de la communication. Le mythe du village planétaire. Philippe Breton. La découverte. 1992, 1995, 1997.
97. Valdés, G. ( 1995. Autumn). The teaching of minority languages as academic subjects: Pedagogical and theoretical concerns. Modern language Journal, 79 (3), 299-328.
98. Ventola, E. ( 1979) “ The structure of casual conversation in English”, journal of Pragmatics 3: 267-298.

ინტერნეტით გამოყენებული მასალები

- 1) <sup>1</sup> <http://www.librarything.com/work/626630>
- 2) <sup>1</sup> <http://www.highbeam.com/doc/1G1.219589398.html>
- 3) <sup>1</sup> [http://www.fr.wikipedia.org/wiki/sch%C3%a9ma\\_de\\_Jakobson](http://www.fr.wikipedia.org/wiki/sch%C3%a9ma_de_Jakobson)
- 4) <sup>1</sup> რ. იაკობსონი: “schéma de Jakobson”,1963
- 5) <sup>1</sup> [http://fr.goldenmap.com/Sch%C3%A9ma\\_de\\_Jakobson](http://fr.goldenmap.com/Sch%C3%A9ma_de_Jakobson)
- 6) [http://fr.goldenmap.com/Sch%C3%A9ma\\_de\\_Jakobson](http://fr.goldenmap.com/Sch%C3%A9ma_de_Jakobson)
- 7) <sup>1</sup> <http://dictionnaire.sensagent.com/sch%C3%A9ma+de+jakobson/fr-fr/>
- 8) <sup>1</sup> [http://www.freebase.com/view/en/roman\\_jakobson/-/influence/influence\\_node/influenced\\_by](http://www.freebase.com/view/en/roman_jakobson/-/influence/influence_node/influenced_by)
- 9) <sup>1</sup> <http://dictionary.sensagent.com/roman+jakobson/fr-fr/>
- 10) <http://dictionary.sensagent.com/roman+jakobson/fr-fr/>
- 11) <sup>1</sup> <http://knol.google.com/k/georges-babaskine/les-six-fonctions-du-langage/y9gnjw8w4wk7/355>
- 12) <sup>1</sup> [http://www.123teachme.com/learn\\_spanish/brief\\_conversations](http://www.123teachme.com/learn_spanish/brief_conversations)

- 13) <sup>1</sup> <http://www.dictionarist.com/paralinguistic>
- 14) <http://fr.wikipedia.org/wiki/Pragmatique>
- 15) <http://www.fr.wikipedia.org/wiki/Pragmatique>
- 16) [http://www.123teachme.com/learn\\_spanish/brief\\_conversations](http://www.123teachme.com/learn_spanish/brief_conversations)
- 17) <http://www.rarbie.wordpress.com>
- 18) <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=print&d=5&t=14192>
- 19) <http://rarbie.wordpress.com/tag>
- 20) <http://www.rarbie.wordpress.com>
- 21) <http://www.sangu.ge/new/Sartoniakonf.html/>
- 22) <http://micronarratives.blogspot.com/2009/04/phatic-communication-twitter-and-web20.html#!/2009/04/phatic-communication-twitter-and-web20.html>
- 23) <http://french.about.com/library/writing/bl-texting.htm>
- 24) <http://www.braser.com/spanish-information/spanish-sms-abbreviations.html>

## დანართი

1. ფრანგული კესტები



1. შესანიშნავია, ყოჩაღ!



2. არა, გმადლობთ!



შეუძლიათ იმის გაკეთება, რასაც სთავაზობენ..

4. არ გეთანხმები!



ესპანური უესტები:



1. ამ უესტით ესპანელები მოწონებას გამოხატავენ.



2. წარმატებას გისურვებ!



3. წარუმატებლობის გამომხატველი უესტი.



4. ეს სტუდენტია!



5. ინჟინერი!



6. ექვნი!



